

ჟ რ მ ა გ ბ ი  
მართვის ავტომატიზებული სისტემები

TRANSACTIONS  
AUTOMATED CONTROL SYSTEMS

Т Р У Д Ы  
АВТОМАТИЗИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

№ 1(21)

ეპლვება  
სტუ-ს „მართვის  
ავტომატიზებული  
სისტემების“  
გათხლის 45 წლის  
იუბილე



DEDICATED  
TO THE 45  
ANNIVERSARY OF  
THE DEPARTMENT  
„AUTOMATED CONTROL  
SYSTEMS“ OF GTU

გამოიცემა 2006 წლიდან

პერიოდულობა:  
2 ნომერი წელიწადში

თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ  
2016

**სარედაცულო პოლემის:**

- აზმაიფარაშვილი ზ., ახობაძე მ., ბაიაშვილი ზ., გასიტაშვილი ზ., გიგინეიშვილი ა., გიორგაშვილი ლ., გოგიჩაშვილი გ., გოცირიძე ი., დადაინი თ., გვრულავა თ., თევდორაძე მ., თურქია კ., კაიშაური თ., კამკამიძე კ., ლაშხი ა., ლომინაძე ნ., ლომინაძე თ., მძინარიშვილი ლ., ნატროშვილი დ., ობგაძე თ., სამხარეაძე რ., სესაძე ვ., სურგულაძე გ., ფრანგიშვილი ა., ცინცაძე ა., გ. ძიძიგური, წვერაიძე ზ.,
- ჩოგოვაძე გ., ანანიაშვილი გ., ბოსიკაშვილი ზ., კაკუბავა რ., მელაძე ჰ., სალუქევაძე მ.,
- ვერმანია: ბოტჭე კ., ვედეკინდი ჰ., დე-მეერი ჰ., მაიერ-ვეგნერი კ., რეისიგი ვ.
- აშშ: ტრივედი კ. (დუკეს უნივერსიტეტი), ჩიხრაძე ბ. (Amber Precision Instruments)
- კანადა: ქაჩიბაია ვ. (IT Industry)
- რუსეთი: ბაბაინი რ., ვასინი ა., შჩუკინი ბ., ფომინი ბ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: გ. სურგულაძე. სტატიები: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

**EDITORIAL BOARD:**

- Akhobadze M., Azmaiparashvili Z., Baiashvili Z., Dzidziguri G., Gasitashvili Z., Gigineishvili A., Giorgaschvili L., Gogichaishvili G., Goziridze I., Dadiani T., Kaishauri T., Kamkamidze K., Lashkhi A., Lominadze N., Lominadze T., Mdzinarishvili L., Natroshvili D., Obgadze T., Prangishvili A., Samkharadze R., Sesadze V., Surguladze G., Tevdoradze M., Tsintsadze A., Tsveraidze Z., Turkia E., Verulava O.
- Chogovadze G., Ananiashvili G., Bosikashvili Z., Kakubava R., Meladze G., Salukvadze M.
- Germany: Bothe K.(Humboldt univ. Berlin), De-Meer H.(Passau univ.), Meyer-Wegener K. (Erlangen univ.), Reisig W. (Humboldt univ.Berlin), Wedekind H.(Erlangen univ.)
- USA: Trivedi K. (Duke University), Chikhadze B. (Amber Precision Instruments)
- Canada: Kachibaia V. (IT Industry)
- Russia: Babaian R.(IPU), Tshukin B.(Mephi), Vasin A.(MSU), Fomin B.(St-Petersburg,Techn.Univ.)

Executive Editor: G. Surguladze.

References: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

- Азмаипарашвили З., Ахобадзе М., Байашвили З., Верулава О., Гаситашвили З., Гигинеишвили А., Гиоргашвили Л., Гогичаишвили Г., Гоциридзе И., Дадиани Т., Каишаври Т., Камкамидзе К., Лашхи А., Ломинадзе Н., Ломинадзе Т., Мдзинаришвили Л., Натрошивили Д., Обгадзе Т., Прангишвили А., Самхарадзе Р., Сесадзе В., Сургуладзе Г., Тевдорадзе М., Туркия Е., Цверайдзе З., Цинцадзе А.
- Чоговадзе Г., Ананиашвили Г., Босикашвили З., Какубава Р., Меладзе Г., Салуквадзе М.
- Германия: Ботэ К., Ведекинд Х., Де-Меер Г., Мейер-Вегенер К., Рейсиг В.
- США: Триведи К. (Университет Дуке), Чихрадзе Б. (Amber Precision Instruments)
- Канада: Качибая В. (IT Industry)
- Россия: Бабаян Р. (ИПУ), Васин А. (МГУ), Щукин Б. (МИФИ), Фомин Б. (ЛЭТИ.С-т Петербург)

Ответственный редактор: Г. Сургуладзе.

Статьи: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

**ISSN 1512-3979**



გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016

Publishing House „Technical University“, 2016

Издательство „Технический Университет“, 2016

75 Happy birthday!

Prof. Dr. Gatcha Tchegoradze  
and

Prof. Dr. Georg Gegitchaishvili

გულრიცხვი „მართვის ავტომატიზაციული სისტემების“ პათედოს  
დამაარსებლებს, ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს და ბატონ გიორგი  
გოგიაშვილს დაბადების 75-წლის იუბილეს და ვუს ურვებო  
შემოქმედებით სიმხეულს და მომავალ ნაყოფილ მოღვაწეობას !



აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე

კათედრის პირველი გამგე (1971-1980). იუნივერსიტეტის  
(პარიზი) განყოფილების გამგე - „ინფორმატიკა  
განათლებაში“ (1981-1986). საქ. პარლამენტის წევრი,  
პარლამენტის „მეცნიერებისა და განათლების“  
კომიტეტის თავმჯდომარე (1986-1988). სტუ-ს  
რექტორი (1988-1994). საქართველოს საგანგებო და  
სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთში  
(1994-2004). იუნივერსიტეტის გენერალური დირექტორის  
მრჩეველი (2004-დღემდე). მრავალი მონოგრაფიის,  
სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების, საზღვა-  
რეგულირებით გამოქვეყნებული სამეცნიერო-პოპულარუ-  
ლი პუბლიკაციის ავტორი

### პროფესორი გიორგი გოგიაშვილი

მას-კათედრის გამგე (1981 წლიდან დღემდე).  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტი. კომპიუტერულ მეცნიერებათა  
და სისტემების საერთაშორისო აკადემიის  
აკადემიკოსი. არის მრავალი სახელმძღვანელოს,  
მონოგრაფიის და სამეცნიერო ნაშრომის  
ავტორი. მიღებული აქვს „ღირსები ორდენი“  
და სტუ-ს უმაღლესი ჯილდო „გიორგი  
ნიკოლაძის“ მედალი. მისი ხელმძღვანელობით  
დაცულია 50-ზე მეტი დისერტაცია „მართვის  
ავტომატიზებული სისტემების“ მიმართულებით.



1941



2016

მივესალმები „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის დაარსების 45-ე წლისთავს და მისი დამაარსებლების, აკადემიკოსის გოჩა ჩოგოვაძის და პროფესორ გიორგი გოგიჩაიშვილის დაბადების 75 წლის იუბილეს !

ამ ხნის განმავლობაში კათედრამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საინჟინრო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. კათედრის მთელ კოლექტივს ვუსურვებ წარმატებებს. კვლავაც ეღვაწოთ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.



აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი,  
სტუ-ს რექტორი



Щукин Борис Алексеевич,  
Профессор МИФИ (Москва)

Коллектив кафедры Кибернетики МИФИ сердечно поздравляет кафедру АСУ ГТУ со славным сорокапятилетием и желает дальнейших творческих успехов на благо народа Грузии. Кафедру Кибернетики МИФИ и кафедру АСУ ГТУ связывают давние дружеские отношения. Они касались, прежде всего, научных связей, выражавшихся в совместной подготовке аспирантов и докторантов, организации научных семинаров и конференций, подготовке научных публикаций.

Несомненно, реальными инициаторами этих связей были Гocha Георгиевич Чоговадзе и Лев Тимофеевич Кузин – первые заведующие кафедр АСУ (Тбилиси) и Кибернетики (Москва). Эти две незаурядные личности сделали очень много не только в организации совместной научной работы, но и в более тесном сближении коллективов кафедр.

Лично для меня они открыли Грузию, прекрасную страну, с талантливым народом, умеющим учиться, трудиться и прекрасно, неповторимо отдыхать. Я всегда рад приехать в Грузию, чтобы встретить и обнять старых друзей. Я надеюсь, что искреннее чувство уважения между нашими народами есть и останется в веках.

## შინაარსი – CONTENTS - СОДЕРЖАНИЕ

- ეპთვალი ავტომატიზებული სისტემები და პროგრამული ინიციატივია – ინიციატივი საუნივერსიტეტო განათლების სფეროზე. გოჩა ჩოგოვაძე, არჩილ ფრანგიშვილი, გიორგი გოგიაშვილი, ვაჟა დიდმანიძე, გია სურგულაძე // MANAGEMENT INFORMATION SYSTEMS AND SOFTWARE ENGINEERING – INNOVATIONS IN UNIVERSITY EDUCATION. Chogovadze Gocha, Prangishvili Archil, Gogichaishvili George, Didmanidze Vazha, Surguladze Gia // АВТОМАТИЗИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ И ПРОГРАММНАЯ ИНЖЕНЕРИЯ – ИННОВАЦИИ В ОБЛАСТИ УНИВЕРСИТЕТСКОГО ОБРАЗОВАНИЯ. Чоговадзе Г. Г., Прангишвили А., Гогичаишвили Г., Дидманидзе В., Сургуладзе Г.
  
- ტექნიკური ინფრასტრუქტურა – COMPUTER ENGINEERING – ТЕХНИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА**
  
- სატელეკომუნიკაციო ქსელის კარამეტრების კვლევის ანალიტიკური მოდელის ვორმილება. კონსტანტინ კამკამიძე, მიხეილ დვალიშვილი, ელენე კამკამიძე // DEVELOPMENT OF AN ANALYTICAL MODEL FOR THE RESEARCH OF THE TELECOMMUNICATION NETWORK PARAMETERS. Kamkamidze Konstantin, Dvalishvili Mikheil, Kamkamidze Elene // ФОРМИРОВАНИЕ АНАЛИТИЧЕСКОЙ МОДЕЛИ ДЛЯ ИССЛЕДОВАНИЯ ПАРАМЕТРОВ ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННОЙ СЕТИ. Камкамидзе К., Двалишвили М., Камкамидзе Е.
- სატელეკომუნიკაციო ქსელის ტოლოდობის სრული გრავის ავების აღმრითები. ელენე კამკამიძე, ირინა ხომერიკი, მიხეილ დვალიშვილი // ALGORITHM TO CONSTRUCT THE COMPLETE GRAPH TOPOLOGY OF THE TELECOMMUNICATION NETWORK. Kamkamidze Elene, Khomeriki Irina, Dvalishvili Mikheil // АЛГОРИТМ ПОСТРОЕНИЯ ПОЛНОГО ГРАФА ТОПОЛОГИИ ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННОЙ СЕТИ. Камкамидзе Е., Хомерики И., Двалишвили М..
- ელექტროესელის კარამეტრების გამზომი გულტიფუნქციური ხელსახის დარღვევის ამაღლება. ლევან იმნაიშვილი, მალხაზ ჯაბუა, კარლო ჩხიკვაძე // ENHANCEMENT OF PRODUCTIVITY FOR THE POWER NETWORK PARAMETER METER MULTIFUNCTIONAL DEVICE. Imnaishvili Levan, Jabua Malkhaz, Chkhikvadze Karlo // ПОВЫШЕНИЕ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ МУЛЬТИФУНКЦИОНАЛЬНОГО ИЗМЕРИТЕЛЬНОГО ПРИБОРА ИЗМЕРЕНИЯ ПАРАМЕТРОВ ЭЛЕКТРОСЕТИ. Имнаишвили Л., Джабуа М., Чхиквадзе К.
- ეპთვალი ქსელების ვერუავება მონიტორინგის დაუუზვების ცენტრები. გორგი ჩუბკო, გიორგი მაისურაძე, თინათინ კაიშაური // SOFTWARE DEFINED DATA CENTER NETWORK – VXLAN TECHNOLOGY. Chubko Giorgi, Maisuradze Giorgi, Kaishauri Tinatin // УПРАВЛЯЕМЫЕ СЕТИ ЦЕНТРОВ ОБРАБОТКИ ДАННЫХ – ТЕХНОЛОГИЯ VXLAN. Чубко Г., Маисурадзе Г., Каишаури Т.
- ინტერაქტიული სამგებომილებიანი რეკონსტრუქცია RGB-D გამოსახულებების საფუძველზე. მზა კინაძე, ივანე მაკასარაშვილი, მიხეილ დარჯანია // INTERACTIVE THREE-DIMENSIONAL RECONSTRUCTION BASED ON RGB-IN IMAGE. Kiknadze Mzia, Makasarashvili Ivane, Dardjania Mikheil // ИНТЕРАКТИВНАЯ ТРЕХМЕРНАЯ РЕКОНСТРУКЦИЯ НА ОСНОВЕ RGB-B ИЗОБРАЖЕНИЕ. Кикнадзе М., Макасарашвили И., Дарджания М.
- გამოყოლ არხებულ სარეალიზაციო გლობალური ქსელების სისტემური ბოლოების ასაგენტის გეგუავებისა და გამოყენების შესახებ. ოთარ ნატროშვილი, ალექსანდრე რობიტაშვილი // THE DEVELOPMENT AND APPLICATION OF SOME ASPECTS OF SYSTEMS ENGINEERING IMPLEMENTATION ON THE GLOBAL NETWORKS DEDICATED CHANNELS. Natroshvili Otar, Robitashvili Alexander // О РАЗРАБОТКЕ И ПРИМЕНЕНИИ НЕКОТОРЫХ АСПЕКТОВ СИСТЕМОТЕХНИЧЕСКОЙ РЕАЛИЗАЦИИ ГЛОБАЛЬНЫХ СЕТЕЙ НА ВЫДЕЛЕННЫХ КАНАЛАХ. Натрошвили О.Г., Робиташвили А.Г.
- საინფორმაციო სისტემების უსავთოობის ინფრასტრუქტურის დაგენერაცია. კახაბერ ჯამურაშვილი, რომან სამხარაძე // DEVELOPMENT OF SECURITY INFRASTRUCTURE OF INFORMATION SYSTEMS. Jamurashvili Kakhaber, Samkharadze Roman // РАЗРАБОТКА ИНФРАСТРУКТУРЫ БЕЗОПАСНОСТИ ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ. Жамурашвили К., Самхарадзе Р.
- თანამედროვე კრიპტოგრაფიული მეთოდები. კახაბერ ჯამურაშვილი, რომან სამხარაძე // MODERN CRYPTOGRAPHIC METHODS. Jamurashvili Kakhaber, Samkharadze Roman // СОВРЕМЕННЫЕ КРИПТОГРАФИЧЕСКИЕ МЕТОДЫ. Жамурашвили К., Самхарадзе Р.

- 0630რამაცის დაშივვის სიმეტრიული პრინტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაცომილებელი ალგორითმი ვასილ კუციავა, ანა კუციავა, ქეთევა გოგუა, გორგი გოგოლაძე // FORMING ALGORITHM OF SECRET KEY FOR SYMMETRICAL CRYPTOGRAPHIC SYSTEMS OF INFORMATION ENCODING. Kutsiava Vasil, Kutsiava Ana, Gogua Ketevan, Gogoladze Giorgi // АЛГОРИТМ ФОРМИРОВАНИЯ СЕКРЕТНОГО КЛЮЧА ДЛЯ СИММЕТРИЧНЫХ КРИПТОГРАФИЧЕСКИХ СИСТЕМ ШИФРОВАНИЯ ИНФОРМАЦИИ. Куциава В.А., Куциава А.В., Гогуа К.Н., Гоголадзе Г.Н. 70
- 0630რამაცის დაშივვის არასტანდარტული სიმეტრიული პრინტოგრაფიული ალგორითმი. ვასილ კუციავა, ანა კუციავა, გორგი გოგოლაძე // NON-STANDARD SYMMETRICAL CRYPTOGRAPHIC ALGORITHM OF INFORMATION ENCODING. Kutsiava Vasil, Kutsiava Ana, Gogoladze Giorgi // НЕСТАНДАРТНЫЙ СИММЕТРИЧНЫЙ АЛГОРИТМ ШИФРОВАНИЯ ИНФОРМАЦИИ. Куциава В.А., Куциава А.В., Гоголадзе Г.Н.. 78
- პრინტოგრაფის სიმეტრიული სისტემის უნივერსალური მოდელის შესახებ. ვალერიან ქალაძე // ON THE REALIZATION OF A UNIVERSAL MODEL OF SYMMETRIC CRYPTOGRAPHY SYSTEMS. Kekelia Valeri // О РЕАЛИЗАЦИИ УНИВЕРСАЛЬНОЙ МОДЕЛИ СИММЕТРИЧНОЙ СИСТЕМЫ КРИПТОГРАФИИ. Кекелия В. 83
- თარიღიული ეპანიზის საჯავალება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფენციურობის გამოყენებით. ლიდა ბერიძე, დავით გორგიძე, რუსული გოგიბერიძე // TEACHING THEORETICAL MECHANICS USING INFORMATION & COMMUNICATION TECHNOLOGIES. Beridze Lida, Gorgidze David, Gogiberidze Rusudan // ИЗУЧЕНИЕ ТЕОРЕТИЧЕСКОЙ МЕХАНИКИ С ПРИМЕНЕНИЕМ ИНФОРМАЦИОННО-КОММУНИКАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ. Беридзе Л., Горгидзе Д., Гогиберидзе Р. 89
- ნავორის რეზერვუარების დონისა და ვაჟებს შორის საჭლვრების გაზომვის თანამდებობა ეთოლების მიმოხილვა. ზაალ აზმაივარაშვილი, გურამ მურჯიკული, გორგი ქიტიაშვილი // OVERVIEW OF MODERN METHODS FOR MEASURING LEVEL AND INTERFACE PHASES IN OIL TANKS. Azmaiparashvili Zaal, Murjikneli Guram, Qitiashvili Georgi // ОБЗОР СОВРЕМЕННЫХ МЕТОДОВ ИЗМЕРЕНИЯ УРОВНЯ И ГРАНИЦ РАЗДЕЛА ФАЗ В НЕФТЬЯНЫХ РЕЗЕРВУАРАХ. Азмаипарашвили З., Мурджикнели Г., Китиашвили Г. 98
- გაზომვითი პროცესების ელემენტების და ეთოლერ-ჯამური ცენტრილებების ასამაგები მეტოდოლოგიური კვლევები. იზოლდა გარსევანიშვილი, ვლადიმერ ფადურაშვილი, ზაზა ფადურაშვილი // ASPECTS OF MEASURING ELEMENTS AND METODO-TOTAL ERRORS IN METROLOGICAL RESEARCHES. Garsevanishvili Izolda, Padiurashvili Vladimer, Padiurashvili Zaza // АСПЕКТЫ ИЗМЕРИТЕЛЬНЫХ ЭЛЕМЕНТОВ И МЕТОДО-СУММАРНЫХ ПОГРЕШНОСТЕЙ В МЕТРОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЯХ. Гарсеванишвили И., Падиурашвили В., Падиурашвили З. 105
- პრაქტიკული ინფორმაცია – PRACTICAL INFORMATICS – ПРАКТИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА**
- გადაუყენების მიზანისათვის აიდენტიფიკაციის ჯაჭვის ოპტიმიზაციის მითი ეთორდის შესახებ. მაკა ცერცაძე, ბადრი მეფარიშვილი და გულნარა ჯანელიძე // ONE APPROACH TO SUPPLY CHAIN OPTIMIZATION FOR DECISION MAKING. Tsertsvadze Maka, Meparishvili Badri, Janelidze Gulnara // ПОДХОД К ОПТИМИЗАЦИИ ЦЕПЕЙ ПОСТАВОК ДЛЯ ПРИНЯТИЯ РЕШЕНИЯ. Церцвадзе М., Мепаришвили Б., Джанелидзе Г. 110
- მონაცემთა ბაზის ლოგიკური სქემის დამუშავება პიზენსპერცესების პოვალ-ფარული მართვისათვის. თემურაზ სუხიაშვილი, ირაკლი შურდაია // DEVELOPMENT OF THE LOGICAL SCHEME OF THE DATABASE FOR COMPUTER MANAGEMENT OF BUSINESS PROCESSES. Sukhiashvili Teimuraz, Shurgaia Irakli // РАЗРАБОТКА ЛОГИЧЕСКОЙ СХЕМЫ БАЗЫ ДАННЫХ ДЛЯ КОМПЬЮТЕРНОГО УПРАВЛЕНИЯ БИЗНЕСПРОЦЕССОВ. Сухиашвили Т., Шургая И. 116
- ევოლუციური ალგორითმები ინფორმაციის დაცვის პრობლემები. გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი // EVOLUTIONARY ALGORITHMS OF INFORMATION PROTECTION PROBLEMS. Janelidze Gulnara, Meparishvili Badri // ЭВОЛЮЦИОННЫЕ АЛГОРИТМЫ В ЗАДАЧАХ ЗАЩИТЫ ИНФОРМАЦИИ. Джанелидзе Г., Мепаришвили Б. 122
- AngularJs პლატფორმასთან ეუზარბა Node.js ვებ-სერვერის აევამბით. giorgi kenWoSvili // ANGULARJS PLATFORM TO WORK WITH NODEJS WEB SERVER THROUGH. Kentchoshvili Giorgi // РАБОТА С ПЛАТФОРМОЙ ANGULARJS ПРИ ПОМОЩИ ВЕБ-СЕРВИСА NODEJS. Кенчошвили Г. 127

- მანევრი სტაციონარული ალგორითმები უკავალი და გამოავალი ინფორმაციის მოქმედების შესახებ // NORMALIZATION OF INPUT AND OUTPUT INFORMATION IN MACHINE LEARNING ALGORITHMS. Bosikashvili Zurab, Chokhonelidze David // НОРМАЛИЗАЦИЯ ВХОДЯЩЕЙ И ВЫХОДЯЩЕЙ ИНФОРМАЦИИ В АЛГОРИТМАХ МАШИННОГО ОБУЧЕНИЯ. Босикашвили З., Чохонелидзе Д.
- ვიდეოთაგავები აგენტთა ჯგუფებად გამოიყენებისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ. გორგი აბელაშვილი // ON THE UNITED AGENTS IN GROUPS AND COLLECTIVE DECISION-MAKING IN A VIDEO GAME. Abelashvili Giorgi // ОБ ОБЪЕДИНЕНИИ АГЕНТОВ В ГРУППЫ И ПРИНЯТИИ КОЛЛЕКТИВНЫХ РЕШЕНИЙ В ВИДЕОИГРАХ. Абелашвили Г.
- ვებ-გვერდების დაკომენტების თანამდებოვანი მეთოდების კვლევა და ამო პრაქტიკული რეალიზაცია. ნინო გოჩიშვილი // RESEARCH OF MODERN METHODS OF WEB-SITES DESIGN AND THEIR IMPLEMENTATION. Gochitashvili Nino // ИССЛЕДОВАНИЕ СОВРЕМЕННЫХ МЕТОДОВ ПРОЕКТИРОВАНИЯ ВЕБ-МАКЕТОВ И ИХ ПРАКТИЧЕСКАЯ РЕАЛИЗАЦИЯ. Гочиташвили Н.
- აუდიტორიის შევასების პროცესის ავტომატიზაცია ადაბისტრაციული საინტერაციო სისტემების გამოყენებით. ეკატერინე თურქა, დავით ჯაბუტი, სოფიო სტომადოვა // DEVELOPMENT OF CLASSROOM ASSESSMENT PROCESS USING EXECUTIVE INFORMATION SYSTEMS. Turkia Ekaterine, Jibuti David, Stomadova Sophio // АВТОМАТИЗАЦИЯ ПРОЦЕССА ОЦЕНКИ АУДИТОРИИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ УПРАВЛЕНЧЕСКИХ ИНФОРМАЦИОННЫХ СИСТЕМ. Туркия Е., Джигбути Д., Стомадова С.
- უნივერსიტეტი მოდელების აგება ტვირთების მულტიმედიური გადაზიდვების ბიზნესპროცესების გართვისათვის. გორგი სურგულაძე, ლია ბეტრიაშვილი, მაია ოხანაშვილი, მარინა ბიტარაშვილი // CONSTRUCTION OF CORPORATE APPLICATION WITH LIGHTWEIGHT SOFTWARE TECHNOLOGIES. Surguladze Giorgi, Petriashvili Lily, Okhanashvili Maia, Bitarashvili Marine // ПОСТРОЕНИЕ КОРПОРАТИВНЫХ АППЛИКАЦИЙ С ПРИМЕНЕНИЕМ ЛЕГКОЙ ПРОГРАММНЫХ ТЕХНОЛОГИЙ. Сургуладзе Г., Петриашвили Л., Оханашвили М., Битарашвили М.
- მონაცემთა ბაზის დაკომენტების ავტომატიზაცია შვი ჰავის ეკოლოგიური სისტემისათვის. გია სურგულაძე, ნინო თოფურია, ანა გავარდაშვილი, მარინა კაშიბაძე // AUTOMATION OF DATABASE CONSTRUCTION FOR ECOLOGICAL SYSTEM OF BLACK SEA. Surguladze Gia, Topuria Nino, Gavardashvili Ana, Kashibadze Marina // АВТОМАТИЗАЦИЯ ПРОЕКТИРОВАНИЯ БАЗ ДАННЫХ ДЛЯ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ ЧЕРНОГО МОРЯ. Сургуладзе Г., Топурия Н., Гавардашили А., Кашибадзе М.

#### **ვამყენებითი ინფორმატიკა – APPLIED INFORMATIC – ПРИКЛАДНАЯ ИНФОРМАТИКА**

- ყაბ-სახის დაპატიჟისათა დიაგნოსტიკის ექსპრტული სისტემის მუშაობის ალგორითმები. სერგო მანუკოვი, მიხეილ მანუკოვი, მედეა თევდორაძე // DIAGNOSTIC TASKS SOLVING ALGORITHMS OF COMPUTER-BASED EXPERT SYSTEM FOR DIAGNOSIS OF MAXILLOFACIAL DISEASES. Manukov Sergo, Manukov Mikheil, Tevdoradze Medea // АЛГОРИТМЫ РАБОТЫ ЭКСПЕРТНОЙ СИСТЕМЫ ДИАГНОСТИКИ ЗАБОЛЕВАНИЙ ЧЕЛЮСТНО-ЛИЦЕВОЙ ОБЛАСТИ. Мануков С., Мануков М., Тевдорадзе М.
- რეგიონის ეკონომიკური რესურსების უნივერსულ უნივერსულ შევასების სამცომაციო სისტემა. გურამ ჩაჩანიძე, ალექსანდრე ყვირალაშვილი // INFORMATIONAL SYSTEM OF EVALUATION FOR PROVIDING THE REGION'S ECONOMIC RESOURCES. Chachanidze Guram, Kviralashvili Alexander // ИНФОРМАЦИОННАЯ СИСТЕМА ОЦЕНКИ ОБЕСПЕЧЕНИЯ РЕГИОНА ЭКОНОМИЧЕСКИМИ РЕСУРСАМИ. Чачанидзе Г., Квиралашвили А.
- აკადემიური მობილობის ხელშემუშავები, საბაზო და მასაინდენ უმაღლეს სასამართლებლების საგანვითალებლო პროგრამების შეღარების ალგორითმი. ოკან ერაი // COMPARATIVE ANALYSIS OF THE CURRICULUM OF BASIC AND RECEIVED ON A MOBILE TRANSLATION HIGHER EDUCATION INSTITUTIONS. Okan Erai // СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ УЧЕБНЫХ ПРОГРАММ БАЗОВОГО И ПРИНИМАЮЩЕГО ПО МОБИЛЬНОМУ ПЕРЕВОДУ ВЫСШИХ УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЙ. Окан Эрай
- ელექტრონული სტაციონარული ალატორების დაპროგრამებისა და გარივის პრინციპი „ილიასის“ ალატორების გაგაღითზე. გელა ღვინევაძე, ზურაბ ტიელიძე // PROGRAMMING AND ADMINISTRATION PRINCIPLES OF E-LEARNING PLATFORM BY THE EXAMPLE OF E-LEARNING PLATFORM ILIAS. Gvinepadze Gela, Tielidze Zurab //.

- № 192 Установка и настройка микроконтроллерной системы управления сушкой // ANALYZE OF DRYING PROCESS IN ORDER TO CREATE MICROCONTROLLER AUTOMATED MANAGEMENT SYSTEM. Bardavelidze Avtandil, Basheleishvili Irakli, Bardavelidze Khatuna // АНАЛИЗ ПРОЦЕССА СУШКИ С ЦЕЛЬЮ СОЗДАНИЯ МИКРОКОНТРОЛЛЕРНОЙ СИСТЕМЫ АВТОМАТИЗИРОВАННОГО УПРАВЛЕНИЯ. Бардавелидзе А., Башелешвили И., Бардавелидзе Х.
  - № 196 Моделирование и автоматизация тендерных бизнес-процессов // BPMN MODELING AND AUTOMATION OF THE BUSINESS TENDER PROCESS. Kristesiashvili Khatia, Nareshelashvili Gulbaat, Sherozia Tamaz // МОДЕЛИРОВАНИЕ И АВТОМАТИЗАЦИЯ ТЕНДЕРНЫХ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ. Кристесиашвили Х., Нарешелашвили Г., Шерозия Т.
  - № 200 Студенты как носители знаний в европейской и китайской образовательной системе // STUDENTS KNOWLEDGE ASSESSMENT FORMS AND METHODS IN EUROPEAN AND CHINESE EDUCATION SYSTEM. Menabde Tamar, Baliashvili Sofia, Kvachadze Natalia // МЕТОДЫ И ФОРМЫ ОЦЕНИВАНИЯ СТУДЕНТОВ В ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЕ ЕВРОПЫ И КИТАЯ. Менабде Т., Балиашвили С., Квачадзе Н.
  - № 205 Структурный анализ кредитного портфеля и разработка структурной модели мониторинга // CREDIT PORTFOLIO MANAGEMENT ANALYSIS AND DEVELOPMENT OF STRUCTURAL MODELS OF MONITORING. Dvalishvili Mariam // АНАЛИЗ УПРАВЛЕНИЯ КРЕДИТНОГО ПОРТФЕЛЯ И РАЗРАБОТКА СТРУКТУРНОЙ МОДЕЛИ МОНИТОРИНГА. Двалишвили М.
  - № 210 Электронные подписи в электронной коммерции – технологические и правовые аспекты // VALIDITY OF ELECTRONIC SIGNATURE – TECHNOLOGICAL AND LEGAL ASPECTS. Ketevan Meparishvili, Luka Kardenaxishvili // АУТЕНТИЧНОСТЬ ЭЛЕКТРОННОЙ ПОДПИСИ – ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ И ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ. Мепаришвили К., Карденахишвили Л.
  - № 215 Построение корпоративных приложений с применением легкой программной технологии // CONSTRUCTION OF CORPORATE APPLICATION WITH LIGHTWEIGHT SOFTWARE TECHNOLOGIES. Surguladze Gia, Kiviladze Nino, Kiviladze Giorgi // ПОСТРОЕНИЕ КОРПОРАТИВНЫХ АППЛИКАЦИЙ С ПРИМЕНЕНИЕМ ЛЕГКОЙ ПРОГРАММНЫХ ТЕХНОЛОГИЙ. Сургуладзе Г., Кивиладзе Н., Кивиладзе Г.
  - № 219 Оценка рисков информационной безопасности финансовых организаций и ИТ-услуг // ASSESSMENT OF INFORMATION SECURITY RISKS OF BUSINESS PROCESSES FOR FINANCIAL ORGANIZATION AND IT-SERVICES. Surguladze Gia, Odisharia Korneli, Pkhakadze Tsuri, Kekenadze Alexander // ОЦЕНКА РИСКОВ ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ ДЛЯ ФИНАНСОВОЙ ОРГАНИЗАЦИИ И ИТ-УСЛУГ. Сургуладзе Г., Одишария К., Рхакадзе Ц., Кекенадзе А.
- 30% ურთი ქიმია - PHYSICAL CHEMISTRY-ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ**
- № 223 Минимальная энергия электрона в атоме // THE MINIMUM ENERGY OF AN ELECTRON IN AN ATOM. Khidesheli Givi // МИНИМАЛЬНАЯ ЭНЕРГИЯ ЭЛЕКТРОНА В АТОМЕ. Хидешели Г.
  - + № 226 ს ერვნის გვერდი: პროფესორი ცისანა ხოშტარია
  - + № 227 ს ერვნის გვერდი: პროფესორი ომარ გაბედავა

## მართვის ავტომატიზებული სისტემები და პროგრამული ინიციატივები – ინოვაციები საუნივერსიტეტო განათლების სფეროში

გოჩა ჩოგოვაძე, არჩილ ფრანგიშვილი, გიორგი გოგიჩაშვილი,  
ვაჟა დიდმანიძე, გია სურგულაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება ინფორმატიკის, როგორც კომპლექსური, ინტერდისციალინარული მეცნიერების არსის, მისი სტრუქტურული კომპონენტების ანალიზის, თანამედროვე მდგრმარეობისა და განვითარების ტენდენციათა საკითხები. გადმოცემულია სტუ-ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ დეპარტამენტის მისია, ისტორიული როლი და ბოლო წლების მიღწევები ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემების ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, დაპროექტების და პროგრამული რეალიზაციის მიმართულებით. ვრცლადაა წარმოდგენილი პროგრამული ინჟინერიისა და მონაცემთა მენეჯმენტის თანამედროვე ფუნდამენტური საკითხების სწავლებისა და კვლევის პროგრამები და მიმართულებები. განიხილება პიბრიდული პროგრამული პლატფორმები, ენები და ფრეიმვორკები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა მოწინავე ქვეყნების უნივერსიტეტებში. ასახულია ის ძირითადი ინოვაციური საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებები, რომლებიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 45-წლის იუბილარ - „მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის)“ კათედრაზეა წარმოდგენილი უმაღლესი განათლების სფეროს ბოლო ათწლეულის რეფორმების ფონზე.

**საკვნძო სიტყვები:** ინფორმატიკა. მართვის ავტომატიზებული სისტემები. პროგრამული ინჟინერია. განათლება. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები.

### 1. შესავალი: მოკლე ისტორია

ინფორმატიკულ მეცნიერებათა კავშირი საზოგადოების განვითარების დონესთან აშკარაა. რაც უფრო მაღალია საზოგადოების ინფორმატიზაციის დონე, მით უფრო სრულყოფილია მისი მენტალიტეტი, მით უფრო ადაპტირებადია იგი სწრაფადცვლად გარემოში. კომპიუტერული ტექნიკა და ტექნოლოგიები ამ გარემოს აქტიურ კომპონენტებია. მათი ცოდნა კი ხშირად განმსაზღვრელია ახალგაზრდობის შრომითი დასაქმების სფეროში. ამიტომაც, გასაკვირი არაა ის დიდი მოთხოვნილება, რომელიც დღეისათვის არსებობს პრაქტიკული და გამოყენებითი ინფორმატიკის, კერძოდ კი კომპიუტერული სისტემებისა და ტექნოლოგიების მცოდნე საინჟინრო კადრებზე.



აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე

სტუ-ს „ინფორმატიკისა და მართვის სისტემების“ ფაკულტეტი (ადრე სპი-ს „ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის“ ფაკულტეტი) ყოველთვის იდგა პოსტსაბჭოური ქვეყნების უნივერსიტეტების მოწინავე ინსტიტუტების რიგში.

კავკასიაში პირველი „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრა თბილისში შეიქმნა 1971 წელს, ახალგაზრდა მეცნიერის, დოცენტ გოჩა ჩოგოვაძის ინიციატივით. იგი იყო კათედრის დამფუძნებელიც და მისი პირველი გამგეც 1971-1980 წლებში.

45 წლის მანძილზე კათედრამ გამოუშვა 3000-ზე მეტი კვალიფიციური ინჟინერი ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობით [1].

ზოგიერთი ისტორიული ფრაგმენტი კათედრის დაარსებიდან დღემდე ასე გამოიყურება:

- 1974 წელს შედგა კათედრის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება;
- 2001 წელს დაფუძნდა „გერმანია-საქართველოს ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „GeoGer”, 2010 წლამდე ხდებოდა გერმანულენოვანი ჯგუფების სპეციალისტების გამოშვება;
- დაცულია მეცნიერებათა დოქტორის (7), მეცნიერებათა კანდიდატის (30) და აკადემიური დოქტორის (40) ხარისხის მისანიჭებელი დისერტაცია;
- გამოცემულია 180-ზე მეტი სასწავლო და სამეცნიერო წიგნი სტუდენტებისათვის;
- 2006 წელს დაფუძნდა საერთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, რომელიც დღემდე გამოიცემა პერიოდულად. 2015 წელს მიერიჲა online სტატუსი;
- 2010 წელს შეიქმნა „IT-კონსალტინგის“ სამეცნიერო-კვლევთი ცენტრი, რომელიც ეხმარება დოქტორანტებს და ახალგაზრდა სპეციალისტებს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებასა და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაში. გამოცემს სამეცნიერო და საკონსულტაციო-მეთოდურ ლიტერატურას;
- ჩატარებულია 20-ზე მეტი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია;
- კათედრაზე სხვადასხვა დროს სამეცნიერო სტაჟირება და მაგისტრატურა გაიარა გერმანის, თურქეთის, ნებალის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა;
- ჩვენი კურსდამთავრებულები და ყოფილი კოლეგები ამჟამად მოღვაწეობენ ამერიკაში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში;
- 2011-2015 წლებში ჩვენი კათედრის დოქტორანტებმა გაიმარჯვეს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებში ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტებს შორის (ე. თურქია, მ. გიუტაშვილი, ზ. არხოშაშვილი, გიორგი სურგულაძე და ანა გავარდაშვილი).

სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მიზანია თანამედროვე დონის, მაღალკვალიფიციური ინჟინრების მომზადება კომპიუტერულ მეცნიერებებში და საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროცესების ხარისხის სრლყოფა ბილინის კონვენციის შესაბამისად ევროპის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში ჩასართავად.

„მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის მისია სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა და განათლება გამოყენებითი ინფორმატიკის სპეციალობის საინჟინრო მიმართულებით. კათედრის მეცნიერული მიმართულების კომპლექსური ხასიათი, რომელიც მოიცავს ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო სისტემების ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის, ავტომატიზებული დაპროექტების, პროგრამული დეველოპმენტის, ტესტირებისა და დანერგვა-ექსპლუატაციის საფეხურებს, მნიშვნელოვან განსაზღვრავს მისი საგანმანათლებლო პროგრამის, ლაბორატორიული ბაზის, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის და მაღალკვალიფიციური ლექტორების არსებობის აუცილებლობას.

დღიდან დაარსებისა კათედრაზე ყოველთვის აქტუალური იყო სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო და საპროექტო-სახელშეკრულებო თემების შესრულების პროცესებში, მათი მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისა და კოლოკვიუმებისათვის (სურ.1).

„მართვის ავტომატიზებული სისტემები“ არის ინფორმატიკის, როგორც ინტერდისციპლინა-რული მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც „ადამიან-მანქანური“ სისტემების შექმნის თეორიასა და პრაქტიკას შეისწავლის, ეყრდნობა ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს და თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ორგანიზაციული სისტემების მართვის პროცესების ავტომატიზაციის მიზნით [2,3].



**სურ.1. ასე იწყებოდა მას კათედრაზე სტუდენტთა სამეცნიერო შემოქმედება**

იგი აერთიანებს საკვლევი ობიექტის მართვის პროცესების შინაარსობრივ აღწერას (სემანტიკური მოდელირება), მათი გადაწყვეტის ალგორითმული სქემების აგებას (ლოგიკური მოდელირება) და კომპიუტერის „ენაზე“ ამ უკანასკნელთა რეალიზაციას (ლინგვისტური მოდელირება). ეს საკითხები მჭიდრო კავშირშია „პროგრამულ ინჟინერიასთან“, როგორც მეცნიერული, ასევე აკადემიური თვალსაზრისით, რაც დასმული თემატიკის კვლევის ობიექტი და საგანია.

როგორია „ინფორმატიკის“ ცნება და მისი სტრუქტრა ?

**ინფორმატიკა** მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ინფორმაციის სისტემატიზებულ დამუშავებას გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით. ისტორიულად იგი ჩამოყალიბდა მათემატიკური მეცნიერების (გამოყენებითი მათემატიკა) განვითარების საფუძველზე, გამოთვლითი ტექნიკა კი სათავეს ელექტროტექნიკის, მიკროლექტრონიკისა და კავშირგაბმულობის ტექნიკის საფუძველზე იღებს [4]. ტერმინი „ინფორმატიკა“ ევროპაში 70-იანი წლებიდან იხმარება. იგი პირველად გერმანიაში, დრეზდენის სამეცნიერო კონფერენციაზე იქნა მიღებული რუსი და ფრანგი მეცნიერების ინიციატივით. ამერიკის და სხვა ქვეყნების ინგლისურენოვან ლიტერატურაში მას შეესაბამება Computer Science and Information Systems. გამოთვლითი ტექნიკა ინფორმატიკაში ინსტრუმენტის როლს ასრულებს. ცნობილი პოლანდიელი მეცნიერი ე. დიეკსტრა წერდა, რომ „კომპიუტერი იგივეა ინფორმატიკაში, რაც ტელესკოპი ასტრონომიაში“.

ინფორმატიკას აქვს სამი ძირითადი განშტოება: თეორიული ინფორმატიკა, პრაქტიკული ინფორმატიკა და ტექნიკური ინფორმატიკა [5]. მათ საფუძველზე იქმნება გამოყენებითი ინფორმატიკის მიმართულებები, მაგალითად, ეკონომიკური ინფორმატიკა, ბიონფორმატიკა, გეოინფორმატიკა, ლინგვისტიკა და ა.შ. ევროპის ქვეყნებში, მაგალითად გერმანიის უნივერსიტეტებშიც ინფორმატიკის ინსტიტუტები (ან დეპარტამენტები) აღნიშნულ მიმართულებათა კათედრებს აერთიანებს [6].

**თეორიული ინფორმატიკა (Theoretical computer science)** შეისწავლის ფორმალურ ენათა თეორიას. მაგალითად, სისტემური ანალიზი და რთული სისტემების თეორია, სიმრავლეთა თეორია და ლოგიკა, ავტომატებისა და გრაფთა თეორია, პეტრის ქსელები, პრედიკატების აღრიცხვა და რელაციური ალგებრა, ფორმალური სემანტიკა და კატეგორიალური ანალიზი, ოპერაციათა კვლევა, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები, ოპტიმიზაციის მეთოდები, მასიბრივი მომსახურების თეორია, ხელოვნური ინტელექტის მეთოდები და ა.შ. ყოველივე ეს ინფორმატიკის ფორმალურ ხერხემალს წარმოადგენს.


**პრაქტიკული ინფორმატიკა (Practical computer science)** ემსახურება ინფორმატიკის სფეროს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტას, განსაკუთრებით კომპიუტერული დაპროგრამების განვითარებას პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებისთვის (Software Engineering). აქ მნიშვნელოვანია დაპროგრამების ენგინიერი, ოპერაციული სისტემები, მონაცემთა და ცოდნის ბაზების მართვის სისტემები [7]. იგი გამოიმუშავებს მირითად კონცეფციებს ისეთი სტანდარტული ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა ინფორმაციის შენახვა და მართვა მონაცემთა სტრუქტურების საშუალებით. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქ მანქანურ ალგორითმებს, რომლებიც რთული და ხშირადგამოყენებადი ამოცანების ავტომატიზებულ გადაწყვეტას ემსახურება. პრაქტიკული ინფორმატიკის ცენტრალური და მუდამ აქტუალური თემაა რთული გამოყენებითი სისტემების (Windows- და Web-აპლიკაციების) აგების პროგრამული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება. ესაა სტრუქტურული, ობიექტ-ორიენტირებული და ვიზუალური დაპროგრამების მეთოდები, უნიფიცირებული მოდელირების ენა (UML) და ექსტრემალური პროგრამირების (Agile) ტექნოლოგიები, მათი ავტომატიზებული დაპროგრამების რეალიზაციის (CASE) ინსტრუმენტული საშუალებანი [8-10].

**ტექნიკური ინფორმატიკა (Computer engineering)** შეისწავლის ინფორმატიკის ტექნიკური უზრუნველყოფის (Hardware) საფუძვლებს, როგორიცაა მიკროპროცესორული ტექნიკა, კომპიუტერული არქიტექტურები, ქსელური და კომუნიკაციური სისტემები, კონტროლერები და პერიფერიული მოწყობილობანი, რობოტოტექნიკური და სენსორული სისტემები და ა.შ. იგი უშუალო კავშირშია ელექტროტექნიკასთან, განსაკუთრებით ციფრულ ტექნოლოგიებთან, აგრეთვე ლოგიკასა და დისკრეტულ მათემატიკასთან, გადამრთველ სქემათა თეორიასთან. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მულტიმედიური ტექნოლოგიების შექმნას და განვითარებას, რაც კომპიუტერული აუდიო-ვიზუალური სისტემების აგების საფუძველია [4].

**გამოყენებითი ინფორმატიკა (Applied informatics)** ფართო სპექტრის მეცნიერებაა. იგი ეყრდნობა თეორიულ, პრაქტიკულ და ტექნიკურ ინფორმატიკათა მიღწევებს და შეისწავლის მათ პრაგმატულ გამოყენებას სხვადასხვა დარგების (ეკონომიკა და ბიზნესი, იურისპრუდენცია, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ენათმეცნიერება და სხვ.) რთული ტექნოლოგიური პროცესების კომპიუტერიზაციის, ინფორმაციული საცავების შექმნისა და ადმინისტრირებისათვის, ნანოტექნოლოგიების პროგრამული მხარდაჭერის განვითარებისათვის [11-13]. გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერი კომპიუტერული სისტემები ყოველი დარგის აუცილებელი ინსტრუმენტი ხდება [14]. ექსპერტული სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე დიაგნოსტიკისა და პროგნოზის ამოცანების გადასაწყვეტად [15].


## 2. მართვის ავტომატიზებული სისტემები და პროგრამული ინჟინერია

გამოყენებითი პროგრამული აპლიკაციების შექმნის საფუძველია „პროგრამული ინჟინერიის“ ანუ პროგრამული ტექნოლოგიების (Software Engineering) მეთოდოლოგიები. მათი საშუალებით ხორციელდება ასაგები პროგრამული სისტემის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების მართვა (ნახ.2). ჩვენ განვიხილავთ იმ მეთოდოლოგიებს, მეთოდებს და ინსტრუმენტებს, რომლებიც დაინერგა „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის სასწავლო პროცესში ბოლო 10 წლის განმავლობაში ინოვაციური დისციპლინების სახით.



ნახ.2. განტერის მოდელი პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის  
საკონტროლო წერტილებით

➤ ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება ერთ-ერთი აქტუალური და მძლავრი მეთოდოლოგიური საშუალებაა თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. მისი მიზანია დიდი და რთული პროგრამული სისტემების კონსტრუირება. იგი თვისებრივად ახალი კონცეფციების მატარებელი დაპროგრამების ტექნოლოგია სისტემების ობიექტ-ორიენტირებული ანალიზისა და ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრექტების მეთოდებითა და რეალიზაციის მოქნილი ინსტრუმენტული საშუალებებით [16,17]. ამ მიმართულების ერთ-ერთი დამაარსებელია ტესასის უნივერსიტეტის პროფესიონალური, დანიელი ბიარნ სტრაუსტრუპი, რომელმაც ჩამოაყალიბა ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების ძირითადი თეორიული საფუძვლები: კლასები და ობიექტები, მონაცემთა აბსტრაქტული ტიპები, მემკვიდრეობითობა და პლიტორფიზმი და ა.შ. [18]. მისი სახელმძღვანელო C++ ენის შესახებ პირველი იყო, რომლითაც ისწავლებოდა ამერიკის, ევროპისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის სპეციალობებზე [19]. დღესათვის მსოფლიოში 2000-მდე დაპროგრამების ენაა შექმნილი და მათი განვითარება ჯერაც არ დამთავრებულა (ნახ.3)



ნახ.3. დაპროგრამების ენების განვითარების ტენდენციები


ამ ენებმა გარკვეული როლი შეასრულა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შექმნისა და განვითარების საქმეში. დაპროგრამების ენების კლასიფიკაცია მათში რეალიზებული მეთოდებისა და სტილის თვალსაზრისით ხორციელდება: უნივერსალური პროცედურული, ფუნქციონალური, ლოგიკური, სკრიპტული, ობიექტ-ორიენტირებული, ვიზუალური და ა.შ. [2,20].

➤ **მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები** კომპიუტერული დაპროგრამების ენათა მნიშვნელოვანი, რელაციებზე ორიენტირებული ორიგინალური კლასია, რომელიც ინგლისელი მეცნიერის, ედგარ-ფრანკ კოდის (გარდაცვალებამდე-2003 მოღვაწეობდა ამერიკაში, ინფორმატიკის სფეროში უდიდესი ღვაწლისთვის 1981 წ. მიენიჭა ტიურინგის პრემია) მონაცემთა მანიპულირების ენის ALFA-ს პროექტიდან იღებს სათავეს [21,22]. სისტემები MsAccess, MySQL, MsSQL Server და Oracle ობიექტ-ორიენტირებული განაწილებული რელაციური ბაზების მართვის სისტემებია, რომლებიც დღეს ფართოდ გამოიყენება ორგანიზაციებში. ბოლო პერიოდში ყურადღებას იქცევს არა-რელაციური ბაზებიც (მაგალითად, დოკუმენტებზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზა - MongoDB), რომლებიც სუპერდიდ ბაზებისთვის ბევრად სწრაფად მუშაობს [23]. NoSQL ტიპის ბაზებში არ გამოიყენება რელაციური ოპერაციები (Join-ის შეგავსი).

აქტუალურად ითვლება მონაცემთა ბაზების დაპროექტების ავტომატიზაცია. ამ მიზნით გამოიყენება ობიექტ-როლური მოდელირების ტექნოლოგია [24,25]. ჩვენ კათედრაზე შემუშავებულია სპეციალური მეთოდიკა და საკონსულტაციო სამუშაოები დოქტორანტებისთვის, რომლებიც Ms Visual Studio.NET-2013/15 ინტეგრირებულ გარემოში Natural ORM Architect პაკეტის დახმარებით ინტერაქტიულ რეჟიმში აგებენ საკვლევი ობიექტის კონცეპტუალურ ORM-მოდელს, რომლიდანაც მოდევნო ეტაპებზე გნერირდება არსთა-დამოკიდებულების მოდელი (Entity-Relationship-Model) და DLL-ფაილები. ამ უკანასკნელით კი ავტომატურად იქმნება მონაცემთა ფიზიკური ბაზა, მაგალითად, MsSQL Server-ისთვის [26]. ამ საკითხების გაფართოებითა და განვითარებით შეიქმნა ცოდნის ბაზების მიმართულება, რომელიც ფართოდ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის და ექსპერტულ სისტემებში [7,27].

➤ **დაპროგრამების ტექნოლოგიების** (Software Engineering) განვითარებასა და პოპულარიზაციას ხელი შეუწყო NATO-ს ეგიდით 1968/69 წ. ჩატარებულმა კონფერენციამ „Software Engineering“. დღეს კი Computer Aided Software Engineering (CASE) ტექნოლოგიები უდავოდ შეიძლება ჩათვალოს კომპიუტერული დაპროგრამების ენებისა და ინსტრუმენტების უმაღლეს მწვერვალად.

კომპიუტერული ტექნოლოგიების შემდგომმა განვითარებამ, ახალი თაობის მანქანების და სუპერ მონიტორების შექმნამ დასაბამი მისცა მძლავრი გრაფიკული საშუალებების განვითარებას. დაიძრა ახალი ტალღა დაპროგრამების ისტორიაში. მაგალითად, .NET-გარემოში ახალი, ტექნოლოგიების სახით: WPF, WF, WCF, ADO.NET, ASP.NET, Silverlight, MVC და ა.შ. (ნახ.4) [28]. ასეთი პიბრიდული და „მსუბუქი“ ტექნოლოგიების თეორიული საფუძველი ობიექტორიენტირებული ანალიზის და ობიექტორიენტირებული დაპროექტების მეთოდებია. მათ ბაზაზე კი შეიქმნა უნიფირებული მოდელირების ენა (UML-Unified Modeling Language), როგორც უახლესი სტანდარტი დიდი პროგრამული პროექტების გადასაწყვეტად (ნახ.5) [16].



ნახ.4. აპლიკაციების აგების პიბრიდული ტექნოლოგიები

ასეთი გრაფო-ანალიზური ენის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს IBM (Rational Rose) ფირმის მეცნიერებმა: გრადიბუმა, ივარ ჯაკობსონმა და ჯეიმს რამბომ [2,9].


UML ტექნოლოგია თეორიულ-პრაქტიკული ინფორმაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა. იგი განაწილებული ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების მეთოდოლოგიური საფუძველია, რომლის კონცეფციითაც შეიქმნა ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა Rational Rose, Enterprise Architect, ParadigmPlus, MsVisio და სხვ. [9,31].

პროგრამული პაკეტების აგების პროცესის სტანდარტიზაცია სამი ძირითადი მიმართულების „აგენტიკური“ მექანიზრება: დაპროექტების ავტომატიზაცია, დაპროგრამების ავტომატიზაცია და მონაცემთა ბაზების აგების ავტომატიზაცია [32].


მართვის ავტომატიზებული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის აგების პროცესების ასეთი სრულფასოვანი ავტომატიზაცია ვიზუალური მოდელირების სახელწოდებით დამკვიდრდა. იგი მოდელების გრაფიკულ წარმოდგენას ეყრდნობა და ფლობს მოქნილ რევერსულ ტექნოლოგიას [33].

ასეთ პროგრამულ ინსტრუმენტებში საყურადღებო ადგილი უჭირავს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ობიექტ-როლურ მოდელირებას (ORM), რომელთა საშუალებით, კატეგორიალური მიღობის საფუძველზე ხორციელდება მონაცემთა და ცოდნის ბაზების [7], კოგნიტური სისტემების [34], აგრეთვე მონაცემთა საცავების დაპროექტების პროცესების ავტომატიზაცია [35]. მე-6 ნახაზზე ნაჩვენებია ORM-დაგრამის საილუსტრაციო ფრაგმენტი შემდეგი ფაქტებით:

- f1-დეპარტამენტს აქვს სახელი;
- f2 დეპარტამენტის 1-ელ კურსზე სწავლობს 200 სტუდენტი.




ნახ.5. UML ტექნოლოგიის 4-ეტაპი:  
სტატიკური და დინამიკური მოდელებით



ნახ.6. ORM-დაგრამის ფრაგმენტი

➤ კორპორაციული მონაცემთა საცავების შექმნა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთი უახლესი და აქტუალური მიმართულებაა [35].

მონაცემთა საცავი (Data warehouse) განიხილება როგორც რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის ან დიდი საწარმოსთვის განკუთვნილი სპეციალური სუპერ-ბაზა, სადაც მიმდინარე ოპერატორული სამუშაოს შესრულებისას თავს იყრის ქრონოლოგიურ ინფორმაციათა მთელი სპექტრი, რომელთა დანიშნულებაცაა მომხმარებლისთვის ინტერნეტ გვერდებზე მიზნობრივად განლაგებული ტექსტური, გრაფიკული და აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო ბლოკების მიწოდება. მე-7 ნახაზზე მოცემულია განაწილებული ავტომატიზებული მართვის სისტემის მონაცემთა საცავის ზოგადი სქემა.



ნახ.7. მონაცემთა საცავის ზოგადი სქემა

მონაცემთა საცავის მუშაობის პრინციპი ასეთია: პირველ ეტაპზე Dwh-ის გამოყენებით რელაციურ ბაზებში ერთად თავმოყრილი მონაცემები ლაგდება გარკვეული სტრუქტურული თანამიმდევრობით, ხდება მათი „დაწმენდა“. მეორე ეტაპზე წარმოებს ინფორმაციის ტექნოლოგიური დამუშავება OLAP (Online Analytical Processing) მონაცემთა ოპერატორული ანალიზის გამოყენებით. მესამე ეტაპზე ეს მონაცემები მომხმარებლებს მიეწოდებათ ინტერნეტის საშუალებით. ინფორმაციული ბლოკი, რომელიც მონაცემთა საცავებშია განაწილებული, მიზანმიმართულად თავსდება ინტერნეტ გვერდებზე და ხელმისაწვდომია ფართო მომხმარებლისთვის.

OLAP უნიკალური ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა ინფორმაციის მრავალ-განზომილებიანი ანალიზის ჩასატარებლად. იგი რელაციური ტიპის მონაცემთა საცავებისა და მონაცემთა ბაზებისთვისაა ეფუძნებული გამოყენებადი. საყურადღებოა, რომ რელაციური ბაზების ფუძემდებელმა ე. კოდმა ჩამოაყალიბა (1993 წ.) ოპერატორული ანალიზის OLAP-ინსტრუმენტის საფუძველზე მონაცემთა საცავების დაპროექტებისა და ფუნქციონირების პრინციპები [22]. ეს 12 წესია, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი განაწილებული ავტომატიზებული სისტემა მონაცემთა საცავით, რათა ჩატარდეს საინფორმაციო ბლოკების სრულფასოვანი ოპერატორული ანალიზი: 1) მონაცემთა მრავალგანზომილებიანი კონცეპტუალური წარმოდგენა; 2) გამჭვირვალეობა; 3) მიღწევადობა; 4) ანგარიშთა დამუშავებისას მუდმივი წარმადობა; 5) კლიენტ-სერვერის არქიტექტურა; 6) გენერირებადი მრავალგანზომილებიანობა; 7) დინამიკური მართვის რეჟიმი; 8) მრავალ-მომხმარებლიანობა; 9) შეუზღუდავი განზომილების დამუშავების ოპერაციები; 10) მონაცემთა ინტეიციური მანიპულაცია; 11) ანგარიშების მიღების მოქნილი საშუალება; 12) შეუზღუდავი ზომები და ავრეგაციათა რაოდენობა [35,36].


➤ კორპორაციული ქსელები (MAN – Metropolitan Area Network) განაწილებული მონაცემთა საცავების აუცილებელი ელემენტია. მათი განვითარება ბოლო ათწლეულში შეუქცევადი პროცესია და პრინციპულად ახალ ამოცანებს უყენებს ინფორმატიკოსებს. თუ ლოკალურ კომპიუტერულ ქსელებში (LAN – Local Area Network) ადმინისტრირების პრობლემა არცოუ მწვავე იყო, კორპორაციულ ქსელებში ამ საქმეს საკმაოდ მეტი კვალიფიცირებული პერსონალი ემსახურება და ორგანიზაციის გამართული მუშაობა მათზე დიდადაა დამოკიდებული [37-39]. კორპორაციული ქსელები ხასიათდება შემდეგი ძირითადი თვისებებით: გავრცელების გეოგრაფია, მომხმარებელთა და

სერვისების დიდი რაოდენობა, აპარატურის მრავალფეროვნება, ინფორმაციის დიდი მოცულობა, უსაფრთხოება და შენახვის საიმედოობა.

ასეთი სისტემების ფუნქციონირების ეფექტური მოდელირებისა და ანალიზისათვის გამოიყენება პეტრის ქსელები [9,13]. კორპორაციულ ქსელებში, როგორც წესი, მონაცემები პროგრამებისგან თითქმის სრულებით იზოლირებულად ინახება. კერძოდ, ხისტი დისკოების მასივებში ცენტრალიზებული სახით. საგანგებო ქსელური ტექნოლოგიები უზრუნველყოფს მონაცემთა საცავების მართვას ფაილ-სერვერების მიერ.


➤ კლასტერული არქიტექტურა არის ფაილ-სერვერის რეალიზაციის ყველაზე ოპტიმალური ტექნოლოგია. კლასტერი ორი ან მეტი კვანძისგან (კომპიუტერისგან) შემდგარი შიგა ქსელია, რომელიც აპარატულ და პროგრამულ დონეზე ერთი სერვერის სახითაა გაფორმებული [37]. კლასტერი შეიცავს წინასწარ განსაზღვრული რესურსების სიმრავლეს (IP-მისამართები, ქსელური სახელები, სისტემური სერვისები, განაწილებული საქაღალდებები, გამოყენებითი პროგრამები და სხვა). ყოველი მათგანი დროის მოცემულ მომენტში კონკრეტული კვანძის კუთვნილებაა, ხოლო კვანძის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სპეციალური კლასტერის სისტემური სერვისი მას ავტომატურად გადაიტანს სხვა მოქმედ კვანძზე.

მე-8 ნახაზზე მოცემულია კორპორაციული ქსელის მართვის სისტემის იზომორფული პეტრის ქსელის მოდელი [40]. იგი აგებულია გრაფო-ანალიზური რედაქტორით და რეალიზებულია მიზეზ-შედეგობრივი პრედიკატული პეტრის ქსელის სახით. უზრუნველყოფს მიმდევრობითი და პარალელური პროცესების მართვას და მათი შესრულების დროითი პარამეტრების ფიქსირებას. სისტემის მთავარი ოფისის სერვერი მოდელირდება პეტრის ქსელის პოზიციით ( $S$ ). მოთხოვნების ფორმირებისათვის (დავუშვათ, იგი აკმაყოფილებს პუსონის განაწილებას) შემოტანილია რანდომ-გენერატორი ( $G$ ). მოთხოვნის ანალიზისა ( $I$ ) და მისი დამუშავების შედეგები გამოიცემა პოზიციებში ( $O_i$ -შედეგები მიიღება საერთო ლოკალური რესურსების გარეშე,  $OL_i$ -შედეგები მიიღება საერთო ლოკალური რესურსებით,  $OS_i$ -შედეგები მიიღება საერთო გლობალური რესურსებით).



ნახ.8. კორპორაციული ქსელის ფრაგმენტის  
მოდელი პეტრის ქსელით


➤ „ღრუბლოვანი გაანგარიშებათა“ ტექნოლოგია (Cloud Computing Tehnology) შედარებით ახალი, მაგრამ სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა IT-სერვისების სფეროში [41-43]. 2008 წელს გამოქვეყნდა IEEE-ს დოკუმენტი, რომელშიც მონაცემთა ღრუბლოვანი დამუშავება განსაზღვრული იყო, როგორც ახალი „პარადიგმა, რომლის დროსაც ინფორმაცია მუდმივად ინახება სერვერებზე და დროებით კეშირდება კლიენტის მხარეს“ (ნახ.9).



ნახ.9. ღრუბლოვანი გამოთვლები

შეიძლება ითქვას, რომ ღრუბლოვანი გაანგარიშებანი, როგორც რესურსების განაწილებისა და ვირტუალიზაციის ერთ-ერთი ტექნოლოგია, რომელიც რესურსებს და სიმძლავრეებს აწვდის მომხმარებელს ინტერნეტ-სერვისების სახით, უსაფრთხოების თვალსაზრისით ხასიათდება რიგი უპირატესობებით ტრადიციულ კომპიუტერთა ქსელური სტრუქტურების ტექნოლოგიებთან შედარებით. ამავდროულად, ღრუბლოვანი დამუშავების მეშვეობით კერძო თუ კორპორატიული ინფორმაციის შენახვა და გამოყენება ბევრად ნაკლები დანახარჯებით ხერხდება.

ღრუბლოვანი ტექნოლოგია მომხმარებელს სხვადასხვა დონის სერვისებს სთავაზობს [9]: ინფრასტრუქტურული სერვისი (IaaS - Infrastructure as a Service) - აპარატული საშუალებების (ყველაზე მარტივი მაგალითი: საკუთარი „ჩისტი დისკ ღრუბელში“), ოპერაციული სისტემების და სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის „ღრუბლოვანი ალტერნატივა“; პლატფორმული სერვისი (PaaS - Platform as a Service) - ვებ-ბაზირებული და სხვა, მათ შორის, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების აგებისა და მართვის საშუალებათა „ღრუბლოვანი ალტერნატივა“; პროგრამული სერვისი (SaaS - Software as a Service) - პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების „ღრუბლოვანი ალტერნატივა“.



ნახ.10. „გარე ღრუბელი“

➤ 2003 წელს იუნესკოს გენერალური დირექტორის, ბატონ კოიჩირო მაცუურას მხარდაჭერით სტუ-ში ჩამოყალიბდა იუნესკოს კათედრა „საინფორმაციო საზოგადოება“. კათედრის გამგებ და აინიშნა აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე, ხოლო მის მოადგილედ პროფესორი ვაჟა დიდმანიძე. მათი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ სპეციალობის სტუდენტებისთვის შემუშავდა და სასწავლო პროცესში დაინერგა ახალი დისციპლინა – „ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები ინფორმაციულ საზოგადოებაში (ICT IS)“, რომელიც მეოთხე კურსის ბაკალავრიატის სტუდენტებს ეკითხებათ 2013 წლიდან. ამ საგნის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა ინფორმაციული საზოგადოების სტუდენტურის და აგების პრინციპების შესახებ, რათა შემდგომში შეძლონ თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

21-ე საუკუნე ინფორმაციული საზოგადოების აღმშენებლობის საუკუნეა (პრეინდუსტრიული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებების შემდგომ). ინფორმაციულ საზოგადოებაში ეკონომიკის ყველა დარგი და საწარმო ფუნქციონირებს კომპიუტრული ტექნილოგიების საშუალებით, ინფორმაციული საზოგადოების ძირითადი შრომის იარაღით ! ელექტრონული სახელმწიფო, მთავრობა, ბიზნესი ექმარება პიროვნებას და მის ოჯახს დასაქმებასა და ცოდნის მიღებაში, რადგან ინფორმაციულ საზოგადოებაში განათლება და მეცნიერება ძირითადი პრიორიტეტებია !

ვირტუალური სწავლება პიროვნებაზე „მორგებული“ განათლების სწრაფად და ადამიანისათვის მოსახერხებელ დროსა და სივრცში მიღების საშუალებას იძლევა, რაც ამცირებს სწავლის დროს და ამაღლებს მეცნიერებაში ჩართულობის ხარისხს. დისტანციური ანუ ვირტუალური, ინტერნეტ განათლების ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, იძლევა სწრაფი და ხარისხიანი მიზნის მიღწევას.

ჩვენი სტუდენტობის განათლების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ბატონ გ. ჩოგოვაძის შექმნილი ტრილოგია: „ინფორმაცია“: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი; „გლობალანსი“ – გლობალიზაციის პრობლემები; „ბიოსფერია“ – ეკოლოგიური პრობლემები [44-46].

სოციალური სისტემების ინფორმატიზაციის ერთ-ერთი ინოვაციური პროექტი, რომელიც შემუშავდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრაზე, იყო „ელექტრონული საარჩევნო სისტემის აგების ტექნოლოგია მონაცემთა მულტიმედიური ბაზების საფუძველზე“ [47].

➤ **ERP სისტემები და მარკეტინგი.** მას კათედრის სასწავლო პროცესში რამდენიმე წელია დაინერგა ახალი დისციპლინა „ბიზნეს-პროცესების მოდელირების სტანდარტული ენა BPMN“, რომელიც ძალზე აქტუალურია, როგორც კორპორაციული ორგანიზაციების კომპლექსური ავტომატიზაციის საშუალება, ERP სისტემის სახით - საწარმოო რესურსების მართვისათვის (ნახ.11) [30]. შემუშავდა ლაბორატორიულ სამუშაოთა კომპლექსი სტუდენტებისათვის. აქ მოცემულია ორგანიზაციული მართვის კონკრეტული ფუნქციური ქვესისტემების ავტომატიზაციის საკითხები ERP-სისტემის დანერგვის შედეგად, მათ შორის ლოგისტიკური მენეჯმენტისთვის. შემოთავაზებულია ადამიანური რესურსების მართვის, ხელფასების დარიცხვის სისტემის, პროდუქციის შესყიდვებისა და ტენირების გადაზიდვის ოპერატორული მართვის პროცესების მოდელირება Bizagi-ინსტრუმენტით.




ნახ.11. ERP ზოგადი მოდელი

➤ ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები (BSI - British Standards Institution საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ISO წევრია). BSI-სტანდარტი პასუხობს შემდეგ კითხვებს: რა არის მართვის საინფორმაციო უსაფრთხოების წარმატების ფაქტორები? როგორ შეიძლება უსაფრთხოების პროცესის მართვა და მონიტორინგი საპასუხისმგებლო მენეჯმენტით? როგორ ხდება უსაფრთხოების მიზნების და შესაბამისი უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარება? როგორ შეირჩევა უსაფრთხოების ზომები და როგორ იქმნება უსაფრთხოების კონცეფცია (პოლიტიკა)? როგორ შეიძლება უსაფრთხოების ერთხელ მიღწეული დონის შენარჩუნება და სრულყოფა? [10].

მენეჯმენტის ეს სტანდარტი ასახავს მოკლედ და თვალისათვლივ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. ამ რეკომენდაციების რეალიზაციის დროს BSI გვეხმარება IT-საბაზო დაცვის მეთოდიკით. IT-საბაზო დაცვა იძლევა ეტაპობრივ ინსტრუქციებს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯმენტის დასამუშავებლად პარაქტიკაში და კონკრეტულ ზომებს ინფორმაციული უსაფრთხოების ყველა ასპექტით. IT-საბაზო დაცვის მეთოდიკა აღწერილია BSI-Standard 100-2-ში და და ხელს უწყობს სათანადო დონის ინფორმაციული უსაფრთხოების დონის მიღწევას შესაბამისი ეკონომიკური ეფექტით [48]. ამასთანავე რეკომენდებულია IT-საბაზო დაცვის სტანდარტული უსაფრთხოების ზომების კატალოგები უსაფრთხოების შესაბამისი დონის პრაქტიკული რეალიზაციისთვის. ინფორმაციული უსაფრთხოების სხვა საერთაშორისო სტანდარტების სახით ჩვენი სტუდენტები შეისწავლიან კონკრეტულ სისტემებს: COBIT-სტანდარტები და ITIL-ბიბლიოთეკა [10].

➤ **ITIL მეთოდოლოგია** – ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბიბლიოთეკა არის IT სერვის მენეჯმენტის რამდენიმე წიგნის კოლექცია [10,49]. იგი შემუშავებულ იქნა გაერთიანებული სამეცნის სახელმწიფო კომერციის მთავრობის მიერ (OGC). ITIL განიხილავს IT-სერვისების მენეჯმენტს IT-მომსახურების თალაზრისით. IT-მომსახურება შეიძლება იყოს როგორც შიგა IT-დეპარტამენტის ან გარე სერვისის პროვაიდერის (ნახ.12). საერთო მიზანია IT მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ხარჯების ეფუძნებულობის ოპტიმიზაცია.



ნახ.12. ITIL - მოდელი

➤ **COBIT (Control Objectives for Information and related Technology)** – კონტროლის მიზნები ინფორმაციული და დაკავშირებული ტექნოლოგიებისთვის) აღწერს რისკების კონტროლის მეთოდს, რომელიც ხორციელდება IT-დანერგვის საშუალებით კრიტიკული ბიზნესპროცესების შესრულების მხარდასაჭერად [10]. COBIT-დოკუმენტები გაიცემა საინფორმაციო სისტემების აუდიტის და

კონტროლის ასოციაციის (ISACA – Information Systems Audit and Control Association) IT მართვის ონსტიტუტის (ITGI – IT Governance Institute) მიერ. COBIT-ის დამუშავების დროს ავტორები ორიენტირებული იყვნენ უსაფრთხოების მენეჯმენტის არსებულ სტანდარტებზე, როგორიცაა ISO 27002.

### 3. დასკვნა

დასასრულ გვინდა აღდნიშნოთ, რომ ინფორმატიკა როგორც კომპლექსური მეცნიერება, თეორიული, პრაქტიკული და ტექნიკური ასპექტების თვალსაზრისით, აერთიანებს ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, გადამუშავების, გადაცემისა და დაცვის ტექნოლოგიებს, სემანტიკური ბიზნეს-პროცესების მათემატიკური მოდელირების მეთოდებს, ფორმალური გრამატიკისა და უნიფიცირებული, ობიექტ-ორიენტირებული, კიზუალური დაპროგრამების ინსტრუმენტულ საშუალებებს. პრაგმატული ასპექტებით იგი უდავოდ წარმოადგენს სისტემების მართვის ზოგადი თეორიის ფუნდამენტს.

სტუ-ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნები და ამოცანები, მისი 45-წლიანი არსებობის მანძილზე, დინამიკურად უწყობდა ფეხს საერთაშორისო, მაღალი რანგის უნივერსიტეტების შესაბამისი სპეციალობების პროგრამებს და სილაბუსებს. საბოლოო შედეგები კი აისახება იმით, რომ ჩვენი კათედრის კურსდამთავრებულები დასაქმებულია ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის მრავალ ორგანიზაციაში, როგორც მონაცემთა ბაზების ან კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორები, ბიზნეს-ანალიტიკოსები ან პროგრამისტ-დეველოპერები, ვებ-დიზაინერები ან ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერები და ა.შ. [1].

წინამდებარე სტატია არის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის 45-წლიანი მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილი, რაც ავტორთა მიერ გამოქვეყნებული ორიგინალური ნაშრომებითაა მხარდაჭერილი და რაც დანერგილია და აქტიურად გამოიყენება სტუ-ს სასწავლო პროცესში.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ დეპარტამენტის ვებ-გვერდი. <http://gtu.ge/Ims/Faculty/Departments/Mas/>
2. ჩოგოვაძე გ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია ო. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება (თეორიული და პრაქტიკული ინფორმატიკა). სახელმძღვანელო. სტუ, თბილისი. 2001. -750 გვ.
Experiment shows that in the beginning of measurements, device response/ readout time can be any of shown in Figure 3. It can be in a low ranges or on a peak or in decreasing phase. In the first case, everything is clear, optimal time of readout is already caught and the only task is to maintain it for the whole measuring time. Solution for this is to access the device register only in 100 seconds time interval and the constant low rates of response time is guaranteed. In a case different from scenario one, different kind of data readout algorithms have to be processed.

For a better illustration, readout time decreasing phase shown on Figure 3 was divided in A (630 milliseconds), B (400 milliseconds), C (180 milliseconds), D (50 milliseconds) points (see Fig.4), i.e. three zones (AB, BC, CD). The main goal is to come down to the D-type points (<100 milliseconds), that correspond to the low readout time values.





Figure 4. N14 metering device response time distribution

Using the software product written by us in order to serve this experiment, it was measured that the distance from A-B zone to D-type points is 50 seconds, from B-C zone – 25 seconds and from C-D zone – 15 seconds. Experimentally proved that once the lowest readout response time values are reached, i.e. D-type points, measurements have to be continued in 100 seconds interval, which guarantees the same type (low values) response times during every access to the device. This means it becomes possible to get the intended data from the Modbus network device in a minimum time, that solves the problems concerning the system performance issues, therefore proves that master/slave communication cycles don't have the same duration and can be optimized, i.e. reduced according to the demands of the task to be performed.

Figure 5 demonstrates the block-scheme of implemented algorithm based on which data readout was conducted from the power network parameter meter N14 multifunctional device to the personal computer. This algorithm has been well-implemented in a software and its efficiency is confirmed based on real measurements.



**Figure 5. N14 device readout algorithm block-scheme**

## 6. Conclusion

Development trends of modern technologies reveal, that current performance of Modbus communication protocol necessarily needs to be enhanced, because it's far behind the capabilities of the intellectual devices widely used in modern supervisory control and data acquisition systems. This problem finally causes the improper usage of their diverse possibilities and leads to the low performance of the system.

Experiment carried out in the frame of this article obviously demonstrates, that through the software or hardware modifications and implementation of the corresponding algorithms it's possible to increase the overall performance of SCADA system. However it's apparent that further and deep effects request internal modernization of current communication protocols and their practical implementation towards nowadays requirements.

**References:**

1. Network Parameter Meter N14. type.[http://www.lumel.com.pl/en/area\\_of\\_activity/measurement\\_of\\_power\\_energy\\_ha/art244,3-phase-power-network-meter-n14.html](http://www.lumel.com.pl/en/area_of_activity/measurement_of_power_energy_ha/art244,3-phase-power-network-meter-n14.html)
2. Palmer C., Shenoi S. (Eds.). (2009). Critical Infrastructure Protection III, IFIP AICT 311, pp. 83–96.
3. Geremia P. (1999). Computation of Cyclic Redundancy Check. Application Report SPRA530, Texas Instruments Inc, pp. 3-10.
4. Modbus IDA, MODBUS Application Protocol Specification v1.1a, North Grafton, Massachusetts ([www.modbus.org/specs.php](http://www.modbus.org/specs.php)). 2004.
5. Perrin, B. (1999). The Art and Science of RS485. Circuit Cellar, July.

**ელექტროენერგიის პარამეტრების გამზომი მულტიფუნციური  
ხელსაწყოს დარმადობის ამაღლება**

ლევან იმნაიშვილი, მალხაზ ჯაბუა, კარლო ჩხიგვაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განხილულია ელექტროენერგიის მონიტორინგის და მართვის SCADA სისტემაში გამოყენებული მულტიფუნქციური გამზომი ხელსაწყოს ოდგუების საკომუნიკაციო პროტოკოლთან მუშაობის საკითხები. დამუშავებულია ხელსაწყოს წარმადობის ამაღლების ალგორითმი. გამოკვლევის ობიექტის სახით აღებულია ელექტროენერგიის პარამეტრების ანალიზის მულტიფუნქციური ხელსაწყო 14 (მწარმოებელი LUMEL S.A.).

**ПОВЫШЕНИЕ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ МУЛЬТИФУНКЦИОНАЛЬНОГО  
ИЗМЕРИТЕЛЬНОГО ПРИБОРА ИЗМЕРЕНИЯ ПАРАМЕТРОВ ЭЛЕКТРОСЕТИ**

Имнаишвили Л., Джабуа М., Чхиквадзе К.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены вопросы работы коммуникационного протокола Modbus мультифункционального измерительного прибора в системе SCADA мониторинга электросети и управления. Разработан алгоритм увеличения производительности прибора. В качестве объекта исследования выбран мультифункциональный анализатор параметров электросети N14 (производитель LUMEL S.A.).

## მართვალი ქსელების შემუშავება მონაცემთა დამუშავების ცენტრებში

გიორგი ჩუბკო, გიორგი მაისურაძე, თინათინ კაიშაური  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება VXLAN ტექნოლოგია, მისი შემადგენელი კომპონენტები, მათი ფუნქციონალური დატვირთვა, პაკეტების ინკაფსულირების სქემა. VXLAN ტექნოლოგია შედარებულია არსებულ, ტრადიციული ქსელის სეგმენტირების VLAN ტექნოლოგიასთან, განხილულია VLAN-ის შეზღუდვები და ნაკლოვანებები. მოცემულია VXLAN ტექნოლოგიის უპირატესობები და გამოყენების სფერო. VXLAN ტექნოლოგიის ბაზაზე ნაჩვენებია კომუნიკაციის მგალითი ორ მოშორებულ აბონენტს შორის, მიმდინარე ინკაფსულაციის პროცესები და კომპონენტთა როლები.

**საკვანძო სიტყვები:** მართვადი ქსელი. VXLAN ტექნოლოგია. VLAN ტექნოლოგია.

მონაცემთა დამუშავების ცენტრი. ინკაფსულაცია. კომუნიკაცია.

### 1. შესავალი

ტრადიციულად, IP ქსელის სეგმენტირებისათვის ფართოდ გამოიყენება VLAN ტექნოლოგია, რომელიც სტანდარტიზებულია IEEE 802.1Q ჯგუფის მიერ [1]. VLAN ტექნოლოგია უზრუნველყოფს მეორე დონის სეგმენტის, ლოგიკურ გამოყოფას და კომუტაციის დომენის შემოსაზღვრას. იმის გამო, რომ VLAN ტექნოლოგია არაფიქტურად იყენებს ქსელში არსებულ არხებს და შეზღუდულია მასშტაბირებაში 4094 სეგმენტით, ის გახდა ერთ-ერთი შემზღუდვი ფაქტორი დიდი კორპორატიული და საჯარო ღრუბლოვანი მონაცემთა დამუშავების ქსელების მოწყობაში [7].

აღნიშნული შეზღუდვების აღმოსაფხვრელად ქსელური მოწყობილობების წამყვანმა მწარმოებელმა ფირმებმა შეიმუშავეს VXLAN ტექნოლოგია, რომელიც შეთავაზებული იყო IETF-ისთვის, როგორც გადაწყვეტილება არსებული VLAN ტექნოლოგიის შეზღუდვების გადასალახად [2]. VXLAN ტექნოლოგია საშუალებას იძლევა მოქნილად მოახდინოს ვირტუალიზირებული სერვერების განთავსება და მიღწეულ იქნას მაღალი მასშტაბირება ქსელის სეგმენტაციისთვის მეორე დონეზე.

VXLAN ტექნოლოგია შემუშავებული იყო იგივე მეორე დონის Ethernet სერვისების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც ახორციელებს ტრადიციული VLAN ტექნოლოგია, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი მასშტაბირებით და მოქნილობით.

VXLAN ძირითადი უპირატესობებია:

- მოქნილად განხორციელდეს მეორე დონის სეგმენტების განთავსება მონაცემთა დამუშავების ქსელში. მიუხედავად მეორე დონის სეგმენტის ფიზიკური ლოკაციისა, შესაძლებელია მეორე დონის სეგმენტი გავრცელებული იქნეს არსებული ქსელის ზემოდან ე.წ overlay პრინციპით, მონაცემთა დამუშავების ცენტრის სხვადასხვა ფიზიკურ ლოკაციებზე;


- გაცილებით დიდი მასშტაბირება, უფრო მეტი მეორე დონის სეგმენტების მხარდაჭერა. არსებული VLAN ტექნოლოგია, მეორე დონის სეგმენტების იდენტიფიცირებისთვის იყენებს 12 ბიტიან მნიშვნელობას, რომელიც საერთო ჯამში უზრუნველყოფს 4094 გამოყენებად მეორე დონის სეგმენტს. თავის მხრივ VXLAN ტექნოლოგია მეორე დონის სეგმენტის ინდენტიფიცირებისთვის იყენებს 24 ბიტიან მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს 16 მილიონამდე სეგმენტს ერთ ადმინისტრაციულ დომენში;

- ქსელური რესურსების ოპტიმალური გამოყენება. VXLAN ტექნოლოგია საშუალებას იძლევა ქსელში ყველა არხი აქტიურად იქნეს გამოყენებული. ტრადიციული VLAN ტექნოლოგია იყენებს STP ოქმს ქსელში მარყუების აღმოსაჩენად და გასანეიტრალიზაციად. რაც ქსელში ნაწილ არხებს ანეიტრალებს. ხოლო VXLAN-ით გადაცემული პაკეტები ინკაფსულირდება მესამე დონის თავსართში და ქმნის ერთგვარ ვირტუალურ ქსელს, არსებული ქსელის ზემოდან. მესამე დონის თავსართი საშუალებას იძლევა მოხდეს გადაცემული პაკეტების მარშრუტიზირება, რაც გამორიცხავს ქსელში მარყუებს, ხოლო ECMP ტექნოლოგია უზრუნველყოფს ქსელში ყველა არხის აქტიურ გამოყენებას[6].

## 2. ძირითადი ნაწილი

VXLAN ტექნოლოგია მეორე დონის ვირტუალური ქსელია, ეწ overlay, რომელიც შეიძლება მოეწყოს არსებული მესამე დონის ქსელზე. ის იყენებს UDP ოქმს, მეორე დონის ინფორმაციის ინკაფსულირებისთვის. VXLAN ტექნოლოგია გადაწყვეტილებაა მოქნილი, მასშტაბირებადი საჯარო და კერძო ღრუბლოვანი ტიპის ქსელების მოსაწყობად [3].

VXLAN ტექნოლოგია ტრანსრიტირებისთვის იყენებს IP და UDP ოქმებს. VXLAN განსაზღვრავს MAC-ის ინკაფსულირების სქემას UDP ოქმში, სადაც თავდაპირველი მეორე დონის ინფორმაციას ემატება ახალი VXLAN თავსართი, ასევე ახალი UDP და IP თავსართები. ასეთი სახის MAC-ის UDP ინკაფსულირების მექანიზმით, ეს ტექნოლოგია ახორციელებს მეორე დონის ტუნელირებას, მესამე დონის ქსელის გავლით. VXLAN პაკეტის ფორმატი ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.




ნახ.1. VXLAN ინკაფსულაციის სქემა

ნახაზზე მოცემული სქემის მიხედვით, VXLAN ტექნოლოგია აწესებს 8 ბაიტიან თავსართს, რომელიც შეიცავს 24 ბიტიან იდენტიფიკატორს, ე.წ VNID და რამდენიმე დარეზერვებულ ბიტს. VXLAN თავსართი და თავდაპირველი მეორე დონის კადრი ინკაფსულირდება UDP ოქტო. 24 ბიტიანი VNID ველი გამოიყენება მეორე დონის სეგმენტების ინდეტიფიცირებისთვის, რათა გაიმიჯვნოს სხვადასხვა სეგმენტები ერთმანეთისგან. 24 ბიტიანი VNID-ის გამოყენებით VXLAN ტექნოლოგიას გააჩნია 16 მილიონი სეგმენტის მხარდაჭერა.

VXLAN ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული VTEP (VXLAN tunnel endpoint) მოწყობილობას. ეს მოწყობილობა უზრუნველყოფს VXLAN ტუნელის ტერმინაციას და შესაბამის სეგმენტთან აბონენტების ასოცირებას. თითოეულ VTEP მოწყობილობას გააჩნია ორი ინტერფეისი, პირველი მიმართულია ლოკალური ქსელისკენ და უზრუნველყოფს ლოკალური აბონენტების კომუტაციას, ხოლო მეორე ინტერფეისი წარმოადგენს IP ინტერფეისს, რომელიც დაკავშირებულია IP სატრანსპორტე ქსელთან.


IP ინტერფეისს გააჩნია უნიკალური IP მისამართი, VTEP მოწყობილობის ინდენტიფიცირებისათვის IP ტრანსპორტ ქსელში. აღნიშნულ IP მისამართს VTEP მოწყობილობა იყენებს Ethernet კადრების ინკაფსულირებისათვის და IP ტრანსპორტ ქსელში გადაცემისათვის. VTEP მოწყობილობა ასევე ახდენს მოშორებული VTEP მოწყობილობების აღმოჩენას, მათზე მიერთებული მეორე დონის სეგმენტების და აბონენტების ასოცირებას. ქსელში არსებულ თითოეულ VTEP მოწყობილობას გააჩნია სრული სქემა, თუ რომელი VTEP მოწყობილობები არის ქსელში და მათზე მიერთებული აბონენტები. VTEP ფუნქციონალური კომპონენტები და ლოგიკური ტოპოლოგია მოცემულია მე-2 ნახაზზე.



ნახ.2. VXLAN ფუნქციონალური სქემა

VXLAN სეგმენტების ლოკაცია არ არის დამოკიდებული IP ქსელის ტოპოლოგიაზე. შესაბამისად IP ქსელის ტოპოლოგიაც არ არის დამოკიდებული VXLAN სეგმენტებზე. VXLAN ტუნელები ორგანიზებულია VTEP მოწყობილობებს შორის, ხოლო VXLAN ინკავშირებული ტრაფიკი მარშუტიზირდება IP ქსელის გავლით, VTEP მოწყობილობებს შორის[5].

VXLAN ტექნოლოგია იყენებს მარტივ ტუნელს VTEP მოწყობილობებს შორის, რათა განახორციელოს მეორე დონის ინფორმაციის გადაცემა, მესამე დონის ქსელის ზემოდან. VXLAN პაკეტების გადაცემის სქემა მოცემულია მე-3 ნახაზზე. აბონენტი-A და აბონენტი-B მოთავსებულია, საერთო VXLAN სეგმენტში ნომრით 100. კომუნიკაცია აბონენტებს შორის მიმდინარეობს VTEP-1 და VTEP-2 მოწყობილობების საშუალებით.



ნახ.3. VXLAN პაკეტის გადაცემის მიმღევრობა

მოცემული მაგალითი გულისხმობს, რომ MAC მისამართების სწავლა, განხორციელებულია VTEP მოწყობილობებს შორის. თითოეული VTEP მოწყობილობა ადგენს ცხრილს, რომელშიც აღწერილია, აბონენტების MAC მისამართები და შესაბამისი VTEP მოწყობილობის IP მისამართი, რომლითაც მიღწევადა MAC მისამართი. შემდეგ მაგალითში განხილულია კომუნიკაცია A და B აბონენტებს შორის.

მას შემდეგ რაც A აბონენტი გააგზავნის ინფორმაციას B აბონენტთან, იგი შეადგენს Ethernet კადრს, სადაც მითითებული იქნება მიმღები B აბონენტის მისმართი MAC-B. აღნიშნული კადრი გაიგზავნება VTEP-1 მოწყობილობასთან.

VTEP-1 მოწყობილობა განახორციელებს ცხრილში MAC-B მისამართის მოძიებას და დაადგენს, რომ აბონენტი მისამართით MAC-B მიღწევადია VTEP-2 მოწყობილობის გავლით. რის შემდეგაც VTEP-1 მოწყობილობა განახორციელებს თავდაპირველი Ethernet კადრის VXLAN ინკაფსულირებას. ჯერ VXLAN თავსართის დამატებით, შემდეგ კი UDP და IP თავსართების დამატებით.

გარე IP თავსართში მითითებულია VTEP-1-ის IP მისმართი - როგორც წყარო, ხოლო VTEP-2 -ის IP მისამართი - როგორც დანიშნულება. იმის შემდეგ რაც VTEP-1 მოწყობილობამ დაასრულა VXLAN ინკაფსულაცია, ის განახორციელებს მარშრუტიზაციის ცხრილში ძებნას, თუ რომელი მარშრუტით არის მიღწევადი VTEP-2 მოწყობილობის IP მისმართი, დაადგენს შემდეგი კვანძის IP მისამართს და შესაბამის MAC მისმართს, რათა განახორციელოს გარე Ethernet თავსართის დამატება და გადაცემა.

VXLAN პაკეტი მარშრუტიზირდება IP ტრანსპორტული ქსელში, გარე IP თავსართის საშუალებით. იმის შემდეგ რაც VTEP-2 მოწყობილობა მიიღებს პაკეტს, მოხდება გარე IP, UDP და VXLAN თავსართების მოცილება, რის შემდეგაც თავდაპირველი Ethernet კადრი გადაეგზავნება B აბონენტს[2].

### 3. დასკვნა

VXLAN ტექნოლოგია წამოადგენს გადაწყვეტილებას, მეორე დონის სეგმენტის გატარებისთვის, მესამე დონის ქსელის ზემოდან, ამისათვის ის ახარციელებს თავდაპირველი მეორე დონის კადრების ინკაფსულირებას VXLAN და UDP ოქმში. VXLAN ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ მოქნილი და მასშტაბირებადი ქსელები. სულ უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე ვირტუალიზირებული ქსელური კომპონენტების ადაპტირება, VXLAN ტექნოლოგიის მხარდაჭერისთვის.

### ლიტერატურა:

1. RFC 7348 VXLAN: A Framework for Overlaying Virtualized Layer 2 Networks over Layer 3 Networks. [tools.ietf.org/html/rfc7348](http://tools.ietf.org/html/rfc7348)
2. Lucien Avramov, Maurizio Portolani.(2014 – Cisco Press), The Policy Driven Data Center with ACI: Architecture, Concepts, and Methodology (Networking Technology)
3. Ron Fuller, David Jansen, Matthew McPherson.(2014 – Cisco Press), NX-OS and Cisco Nexus Switching: Next-Generation Data Center Architectures (2nd Edition) (Networking Technology) 2nd Edition
4. Radia Perlman.(1999 – Addison-Wesley), Interconnections: Bridges, Routers, Switches, and Internetworking Protocols (2nd Edition) 2nd Edition
5. Sanjay K. Hooda, Shyam Kapadia, Padmanabhan Krishnan.(2014 – Cisco Press). Using TRILL, FabricPath, and VXLAN: Designing Massively Scalable Data Centers (MSDC) with Overlays (Networking Technology) 1st Edition

6. Gustavo A.A. Santana(2013 – Cisco Press). Data Center Virtualization Fundamentals: Understanding Techniques and Designs for Highly Efficient Data Centers with Cisco Nexus, UCS, MDS, and Beyond 1st Edition
7. Vishal Shukla. (2013 – CreateSpace Publishing). Introduction to Software Defined Networking - OpenFlow & VxLAN Paperback – June 18.
8. Russ White(2014 – Cisco Press), Denise Donohue. The Art of Network Architecture: Business-Driven Design (Networking Technology) 1st Edition

## **SOFTWARE DEFINED DATA CENTER NETWORK – VXLAN TECHNOLOGY**

Chubko Giorgi, Maisuradze Giorgi, Kaishauri Tinatin  
Georgian Technical University

### **Summary**

This article discusses VXLAN technology, its components, their functional load, encapsulation scheme for packages. VXLAN technology is compared with the existing, traditional network segmentation VLAN technology. VLAN limitations and shortcomings are discussed as well as its advantages and its application area. Based on VXLAN technology an example of communication between two remote endpoints is given, as well as processes of ongoing encapsulation and component roles.

## **УПРАВЛЯЕМЫЕ СЕТИ ЦЕНТРОВ ОБРАБОТКИ ДАННЫХ – ТЕХНОЛОГИЯ VXLAN**

Чубко Г., Маисурадзе Г., Каишаври Т.  
Грузинский Технический университет

### **Резюме**

Рассматриваются вопросы использования технологии VXLAN, ее компоненты, их функциональная нагрузка, схема инкапсулирования пакетов. Технология VXLAN сравнено с традиционной сетевой технологией сегментации VLAN. Обсуждены ограничения и недостатки технологии VLAN. В статье рассмотрены преимущества технологии VXLAN и ее использование. Описана связь с использованием технологии VXLAN, между двух удаленных абонентов, процессы и компоненты.

## 015-ერა-ეტიული სამგაზო-მილებიანი რეპროცენტულია RGB-D გამოსახულების საფუძველზე

მზად კიკნაძე<sup>1</sup>, ივანე მაკასარაშვილი<sup>1</sup>, მიხეილ დარჯანია<sup>2</sup>

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2-თბილისის სამხატვრო აკადემია

### რეზიუმე

განხილულია გამოსახულებებიდან და წერტილების სიმრავლეებიდან ზედაპირების რეკონსტრუქციის სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა RGB-D ფოტოკამერებიდან შეტანილ ინფორმაციის აღდგენას, როდესაც გარემოს გადაღება ხდება მრავალი ფერადი გამოსახულების ან წერტილების მჭიდრო სიმრავლის მეშვეობით. რეკონსტრუქციის ეს ალგორითმი შეგვიძლია გამოიყენოთ სხვა წყაროებიდან შეტანილი ინფორმაციისთვისაც. რეკონსტრუქცია ეფუძნება რამდენიმე მარტივ ფიგურას, რომელიც გვთავაზობს სამგანზომილებიანი ინფორმაციის გამოყენების აბსტრაქციის მაღალ დონეს, ანალიზის ან რედაქტირების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ზედაპირის რეკონსტრუქცია. ალგორითმი. 3D-ინფორმაცია.


### 1. შესავალი

სამგანზომილებიანი ობიექტების სკანირებისას ხშირია შემთხვევა როცა მონაცემები არასრულია და საჭიროებს შევსებას. ასეთ შემთხვევაში საწყის ეტაპზე ხდება წერტილების სიმრავლის სეგმენტაცია, მონაცემების შევსებისთვის გამოიყენება მარტივი ფიგურების მრავალი სახეობა, მაგალითად, სიბრტყეები, ცილინდრები და კონუსები [1].

რეკონსტრუქციის ალგორითმის მეორე ეტაპზე ხდება მარტივი ფიგურების კიდეების გამოვლენა და შემდეგ - ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციის ჩარჩო მუშაობს შესაძლო შეზღუდვების გათვალისწინებით. ეს შეზღუდვები ავტომატურად გამოითვლება ან მომხმარებლის მიერ შეიტანება. სამგანზომილებიანი მოდელები შეგვიძლია მივიღოთ სრულად ავტომატური გზით, თუმცა ავტომატურად შედეგების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებულია ინტერიურად გასაგები სამომხმარებლო ინტერფეისი. განვიხილავთ ოპტიმიზაციის ახლებური მიღვომა, და ჩამოვთვალოთ პოტენციური შეზღუდვები.

### 2. სეგმენტაცია

განვიხილოთ ფიგურების მარტივ ფიგურებად სეგმენტაციის ახლებურ მეთოდი. მეთოდს გააჩნია სიბრტყეების, ცილინდრებისა და კონუსების მხარდაჭერა პრიმიტივების სახით. 1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია სეგმენტაციის ალგორითმის ნიმუში და ალგორითმის ინდივიდუალური საფეხურები.



ნახ.1. ინტერიერის სცენის მრავალი სიღრმითი გამოსახულების  
სეგმენტაცია გეომეტრიულ პრიმიტივებად

ზედაპირის რეკონსტრუქციის გარდა, სეგმენტაცია შეგვიძლია გამოვიყენოთ მოზრდილი სცენების დასაშლელად და შემდგომი დამუშავების გასამარტივებლად.

ნახაზის მარცხნა ნაწილზე ნაჩვენებია გლობალური, გრაფიკზე დაფუძნებული სეგმენტაცია (მოზრდილი წერტილები და კიდეები), ისევე როგორც ინდივიდუალური სიღრმითი გამოსახულებების პიქსელებზე დაფუძნებული სეგმენტაცია. მარჯვნივ ნაჩვენებია სეგმენტაციის ალგორითმი

სეგმენტაციის ეს მეთოდი იყენებს მრავალ სიღრმით გამოსახულებას ფოტოკამერის შიდა და გარეგანი მახასიათებლებით. ყველა პიქსელი, რომელსაც გააჩნია სიღრმის ვალიდური პარამეტრი, გარდაიქმნება სამგანზომილებიან პოზიციად. სიღრმითი გამოსახულებები იოლად გარდაიქმნება წერტილების სამგანზომილებიან სიმრავლეებად და გვაძლევს დამატებით სასარგებლო ინფორმაციას. ორგანზომილებიანი ბადების ორგანიზაცია გვაძლევს ცალსახა ინფორმაციას კავშირების შესახებ. სიღრმის გაზომვის სიზუსტე, როგორც წესი, ფოტოკამერის დაშორებასთან ერთად იზრდება. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მანძილის სხვადასხვა ზღვრები სცენისთვის და დაგამუშავოთ როგორც ზუსტად განსაზღვრული, ასევე არაზუსტად განსაზღვრული დეტალები.

შეტანილი სიღრმითი გამოსახულებები (იგივე ჩარჩოები) რეგისტრირდება კოორდინატთა საერთო სისტემაში. ჩვენ ვიყენებთ ფერად დეტალებსა და იტერაციულ, უახლოეს წერტილებს (ICP-ებს) [2], ხოლო შეტანილი მონაცემები „ხმაურის“ მოსამორებელი ალგორითმით უმჯობესდება [3]. რეგისტრირებული ჩარჩოები სამგანზომილებიანი წერტილების მოზრდილის გრაფიკის სახით, სადაც ერთი ჩარჩოს ფარგლებში მოქცეული, მომიჯნავე პიქსელები, ისევე როგორც სხვადასხვა ჩარჩოების შესაბამისი წერტილები, გრაფიკის კიდეებთან ერთდება. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება გლობალურად თანმიმდევრული სეგმენტაციის მისაღებად ყველა შეტანილი ჩარჩოსთვის. მრავალი ჩარჩოდან მიღებული ინფორმაცია მეტისმეტად მოცულობითია ამგვარი პირდაპირი მიღვომისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამოცანას ორ ნაწილად ვყოფთ: პირველ რიგში გლობალურად თანმიმდევრული სეგმენტაცია მიიღება ნიმუშად აღებული წერტილებისთვის მთელი სცენიდან, ხოლო შემდეგ პიქსელური სიზუსტის სეგმენტაცია ინდივიდუალურად სრულდება თითოეული ჩარჩოსთვის (გლობალური სეგმენტაციის საფუძველზე. საბოლოო ჯამში ვიღებთ ასეთ შედეგს (ნახ.2):



ნახ.2. სიღრმითი რუკების კავშირების გარდაქმნა სამგანზომილებიან გრაფიკად

- გამოსახულება იღებს სამგანზომილებიანი გრაფიკის სტრუქტურას, რომელზეც გამოიყენება ორგანზომილებიანი სიღრმითი რუკებიდან მიღებული ინფორმაცია კავშირების შესახებ;
- სამგანზომილებიანი გრაფიკი სეგმენტირდება ფიგურების პრიმიტივებად. ახალი იტერაციული მიღვომა საშუალებას გვაძლევს გამოვალინოთ ფიგურები და მოვახდინოთ სცენის თანმიმდევრული დასათაურება;
- გლობალური სეგმენტაცია პროექცირდება და ოპტიმიზირდება ინდივიდუალური გამოსახულებებისთვის.

მე-2 ა) ნახაზიდან ჩანს, რომ მწვანე და ლურჯი წვეროები ერთმანეთთან ახლოსაა, თუმცა არ ერთდება, ვინაიდან მათი არეალები არ ემთხვევა სიღრმით რუკას. ხოლო მე-2 ბ) ნახაზიდან ჩანს რომ, პიქსელები მიეკუთვნება გრაფიკის უახლოეს წვეროებს და მიიღება მომიჯნავე კავშირები.

### 3. გრაფიკის აგება


ალგორითმის მონაცემებად აღებულია წერტილების გრაფიკი. ეს გახლავთ შეტანილი ჩარჩოების ყველა პიქსელიდან ნიმუშად აღებული სამგანზომილებიანი წერტილების ქვესიმრავლე. მიზნი გახლავთ სამგანზომილებიანი წერტილების რაოდენობის შემცირება ეფექტური სეგმენტაციის მიზნით, ისევე როგორც სხვადასხვა შეტანილი ჩარჩოებიდან შესაბამისი პიქსელების პროექცირება იგივე სამგანზომილებიან წერტილებზე.

როდესაც ახალი ჩარჩო ემატება, ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკი აუცილებელია განახლდეს და მოიცვას ახლად გადაღებული არეალები. წერტილების სიმრავლიდან ნიმუშები ისე აიღება, რომ მომიჯნავე წერტილებს შორის საშუალო მანძილი იყოს τ. ეს პარამეტრი ასწორებს წვეროების რაოდენობას გრაფიკზე და ერთგვარი კომპრომისია სიზუსტესა და გამოთვლით ეფექტურობას შორის.

ჩვენ ვიყენებთ ნიმუშის აღების მოდიფიცირებულ ალგორითმს [4] ახალი ნიმუშების შერჩევის მიზნით. ჩარჩოს შემთხვევითი, ნიმუშად აღებული წერტილები იტერაციულად მიიღება და საუკეთესო ვარიანტი (არსებული ნიმუშად აღებული წერტილებიდან უდიდესი დაშორებით) შეირჩევა. საუკეთესო ვარიანტის საშუალო დაშორება ნარჩუნდება უკანასკნელი 100 ცდის განმავლობაში და წერტილების დამატება წყდება, როდესაც აღნიშნული პარამეტრი τ-ს ჩამოცდება. თითოეული ჩარჩოსთვის აუცილებელია გრაფიკის არსებული წერტილების განხილვა, რომლებიც პროექცირებულია ამჟამინდელ ჩარჩოზე ან პროექცირების მაქსიმალური მანძილია τ.

გრაფიკის წვეროები მომიჯნავე წვეროებთან ერთდება, როდესაც ისინი ახლოსაა და საგნის ერთ ზედაპირზეა განლაგებული. ამ უკანასკნელი პირობის შესრულებისთვის აუცილებელია გეოდეზიური მანძილების გამოთვლა სამგანზომილებიან პოზიციებს შორის, რაც წერტილების არასტრუქტურირებული სიმრავლეებისთვის შეუძლებელია. მიუხდავად ამისა, გამოსახულების ორგანზომილებიანი განლაგებებიდან მიღებული ინფორმაცია კავშირების შესახებ შეგვიძლია გამოიყენოთ. ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკზე პოტენციური მეზობლები არის წვეროები, რომელთა შორის დაშორება 2τ-ზე ნაკლებია. პარამეტრი მეტისმეტად დიდია, მაგრამ არაზუსტი მეზობლობა გამოირიცხება შემდეგი ალგორითმის მეშვეობით: შეტანილი ჩარჩოს თითოეული პიქსელი მიეკუთვნება სამგანზომილებიანი სივრცის უახლოეს, ნიმუშად აღებულ წერტილს (მე-2 ნახაზი ბ). წვეროების პოტენციური კიდეები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ შესაბამის, ნიმუშად აღებულ წერტილებს სულ მცირე ორი მომიჯნავე პიქსელი მიესადგება.

აღნიშნული მეთოდი ხელს უშლის სხვადასხვა ზედაპირების ახლომდებარე წერტილების შეკავშირებას გამოკვეთილ კიდეებზე, როგორც ეს არის მე-3 ნახაზზე. ყველა მიკუთვნებული



ნახ.3 საწყისი ნიმუში, შესწორების შემდეგ

ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკზე ხმაურის შესამცირებლად პოზიციები და პერპენდიკულარები სწორდება, როდესაც არსებული, ნიმუშად აღებული წერტილი მოჩანს ახალ ჩარჩოში. ჩვენ ახალ ჩარჩოში ვთვლით შეწონილ საშუალო მნიშვნელობას არსებულ წვეროსა და შესაბამის წერტილებს შორის. ამავდროულად, წერტილები გადაადგილდება მხოლოდ მათი პერპენდიკულარის გასწვრივ. შეწონილი მნიშვნელობები ფოტოკამერის სიღრმეების უკუპროპორციულია, ხოლო ახალი წერტილების შეწონილი მნიშვნელობები თითოეული ჩარჩოსთვის მცირდება. აქედან გამომდინარე, ნიმუშად აღებული წერტილებისგან მიიღება ზუსტად გაზომილი წერტილებისკენ. 3 ნახაზზე ნაჩვენებია, როგორ შორდება გრაფიკს ხმაური და როგორ მცირდება წვეროებისა და კიდეების რაოდენობა.

#### 4. გლობალური სეგმენტაცია

გლობალური სეგმენტაცია იყენებს მხოლოდ ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკს და სრულიად დამოუკიდებელია შეტანილი გამოსახულებებისგან. ჩვენი მიზანი პრიმიტიული ფიგურების მოძებნა გრაფიკის პოზიციებზე და თითოეული წვეროს მინიჭება საუკეთესო ფიგურისთვის. სეგმენტაციის პროცესი სამ ნაწილად იყოფა: ახალი ფიგურების გამოვლენა, გრაფიკების წვეროების მინიჭება ფიგურებისთვის (დასათაურება) და ფიგურების ოპტიმიზაცია. ეს უკანასკნელი მეორდება სრულ კონვერგენციამდე.

ფიგურების გამოვლენა. გრაფიკის ყველა პოზიციაზე პრიმიტიული ფიგურების გამოვლენის მიზნით გამოიყენება RANSAC-მეთოდი. აღნიშნული პოზიციები ჯერ არ არის მიკუთვნებული ფიგურებისთვის. თავდაპირველად გამოიყენება გრაფიკის ყველა პოზიცია. თ პარამეტრი განსაზღვრავს მაქსიმალურ დაშორებას ფიგურებსა და წერტილებს შორის. აღნიშნული პარამეტრი აუცილებელია აირჩეს შეტანილ მონაცემებში ხმაურის მოსალოდნელი დონის შესაბამისად.

სტრეგოსისტემების სიღრმის გაზომვა გვაძლევს დაშორების კვადრატისადმი პროპორციულ, სისტემატურ შეცდომებს. ხმაურის ცვალებადი დონის გათვალისწინების მიზნით გამოსახულების კონკრეტული პიქსელის გაზომვის მოსალოდნელ ცდომილებას ემატება დაშორების ზღვარი c. კინექტის სენსორებისთვის ვიყენებთ ხოშელჰამის და ელბერინგის [5] სიზუსტის პარამეტრებს.

დასათაურება. გრაფიკის წვეროების მინიჭება ფიგურებისთვის დასათაურების ამოცანად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც ამოიხსნება გრაფიკული კვეთების მეშვეობით [6]. ოპტიმიზაციის მიზანის ფორმულაა  $E_{\text{მონაცემები} + \lambda E_{\text{შერტილება}}$ , სადაც პირველი წევრი გრაფიკის ნიმუშებსა და ფიგურებს შორის მანძილების ოპტიმიზაციაა, ხოლო მეორე – გრაფიკების მომიჯნავე წვეროებს ერთი და იგივე ფიგურას ანიჭებს.

გრაფიკის წვეროები აუცილებელია მიანიჭოს ფიგურას, თუ დაშორება ზედაპირამდე მცირება და წერტილის პერპენდიკულარი ემთხვევა ზედაპირის პერპენდიკულარს. ასე ვიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$E_{\text{მონაცემები}} \sum_{i \in G} \frac{d(p_i, S_{l(i)})^2}{3\varepsilon} (1 - (n_i \cdot n(S_{l(i)}, p_i))) \quad (1)$$

$G$  შეიცავს გრაფიკის ყველა წვეროს, პიდა ნიაღნიშნავს პოზიციებსა და პერპენდიკულარებს, ხოლო  $I_l(i)$  არის მინიჭებული  $S$  ფიგურის ინდექსი.  $D$  ფუნქცია თვლის მანძილს ფიგურის ზედაპირზე არსებულ წერტილსა და მის უახლოეს წერტილს შორის, ხოლო ნფუნქცია გვაძლევს ზედაპირის პერპენდიკულარს ფიგურის უახლოეს წერტილზე.

თუ აუთლაიერებისა და სცნის დეტალების მოდელირება შეუძლებელია პრიმიტიული ფიგურები, მაშინ ყველა გამოვლენილი ფიგურის მოშორებით მდებარე წერტილებისთვის გვექნება დამატებითი, მიუნიჭებელი სათაური. ამგვარი მიუნიჭებელი წვეროებისთვის გამოიყენება მუდმივი საფასურის მნიშვნელობა. მცირე მნიშვნელობა გვაძლევს მიუნიჭებელი წერტილების მოზრდილ

არეალებს, ხოლო დიდმა მნიშვნელობამ შესაძლოა დაამახინჯოს აუთლაიერების მქონე ფიგურები. ჩვენ ექსპერიმენტებში მიუნიჭებელი წვეროების საფასურია 0,8.

სირბილის პარამეტრი გამოიყენება ერთი და იგვე ფიგურის მომიჯნავე წერტილების მინიჭებისთვის. ის გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$E_{\text{სირბილი}} = \sum_{(i,j) \in E} \delta(l(i) \neq l(j))(n_i \cdot n_j), \quad (2)$$


სადაც არის ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკის კიდეების სიმრავლე, ხოლო  $\delta$  ფუნქცია აღნიშნავს პოტსის მოდელს, რომელიც გვიბრუნებს 1-ს, თუ არგუმენტი ჰეშმარიტია და 0-ს სხვა შემთხვევაში. ყველა კიდის შეწონვა ხდება მათი ნორმალური გადახრის საფუძველზე. თუ ორ მიმდებარე წერტილს უაღრესად განსხვავებული მიმართულება აქვს, მაშინ დიდი ალბათობით ისინი სხვადასხვა ფიგურებს ეკუთვნიან.

ფიგურების ოპტიმიზაცია. მინიჭებული წერტილების სიმრავლის შეცვლის შემდეგ გამოიყენება ხელახლა მორგების საფეხური. ფიგურების გეომეტრიული ცდომილების ოპტიმიზაციის მიზნით გამოიყენება შეწონილი უმცირესი კვადრატები. თუ ფიგურას არ გააჩნია ან მცირე რაოდენობით აქვს მინიჭებული წერტილები, იშლება და წერტილები სათაურდება, როგორც მიუნიჭებელი.

სცენის ზოგიერთი დეტალი წერტილების სიმრავლეში შესაძლოა დამახინჯდეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც გამოიყენება დაუკალიბრებელი ფოტოკამერები და სცენა მხოლოდ რამდენიმე ხედით არის გადაღებული. ამ ყველაფერმა შესაძლოა მოგვცეს საწყისი ფიგურების არასწორი ფორმები, მაგალითად, პლანარული კედელი გამოისახება მოზრდილი რადიუსის მქონე ცილინდრის მცირე ფრაგმენტის სახით. ჩვენ ვიყენებთ მარტივ ევრისტიკას, როდესაც ყველა ფიგურა მოწმდება, შესაძლებელია თუ არა მისი ჩანაცვლება სიბრტყით საშუალო ნარჩენის ორჯერ მეტად გაზრდის გარეშე. კონუსები შესაძლოა ჩანაცვლდეს ცილინდრებით.

ხელახლი ნიმუშის აღება. ინიციალიზაციის ეტაპზე ნიმუშად აღებული წერტილების გრაფიკს გააჩნია ფიქსირებული  $\tau$  მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს საშუალო დაშორებას გრაფიკის წვეროებს შორის. ზოგიერთი სცენისთვის გამოსადევია  $\tau$ -ის სხვადასხვა მნიშვნელობების გამოყენება სხვადასხვა დეტალებისთვის. მაგალითად, ოთახის ინტერიერის კედლების მოდელირება შესაძლებელია გრაფიკის მცირე რაოდენობის წვეროებით, მაშინ როდესაც ავეჯსა და სხვა ნივთებს მეტი წვერო სჭირდება.

აქედან გამომდინარე, ალგორითმის კონვერგენციის შემდეგ შესაძლებელია სეგმენტაციის პროცესის ხელახლა დაწყება  $\tau$ -ის შემცირებული მნიშვნელობით. თუ არეალი მიმდინარე სეგმენტაციით ნათლად არ აღიწერება ანუ არეალს გააჩნია გრაფიკის მიუნიჭებელი წვეროები, მაშინ მისი ნიმუში ხელახლა აიღება შემცირებული  $\tau$ -ით. გრაფიკის შესაბამისი წვეროები ჩანაცვლდება უფრო მჭიდრო ნიმუშებით (ნახ.4).



ნახ.4 ჩარჩოს ოპტიმიზაციის მაგალითი

ჩარჩოს ოპტიმიზაცია (თეთრ პიქსელებს სიღრმის მნიშვნელობა არ გააჩნია, ხოლო შავი პიქსელები ოპტიმიზაციის პროცესში არ მონაწილეობს): ა) გაკერებული პიქსელები ფიქსირებული

სათაურებით; ბ) ოპტიმიზირებული პიქსელები; გ) ყველა პიქსელი (ოპტიმიზირებული და გლობალური გრაფიკიდან აღებული) და დ) სამგანზომილებიანი ხედი.


### 5. ჩარჩოების სეგმენტაცია

სეგმენტაციის ალგორითმის უკანასკნელ ეტაპზე გლობალური გრაფიკის სეგმენტაცია პროექცირდება ინდივიდუალურ ჩარჩოებზე. სეგმენტაცის თითოეული ჩარჩოსთვის ინდივიდუალურად გამოითვლება და აუცილებელია თავსებადი იყოს გლობალურ სეგმენტაციასთან. მხოლოდ ვალიდური სიღრმითი პარამეტრის მქონე პიქსელები ექვემდებარება განხილვას, ვინაიდან საჭიროა სამგანზომილებიანი პოზიციები. თითოეული პიქსელისთვის გამოიკვლევა გრაფიკის პოზიციები, რომელთა დაშორება არის 3τ.

თუ ყველას ერთი და იგივე სათაური აქვს და პიქსელების სამგანზომილებიანი პოზიციები თუ პერპენდიკულარები მიესადაგება შესაბამის ფიგურას, მაშინ პიქსელი ამ ფიგურასთან ერთად სათაურდება. სხვა შემთხვევაში პიქსელი ამოუხსნელად მიიჩნევა და საუკეთესო სათაური ოპტიმიზაციის შედეგად შეირჩევა.

გამოსახულების ყველა ამოუხსნელი რეგიონისთვის ვიყენებთ გრაფიკული კვეთის ოპტიმიზაციას. რეგიონები გაზრდა გაჯერების მეთოდით ხდება, რათა გამოსახულების დანარჩენ ფრაგმენტებზე ვალიდური გადასვლები მოხდეს. გაჯერებული პიქსელებისთვის უკვე შერჩეულია უნიკალური სათაური. აქედან გამომდინარე, ამ სათაურისთვის ვიყენებთ ნულოვანი მნიშვნელობის მქონე საფასურს, ხოლო ყველა დანარჩენი სათაურისთვის – ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე საფასურს.

ამოუხსნელი პიქსელებისთვის გამოიყენება ოპტიმიზაციის იგივე ამოცანები, როგორიც გლობალური გრაფიკის ოპტიმიზაციისთვის (1 და 2 ფორმულები). მომიჯნავე პიქსელებისთვის გამოიყენება სირბილის საფასური, თუ ისინი არ არის გამიჯნული მოზრდილი სიღრმითი წყვეტებით. გარდა ამისა, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ გლობალური გრაფიკის დასათაურება ზუსტად მიესადაგება ინდივიდუალურ ჩარჩოებს. აქედან გამომდინარე, თუ პიქსელის სამეზობლოში სათაურები არ გვხვდება, მათთვის დამატებითი საფასურები გამოიყენება. მე-5 ნახაზზე ნაჩვენებია ჩარჩოს ოპტიმიზაციის რამდენიმე ეტაპი.



ნახ.5 გაერთიანებული მოდელის ვირტუალურად აგებული სიღრმითი რუკების ჩარჩოების სეგმენტაცია.

ა) გაერთიანებული მოდელის ვირტუალურად აგებული სიღრმითი რუკების ჩარჩოების სეგმენტაცია და გლობალური გრაფიკი;

ბ) თავდაპირველად გამოვლენილი ფიგურებისა და ბლოკური მოდელის ოპტიმიზაციის შედეგის შედარებაა.

ორივე მოდელზე საავტორო უფლებას ფლობს AIM@SHAPE.

თითოეული ჩარჩო ინდივიდუალურად მუშავდება და სრულიად დამოუკიდებელია სხვა ჩარჩოებისგან. ამგვარი მეთოდი უფასებრად იყენებს მექსიერებას და რამდენიმე ჩარჩო ითლად მუშავდება პარალელურად. ზოგიერთი პროგრამული უზრუნველყოფისთვის პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ჩარჩოების მცირე, გადაფარული არეალები არათანმიმდევრულად არის დასათაურებული, როდესაც მათი გამოკვეთილი კონტურები არ გააჩნიათ.

### 3. დასკვნა

ალგორითმი გამოცდილია სხვადასხვა საწყის მონაცემებზე. შედეგები ადასტურებს, რომ ძირითადი ფიგურების გამოვლენა წარმატებით ხდება, ხოლო სიღრმითი რუკები სეგმენტირდება საგნების კიდეების გასწვრივ. 5 სურათზე ნაჩვენებია ვირტუალურად აგებული სიღრმითი რუკების შედეგები. 5 (ბ) სურათზე ნაჩვენებია, როგორ აუმჯობესებს ჩვენს მიერ მიღებული ოპტიმიზაცია თავდაპირველად გამოვლენილ ფიგურებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უმჯობესდება მარცხენა პორიზონტალური ცილინდრის პარამეტრები, ხოლო მარცხენა და მარჯვენა ცილინდრები გაერთიანებულია.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. Schnabel R., Wahl R., Klein R. (2007). Efficient RANSAC for Point-Cloud Shape Detection. Computer Graphics Forum, 26(2), June. pp. 214–226.
2. Henry P, Krainin M, Evan Herbst, Ren X. ( 2010). RGB-D mapping: Using depth cameras for dense 3D modeling of indoor environments. In International Symposium on Experimental Robotics (ISER),
3. Reisner-Kollmann I., Maierhofer S. (2011). Consolidation of Multiple Depth Maps. In Computer Vision Workshops (ICCV Workshops), pages 1120–1126,
4. Chang W., Zwicker M. (2011). Global registration of dynamic range scans for articulated model reconstruction. ACM Transactions on Graphics (TOG), 30(3), May pp.1–15.
5. Khoshelham K., Elberink S. (2012) Accuracy and resolution of Kinect depth data for indoor mapping applications. Sensors, 12(2), January pp.37–54.,
6. Boykovand Y., PierreJolly M. (2001) Interactivegraphcutsforoptimalboundary&region segmentation of objects in ND images. In IEEE International Conference on Computer Vision (ICCV), pp. 105–112,

## INTERACTIVE THREE-DIMENSIONAL RECONSTRUCTION BASED ON RGB-IN IMAGE

Mzia Kiknadze<sup>1</sup>, Ivane Makasarashvili<sup>1</sup>, Mikheil Dardjania<sup>2</sup>

1-Georgian Technical University,

2- Tbilisi State Academy of Art

### **Summary**

In this paper, we focus on the reconstruction of buildings and therefore exploit common characteristics of architectural scenes. Many buildings can be approximated with piecewise-planar models and the planes are orthogonally aligned. In contrast, extensive 3D information is available in the form of an unstructured point cloud. Therefore, it is possible to automatically detect scene planes and create 3D models without any user input. We introduce a novel method for automatically reconstructing low-polygonal meshes from point clouds. The point cloud is analyzed for extracting globally consistent surface normals, which are then used to robustly detect planes. If oriented images of the scene are available, it is possible to extract strong image edges which can be used as boundaries for the planes.

## **ИНТЕРАКТИВНАЯ ТРЕХМЕРНАЯ РЕКОНСТРУКЦИЯ НА ОСНОВЕ RGB-В ИЗОБРАЖЕНИЕ**

М.Кикнадзе<sup>1</sup>, И.Макасарашвили<sup>1</sup>, М. Дарджания<sup>2</sup>

1-Грузинский Технический университет,

2-Тбилисская Государственная Академия Художеств  
Им.А.Кутателадзе

### **Резюме**

Представлена система реконструкции поверхностей как с изображения так и с наборов точек. Внимание обращено к информации, которая занесена с RGB-D фотокамер, в то время когда снятие сцены происходит с помощью множества красочных изображений или же при помощи плотного множества точек. В это же время мы можем применить большое количество компонентов алгоритма реконструкции для информации внесенной при помощи других источников. Реконструкция основывается на нескольких примитивах фигуры, которые предлагают нам высокое качество абстракции в целях использования трехпространственной информации, ее анализа или же редактирования.

**გამოყოფილ პრენტერ სარეალიზაციო გლობალური შემსრულებელის  
სისტემობის ზოგიერთი ასაექტის შემუშავებისა და  
გამოყენების შესახებ**

ოთარ ნატროშვილი, ალექსანდრე რობიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია გლობალური კომპიუტერული ქსელების ორგანიზების საკითხები სატელეკომუტაციო კომპანიების მიერ გამოყოფილ არხებზე. წარმოდგენილ სტატიაში ყურადღება დამობილი აქვს მულტიპლექსირების მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულია არხებში გამავალი სიგნალების დროითი ან სიხშირული დაყოფისათვის. ხაზგასმულია ასეთი ქსელების ინფრასტრუქტურაში საკომუტაციო ცენტრების შექმნის მნიშვნელობაზე, რომლებიც მხარს დაუჭერენ სადიაგნოსტიკო პროცედურებსაც ქსელის დაშორებულ სადგურებზე.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური ქსელების სისტემოტექნიკა, მულტიპლექსირების მეთოდები, საკომუტაციო ცენტრები.

### 1. შესავალი

გლობალური მასშტაბის კომპიუტერული ქსელების სისტემოტექნიკის ეფექტური შემუშავება, მათი ინსტალირება და ექსპლუატაცია წარმოადგენებს საკმაოდ რთულად გადასაწყვეტ საინჟინერო – ტექნიკურ ამოცანებს. ასეთი ტიპის ქსელების აგება მჭიდროდაა დაკავშირებული ციფრული საკომუნიკაციო არხების ეფექტურ გამოყენებასთვის, რომლებშიც სატელეფონო კომპანიების პროვადერული სამსახურებიდან გამოყოფილი ხაზების სახით გადაეცემათ სარგებლობაში კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორებს.

სპეციფიკური მიდგომების ასპექტების შემუშავება და განხილვა გლობალური კომპიუტერული ქსელური გაერთიანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია გამოყოფილ სატელეფონო ხაზებთან, მეტად აქტუალური და საყურადღებოა ასეთი ტიპის ქსელების ორგანიზებისათვის, ამიტომ წარმოდგენილი სტატიის მომდევნო, ძირითად ნაწილში შევეცადოთ მოკლედ განვიხილოთ ის ნიუანსები, რომლებიც დაახასიათებენ ქსელების ეფექტურ რეალიზაციებს მსგავსი პროექტების რეალურად განხორციელებისათვის.

### 2. ძირითადი ნაწილი

გამოყოფილი სატელეფონო ხაზები (Leased Lines) მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფებ გლობალური კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურის შექმნას. მის სარეალიზაციო და საჭიროა სატელეკომუნიკაციო მურნეობაში ამჟამად მომქმედი მთელი რიგი სტანდარტული მოთხოვნების დაცვა, რომელთა ცოდნა აუცილებელია კომპიუტერული ქსელის სპეციალისტების მხრიდან სხვადასხვა სახის პრობლემურ საკითხებში ღრმად გასარკვევად. მათ შორისაა პირველ რიგში არხების მულტიპლექსირება ხაზების საბაზო გამტარუნარიანობის დასაყოფად (ამჟამად სატელეფონო მურნეობაში იყენებენ ძირითადად 45ბბიტ/წმ-იანი სიჩქარის არხებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს გამოყოფილ სატელეფონო ხაზებს გლობალური კომპიუტერული სტრუქტურების შესაქმნელად).

გამოყოფილი საკომუნიკაციო არხების მოქმედების პროცესი (ხაზებში გამავალი სიგნალების მულტიპლექსირების ჩათვლით) უმეტეს შემთხვევებში არასაქმარისადაა განმარტებული და ხშირად გაუგებარიცაა ხელმისაწვდომ ლიტერატურაში თვით ქსელების სპეციალისტებისათვისაც კი, ამიტომ

ისინი შემოიფარგლებიან ძირითადად იმის ელემენტარული ცოდნით, რომ გლობალური კომპიუტერული ქსელების შესაქმნელად საჭიროა მოხდეს მხოლოდ ციფრული ხაზების შექმართებული ჩანგლებით ფიზიკური შეერთებები [1]. მონაცემთა მიმღებ – გადამცემი ქსელების სრულყოფილი ორგანიზებისას კი საჭიროა იმ სტანდარტების სრულყოფილი ცოდნაც, რომლებიც აუცილებელია მსგავსი ტიპის ქსელების შესაქმნელად. ზემოთხსენებული სპეციალისტები კი ამ უკანასკნელს ნაკლებად აქცევენ ჯეროვან უერადლებას, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ რადგან ასეთი გადამცემი არხები იმყოფებიან სატელეკომუნიკაციო კომპანიების დაქვემდებარებაში, “ამის იქით გახდევა მათ არ უნდათ”. სინამდვილეში გამოყოფილი ხაზებით ორგანიზებული გლობალური ქსელების სისტემოტექნიკის ოეალიზაციის ასპექტები საკმაოდ კარგად უნდა იქნეს შემუშავებული, შესწავლილი და გაანალიზებული, რათა შეიქმნას სასურველი პარამეტრებით მონაცემთა გადაცემებისათვის უფრო ფუნქციონალური სტრუქტურები კომპიუტერული ქსელების სახით.

კომპიუტერულ ქსელებში სატელეფონო არხების გამოყენება პირველ რიგში საინტერესოა არამარტო ხმოვანი სიგნალების ციფრულ ფორმატში წარმოსადგენად, არამედ მათ გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები. ცხადია, მათ შორის არის ისეთი მთავარი, როგორიცაა გამოყოფილი არხების დაყოფა მათში გატარებული სიგნალებისათვის. ასეთ პროცედურებს ზოგადად უწოდებენ სიგნალების დროით ან სიხშირულ მულტიპლექსირებას. გარდა ამისა სწარმოებს (სატელეფონო ხაზებში) გამავალი სიგნალების ფრონტების აღდგენა და გაძლიერება, არხებში წარმტანი სიგნალების იმპულსების შემჭიდროვება (ხშირად უწოდებენ შეკუმშვას) და ა.შ. ყოველივე ზემოთჩამოთვლილ გარდაქმნებს ახორციელებს გამოყოფილ ხაზებზე ორგანიზებული ქსელების მიმღებ – გადამცემ ტრაქტებში უშუალოდ მონაწილე აპარატურის სისტემოტექნიკა.

გამოყოფილი ციფრული ხაზების ინტენსიური გამოყენება განაპირობა:

1. ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში მონაცემთა გადამცემი ციფრული ხაზების შექმნამ (შესაბამისად მათ ბაზაზე საჭირო მეთოდებისა და ამ მეთოდების სარეალიზაციო მოწყობილობების შემუშავებამ);

2. ციფრული ტელეფონის მექანიზმების პრაქტიკაში ინტენსიურმა დანერგვამ;

3. ქსელების სახით სატელეფონო არხების სისტემურმა გაერთიანებამ (ერთმანეთთან დაკავშირებამ).

როგორც ცნობილია, სატელეფონო ხაზები ტრადიციურად დიდი ხანია გამოიყენება ხმოვანი არხების გარკვეული სიმრავლის გასაერთიანებლად ერთ მაღალმწარმოებლურ არხში. ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა მექანიზმი, რომელმაც დააკავშირა მონაცემთა რამდენიმე შემაგალი ნაკადი ერთმანეთთან ერთ საერთო ხაზში (მაგისტრალში), ხოლო შემდეგ მოახდინა მათი კვლავ დაყოფა რამდენიმე კომპონენტად ინდივიდუალურ მომხმარებელზე ან ერთდროულად რამდენიმე მომხმარებლებზე (უწოდებენ ჯგუფურ განაწილებას) გადასაცემად. ასეთ შუალედურ გარდაქმნებს წარმატებით ახორციელებს მექანიზმი, რომელსაც როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, მულტიპლექსირების მექანიზმი ეწოდა. ეს უკანასკნელი ამჟამად რეალიზდება რამდენიმე მეთოდით. აღვნიშნოთ რამდენიმე მათგანი:

1. არხების გატარების ზოლის დაყოფა დროის მიხედვით (TDM – Time Division Multiplexing);

2. გატარების ზოლის დაყოფა სიგნალების სიხშირეთა დიაპაზონებად (FDM – Frequency Division Multiplexing).

პირველი მეთოდის გამოყენების დროს სიგნალების გატარების ზოლი იყოფა დროის ელემენტარულ ინტერვალებად, რომლებიც უნაწილდება (დაეთმობა) თითოეულ მოწყობილობას სპეციალური ალგორითმით. ასეთი საბაზო არხი ცნობილია T1 გამოყოფილი არხის სახელწოდებით.

მისი გამტარუნარიანობა შეადგენს 1,544 მბიტ/წმ-ს, რომელიც უნდა დაყოს 125 მიკროწამის განმავლობაში. აღნიშნული ინტერვალის განმავლობაში საჭიროების მიხედვით არხის ეს გამტარუნარიანობა გადაეცემა სხვა სადგურს, რომელიც თავის მხრივ მოახმარს საკუთარი მონაცემების გადაცემებს. ამით მიიღწევა არხის სისტემის ზოლის ეფექტური დაყოფა (განაწილება) დროში. თუმცა აქვე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარ მულტიპლექსირებას გააჩნია თავისი ნაკლოვანებაც. იგი მოითხოვს დამატებითი არხების გამოყენების საჭიროებას სინქრონიზაციის კოდების გადასაცემად.

ამგვარი ნაკლისაგან დაზღვეულია მულტიპლექსირების მეორე მეთოდი (FDM), თუმცა მასაც თავის მხრივ გააჩნია ასევე საკუთარი ნაკლი. იგი მდგომარეობს იმაში, რომ რომელიმე დაყოფილი სისტემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა არხისათვის სიგნალების (ე.ი. სხვა სადგურებიდან ამავე არხში მიწოდებული მონაცემების) გადასაცემად. აქვე შევნიშნოთ ისიც, რომ ეს მეთოდი უფრო ნაკლებეფექტურიანია ზემოთგანხილულ პირველ მეთოდთან (TDM) შედარებით. რის გამოც მონაცემთა გადამცემი ქსელებისათვის უპირატესობა ენიჭება უფრო TDM მეთოდს, ე.ი. მულტიპლექსირების დროით ინტერვალებად დაყოფის მეთოდს.

გლობალური ქსელების სისტემოტექნიკის ასეთი რეალიზაციების დროს სატელეკომუნიკაციო კომპანიები მხარს უჭერენ (ინფრასტრუქტურაში ქმნიან) საკომუტაციო ცენტრების შექმნის იდეას. საკომუტაციო ცენტრები, რომლის გავლითაც სწარმოებს მონაცემთა ნაკადების გადაცემები, უფრო ძვირადღირებულია. ასეთი მეთოდების გამოყენება თუმცა ზრდის მონაცემთა გადაცემების გეოგრაფიულ მანძილებს (მხედველობაში გვაქვს სადგურებს შორის ტერიტორიულ დაშორებებს), ამასთან იქმნება საჭიროება ამ უკანასკნელის დაყოფა ქსელის ინფრასტრუქტურაში მთავარ და შუალედურ საკომუტაციო ცენტრებად.

გლობალური ქსელების რეალიზაციის ასეთი სისტემოტექნიკის გამოყენებას უნდა ახასიათებდეს და თან ახლავს კიდეც კიდევ ერთი დამატებითი ნიუანსის გათვალისწინებაც. ყველა განაპირა კვანძების (თუნდაც ცალკეული სადგურების) შეერთებას (თავმოყრას) ახლომდებარე საკომუტაციო ცენტრთან უნდა ჰქონდეს მრავალჯერადი გამოყენებითი სასიათი. ასეთ დროს ტრაფიკის შეერთებას და განაწილებას ცენტრალურ ოფისთან (ასევე შუალედურ ოფისებშიც) უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად. ეს უკანასკნელი შეადგენს ასეთი სისტემოტექნიკის რეალიზაციების აუცილებელ პირობას.

### 3. დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომის ზემოთგანხილული ძირითადი ნაწილიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი არსებითი დასკვნა. კომპიუტერული ქსელების სისტემოტექნიკური მიღომების თთოეულ რეალიზაციებს გამოყოფილ არხებზე გააჩნიათ თავიანთი როგორც დადებითი, ისე უაწყოფითი მხარეებიც. ამას გარდა გამოყოფილ არხებზე გლობალური ქსელების ამგვარ ორგანიზაციებს იმასთან ერთად, რომ მათი დახმარებით მნიშვნელოვნად ფართოვდება ქსელების მოქმედების არეალი (რაც, როგორც ვახსენეთ, დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს), გამოყოფილ ხაზებზე ქსელურ გადაწყვეტებს გააჩნიათ ის უპირატესობაც, რომ ინფრასტრუქტურას ახასიათებს მონაცემთა გადამცემი კვანძების რეგულარული ურთიერთკავშირი ცენტრალურ და შუალედურ ოფისებთან. ეს გვაძლევს იმის საშუალებასაც, რომ ამგვარ ქსელებში შესაძლებელია გადაცემების მანძილიდან კონტროლისა და დიაგნოსტირების განხორციელება. ამ მიზნით შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა საკომუტაციო ცენტრებში. ამგვარი სისტემოტექნიკური გადაწყვეტა შესაძლებლობას მოგვცემს ასევე მნიშვნელოვნად შევამციროთ დიაგნოსტირებისათვის საჭირო დროითი და ფულადი დანახარჯებიც, რაც მეტად არსებითა [1].

გამოყოფილ არხებზე ქსელის სისტემოტექნიკურ რეალიზაციებს (სათანადო ტოპოლოგიების შერჩევას და წინასწარ მათ გაანალიზებას) გააჩნია საკმაოდ რთული ხასიათი. ეს განპირობებულია იმის აუცილებლობით, რომ პრაქტიკულად ყველა გამოყოფილი ხაზისათვის საჭიროა დაყენდეს მინიმუმ ორი ან მეტი რაოდენობის საკომუტაციო ცენტრი. ამგვარი ქსელის ორგანიზაციისათვის მისი სარეალიზაციო მოდელი რთულია თუნდაც იმიტომ, რომ ის უნდა ასახავდეს ხაზების სადგურების რაოდენობას გადამცემიდან მიმღებამდე, რომელთა რიცხვი გლობალურ ქსელში საკარაულოდ საკმაოდ დიდ ციფრს შეადგენს.

#### ლიტერატურა:

- ნატროშვილი ო. (2009). მონაცემთა მიღება-გადაცემის მართვისა და დიაგნოსტირების ალგორითმები კომპიუტერულ ქსელებში. სტუ. გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
- Максимов Н., Попов И. (2013). Компьютерные сети. Изд. „Форум“. Москва.

## DEVELOPMENT AND APPLICATION OF SOME ASPECTS OF SYSTEMS ENGINEERING IMPLEMENTATION ON THE GLOBAL NETWORKS DEDICATED CHANNELS

Natroshvili Otar, Robitashvili Alexander

Georgian Technical University

#### Summary

The article discusses problems of organizing global computer networks on dedicated channels provided by telecommunications companies. The article focuses on the methods used to multiplex signals that are used for time or sequential segregation of signals running through the channels. Emphasis is made on the importance of creating switching centers within the infrastructure of the networks that support diagnostic procedures on remote stations.

## О РАЗРАБОТКЕ И ПРИМЕНЕНИИ НЕКОТОРЫХ АСПЕКТОВ СИСТЕМОТЕХНИЧЕСКОЙ РЕАЛИЗАЦИИ ГЛОБАЛЬНЫХ СЕТЕЙ НА ВЫДЕЛЕННЫХ КАНАЛАХ

Натрошвили О.Г., Робиташвили А.Г.

Грузинский Технический Университет

#### Резюме

Рассмотрены вопросы системотехнической организации глобальных компьютерных сетей на выделенных телекоммуникационными компаниями каналов. Большое внимание уделено применяемым методам мультиплексирования сигналов. Подчеркнуто значение создания коммутационных центров в инфраструктуре таких сетей, которые поддерживают диагностические процедуры на удаленных станциях.

## საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის დაგენერირება

კახაბერ ჟამურაშვილი, რომან სამხარაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის დაგენერაციის პროცესი და მათი გადაჭრის საკითხები. კერძოდ, შემოთავაზებულია თანამედროვე პროგრამული გადაწყვეტილებები. შედეგად, შესაძლებელი ხდება ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემა. ეს უკანასკნელი უკვე თავისთავად გულისხმობს იმას რომ რამდენჯერმე იზრდება ინფორმაციის გადაცემის სისტრაფე, პრინტერებისა და სხვა აპარატურული მოწყობილობების ქსელში გაზიარება, რაც ამცირებს არასასურველი აპარატურის რაოდენობას. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება შეიქმნას ელექტრონული საფოსტო სისტემა, რაც ბევრად ამარტივებს და აჩქარებს კომპანიაში მიმღინარე პროცესებს. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად მარტივდება კომუნიკაცია თანამშრომლებს შორის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ბევრად უფრო ეფექტურად და სწრაფად მიმღინარეობს, გაცილებით ადვილია შექმნილ ელექტრონულ საბუთებთან ურთიერთობა და შემდგომში მათი მოძიება.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო სისტემები. უსაფრთხოება. ლოკალური ქსელი. აპარატურული უზრუნველყოფა. პროგრამული უზრუნველყოფა.

### 1. შესავალი

კომპიუტერული ლოკალური ქსელის არსებობა აუცილებელია თანამედროვე ორგანიზაციებისათვის, სადაც მნიშვნელოვანია, რომ ოპერატორულად და ცენტრალიზებულად მოხდეს ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისად, ინფორმაციას განესაზღვროს გრიფი. იმავდროულად, ლოკალური ქსელი რთული საკაბელო სისტემაა, რომლის გაერთიანებისა და ფუნქციონირებისთვის უამრავი კომპონენტია საჭირო. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კვალიფიციური და სწორი მიღვომა ინფორმაციული ინფრასტრუქტურის დაპროექტებისა და შემდგომ, მისი მონტაჟის დროს.

### 2. ძირითადი ნაწილი

ლოკალური გამომთვლელი ქსელი(LAN) აპარატურებისა და პროგრამული მომსახურების ერთობლიობაა, რომელიც კომპიუტერებს აერთიანებს ერთიან გამანაწილებელ სისტემად, ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის საშუალებად. აპარატურულ უზრუნველყოფად შეიძლება ჩაითვალოს კომპიუტერები, რომლებსაც აქვთ ქსელური ადაპტერები, სვიჩები, როუტერები, IP ტელეფონები, სერვერები და ყველა ის მოწყობილობა, რომელსაც ამა თუ იმ გზით აქვს ქსელში წვდომა და შეუძლია ინფორმაციის დამუშავებაში გარკვეული მონაწილეობის მიღება [1].

პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს ყველა ის პროგრამა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის დამუშავების, გადაცემის, შიფრაციისა და სხვა სამუშაოებისთვის. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ:VPN (ვირტუალური კერძო ქსელი) – პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოშორებული კომპიუტერისთვის ინფორმაციის უსაფრთხოდ გადაცემის საშუალებას იძლევა. ამ ტიპის ქსელი სპეციალური შიფრაციის მეთოდებითაა დაცული.

Microsoft SQL Server – პროგრამული პროდუქტი, რომელიც ცენტრალიზებულად და ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის დამუშავების საშუალებას იძლევა. ინფორმაციის დამუშავების და შენახვის

ეს პროგრამული პროდუქტი ძალზე ეფექტურად გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის დაწესებულებებში.

დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება თთქმის ყველა სფეროში. ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებას გააჩნია გარკვეული საინფორმაციო ბაზა, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს. ხშირ შემთხვევებში ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია, რომელზეც მხოლოდ გარკვეულ პირებს აქვთ წვდომა. ეფექტური, უსაფრთხო და დაცული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად აუცილებელია თანამედროვე ორგანიზაციებში შესაბამისი ინფორმაციული სისტემების დანერგვა.

ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზება, ინფორმაციის დამუშავების მეთოდებისა და ფორმების გართულება პირდაპირპაროციულად არის დამოკიდებული მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ უსაფრთხოების სამედომოაზე. რაც უფრო სამედოა ინფორმაციის დაცვის სისტემა, მით უფრო რთულია დაცვის მეთოდები და ფორმები. ყოველგვარი ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდაჭერა პირდაპირ არის დაკავშირებული ორგანიზაციების ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკასთან [2].

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი და დადგენილი ის სტანდარტები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებას. ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხები სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება თთქმის ყველა თანამედროვე ორგანიზაციისთვის. ამის გამო, ორგანიზაციები ხშირად ქირაობენ სპეციალურ კომპანიებს/სპეციალისტებს თავიანთი ორგანიზაციების უსაფრთხოების შემოწმების მიზნით.

გარკვეული ტიპის დაწესებულებებს, მაგალითად, სააქციო საზოგადოებებს, ხშირ შემთხვევაში, აქვთ მთელი რიგი განყოფილებები, დაკომპლექტებული პროფესიონალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ნორმების, ჩარჩოების გამართვას და მათ სრულფასოვან ფუნქციონირებას.

დღეისათვის ეს სფერო ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და საგრძნობი პოპულარობით განსაკუთრებით დიდ ორგანიზაციებში სარგებლობს. იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციაზე წვდომის კონტროლი, აუცილებელია როგორც აპარატურული, ისე პროგრამული საშუალებების ეფექტურად ფუნქციონირება.


1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია, როგორ უნდა იყოს გამართული ინფორმაციული ინფრასტრუქტურა მცირე ორგანიზაციებში, აპარატურული და პროგრამული საშუალებების მინიმალური ნაკრების გამოყენებით.

ასეთი სისტემა იდეალურია მცირე ზომის ობიექტისთვის, რომელსაც სავსებით დაკმაყოფილებს გამოყენებული აპარატურის წარმადობა.

დავახასიათოთ მოკლედ თითოეული მათგანი [3]:

- **Firewall**(პრანდმაჟერი) – აპარატურული ან პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც ახორციელებს მასში შემავალი პაკეტების ტრაფიკის კონტროლს და ფილტრაციას. მისი ძირითადი ამოცანა ლოკალური ქსელის ან მისი ცალკეული კვანძების არასანქცირებული წვდომისგან დაცვაა. ის კრძალავს არაავტორიზირებულ წვდომას და ნებას რთავს მხოლოდ ავტორიზებულ კავშირს როგორც ქსელიდან გამავალ პაკეტებზე, ასევე ქსელში შემავალ პაკეტებზე. ორგანიზაციამ, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული ინფორმაციული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა, სწორედ ამ მექანიზმის დანერგვით უნდა დაიწყოს;

- **Authentication server** (აუთენტიფიკაციის სერვერი) – შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ მოქნილი იერარქია ჩვენი გარემოსათვის.



ნახ.1. სისტემაციონური სისტემების უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა.

მთავარ ადმინისტრატორს, მისი გამოყენებით, შეუძლია გარკვეული უფლებების დელეგირება მოახდინოს ადგილობრივ ადმინისტრატორებზე, გუნდის წევრებზე ან ჯგუფებზე; შესაძლებელია იერარქია აიგოს ნებისმიერი სასურველი გზით - გეოგრაფიული ადგილების, ქვეგანყოფილებების, ზოდიაქოს ნიშნების და ა.შ. მიხედვით; აგრეთვე უზრუნველყოფს ქსელში კომპიუტერებისა და მომხმარებლების კონფრონტაცია;

- **Switch** (სვიჩი) – სხვადასხვა ქსელური მოწყობილობის ქსელში ჩართვის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა დეტექტირება მოახდინოს და ქსელში შეუშვას მხოლოდ საჭირო აპარატურა;
- **Router**(როუტერი) – უზრუნველყოფს ქსელში არსებული პაკეტების მარშრუტიზებას, რაც მთელი სისტემისთვის უმთავრესი ამოცანაა. ის უნდა იყოს მაქსიმალურად ძლიერი იმისათვის, რომ შეძლოს მასთან მისული ინფორმაციის სრულად დამუშავება;
- **DBA სერვერზე** ინახება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გააჩნია დაწესებულებას;
- **App სერვერის** არსებობა მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვება – დამუშავებისთვის.

### 3. დასკვნა

ზემოთ განხილული კომპონენტების გარეშე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის აგების დაწყება შეუძლებელია. ამ კომპონენტებზე უნდა მოხდეს რესურსის კონცენტრირება და შეირჩეს მაქსიმალურად სწორად, რათა შემდგომი ინფრასტრუქტურული განვითარება წარმატებით

დასრულდეს. თანამედროვე ორგანიზაციებისათვის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს ინფორმაციის ეფექტურ დამუშავებას, ოპტიმალურს ხდის ორგანიზაციის მმართველობას, ფინანსური დანახარჯებისა და დროის ეფექტურად გამოყენების საშუალებით.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. Serova E. (2012). Enterprise Information Systems in New Generation. The el-Journal "Information Systems Evaluation", vol. 15, Issue 1. pp. 116 -126. <http://www.ejise.com>.
2. She W., Thuraisingham B. (2007). Security for Enterprise Resource Planning Systems. Information Systems Security. 16:pp. 152–163. Copyright © Taylor & Francis Group, LLC .
3. Weider B., Booth P., Matolcsy P.Z., Ossimitz Maria-Luise. The impact of ERP systems on firm and business process performance. [www.emeraldinsight.com/1741-0398.htm](http://www.emeraldinsight.com/1741-0398.htm).

**DEVELOPMENT OF SECURITY INFRASTRUCTURE OF  
INFORMATION SYSTEMS**

Jamurashvili Kakhaber, Samkharadze Roman

Georgian Technical University

**Summary**

Article discusses information system security infrastructure planning problems and respective solution issues. In particular, modern software solutions are discussed. As a result, it becomes possible to transmit information electronically. The latter implies that the transmission speed is increased several times; It becomes possible to share printers and other hardware devices in the network, thus reducing the number of unwanted equipment. In addition, it is possible to set up an electronic mailing system that makes it much easier and accelerates the processes occurring in the company. Information infrastructure simplifies communication among employees, the decision-making process is much more efficient and quicker, much easier to communicate by electronic documents and their subsequent retrieval.

**РАЗРАБОТКА ИНФРАСТРУКТУРЫ БЕЗОПАСНОСТИ  
ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ**

Жамурашвили К., Самхарадзе Р.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Становиться возможным эффективная электронная передача информации. Это подразумевает, что в несколько раз возрастает скорость передачи информации, становится возможным поделится принтерами и другими сетевыми устройствами в сети, что уменьшает количество нежелаемой аппаратуры. Кроме этого, становится возможным создание электронной почтовой системы, что намного упрощает и ускоряет все процессы, протекающие в компании. В результате развития инфраструктуры упрощается коммуникация между сотрудниками, процесс принятия решений становится более эффективным и быстрым, резко упрощается использование и поиск электронных документов.

## თანამედროვე პრიატოგრაფიული მეთოდები

კახაბერ ქამურაშვილი, რომან სამხარაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება თანამედროვე კრიატოგრაფიული მეთოდები, კერძოდ შემოთავაზებულია ღია და ასიმეტრული გასაღებების დაშიფრვის მეთოდები განხილული მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, შედეგად შემოთავაზებული შიფრაციის თანამედროვე პრაქტიკული გადაწყვეტები. ღია გასაღების კრიატოსისტემები ძირითადად გამოიყენება, როგორც ჰიბრიდული სისტემები, სადაც ინფორმაციის შიფრაცია/დეშიფრაციისათვის გამოიყენება სწრაფი სიმეტრიული ალგორითმები, ხოლო მისი გასაღების მართვისა და გადაცემისათვის გამოიყენება შედარებით ნელი ასიმეტრიული ალგორითმები. როგორც ვხედავთ, ცალმხრივი ფუნქციები ძირითადად წარმოადგენს რიცხვთა თეორიის ისეთ ამოცანებს, რომელთა ამოხსნის ალგორითმი არაპილინომიურია. ამიტომ მოწინააღმდეგისათვის შეუძლებელი ხდება ღია გასაღებიდან საიდუმლო გასაღების აღდგენა, რაც წარმოადგენს ასეთი კრიატოსისტემების სამედოობის საფუძველს.

**საკვანძო სიტყვები:** კრიატოგრაფიული მეთოდები. ღია გასაღები. დახურული გასაღები.

### 1. შესავალი

წმირად გვხვდება სიტუაციები, როდესაც ჩვენთვის არა იმდენად მთავარია ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რამდენადაც იმის ცოდნა, მოაღწია თუ არა ჩვენამდე ინფორმაციაში შეუცვლელი სახით. მართლაც, ინტერნეტი შეიქმნა არა ინფორმაციის დასამალად, არამედ ინფორმაციის გასაცვლელად ადამიანებს შორის. ამიტომაც ამ შემთხვევაში მთავარია ინფორმაციის მთლიანობის პრობლემა, დამახინჯდა თუ არა ინფორმაცია (უნებლივედ თუ წინასწარი განზრაზვით) ქსელში გადაცემის დროს და არა კონფიდენციალობის პრობლემა. ასევე შესაძლებელია სიტუაცია, როდესაც შეტყობინებას თქვენი პარტნიორის სახელით აგზავნის სრულიად სხვა პირი, ანუ ხდება იმიტაცია.

### 2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის მთლიანობისა და იმიტაციისაგან თავის დასაცავად საჭიროა გადაიჭრას ინფორმაციისა და ავტორობის იდენტიფიკაციისა და აუთენტიფიკაციის პრობლემა, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული კონფიდენციალობის პრობლემასთან. ასევე ადვილი შესაძლებელია, რომ შეტყობინება გამოგიგზავნოთ ნამდვილად თქვენმა საქმიანმა პარტნიორმა, მაგრამ მეორე დღეს მან უარყოს ამ შეტყობინების ავტორობა. არც ეს მომენტი იქნება თქვენთვის სასიამოვნო, ამიტომ უნდა შეგეძლოთ დაუტტკიცოთ თქვენს პარტნიორს, რომ წერილი მის მიერ იყო გამოგზავნილი. ანუ შეტყობინების ავტორს ვერ უნდა შეეძლოს უარყოს თავისი ავტორობა.

ამ პრობლემის გადაჭრა სიმეტრიული კრიატოგრაფიის საშუალებით არაეფექტურია, ამიტომ დღეს ასეთი ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენება ღია გასაღებიანი კრიატოგრაფია . ღია გასაღებიან კრიატოგრაფიაში გვაქვს ორი გასაღები, ერთი საიდუმლო (დეშიფრაციის გასაღები), რომელიც ცნობილია მხოლოდ ინფორმაციული ურთიერთობის ერთი სუბიექტისათვის და მეორე, ღია გასაღები (დაშიფრვის გასაღები), რომელიც ცნობილია ყველა დანარჩენი სუბიექტისათვის. ღია გასაღები გამოქვეყნებულია ქსელში და ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია დაშიფროს ამ გასაღებით

ინფორმაცია. დაშიფრული ინფორმაციის დეშიფრაცია შესაძლებელია მხოლოდ საიდუმლო გასაღებით, ამიტომ მხოლოდ ამ გასაღების მფლობელს შეუძლია გაშიფროს ინფორმაცია. ღია გასაღებიანი კრიპტოგრაფიის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. ცალმხრივ მიმართული ფუნქცია.

სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს მეთოდებს, რომლის დროსაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები იყენებენ ერთსა და იმავე გასაღებს (იშვიათად სხვადასხვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გასაღები იოლად გამოითვლება მეორიდან). 1976 წლამდე ეს შიფრაციის ერთადერთი მეთოდი იყო.

თანამედროვე სიმეტრიული კრიპტოგრაფია დაკავშირებულია ძირითადად ბლოკურ შიფრებთან, ნაკადურ შიფრებთან და მათ გამოყენებასთან [1]. ბლოკური შიფრი ფაქტობრივად პოლიალფაბეტური შიფრის მოდიფიკაციაა: აიღება საწყისი ტექსტის გარკვეული სიგრძის ნაწილი (ბლოკი) და გასაღები, შედეგად მიიღება იგივე (იშვიათად განსხვავებული) სიგრძის შიფროტექსტი. შიფროტექსტის შემადგენელი ბლოკების ერთმანეთთან შერწყმისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებსაც მთლიანობაში ქმედების რეჟიმი ეწოდება.

მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard – DES) და გაუმჯობესებული შიფრაციის სტანდარტი (Advanced Encryption Standard – AES) ბლოკური შიფრებია [2].

DES (და მისი ნაირსახეობა 3DES) ჯერაც რჩება ერთერთ ყველაზე პოპულარულ ალგორითმად და ფართოდ გამოიყენება. თუმცა მისი გასაღების სიგრძის არასაკმარისობის გამო, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა, უფრო თანამედროვე ალგორითმებით.

დღემდე გამოგონილია მრავალი ბლოკური შიფრი, მათი უმეტესობა გატეხილია წარმატებული კრიპტოანალიზის შედეგად. ნაკადური შიფრი ქმნის განუსაზღვრელი სიგრძის გასაღებს, რომელიც შემდგომ უერთდება საწყის ინფორმაციას (ბიტობრივად ან ბაიტობრივად). გამომავალი ინფორმაცია დამოკიდებულია შიფრის შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც მოქმედების მიმდინარეობისას იცვლება. საწყისი მსგომარეობა დამოკიდებულია შიფრის გასაღებზე (ზოგიერთ ნაკადურ შიფრში ტექსტზეც). ნაკადური შიფრის მაგალითია RC4. კრიპტოგრაფიული ჰეშ-ფუნქციები (ტექსტის ანაბეჭდის ფუნქციები) კრიპტოგრაფიული ალგორითმების მნიშვნელოვანი კლასია. ისინი იღებს საწყის მნიშვნელობად ტექსტს და უკან აბრუნებს ფიქსირებული სიგრძის ჰეშს, რომლის დაკავშირება საწყის მნიშვნელობასთან პრობლემაა.

ასეთ ფუნქციებს ცალმხრივ ფუნქციებსაც ეძახიან. საუკეთესო ალგორითმებისათვის კოლიზიები (ორი ტექსტი, რომელთა ჰეში ერთი და იგივე) რთული მოსაძებნი უნდა იყოს და ამის ალბათობა მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი. შეტყობინების აუთენტიფიკაციის კოდები ჰეშ-ფუნქციების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჰეშ-მნიშვნელობის შესამოწმებლად გამოიყენება საიდუმლო გასაღები.

ქსელში ყოველ სხვადასხვა წყვილს უწევს იქონის ცალკე გასაღები, რაც წყვილთა რაოდენობის გაზრდისას გასაღებების რაოდენობის კვადრატული პროპორციით გაზრდას იწვევს. ორ მოკავშირე მხარეს შორის გასაღების გაცვლა, მაშინ, როცა ჯერ არ არსებობს დაცული საკომუნიკაციო არხი, „კვერცხის და ქათმის“ პრობლემას ემსგავსება (გასაღების გაცვლა უნდა მოხდეს ფარულად, ფარულად გაცვლა ითხოვს დაშიფრვას, დაშიფრვა თავის მხრივ თხოულობს გასაღების გაცვლას და ა. შ.).

1976 წელს უიტფილდ დიფიდ და მარტინ ჰელმანმა წარმოადგინეს ასიმეტრიული კრიპტოგრაფია – კარდინალურად განსხვავებული კონცეფცია, რომელშიც გამოიყენება ორი

სხვადასხვა, მაგრამ მათემატიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული გასაღები – ღია და ფარული გასაღები. ამავე დროს ფარული გასაღების მიღება ღია გასაღებიდან მოითხოვს კოლოსალურ გამოთვლით რესურსებს.

ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში ღია გასაღები შეიძლება ყველასთვის ცნობილი იყოს, ამავე დროს ფარული გასაღები საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ტიპურ შემთხვევაში ფარული გასაღები გამოიყენება შიფრაციის დროს, ხოლო ღია გასაღები დეშიფრაციის დროს. დიფიზ და ჰელმანმა ასევე წარმოადგინეს დიფიზ-ჰელმანის გასაღების გაცვლის პროტოკოლი.

1978 წელს კრიპტოგრაფების ჯგუფმა რონალდ რივესტის, ადი შამირის და ლენ ედლმანის შემადგენლობით შექმნეს მეორე ასიმეტრიული კრიპტოსისტემა RSA [5]. დიფიზ-ჰელმანის და RSA ალგორითმები დღეს ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს ასევე რამდენიმე სხვა კრიპტოსისტემა, რომელიც ღია გასაღების კონცეფციას იყენებს.

შიფრაციის გარდა ასიმეტრიული კრიპტოგრაფია გამოიყენება ციფრული ხელმოწერებისათვისაც. ციფრული ხელმოწერა ჩვეულებრივ ხელმოწერას იმით წააგავს, რომ მისი მფლობელისათვის მისი შექმნა და განკარგვა მარტივია, ხოლო უცხო პირისათვის მისი დუბლირება – შეუძლებელი.

ციფრული ხელმოწერები გამოიყენება ორ ალგორითმში:

- 1) ხელმოწერა, სადაც ფარული გასაღები გამოიყენება ტექსტის ან ტექსტის ჰიფრაციისათვის;
- 2) შემოწმება, სადაც ღია გასაღების მეშვეობით ხდება დეშიფრაცია, მოწმდება ტექსტის ჰეში და ამდენად ტექსტის მთლიანობა და ხელმოწერის ნამდვილობა.

RSA და DSA წარმოადგნენ ციფრული ხელმოწერის ყველაზე გავრცელებულ ალგორითმებს და ფართოდ გამოიყენება ისეთ პროტოკოლებში, როგორებიცაა SSL/TSL, VPN და სხვა.

### 3. დასკვნა

გასაღების მართვისა და გადაცემისათვის გამოიყენებაღია გასაღების კრიპტოსისტემები, რომელიც დაფუძნებულია „ძნელი“ პრობლემების გამოთვლით სირთულეზე. მაგალითად RSA ემყარება რიცხვის ფაქტორიზაციის პრობლემას (ანუ ღიდი რიცხვის დაშლას მარტივ მამრავლებად), ხოლო დიფიზ-ჰელმანის ალგორითმი ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმების პრობლემას. ასეთი სისტემების უმეტესობაში ინტენსიურად გამოიყენება მოდულით გამრავლება და ახარისხება, შესაბამისად გაცილებით მეტი გამოთვლითი სიმბლაგრეა საჭირო, ვიდრე სიმეტრიულ სისტემებში, რაც შესაბამისად კიდევ ურთი ართულებს დაშიფრული ინფორმაციის დეშიფრაციას და ზრდის შერჩეული მეთოდის სანდოობას.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. Eneken Tikk, Kadri, Kaska, Liis Vihul. (2008). International Cyber Incidents: Legal Considerations. Cooperative Cyber Defence Centre of Excellence

2. Keir Giles. (2013). Electronic Warfare. US Joint Publication. Information Troops – a Russian Cyber Command .Conflict Studies Research Centre Oxford, UK.
3. Shneier B. (1996). Applied cryptography. John Wiley and Sons. Inc. New York.
4. Diffie W., Hellman M.E. (1976). New direction in cryptography. IEEE Trans. on Inf. Theory, v. IT-22, n.6., Nov. pp. 644-654.
5. Rivest R.L., Shamir A., Adleman L.M. (1978). A method for obtaining digital signature and public-key cryptosystems. Communications of the ACM, v.21, n.2. Feb. pp. 120-126, 1978.

## **MODERN CRYPTOGRAPHIC METHODS**

Jamurashvili Kakhaber, Samkharadze Roman

Georgian Technical University

### **Summary**

Modern cryptographic methods are discussed in the present article. In particular, methods of public and asymmetric key encryption are discussed as well as their advantages and disadvantages. As a result, modern, practical encrypting solutions are given. Public key cryptosystems are mainly used as hybrid systems, in which fast symmetric algorithms are used for encrypting/decrypting of information, while for the reason of managing and transmitting its key – relatively slow, asymmetric algorithms are used. As we can see, the one-way functions mainly represent such problems of number theory of which solution algorithm is non-polynomial. Therefore, it is impossible for the opponent to recover secret key using the public one which is the basis for reliability of such cryptosystems.

## **СОВРЕМЕННЫЕ КРИПТОГРАФИЧЕСКИЕ МЕТОДЫ**

Жамурашвили К., Самхарадзе Р.

Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Криптосистемы открытых ключей в основном используются в качестве гибридных систем, где для шифрования / дешифрования информации используются быстрые симметричные алгоритмы, а для управления и передачи ключей используются относительно медленные асимметричные алгоритмы. Как видно, односторонние функции в основном представляют такие задачи теории чисел, алгоритм решения которых неполиномный. Поэтому невозможно восстановить секретный ключ из открытого ключа, что является основой для обеспечения надежности таких криптосистем.

## ინფორმაციის დაშივრების სისტემის უზრუნველყოფის კრიპტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაფორმირებელი აღგორითმი

გასილ ქუციავა, ანა ქუციავა, ქეთევან გოგუა,

გიორგი გოგოლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ინფორმაციის დაშივრების სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაფორმირებელი ორიგინალური აღგორითმი. ამ აღგორითმით ხდება შემთხვევითი მნიშვნელობის და შემთხვევითი სიგრძის მქონე საიდუმლო გასაღების მიღება. გასაღები შედგება მიმდევრობით დაწერილი დიდი რაოდენობის ათობითი ციფრებისგან და იგი ფორმირდება პროგრამულად აღგორითმით მოყვანილი გარკვეული პროცედურების შესრულების შედეგად. კორპორაციული ქსელის კავშირის ხაზში არ გადაიცემა დაშივრის პროცედურებში მონაწილე არც ერთი პარამეტრის ნამდვილი მნიშვნელობა. გასაღების მნიშვნელობა უცნობია კორპორაციულ ქსელში ჩართული კანონიერი მომხმარებლების მომსახურე პერსონალისათვის. წარმოდგენილი აღგორითმი გამოირჩევა კრიპტოგრაფიული და მაღალი სწრაფებულებით.

**საკვანძო სიტყვები:** სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემა. ეილერის ფუნქცია. საიდუმლო გასაღები. მატრიცა. კვადრატული გმონაქვითი. მარტივი რიცხვი.

### 1. შესავალი

კორპორაციულ ქსელებში ჩართულ კანონიერ მომხმარებლებს შორის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად ფართოდ გამოიყენება სიმეტრიული (მაგალითად: **DES,IDEA,RC2,RC5,AES**და სხვ.) კრიპტოგრაფიული სისტემები. ამ სისტემების ძირითადი ნაკლი არის ის, რომ გადასაცემი ინფორმაციის დაშივრისას მთელი ინფორმაცია იყოფა გარკვეული სიგრძის ბლოკებად (56-დან 128 ორობით ბიტამდე) და ყველა ბლოკის დაშივრა-გამიფვრა სრულდება ერთი და იმავე სადუმლო გასაღებით. ამ გარემოების გამო კავშირის არხთან მიერთებულ არაკანონიერ მიმღებს შეუძლია განახორციელოს კრიპტოანალიზური შეტევა გასაღებების ყველა შესაძლო ვარიანტების გადარჩევის მეთოდით ან ბანდიტური კრიპტოანალიზის შედეგად (გასაღების მნიშვნელობის მომვება დაშინების, წამების, შანტაჟის ან ქრთამის გზით).

ამ ნაკლის უგულებელსაყოფად მიზანშეწონილია საიდუმლო გასაღების მნიშვნელობის მისაღებადისეთი აღგორითმის შემუშავება, რომელიც ქსელში ჩართული კანონიერი მომხმარებლების მომსახურე პერსონალის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე (გამოირიცხება ბანდიტური კრიპტოანალიზი) პროგრამულად დააფორმირებს 128 ბიტზე გაცილებით მეტი სიგრძის გასაღებს (რაც უფრო დიდია გასაღების სიგრძე, მით უფრო მნელია ყველა შესაძლებელი ვარიანტის გადარჩევა). გასაღების დასაფორმირებელ აღგორითმით გათვალისწინებული უნდა იყოს: მრავალი პროცედურის შესრულების საჭიროება; თთოეული პროცედურა უნდა სრულდებოდეს სხვადასხვა ვარიანტით; სასურველი ვარიანტის არჩევა უნდა ხდებოდეს პროგრამულად.

### 2. ძირითადი ნაწილი

კორპორაციული ქსელის ორი მომხმარებლიდან ინფორმაციის გადამცემი მხარე ახდენს: სამი მარტივი  **$P_0, Q_0$**  და  **$R_0$**  რიცხვების შემთხვევით არჩევას მარტივი რიცხვების შემცველი სამი

ბაზიდან(ერთი რიცხვი ერთი ბაზიდან); ამ რიცხვების დაღაგებას  $P_0 \geq Q_0 \geq R_0$ პირობის შესრულებით; საიდუმლო გასაღების ფორმირებას ქვემოთ განხილული ალგორითმის მიხედვით; დია ტექსტის დაშიფვრას სიმეტრიული კრიპტოგრაფიული ალგორითმით; დაშიფრული ინფორმაციისა და არჩეული  $P_0, Q_0$  და  $R_0$  რიცხვების ნამრავლის-  $N_0 = P_0 \cdot Q_0 \cdot R_0$ გადაცემას ინფორმაციის მიმღებ მხარესთან. ეს უკანასკნელი  $N_0$ რიცხვიდან აღადგენს  $P_0, Q_0$  და  $R_0$  რიცხვებს ( $P_0 \geq Q_0 \geq R_0$ ), საიდუმლო გასაღების მაფორმირებელი იმავე ალგორითმით დააფორმირებს გასაღებს და გაშიფრავს დაშიფრულ ტექსტს. საიდუმლო გასაღების ფორმირების ალგორითმი შემდეგში მდგომარეობს:

1. გამოითვლება ეილერის ფუნქციის მნიშვნელობა  $\varphi_{i-1}(N_{i-1}) = (P_{i-1} - 1) \cdot (Q_{i-1} - 1) \cdot (R_{i-1} - 1)$ ;
  2. განისაზღვრება  $P_{i-1}, Q_{i-1}$  და  $R_{i-1}$  რიცხვების ერთეულოვან თანრიგში მოთავსებული  $a_{i-1}, b_{i-1}$  და  $c_{i-1}$ ციფრებისაგან შედგენილი  $(a_{i-1}, b_{i-1}, c_{i-1})$  წყვილი. ცხადია, რომ თითოეული ეჯუთვის **{1, 3, 7, 9}**სიმრავლეს;
  3. გამოითვლება:  $K_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \text{mod} 10$ ,  $T_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \text{mod} 15$ ,
- $S_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \text{mod} 3$ მნიშვნელობები, სადაც  $K_{i-1}$ ,  $T_{i-1}$  და  $S_{i-1}$ არაუარყოფითი მთელი რიცხვებია. რადგან ეილერის ფუნქციის  $(\varphi_{i-1}(N_{i-1}))$  მნიშვნელობა ლურჯი რიცხვია, ამიტომ  $K_{i-1}$ -ის გამოთვლისას მიღება **0, 2, 4, 6, 8**;  $T_{i-1}$ მიღებს ერთ-ერთ მნიშვნელობას **[0, 14]**შუალედიდან, ხოლო  $S_{i-1}$ ძირი 0, 1 და 2 მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს;
4. ერთმანეთისგან განსხვავებული **15 × 5** განზომილების მქონე სამი მატრიცისა (**0, 1** და **2**) დამე-3 პუნქტები გამოთვლილი  $K_{i-1}$ ,  $T_{i-1}$  და  $S_{i-1}$ მნიშვნელობების გამოყენებით განისაზღვრება მარტივი რიცხვების დაბოლოებების ახალი  $(d_{i-1}, e_{i-1}, f_{i-1})$  წყვილი.

მატრიცა-0

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	1,3,1	9,3,1	7,9,9	1,7,7	7,1,7
<b>T = 1</b>	7,7,9	3,3,7	7,1,1	1,1,3	9,9,9
<b>T = 2</b>	3,1,7	7,1,9	3,7,3	9,3,7	3,7,7
<b>T = 3</b>	1,9,3	1,3,9	9,3,9	3,1,9	1,3,3
<b>T = 4</b>	3,7,1	1,7,3	7,7,7	9,9,7	1,3,1
<b>T = 5</b>	1,3,7	3,9,3	7,3,1	1,7,9	3,7,3
<b>T = 6</b>	9,1,9	3,1,1	3,7,9	1,9,1	1,9,3
<b>T = 7</b>	3,9,7	1,1,7	7,1,7	3,3,9	7,1,1
<b>T = 8</b>	7,1,3	1,9,9	7,9,3	9,7,3	9,7,9
<b>T = 9</b>	9,9,1	3,7,7	9,7,1	9,9,3	3,1,9
<b>T = 10</b>	9,3,3	7,3,3	7,3,7	1,1,1	9,3,9
<b>T = 11</b>	3,3,3	3,3,1	1,1,9	9,1,7	7,9,17
<b>T = 12</b>	9,1,1	1,9,7	7,9,7	3,9,9	9,1,3
<b>T = 13</b>	7,7,3	7,9,1	3,1,3	9,7,7	3,3,7
<b>T = 14</b>	7,3,9	7,7,1	3,9,1	1,7,1	3,7,1

მატრიცა-1

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	7,9,3	3,7,1	9,7,7	7,1,1	3,3,1
<b>T = 1</b>	1,1,1	3,3,9	7,3,3	7,3,7	1,7,9
<b>T = 2</b>	3,7,9	9,7,3	9,3,1	7,9,9	9,3,7
<b>T = 3</b>	7,1,9	1,9,3	7,9,1	7,7,7	3,1,7
<b>T = 4</b>	1,3,9	9,1,1	9,1,3	7,3,1	3,9,3
<b>T = 5</b>	1,9,1	3,1,7	7,7,1	1,1,3	7,7,1
<b>T = 6</b>	3,1,3	3,9,9	7,3,9	1,9,1	9,9,1
<b>T = 7</b>	3,3,7	1,7,7	7,7,3	9,9,7	7,3,3
<b>T = 8</b>	1,7,1	3,3,3	9,3,7	7,7,9	7,1,9
<b>T = 9</b>	7,9,7	9,7,9	3,1,9	9,7,3	3,9,7
<b>T = 10</b>	1,1,7	3,9,1	1,9,7	3,9,3	7,1,3
<b>T = 11</b>	1,9,9	7,1,3	9,9,9	9,1,9	1,1,9
<b>T = 12</b>	3,7,7	1,3,7	9,9,3	7,1,7	3,1,1
<b>T = 13</b>	1,3,3	1,1,9	3,7,3	9,3,3	9,3,9
<b>T = 14</b>	3,3,1	3,9,9	9,1,7	9,7,1	1,7,3

მატრიცა-2

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	1,9,9	3,1,9	9,9,1	1,3,1	7,7,3
<b>T = 1</b>	3,1,1	9,3,9	9,3,3	3,9,1	9,3,7
<b>T = 2</b>	7,7,7	7,9,1	9,9,9	7,1,3	3,1,9
<b>T = 3</b>	1,3,9	9,1,3	9,1,1	1,3,7	1,9,7
<b>T = 4</b>	9,7,7	3,3,7	7,3,1	1,1,9	7,7,9
<b>T = 5</b>	3,3,1	3,7,1	7,3,9	3,9,7	9,9,3
<b>T = 6</b>	1,7,9	7,9,7	1,7,7	1,7,1	3,1,1
<b>T = 7</b>	9,3,7	7,1,7	1,1,1	3,7,9	9,1,7
<b>T = 8</b>	3,1,7	9,9,9	7,9,9	3,3,9	9,7,9
<b>T = 9</b>	3,9,3	3,7,7	3,1,3	9,7,3	9,9,7
<b>T = 10</b>	7,7,1	1,3,3	1,9,3	1,7,3	7,3,3
<b>T = 11</b>	9,7,1	1,9,1	3,7,1	9,1,1	9,3,1
<b>T = 12</b>	7,3,3	3,7,3	1,1,3	3,1,7	7,9,3
<b>T = 13</b>	7,1,9	1,9,3	9,1,9	3,9,9	9,1,3
<b>T = 14</b>	3,9,7	7,1,1	3,3,3	1,1,7	7,3,7

თითოეული მატრიცა შეიცავს მარტივ რიცხვთა დაბოლოებების **75** ვარიანტს (64 განსხვავებული და **11** გამორება ამ 64-დან) განაწილებულს თანაბრად ხუთ სვეტსა და **15** სტრიქონში. მატრიცის ნომერი შეირჩევა  $S_{i-1}$  –ის მნიშვნელობით, ხოლო მატრიცაში სვეტისა და სტრიქონის ნომრები შესაბამისად განისაზღვრება  $K_{i-1}$  და  $T_{i-1}$  მნიშვნელობებით. მაგალითად, ვთქვათ:

$$N_0 = 4935589, P_0 = 239, Q_0 = 193, R_0 = 107, (a_0, b_0, c_0) = (9, 3, 7).$$

როცა  $i = 1$ , მაშინ

$$\varphi_0(N_0) = 238 \cdot 192 \cdot 106 = 4843776, K_0 = 4843776 \pmod{10} = 6,$$

$$T_0 = 4843776 \pmod{15} = 6, \quad S_0 = 4843776 \pmod{3} = 0.$$

ე. შეირჩევა ნულოვანი მატრიცის  $K = 6$  სვეტსა და  $T = 6$  სტრიქონში მოთავსებული ( $d_0, e_0, f_0$ ) წყვილი, რომელიც არის (1, 9, 1);

5. განისაზღვრება აზალი მარტივი  $P_i, Q_i$  და  $R_i$  რიცხვები შემდეგი თანაფარდობებით:

$P_i = P_{i-1} + d_{i-1} - a_{i-1} + 10\alpha, Q_i = Q_{i-1} + e_{i-1} - b_{i-1} + 10\alpha$  და  $R_i = R_{i-1} + f_{i-1} - c_{i-1} + 10\alpha$ , სადაც  $\alpha \in \mathbb{N}$  და იცვლება ერთიდან ზემოთ მანამ, სანამ თითოეული რიცხვი არ განდება მარტივი (აյ გამოიყენება მარტივი რიცხვის დამდგენი ალგორითმი). განხილული მაგალითის შემთხვევაში, როცა  $i = 1$ , მიღება:

$$P_1 = P_0 + d_0 - a_0 + 10\alpha = 239 + 1 - 9 + 10\alpha = 231 + 10\alpha,$$

როცა  $\alpha = 1$ , მაშინ  $P_1 = 241$  და ეს რიცხვი მარტივია;

$$Q_1 = Q_0 + e_0 - b_0 + 10\alpha = 193 + 9 - 3 + 10\alpha = 199 + 10\alpha,$$

როცა  $\alpha = 3$ , მაშინ  $Q_1 = 229$  და ეს რიცხვი მარტივია;

$$R_1 = R_0 + f_0 - c_0 + 10\alpha = 107 + 1 - 7 + 10\alpha = 101 + 10\alpha,$$

როცა  $\alpha = 3$ , მაშინ  $R_1 = 131$  და ეს რიცხვი მარტივია;

6. გამოითვლება  $N_i = P_i \cdot Q_i \cdot R_i$ ;

7. გამოითვლება:  $m_i = a_{i-1} + b_{i-1} + c_{i-1} + d_{i-1} + e_{i-1} + f_{i-1}$ ;

8. გამოითვლება:  $P^*_i = ((P_i - 1)/2 - m_i)^2 \pmod{P_i}, Q^*_i = ((Q_i - 1)/2 - m_i)^2 \pmod{Q_i}$  და  $R^*_i = ((R_i - 1)/2 - m_i)^2 \pmod{R_i}$ , სადაც  $P^*_i, Q^*_i$  და  $R^*_i$  კვადრატული გამონაქვითებია, შესაბამისად  $P_i, Q_i$  და  $R_i$  მოდულებით.

ეს რვა პუნქტი გამორდება სამ ციკლში  $i = 1, i = 2$  და  $i = 3$  მნიშვნელობებისთვის. ამასთან, ყოველი შემდეგი ციკლის საწყის პარამეტრებს წარმოადგენს წინა ციკლში მიღებული  $P, Q$  და  $R$  მნიშვნელობები.

სამივე ციკლის შესრულების შემდეგ  $i = 4$  მნიშვნელობისათვის გამოითვლება  $T_{i-1}, \varphi_{i-1}(N_{i-1})$  და  $S_{i-1}$  მნიშვნელობები. ზემოთ აღწერილი პროცედურების შესრულების შედეგად მიიღება:

$$N_1, N_2, N_3, \varphi_1(N_1), \varphi_2(N_2), \varphi_3(N_3),$$

$$P_1, P_2, P_3, Q_1, Q_2, Q_3, R_1, R_2, R_3, P^*_1, P^*_2, P^*_3, Q^*_1, Q^*_2, Q^*_3,$$

$$R^*_1, R^*_2, R^*_3, K_0, K_1, K_2, K_3, T_0, T_1, T_2, T_3, S_0, S_1, S_2 \text{ და } S_3 \text{ მნიშვნელობები.}$$

$N, \varphi(N), P, Q, R, P^*, Q^*$  და  $R^*$  მნიშვნელობების მიხედვით გამოითვლება ერთსახელა პარამეტრებისათვის როგორც ორ-ორი, ისე სამ-სამი წევრის ნამრავლები და ჯამები. მიღებული შედეგების მიხედვით შეივსება ცხრილი 1 და თითოეულს მიენიჭება რიგითი ათობითი ნომერი.

ცხრილი 1

$N$	$\varphi(N)$	$P$	$Q$
$N_1$	$\varphi_1$	$P_1$	$Q_1$
$N_2$	$\varphi_2$	$P_2$	$Q_2$
$N_3$	$\varphi_3$	$P_3$	$Q_3$
$N_1 \cdot N_2$	$\varphi_1 \cdot \varphi_2$	$P_1 \cdot P_2$	$Q_1 \cdot Q_2$
$N_1 \cdot N_3$	$\varphi_1 \cdot \varphi_3$	$P_1 \cdot P_3$	$Q_1 \cdot Q_3$
$N_2 \cdot N_3$	$\varphi_2 \cdot \varphi_3$	$P_2 \cdot P_3$	$Q_2 \cdot Q_3$
$N_1 + N_2$	$\varphi_1 + \varphi_2$	$P_1 + P_2$	$Q_1 + Q_2$
$N_1 + N_3$	$\varphi_1 + \varphi_3$	$P_1 + P_3$	$Q_1 + Q_3$
$N_2 + N_3$	$\varphi_2 + \varphi_3$	$P_2 + P_3$	$Q_2 + Q_3$
$N_1 \cdot N_2 \cdot N_3$	$\varphi_1 \cdot \varphi_2 \cdot \varphi_3$	$P_1 \cdot P_2 \cdot P_3$	$Q_1 \cdot Q_2 \cdot Q_3$
$N_1 + N_2 + N_3$	$\varphi_1 + \varphi_2 + \varphi_3$	$P_1 + P_2 + P_3$	$Q_1 + Q_2 + Q_3$

$R$	$P^*$	$Q^*$	$R^*$
$R_1$	$P_1^*$	$Q_1^*$	$R_1^*$
$R_2$	$P_2^*$	$Q_2^*$	$R_2^*$
$R_3$	$P_3^*$	$Q_3^*$	$R_3^*$
$R_1 \cdot R_2$	$P_1^* \cdot P_2^*$	$Q_1^* \cdot Q_2^*$	$R_1^* \cdot R_2^*$
$R_1 \cdot R_3$	$P_1^* \cdot P_3^*$	$Q_1^* \cdot Q_3^*$	$R_1^* \cdot R_3^*$
$R_2 \cdot R_3$	$P_2^* \cdot P_3^*$	$Q_2^* \cdot Q_3^*$	$R_2^* \cdot R_3^*$
$R_1 + R_2$	$P_1^* + P_2^*$	$Q_1^* + Q_2^*$	$R_1^* + R_2^*$
$R_1 + R_3$	$P_1^* + P_3^*$	$Q_1^* + Q_3^*$	$R_1^* + R_3^*$
$R_2 + R_3$	$P_2^* + P_3^*$	$Q_2^* + Q_3^*$	$R_2^* + R_3^*$
$R_1 \cdot R_2 \cdot R_3$	$P_1^* \cdot P_2^* \cdot P_3^*$	$Q_1^* \cdot Q_2^* \cdot Q_3^*$	$R_1^* \cdot R_2^* \cdot R_3^*$
$R_1 + R_2 + R_3$	$P_1^* + P_2^* + P_3^*$	$Q_1^* + Q_2^* + Q_3^*$	$R_1^* + R_2^* + R_3^*$

ამ ცხრილში მოთავსებული 88 შედეგიდან ზღება საიდუმლო გასაღების შემადგენლობაში მონაწილე მონაცემების არჩევა მე-2 ცხრილისა და  $K$ -ს მნიშვნელობის მიხედვით.

ცხრილი 2

$K$	გასაღების მიმდევრობის შემადგენლობაში მონაწილე მონაცემები
$K = 0$	<b>23, 39, 54, 1, 64, 73, 81, 18, 57, 76, 43, 29, 14, 8, 46, 85, 33, 9, 40, 11</b>
$K = 2$	<b>5, 62, 37, 26, 15, 48, 87, 70, 10, 41, 22, 66, 32, 51, 74, 82, 12, 45, 29, 56</b>
$K = 4$	<b>78, 50, 19, 11, 31, 61, 88, 67, 2, 24, 42, 65, 80, 13, 34, 71, 55, 16, 6, 44</b>
$K = 6$	<b>30, 52, 69, 4, 36, 53, 60, 77, 6, 44, 79, 25, 40, 86, 58, 72, 17, 5, 84, 27</b>
$K = 8$	<b>28, 84, 20, 7, 38, 49, 56, 68, 21, 59, 27, 3, 75, 83, 63, 47, 35, 4, 52, 13</b>

ცხრილის თითოეულ სტრიქონში მოთავსებულია ოცი მონაცემი მათი გამომსახველი ნომრების შემთხვევითი განაწილებით. საიდუმლო გასაღები შეიცავს სამოც მონაცემს, ე.ი. სამ სტრიქონს. პირველი სტრიქონი აირჩევა  $K_1$ -ის, მეორე  $K_2$ -ის, ხოლო მესამე კი  $K_3$ -ის მნიშვნელობების მიხედვით ( $K$ -ს მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს სტრიქონების გამორჩება). ამ სამოც მონაცემში შემავალი ათობითი ციფრები განლაგდება ერთმანეთის გვერდით მარცხნიდან მარჯვნივ.

მაგალითად, თუ  $K_1 = 0$ ,  $K_2 = 2$  და  $K_3 = 6$ , მაშინ საიდუმლო გასაღების მიმდევრობაში შემავალი მონაცემებია:

23, 39, 54, 1, 64, 73, 81, 18, 57, 76, 43, 29, 14, 8, 46, 85, 33, 9, 40, 11, 5, 62, 37, 26, 15, 48, 87, 70, 10, 41, 22, 66, 32, 51, 74, 82, 12, 45, 29, 56, 30, 52, 69, 4, 36, 53, 60, 77, 6, 44, 79, 25, 40, 86, 58, 72, 17, 5, 84, 27.

ცხადია, რომ გასაღებში შემავალი ციფრების რაოდენობა დამოკიდებულია საწყისი მარტივი რიცხვების თანრიგებისა და გამოთვლების შედეგად მიღებული შედეგების თანრიგების რაოდენობაზე.

მე-3 ცხრილში მოცემულია ფორმირებული გასაღებების სიგრძეები როგორც ათობითი თანრიგების, ისე ორობითი ბიტების რაოდენობის მიხედვით სამი მარტივი რიცხვის სხვადასხვა სამულების შემთხვევაში. იქვე ნაჩვენებია ამ გასაღებების ფორმირებაზე დახარჯული დროის მიახლოებითი მნიშვნელობები.

### ცხრ.3

$N_0$	$P_0$	$Q_0$	$R_0$	ათობითი თანრიგების რაოდენობა	ორობითი ბიტების რაოდენობა	დახარჯული დრო მილიწამებში
1001	13	11	7	232	998	0, 90150
932539661	983	977	971	431	1721	1, 2106
967458601121	9901	9887	9883	513	2052	1, 833
7997080271798713	199999	199967	199961	626	2504	25, 1251

ცხრილის მიხედვით, როცა  $N_0 = 932539661$ , მაშინ საიდუმლო გასაღების ორობითი ბიტების რაოდენობაა 1724 და 128 ბიტის შემცველი ინფორმაციული ბლოკის დაშიფრისას შესაძლებელია 13 (1724/128 ≈ 13) მიმდევრობითი ბლოკის დაშიფრისას გასაღებით.

როცა  $N_0 = 7997080271798713$  მაშინ საიდუმლო გასაღებების ბლოკების რაოდენობა 19-ის ტოლია. 64 ბიტის შემცველი ინფორმაციული ბლოკების დაშიფრისას საიდუმლო გასაღების ბლოკების რაოდენობა განხილული შემთხვევისათვის გაიზრდება ორჯერ (26 და 38). საიდუმლო გასაღების ორობითი ბიტების შემცველი კომბინაციის სახით გამოყენებისას მიზანშეწონილია ამ კომბინაციის დაძვრა მარცხნივ ერთი სიმბოლოთი (ათობითი ციფრის შესაბამისი ათი ორობითი კომბინაციის ნაცვლად მიღება 16 კომბინაცია).

ალგორითმში გამოყენებული მატრიცებისა და როგორც პირველი ცხრილის (გამოანგარიშებული პარამეტრებისათვის გარკვეული ათობითი ნომრის მინიჭება), ისე მეორე ცხრილის

(თითოეულ სტრიქონში შემავალი პოზიციათა ათობითი ნომრები) შემადგენლობები წარმოადგენს ე.წ საიდუმლო გასაღებებს და ისინი იცვლება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

### 3. დასკვნა

ჩვენს მიერ შემუშავებულ ალგორითმს აქვს შემდეგი ღირსებები:

1. კავშირის ხაზში არ გადაიცემა საიდუმლო გასაღების ფორმირებაში უშუალოდ მონაწილე არცერთი პარამეტრის მნიშვნელობა; კორპორაციულ ქსელში ჩართული კანონიერი მომხმარებლების მომსახურე პერსონალმა არ იცის საიდუმლო გასაღებების მნიშვნელობები (ბანდიტური კრიპტოანალიზის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია);

2. მიუხედავად იმისა, რომ არაკანონიერ მომხმარებელს შეუძლია  $N_0$  რიცხვის ხელში ჩაგდება და მისი დაშლა მარტივ მარავლებად, ის მაინც ვერ გამოიცნობს საიდუმლო გასაღების მნიშვნელობას (ალგორითმში მოცემულია გაგრძელებების მრავალი ვარიანტი: მარტივი რიცხვების დაბოლოებების არჩევის **64** ვარიანტი სამჯერ, გამოანგარიშებული პარამეტრებისათვის რიგითი ნომრების მინიჭება- ვარიანტების რაოდენობა **88!**-ის ტოლია, საიდუმლო გასაღებში შემავალი გამოთვლილი პარამეტრების მიმდევრობა და სხვ.);

3. რადგან საიდუმლო გასაღებში შემავალი ათობითი ციფრების რაოდენობა შემთხვევითი რიცხვია (დამოკიდებულია სასტარტო  $N_0$  რიცხვზე და მეორე ცხრილზე), ამიტომ საიდუმლო გასაღებების ბლოკების რაოდენობაც წარმოადგენს საიდუმლოებას (უცნობია მომსახურე პერსონალისათვის);

4. ეს ალგორითმი საიდუმლო გასაღებში შემავალი ათობითი ციფრების რაოდენობის საგრძნობლად გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, თუ ინფორმაციის გადამცემი გამოიყენებს სამი დიდი მარტივი რიცხვების არა ერთ, არამედ ორ, სამ და ა.შ. სამულებს. ამ შემთხვევაში თითოეულ სამულზე დაფორმირდება შესაბამისი საიდუმლო გასაღები და შემდეგ ამ გასაღებების ერთმანეთის მიყოლებით მიმდევრობითი გაერთიანებით მიიღება ერთი მთლიანი გასაღები;

5. ფორმირებული საიდუმლო გასაღები გამოიყენება მხოლოდ ერთი ღია ტექსტის დასაშიფრად (ყოველი შემდეგი ღია ტექსტის დასაშიფრად ფორმირდება ახალი საიდუმლო გასაღები);

6. რაც უფრო დიდია გასაღების სიგრძე, მით უფრო მნელია ყველა შესაძლებელი ვარიანტის გადარჩევა (თუ საიდუმლო გასაღები შედგება  $n$  თანრიგისგან, მაშინ გადასარჩევ ვარიანტთა რაოდენობა **10<sup>n</sup>**-ის ტოლია).

ავტორების მიერ დამუშავებულია ამ ალგორითმის განმახორციელებელი პროგრამული უზრუნველყოფა.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. კუციავა ვ., კაცაძე გ., დიაკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა. სტუ. თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი”.
2. კუციავა ვ., კუციავა ა., გოგოლაძე გ. (2015). მონაცემთა ბლოკის დაშიფვრის არასტანდარტული სიმეტრიული კრიპტოალორითმი. სტუ-ს შრ.ქრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №1(19), გვ. 30-37.

## **FORMING ALGORITHM OF SECRET KEY FOR SYMMETRICAL CRYPTOGRAPHIC SYSTEMS OF INFORMATION ENCODING**

Kutsiava Vasil, Kutsiava Ana, Gogua Ketevan,  
Gogoladze Giorgi

Georgian Technical University

### **Summary**

The paper describes original algorithm for the formation of secret key of information encoding for symmetrical cryptographic systems. This algorithm helps to generate secret key with random value and random length. The key is composed from large amount of sequential decimal digits and it is formed programmatically as a result of performing certain procedures entailed in the algorithm. None of the true values of the parameters participating in encoding procedures are transmitted through the connection line of corporate network. The value of the key is unknown for the personnel serving legal users of the corporate network. Presented algorithm is characterized by high speed and crypto durability.

## **АЛГОРИТМ ФОРМИРОВАНИЯ СЕКРЕТНОГО КЛЮЧА ДЛЯ СИММЕТРИЧНЫХ КРИПТОГРАФИЧЕСКИХ СИСТЕМ ШИФРОВАНИЯ ИНФОРМАЦИИ**

Куциава В.А., Куциава А.В., Гогуа К.Н., Гоголадзе Г.Н.

Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Рассмотрен оригинальный алгоритм формирования секретного ключа для симметричных криптографических систем шифрования информации. При помощи этого алгоритма осуществляется получение секретного ключа с случайным значением и случайной длиной. Ключ представляет собой множество десятичных цифр, прописанных последовательно и формируется программно в следствии выполнения определенных процедур, приведенных в алгоритме. Любое действительное значение параметра, применяемого в процедурах шифрования, не передается в линиях связи корпоративной сети. Значение ключа неизвестно обслуживающему персоналу законных абонентов корпоративной сети. Предложенный алгоритм характеризуется высокой криптоустойчивостью и быстродействием.

## ინფორმაციის დაშივრის არასტანდარტული სიმეტრიული პრიპროგრამიული ალგორითმი

გასილ კუციავა, ანა კუციავა, გიორგი გოგოლაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ათობითი სისტემით წარმოდგენილი **ASCII** ან **EBCDIC** კოდის ნებისმიერი რაოდენობის სიმბოლოებისგან შედგენილი მონაცემთა ბლოკის დაშივრა არასტანდარტული სიმეტრიული კრიპტოსისტემის ალგორითმის გამოყენებით. დაშივრა მიმდინარეობს შემთხვევითი მნიშვნელობის და შემთხვევითი სიგრძის მქონე საიდუმლო გასაღებით, რომლის მიღება ხდება პროგრამულად გასაღების მაფორმირებელი ალგორითმის მიხედვით. დაშივრა ხორციელდება ვიუინერის მეთოდით (ერთი და იმავე გასაღების მრავალჯერ გამოყენება ან ავტოგასაღების რეჟიმი, რომელშიც ძირითადი გასაღების ამოწურვის შემდეგ საიდუმლო გასაღებად გამოიყენება საწყისი და ტექსტი ან დაშივრის შედეგად მიღებული შიფრტექსტი).

**საკვანძო სიტყვები:** არასტანდარტული სიმეტრიული ალგორითმი. ვიუინერის მეთოდი. საიდუმლო გასაღები. კრიპტომედეგობა. სწრაფქმედება.

### 1. შესავალი

კორპორაციულ ქსელებში ჩართულ კანონიერ მომხმარებლებს შორის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება როგორც სიმეტრიული, ისე ასიმეტრიული კრიპტოგრაფიული ალგორითმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბიუჯეტის (10 მილიონ ლონარამდე) მქონე კორპორაციებისათვის ადვილად განსახორციელებელია ისეთი სიმეტრიული კრიპტოგრაფიული ალგორითმების “გატეხა”, რომელთა საიდუმლო გასაღების სიგრძე არ აღემატება **64** – ს (“გატეხა” ხორციელდება გასაღების ყველა მნიშვნელობის გადამრჩევი **FPGA** და **ASIC** მიკროსქემების ან სუპერკომპიუტერის გამოყენებით). ასეთ ალგორითმს წარმოადგენს **DES** ალგორითმი, რომლის გასაღების ყველა მნიშვნელობა **2<sup>56</sup>**-ის ტოლია. ამის გამო **DES** სტანდარტის ნაცვლად გამოიყენება **AES** სტანდარტი, რომლის საიდუმლო გასაღების სიგრძეა **128**, **192** ან **256** ბიტი, როლო დასაშიფრი ბლოკის - **128** ბიტი. მაგრამ გამოთვლითი ტექნოლოგიების განვითარებამ უახლოეს მომავალში შეიძლება მიაღწიოს ისეთ დონეს, რომ შესაძლებელი გახდეს **AES** სტანდარტის “გატეხაც”.

არსებული კრიპტოგრაფიული ალგორითმების ერთ-ერთი ნაკლია ის გარემოებაც, რომ კორპორაციულ ქსელში ჩართული კანონიერი მომხმარებლების პერსონალისათვის ცნობილია როგორც საიდუმლო გასაღების მნიშვნელობა, ისე თვით ალგორითმი. ამ გარემოების გამო არაკანონიერ მომხმარებლებს შეუძლიათ ბანდიტური კრიპტოანალიზის შედეგად (დაშინების, წამების, შანტაჟის ან ქრთამის მიცემის გზით) მოიპოვონ გასაღების მნიშვნელობა და მონაცემთა დაშივრისათვის გამოყენებული ალგორითმი.

აღნიშვნული ნაკლულოვანებების უგულებელსაყოფად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კორპორაციულ ქსელებში გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად ისეთი არასტანდარტული სიმეტრიული ალგორითმის შემუშავება, რომელიც მუშაობს გაცილებით დიდი გასაღებით, კავშირის ხაზში არ საჭიროებს როგორც დაშივრის, ისე გაშიფვრის პროცედურებში უშუალოდ მონაწილე არცერთი პარამეტრის მნიშვნელობის გადაცემას და მომსახურე პერსონალმა არ იცის დამშიფრავი საიდუმლო გასაღების მნიშვნელობა. შემუშავებული ალგორითმი გამოირჩევა მაღალი კრიპტომედეგობით.

## 2. ძირითადი ნაწილი

დასაშიფრი ღია ტექსტის მონაცემები **ASCII** ან **EBCDIC** კოდში შემავალი სიმბოლოებია წარმოდგენილი ათობითი სისტემის შესაბამისი ნომრებით. თითოეული სიმბოლო გამოსახულია სამთანრიგა ათობითი რიცხვით. ღია ტექსტის დაშიფვრისას მასში შემავალ სიმბოლოების შესაბამისი ათობითი ციფრების მიმდევრობის ქვეშ მოთავსდება ფორმირებული საიდუმლო გასაღების ციფრების მიმდევრობა.

გასაღების ფორმირებისას ხდება

$$K_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \bmod 10, \quad T_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \bmod 15, \quad S_{i-1} = \varphi_{i-1}(N_{i-1}) \bmod 3$$

მნიშვნელობების გამოთვლა, სადაც  $K_{i-1}$ ,  $T_{i-1}$ ,  $S_{i-1}$  არაუარყოფითი მთელი რიცხვებია,  $\varphi_{i-1}(N_{i-1})$  ეილერის ფუნქცია, ხოლო  $N_{i-1}$  სამი მარტივი რიცხვის ნამრავლი [3]. რადგან ეილერის ფუნქციის მნიშვნელობა ლუწი რიცხვია, ამიტომ  $K_{i-1}$  –ის გამოთვლისას მიღება **0, 2, 4, 6** ან **8** რიცხვებიდან ერთ-ერთი.  $T_{i-1}$  მიღებს ერთ-ერთ მნიშვნელობას **[0, 14]** შუალედიდან, ხოლო  $S_{i-1}$  კი **0, 1** და **2** მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს (გამოთვლა ხორციელდება  $i = 1, 2, 3$  და **4** მნიშვნელობებისათვის).

ღია ტექსტის ქვეშ საიდუმლო გასაღების მოთავსების შემდეგ შესრულდება მარცხნიდან მარჯვნივ სამ-სამი, ოთხ-ოთხი ან ხუთ-ხუთი ციფრებით გამოსახული რიცხვების შეკრება  $m$  მოდულით. თითოეულ ჯგუფში შემავალი ციფრების რაოდენობის განსაზღვრა ხდება  $S_3$  –ის მნიშვნელობის მიხედვით ( $S_3 = 0$  – სამი ციფრი,  $S_3 = 1$  – ოთხი ციფრი,  $S_3 = 2$  – ხუთი ციფრი). მიმდევრობის სამ-სამად დაყოფისას თითოეული სამთანრიგა ჯგუფისათვის  $m$  წარმოადგენს ინდივიდუალურ მნიშვნელობას, ხოლო ოთხ-ოთხ და ხუთ-ხუთ ციფრიან ჯგუფებად დაყოფისას  $m$  –ის მნიშვნელობა, შესაბამისად, **10000** და **100000** –ის ტოლია. აქეე უნდა აღინიშნოს, რომ:

1) თუ დასაშიფრ ღია ტექსტის მონაცემებში შემავალი ციფრების რაოდენობა არაა ოთხის ან ხუთის ჯერადი, მაშინ დაყოფის შედეგად მიღებული ბოლო მარჯვენა ჯგუფი შეივსება საჭირო რაოდენობის ნულებით;

2) თუ საიდუმლო გასაღებში შემავალი ციფრების მიმდევრობაში შემავალი ციფრების რაოდენობა არაა **3** –ის, **4** –ის ან **5** –ის ჯერადი, მაშინ დაყოფის შედეგად მიღებული ბოლო მარჯვენა ჯგუფი გაუქმდება.

ციფრების მიმდევრობის სამ-სამად დაყოფისას  $m$  მოდულის ინდივიდუალური მნიშვნელობების განსაზღვრა ხდება **1, 2** და **3** მატრიცების საშუალებით. თითოეული მატრიცა **15 × 5** განზომილებისაა და შეიცავს მოდულების **75** მნიშვნელობას.

ამ სამი მატრიციდან ერთ-ერთის არჩევა ხდება  $S$  –ის მნიშვნელობის მიხედვით, ხოლო მატრიცის სკეტისა და სტრიქონის არჩევა, შესაბამისად,  $K$  და  $T$  –ს მნიშვნელობის მიხედვით (თავდაპირველად სკეტი და შემდეგ სტრიქონი). რადგან ალგორითმის მიხედვით გამოთვლილია  $S, K$  და  $T$  სამულების ოთხი მნიშვნელობა, ამიტომ მოდულების პირველი ოცი მნიშვნელობა შეირჩევა  $K_0, T_0, S_0$  სამულით, მეორე ოცეული  $K_1, T_1, S_1$  სამულით, მესამე –  $K_2, T_2, S_2$  სამულით, ხოლო მეოთხე –  $K_3, T_3, S_3$  სამულით. ე.ი. სულ მიღება მოდულის **80** მნიშვნელობა ( $S, K$  და  $T$  –ს მნიშვნელობიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს მოდულების მნიშვნელობების გამორჩება). ოთხოცი ჯგუფის შემდეგ დაიწყება გამურება.

**მატრიცა 1 ( $S = 0$ )**

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	713	444	961	518	318
<b>T = 1</b>	322	734	687	811	928
<b>T = 2</b>	438	612	568	293	871
<b>T = 3</b>	824	917	482	378	384
<b>T = 4</b>	374	712	728	648	311
<b>T = 5</b>	538	338	554	958	529
<b>T = 6</b>	628	934	817	558	283
<b>T = 7</b>	711	473	356	813	496
<b>T = 8</b>	268	588	638	976	733
<b>T = 9</b>	924	504	437	643	967
<b>T = 10</b>	821	638	578	715	658
<b>T = 11</b>	362	742	296	348	513
<b>T = 12</b>	938	278	753	478	684
<b>T = 13</b>	464	734	989	831	873
<b>T = 14</b>	803	393	621	929	492

**მატრიცა 2 ( $S = 1$ )**

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	810	673	512	401	379
<b>T = 1</b>	733	643	578	938	268
<b>T = 2</b>	530	285	490	895	824
<b>T = 3</b>	967	713	283	612	811
<b>T = 4</b>	568	917	374	628	473
<b>T = 5</b>	529	356	588	924	384
<b>T = 6</b>	845	310	495	295	560
<b>T = 7</b>	728	554	817	356	638
<b>T = 8</b>	989	753	296	528	437
<b>T = 9</b>	515	905	940	780	505
<b>T = 10</b>	685	580	570	425	305
<b>T = 11</b>	734	568	378	3843	322
<b>T = 12</b>	444	687	293	704	713
<b>T = 13</b>	518	928	961	811	872
<b>T = 14</b>	619	783	708	521	654

**მატრიცა 3 ( $S = 2$ )**

	<b>K = 0</b>	<b>K = 2</b>	<b>K = 4</b>	<b>K = 6</b>	<b>K = 8</b>
<b>T = 0</b>	972	512	472	702	602
<b>T = 1</b>	382	768	572	649	889
<b>T = 2</b>	587	812	932	324	757
<b>T = 3</b>	843	313	613	988	501
<b>T = 4</b>	298	343	831	430	942
<b>T = 5</b>	745	971	281	893	301
<b>T = 6</b>	351	624	875	513	498
<b>T = 7</b>	968	527	770	561	712
<b>T = 8</b>	402	861	488	270	652
<b>T = 9</b>	635	462	582	961	318
<b>T = 10</b>	858	594	723	663	363
<b>T = 11</b>	539	952	460	791	803
<b>T = 12</b>	782	436	677	477	922
<b>T = 13</b>	451	682	320	713	572
<b>T = 14</b>	697	734	957	374	445

მაგალითად, თუ  $S_0 = 0$ ,  $K_0 = 2$ ,  $T_0 = 11$ ,  $S_1 = 1$ ,  $K_1 = 0$ ,  $T_1 = 1$ ,  $S_2 = 2$ ,  $K_2 = 4$ ,  $T_2 = 8$ ,  $S_3 = 0$ ,  $K_3 = 6$  და  $T_3 = 5$ , მაშინ მიღება მოდულების მნიშვნელობების შემდეგი ოთხმოცი მნიშვნელობა: 444, 734, 612, 917, 713,338, 934, 473, 588, 504, 638, 742, 278, 734, 393, 362, 742, 296, 348, 513, 810, 733, 530, 967, 568, 529, 845, 728, 989, 515, 685, 734, 444, 518, 619, 382, 768, 572, 649, 889, 472, 572, 932, 613, 831, 281, 875, 770, 488, 582, 723, 460, 677, 320, 957, 402, 861, 488, 270, 652, 518, 811, 293, 378, 648, 958, 558, 813, 976, 643, 712, 348, 478, 831, 929, 745, 971, 281, 893, 301.

როდესაც დია ტექსტში შემავალი ათობითი რიცხვების რაოდენობა აღემატება საიდუმლო გასაღებში შემავალი ციფრების რაოდენობას, მაშინ ხდება გასაღების თანამიმდევრობის გამეორება სარკული ანარეკლით (ციფრების წაკითხვა მოხდება მარჯვნიდან მარცხნივ) ან დაშიფვრა გაურძელდება ავტოგასაღების რეჟიმში (შიფრტექსტის ან დია ტექსტის ციფრების მიმდევრობის გამოყენება მარცხნიდან მარჯვნივ). ამ სამი რეჟიმიდან ერთ-ერთის არჩევა ხდება  $S_2$ -ის მნიშვნელობის მიხედვით შემდეგნაირად:

- 1)  $S_2 = 0$  – გასაღები მეორდება საჭიროების მიხედვით;
- 2)  $S_2 = 1$  – საწყისი გასაღების ამოწურვის შემდეგ გასაღების როლს ასრულებს მიღებული შიფრტექსტი დასაწყისიდან;
- 3)  $S_2 = 2$  – საწყისი გასაღების ამოწურვის შემდეგ გასაღების როლს ასრულებს დია ტექსტი დასაწყისიდან.

ალგორითმში გამოყენებული მატრიცები საიდუმლო გასაღებებია და მათი შედგენილობა ცნობილი უნდა იყოს მხოლოდ კორპორაციულ ქსელში ჩართული კანონიერი მომხმარებლებისათვის. ალგორითმის კრიპტომედეგობის გასაზრდელად მიზანშეწონილია ამ მატრიცების შედგენილობის ცვლილება დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.

შიფრტექსტის გაშიფვრის შესასრულებლად მიმღებში შიფრტექსტს ქვეშ მიეწერება საიდუმლო გასაღები და შესრულდება გამოკლება იმავე მოდულით. უარყოფითი რიცხვის მიღებისას ხდება მოდულის მნიშვნელობის მიმატება.

### 3. დასკვნა

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ალგორითმს აქვს შემდეგი ღირსებები:

1. ალგორითმის პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პარამეტრის მნიშვნელობა უცნობია მომსახურე პერსონალისათვის;

2. დაშიფვრა შეიძლება შესრულდეს როგორც მონაცემების ბლოკებად დაყოფით (ერთი გასაღების მრავალჯერ გამოყენებით), ისე დაყოფის გარეშე (ავტოგასაღების რეჟიმი შიფრტექსტის ან დია ტექსტის გამოყენებით). ამ რეჟიმების არჩევა ხდება პროგრამულად გამოთვლილი პარამეტრების მნიშვნელობების მიხედვით;

3. ალგორითმში შესრულებული გამოთვლების შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით ხდება სამთანრიგა ათობითი რიცხვებით წარმოდგენილი დასაშიფრი სიმბოლოების შესატყვისი ათობითი ციფრების მიმდევრობის დაყოფა მარცხნიდან მარჯვნივ სამ, ოთხ ან ხუთციფრიან ჯგუფებად და შემდეგ თითოეული ჯგუფის დაშიფვრა მოდულის ინდივიდუალური მნიშვნელობის გამოყენებით. ამ უკანასკნელის არჩევა ხდება სპეციალური მატრიცებიდან გამოთვლით მიღებული პარამეტრების მნიშვნელობების მიხედვით.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. გუციავა ვ., კაცაძე გ., დიაკონიძე ქ. (2005). ინფორმაციის დაცვა. სტუ. თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი”.
2. გუციავა ვ., გუციავა ა., გოგოლაძე გ. (2015). მონაცემთა ბლოკის დაშივვრის არასტანდარტული სიმეტრიული კრიპტოალორითმი. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №1(19), გვ. 30-37.
3. გუციავა ვ., გუციავა ა., გოგუა ქ., გოგოლაძე გ. (2016). ინფორმაციის დაშივვრის სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაფორმირებელი ალგორითმი. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №1(21), გვ.70-77.

**NON-STANDARD SYMMETRICAL CRYPTOGRAPHIC ALGORITHM OF INFORMATION ENCODING**

Kutsiava Vasil, Kutsiava Ana, Gogoladze Giorg  
Georgian Technical University

**Summary**

The paper describes encoding the block consisting from any number of symbols of ASCII or EBCDIC code represented by decimal system, using non-standard symmetrical cryptographic algorithm. Encoding process uses secret key with random value and random length, which is generated by the program with key forming algorithm. The encoding is performed using Visionery method (using the same key multiple times or auto key mode, where beginning open text or ciphered text is used as a secret key, after the main key is over).

**НЕСТАНДАРТНЫЙ СИММЕТРИЧНЫЙ АЛГОРИТМ ШИФРОВАНИЯ ИНФОРМАЦИИ**

Куциава В.А., Куциава А.В., Гоголадзе Г.Н.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрено шифрование блока данных, составленного из неограниченного количества символов **ASCII** или **EBCDIC** кодов, представленных в десятичной системе, с помощью алгоритма нестандартной симметричной криптосистемы. Шифрование производится секретным ключом, значение которого обеспечивается программно с использованием специального алгоритма и имеющего случайное значение и случайную длину. Шифрование осуществляется методом Виженера (многократное использование одного и того же ключа или режим автоключа, в котором используется исходный открытый текст или шифрованный текст после исчерпывания основного секретного ключа).

## კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის უნივერსალური მოდელის შესახებ

ვალერიან ქაკელია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის ცეზარის, ვიუინერის და ვერნამის მეთოდების ბაზაზე დამუშავებულია ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა/გაშიფვრის უნივერსალური მოდელი, აგრეთვე ამ მოდელის მარტალიზებელი ალგორითმი და ფუნქციონირებადი Microsoft Visual Studio .NET გარემოში პროგრამული მოდულები შემუშავებული დაპროგრამების ობიექტ-ორიენტირებულ ენაზე - C#, რაც პიროვნებებს მიცემს საშუალებას გაცვალონ ერთმანეთში მოკლეტექსტური შეტყობინებები ანუ ისაუბრონ „კრიპტოგრაფიის ენაზე“.

**საკვანძო სიტყვები:** კრიპტოგრაფია. საწყისი ტექსტური ინფორმაცია. შიფროტექსტი. საიდუმლო გასაღება. პროგრამული მოდული.

### 1. შესავალი

ცნობილია, რომ გამოთვლით სისტემებში ინფორმაციის დაცვის (საიდუმლოებისა და მთლიანობის ანუ ნამდვილობის) უზრუნველყოფის მიმართულება მეცნიერებაში დამკვიდრდა „კრიპტოგრაფიის“ სახელწოდებით [1,2]. პრაქტიკაში განიხილავთ კრიპტოგრაფიული სისტემების ორ ძირითად ჯგუფს: სიმეტრიულ და ასიმეტრიულ სისტემებს. სიმეტრიულ სისტემებს მიეკუთხნება ისეთი მეთოდები (კერძოდ, ცეზარის, ვიუინერის და ვერნამის), რომელთა მიხედვითაც ტექსტური ინფორმაციის - TI დაშიფვრა/გაშიფვრა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე სიმბოლოს (ეწ. დამშიფრავი სიმბოლო(ები)ს გამოყენებით. მას უწოდებენ აგრეთვე, დაშიფვრის დახურულ ან საიდუმლო გასაღებს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სიმეტრიულ სისტემებში გამოიყენება ერთიდაიგივე გასაღები, ინფორმაციის როგორც დასაშიფრად, ასევე მის გასაშიფრადაც.

ცნობილია აგრეთვე, რომ კრიპტოგრაფიის (როგორც სიმეტრიული, ასევე ასიმეტრიული სისტემების) მეთოდები ძირითადად დაფუძნებულია ერთიდამავე პრინციპზე, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს ტექსტურ ინფორმაციაში შემავალ სიმბოლოებზე წინასწარ განსაზღვრული მათემატიკური და ლოგიკური მანიპულაციების განხორციელებაში. განიხილავთ TI წარმოდგენის სამ სახეს [2]:

- დასაშიფრი TI ანუ საწყისი TI – STI ;
- დაშიფრული TI – ShiftTI (შიფროტექსტი);
- TI-ის დამშიფრავი (გამშიფრავი) დახურული (საიდუმლო) გასაღები - DamTI.

შევნიშნოთ, რომ სამივე სახის TI წარმოადგენს პკ კლავიატურიდან შეტანილი სიმბოლოების

ნაკრებისაგან ფორმირებულ სტრიქონს, კერძოდ:

$$STI = \{S_0 S_1 S_2 \dots S_m\},$$

$$ShiftTI = \{D_0 D_1 D_2 \dots D_m\},$$

$$DamTI = \{K_0 K_1 K_2 \dots K_n\},$$

სადაც,  $m+1$  და  $n+1$  - აღნიშნავს აღწერილ სტრიქონში შემავალი სიმბოლოების რაოდენობას ანუ მოცემული სტრიქონის სიგრძეს, ( $n \leq m$ ).

## 2. ძირითადი ნაწილი

მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია TI დაშიფვრა/გაშიფვრის უნივერსალური მოდელი (დამუშავებული ცეზარის, ვიუნინერის და ვერნამის მეთოდების ბაზაზე) და ამ მოდელის მარეალიზებული ალგორითმის პროგრამული მოდული (პროგრამა - დანართი (Application)), შემუშავებული დაპროგრამების ობიექტ-ორიენტირებულ ენაზე - C# და ფუნქციონირებადი Microsoft Visual Studio .NET გარემოში [3,4], რომელიც იძლევა საშუალებას განხორციელდეს დიალოგი მოსაუბრე პიროვნებებს შორის „კრიპტოგრაფიის ენაზე“. ამასთან იგულისხმება, რომ დაშიფვრა და გაშიფვრის ალგორითმებში, გამოყენებულია არა მარტო ინგლისური ენის – en (ლათინური ალფაბეტი), არამედ ქართული - ka და რუსული - ru ენების ფონტების შემცველი სიმბოლოების ნაკრებები და მათი შესაბამისი რიცხვითი კოდების მნიშვნელობები, რომლებიც ფიქსირდება კომპიუტერში პროგრამის Microsoft Visual studio 2010 (Default პრინციპით) ინსტალირების შედეგად.

აღვწეროთ ორ მოსაუბრე პიროვნებას, ვთქვათ, ხოსრიკასა და ანას შორის, ტექსტური ინფორმაციის გაცვლის პროცედურები და მათი მარეალიზებულ პროგრამებთან (რომლების საწყისი ტექსტების ძირითადი ნაწილი ნაჩვენებია დანართში 1-დაშიფვრის, ხოლო დანართში-2 გაშიფვრის) მუშაობის წესები. დაუშვათ, რომ ანაშ და ხოსრიკაშ გადაწყვიტეს ისაუბრონ „კრიპტოგრაფიის ენაზე“ (ნახ.1).



დამშიფრავ / გამშიფრავ) გასაღებს (DamTI),

გ) ქმინი პროგრამულ მოდულებს (შესაბამისად, ანა მოდულს - TIDasifvra დანართ 1, ხოლო ხოსრიკა მოდულს - TIGasifvra დანართ 2 მოცემული საწყისი ტექსტების მიხედვით) და უზრუნველყოფენ მათ ფუნქციონირებას Microsoft Visual Studio .NET გარემოში.

ანა შეასრულებს რა აღწერილ პუნქტებს, ჩატვირთავს (გაუშვებს) შექმნილ პროგრამს. ეკრანზე აისახება დიალოგური ფანჯარა - ფორმა (ნახ.2).

ა) ამზადებს ხოსრიკასთან გასაგზავნ STI და შეაქვს იგი ფორმაში მითითებულ S1 სტრიქონში (შევნიშნოთ, რომ STI-ის სტრიქონის სიგრძე შეზღუდულია ანუ მასში შემავალი სიმბოლოების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაახლოებით 120 სიმბოლოს (m <= 120), რაზედაც მიუთითებს ზემოთ აღნიშნული სიტყვა - „მოკლეტექსტური“),

ბ) შეიტანს ფორმაში მითითებულ S2 სტრიქონში ხოსრიკასთან შეთანხმებით არჩეულ (STI-ის დამშიფრავ) საიდუმლო გასაღებს ანუ ამ გასაღების შემცველ სიმბოლოებს (ვთქვათ, DamTI -> ანა\_GioPrИЙ);

დაუშვათ ისიც, რომ ანა არის ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ხოსრიკა მიმღები, რომელმაც უნდა გაშიფროს ანას მიერ გამოგზავნილი შიფროტექსტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსაუბრე პირები:

- ა) თავთავანთი კომპიუტერების ვინჩესტერ-ებზე ქმნიან საქაღალდეს სახელით: D:\VisaubroT\_Kriptografiis Enaze;
- ბ) ირჩევენ საიდუმლო (STI-ის

## ნახ.2

გ) დაწყაპუნებს ღილაკზე „დაშიფვრა“. შედეგად :

- ფორმირდება დამშიფრავი სტრიქონი [1,2];
  - სრულდება შეტანილი STI-ის დაშიფვრა (შიფროტექსტის ფორმირება - ნახ.3);
  - საქაღალდები D:\VisaubroT\_Kriptografiis Enaze, ფორმირდება ფაილი სახელით ShiftTI.txt, რომელიც შეიცავს დაშიფრულ ტექსტურ ინფორმაციას Notepad ტექსტური რედაქტორის ფორმატში;
- დ) ელექტრონული ფოსტით უგზავნის (ან სხვა საშუალებებით გადასცემს) ხოსრიკას შიფროტექსტის შემცველ ფაილის - ShiftTI.txt.

## ნახ.3

ხოსრიკა შეასრულებს რა ზემოთ აღწერილ ა)- ბ) პუნქტებს:

- ა) შეიტანს ანასაგან გამოგზავნილ ფაილს - ShiftTI.txt საქაღალდები D:\VisaubroT\_Kriptografiis Enaze;
- ბ) ჩატვირთავს (გაუშვებს) საშემსრულებლო პროგრამას. შედეგად ეკრანზე აისახება დიალოგური ფანჯარა - ფორმა (ნახ.4);
- ვ) შეიტანს ფორმაში მითითებულ S1 სტრიქონში დახურულ გასაღებში შემავალ სიმბოლოებს (ანა\_GioPrИЙ);
- გ) დაწყაპუნებს ღილაკზე „გაშიფვრა“, რის შედეგადაც:
  - ფორმირდება დამშიფრავი სიმბოლოების სტრიქონი - DamTI [1,2];
  - ფორმაში მითითებულ S2 სტრიქონში ჩაიწერება ანასაგან გამოგზავნილი (გადაცემული) შიფროტექსტი;
  - ფორმაში მითითებულ S3 სტრიქონში აისახება ანას მიერ გამოგზავნილი შიფრო ტექსტის შესაბამისი STI (ნახ.5).

#### ნახ.4

#### ნახ.5

შევნიშნოთ, რომ თუ ხოსრიკა შიფროტექსტის გასაშიფრავად ფორმაში მითითებულ S1 სტრიქონში ზუსტად არ შეიტანეს ანას მიერ STI დასაშიფრავად გამოყენებულ საიდუმლო გასაღების მნიშვნელობას, მაშინ გაშიფრვის შედეგი, გამოტანილი ეკრანზე (S3 სტრიქონში) იქნება განსხვავებული გამოგზავნილ საწყისი ტექსტური ინფორმაციისაგან - STI.

შევნიშნოთ აგრეთვე, რომ დანართების ბოლო სამი სტრიქონის რეალიზაციით პროგრამულ მოდულებთან მუშაობის ნებისმიერ დროს, ფორმის (იხ. ნახ.1 - ნახ.2) მარჯვენა მხარეს მდებარე HELP ლილაკზე დაწკაპუნებით, ეკრანზე შეიძლება იქნას გამოტანილი MS Word რედაქტორში შექმნილი ფაილის შემცველი ტექსტური ინფორმაცია. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება რომ HELP ლილაკზე დაწკაპუნებით ეკრანზე აისახება D:\VisaubriT\_Kriptografiis Enaze\ Guidelines\_HELP.docx ფაილში შეტანილი ინფორმაცია.

#### დანართი 1

```
{ if (textBox2.Text.Length == 1)
    label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა ცეზარის მეთოდით)";
else
    if (textBox2.Text.Length < textBox1.Text.Length)
        label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა ვიუინერის მეთოდით)";
    else
        if (textBox2.Text.Length >= textBox1.Text.Length)
            label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა ვერნამის მეთოდით)";

while (textBox1.Text.Length > textBox2.Text.Length)
    { textBox2.Text += textBox2.Text; }

textBox2.Text = (textBox2.Text).Substring(0, textBox1.Text.Length);
string ShiftTI = "";
for (int i = 0; i < textBox1.Text.Length; i++)
    {
```

```

{ ShiftI += Convert.ToInt32(Convert.ToInt32(textBox1.Text[i]) +
    Convert.ToInt32(textBox2.Text[i]));
label8.Text = "";
label8.Text = ShiftI.ToString();
File.Delete(@"D:\VisaubriT_Kriptografiis Enaze\ShiftI.txt");
string path = @"D:\VisaubriT_Kriptografiis Enaze\ShiftI.txt";
string createText = ShiftI + Environment.NewLine;
File.WriteAllText(path, createText, Encoding.UTF8); }

private void linkLabel1_LinkClicked(object sender, LinkLabelLinkClickedEventArgs e)
{ System.Diagnostics.Process.Start("D:\\VisaubroT_Kriptografiis
Enaze\\Guidelines_HELP.docx"); }

{
    string path = @"D:\VisaubriT_Kriptografiis Enaze\ShiftI.txt";
    string readText = File.ReadAllText(path);
    textBox2.Text = readText;
    textBox2.Text = (textBox2.Text).Trim();
    if (textBox1.Text.Length == 1)
        label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ცეზარის მეთოდით)";
    else
        if (textBox1.Text.Length < textBox2.Text.Length)
            label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ვიუინერის მეთოდით)";
        else
            if (textBox1.Text.Length == textBox2.Text.Length)
                label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ვერნამის მეთოდით)";
    while (textBox2.Text.Length > textBox1.Text.Length)
        { textBox1.Text += textBox1.Text; }
    textBox1.Text = (textBox1.Text).Substring(0, textBox2.Text.Length);
    label8.Text = "";
    string DasTI = "";
    for (int i = 0; i < textBox2.Text.Length; i++)
    { DasTI += Convert.ToInt32(textBox2.Text[i]) -
        Convert.ToInt32(textBox1.Text[i]); }
    label8.Text = DasTI.ToString();
}

private void linkLabel1_LinkClicked(object sender, LinkLabelLinkClickedEventArgs e)
{ System.Diagnostics.Process.Start("D:\\VisaubroT_Kriptografiis
Enaze\\Guidelines_HELP.docx"); }

```

## დანართი 2

```

{
    string path = @"D:\VisaubriT_Kriptografiis Enaze\ShiftI.txt";
    string readText = File.ReadAllText(path);
    textBox2.Text = readText;
    textBox2.Text = (textBox2.Text).Trim();
    if (textBox1.Text.Length == 1)
        label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ცეზარის მეთოდით)";
    else
        if (textBox1.Text.Length < textBox2.Text.Length)
            label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ვიუინერის მეთოდით)";
        else
            if (textBox1.Text.Length == textBox2.Text.Length)
                label2.Text = "(ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრა ვერნამის მეთოდით)";
    while (textBox2.Text.Length > textBox1.Text.Length)
        { textBox1.Text += textBox1.Text; }
    textBox1.Text = (textBox1.Text).Substring(0, textBox2.Text.Length);
    label8.Text = "";
    string DasTI = "";
    for (int i = 0; i < textBox2.Text.Length; i++)
    { DasTI += Convert.ToInt32(textBox2.Text[i]) -
        Convert.ToInt32(textBox1.Text[i]); }
    label8.Text = DasTI.ToString();
}

private void linkLabel1_LinkClicked(object sender, LinkLabelLinkClickedEventArgs e)
{ System.Diagnostics.Process.Start("D:\\VisaubroT_Kriptografiis
Enaze\\Guidelines_HELP.docx"); }

```

### **3. დასკვნა**

ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა/გაშიფვრის შემოთავაზებული უნივერსალური მოდელი და ამ მოდელის მართვიზებული პროგრამული მოდულები წარმატებით შეიზღება იქნას გამოყენებულნი იმ პიროვნებების მიერ, ვისაც სურს აწარმოონ ერთმანეთში დიალოგი (ტექსტური ინფორმაციის გაცვლა) “კრიპტოგრაფიის ენაზე”.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. გმელია ვ., კოტრიკაძე გ. (2015). კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის ზოგიერთი მეთოდის რეალიზაციის საკითხების შესახებ. სტუ-ს ჟრ.კრ. „მას“ N2(20), თბილისი.
2. გმელია ვ., კოტრიკაძე გ. (2016). კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის მეთოდები და მოდელები. ნაწ.1, სტუ, თბილისი.
3. სამხარაძე რ. Visual C# .NET. (2009). სტუ, თბილისი.
4. გაჩეჩილაძე ლ. (2015). დაპროგრამების ალგორითმული ენა C#, ნაწ.1. სტუ, თბილისი.

**ON THE REALIZATION OF A UNIVERSAL MODEL OF SYMMETRIC  
CRYPTOGRAPHY SYSTEMS**

Kekelia Valeri

Georgian Technikal Universiti

**Summary**

On the basis of symmetric cryptographic techniques Caesar system, Vigenere and Vernam a universal model of the encryption / decryption of text information was developed, as well as algorithms and software modules using object oriented programming language C # in Microsoft Visual Studio.NET environment. The aforementioned will provide users the possibility to exchange short text messages i.e. speak in the "language of cryptography".

**О РЕАЛИЗАЦИИ УНИВЕРСАЛЬНОЙ МОДЕЛИ СИМЕТРИЧНОЙ  
СИСТЕМЫ КРИПТОГРАФИИ**

Кекелия В.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

На основе методов криптографии симетричной системы Цезаря, Виженера и Вернама, разработаны универсальная модель шифрования/дешифрования текстовой информации, а также алгоритм и программные модули на объектно-ориентированном языке программирования - C#, функционирующие в среде Microsoft Visual Studio.NET, что даст лицам возможность обмениваться между собой короткими - текстовыми сообщениями т.е. разговаривать на “языке криптографии”.

## თეორიული მექანიკის სფავლება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით

ლიდა ბერიძე, დავით გორგაძე, რუსულან გოგიძერიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება თეორიული მექანიკის დისციპლინის სწავლების მეთოდების სრულყოფის საკითხები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენების საფუძველზე. თანამედროვე უმაღლესი განათლების დაწესებულებათა სასწავლო პროცესში დღეს ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. თეორიული მექანიკა ზოგადი საიუნივერსიტეტო დისციპლინების აუცილებელი თეორიული საფუძველია, რომელიც მოიცავს: მასალათა გამდლებას, მანქანის ნაწილებს, ჰიდრაულიკას, რხევათა თეორიას და სხვა. ნაშრომში წარმოდგენილია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ციკლის ერთ-ერთი ფუნდამენტური, ზოგადი სამეცნიერო დისციპლინის, თეორიული მექანიკის სწავლების საკითხი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**საკვანძო სიყვები:** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სლაიდ-ლექცია. მოძრაობის განტოლება. წერტილის ტრაექტორია. მხები და ნორმალური აჩქარება. საგნობრივადორიენტირებული გარემო. კინეტიკური მახასიათებლები.

### 1. შესავალი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა ციკლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ზოგადსამეცნიერო დისციპლინის წარმომადგენელია თეორიული მექანიკა, რომელიც ამავე დროს, მათემატიკისაგან განსხვავებით ტექნიკის სამეცნიერო სამირკვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

თეორიული მექანიკის ამოცანებია: გააცნოს სტუდენტებს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ძირითადი მეთოდები; შესასწავლოს სტუდენტებს მათემატიკური მეთოდები; რომ სტუდენტები დაეუფლონ უწყვეტი გარემოს მექანიკის საფუძვლებს; შეეძლოთ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ფიზიკური მოდელების შესაქმნელად, გამოყენებითი ამოცანების ამოსახსნელად. სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობით ზემოთ დასმული ამოცანებისა და მიზნების გადაწყვეტა საკმაოდ პრობლემატურია და შეიძლება ითქვას, რომ საეჭვოცაა.

### 2. ძირითადი ნაწილი

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ ეს პრობლემა დადგებითად გადაწყვდეს, რადგან შესაძლებელია მათი ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ, თეორიული მასალის გადაცემისას, სტუდენტების დამოუკიდებელი შემოქმედებით მუშაობისათვის, მიღებული ცოდნის დონის შეფასებისათვის, სასწავლო პროცესის შედეგების კორექციისათვის. ინფორმაციის გადაცემისას არამარტო პედაგოგის ზეპირმეტყველებაა არსებითი, არამედ სხვადასხვა თვალსაჩინო საშუალებებიც. თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს გააჩნიათ ყველა აუცილებელი ინსტრუმენტები სასწავლო პროცესის ეფექტურად ჩატარებისათვის. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშვნოს, რომ სასწავლო ტექნიკური საშუალებები ძირითადი კი არაა, არამედ დამხმარე საშუალებებია.

კომპიუტერული სასწავლო საშუალებებია: ელექტრონული სახელმძღვანელოები; ვიდეო-ლექციები; კომპიუტერული მაკონტროლებელი პროგრამები; სასწავლო დანიშნულების მონაცემთა ბაზები და ცნობარები; ამოცანათა კრებულები და მაგალითების გენერატორები (სიტუაციების); საგნობრივად-ორიენტირებული გარემო; სხვადასხვა სახის ცოდნის მხარდამჭერი კომპიუტერული ილუსტრაციები. საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების სწავლებისას ინფორმაციული ტექნოლოგი-

ების გამოყენება დაფუძნებულია გამოთვლითი საშუალებების ფართო შესაძლებლობებზე, კომპიუტერულ სასწავლო პროგრამებზე და კომპიუტერულ ქსელებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, თეორიული მექანიკის სასწავლო მასალის გადაცემისას შესაძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. ლექცია – უმაღლეს სასწავლებელში ტრადიციული ფორმაა. ლექციებზე თანამედროვე სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენებამ უნდა გაზარდოს სტუდენტების ინტერესი შესასწავლი მასალისადმი, გაუმახვილოს ყურადღება, გაუძლიეროს მოსმენილი მასალის უკეთ აღქმის უნარი. აგრეთვე დაეხმაროს მოსმენილი ლექციის შინაარსის დამახსოვრებაში. ამგვარად, ლექციებზე მულტიმედიური საშუალებების გამოყენება გაზრდის როგორც სწავლების ხარისხს, ასევე სტუდენტის ინტერესს.

კომპიუტერს განსაკუთრებული ადგილი უკავია ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცანიერებებზე, სადაც წინა პლანზეა წამოწეული კონკრეტული მექანიკური სისტემები და მათი ურთიერთქმედებების საკითხები. მაგალითად, „მრავალგანზომილებიანი მექანიკური სისტემების მცირე რხევები“ თემის შესწავლისას აუცილებელია ვექტორული ან მატრიცული ფორმით ჩაწერილი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების ამოხსნა. ეს კი საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს მოცემულ ამოცანას, ამცირებს დროს, ხოლო მცირე ანიმაცია კი ცვლის მიღებული ამონახსნის ხანგრძლივი ანალიზისა და მისი ფიზიკური ინტერპრეტაციის პროცესს. კომპიუტერული ვიზუალიზაცია საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ დინამიკური, დროითი და სივრცითი ცვლილებები, როგორც რეალური, ასევე ვირტუალური ობიექტების, პროცესების, მოვლენების, აგრეთვე მათი მოდელებიც.

ნებისმიერი ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა შესრულდეს გარკვეულ მოქმედებათა ერთობლიობა. საილუსტრაციოდ განვიხილოთ სტატიკის ერთ-ერთი ამოცანა.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმა ბაკალავრს უნდა შეასწავლოს ამ მოქმედებათა დაგეგმვა და რეალიზაცია, რომელზეც არის დამოკიდებული ამოცანის წარმატებულად ამოხსნა (ნახ.1).

PowerPoint რედაქტორის დახმარებით შექმნილი პრეზენტაცია არის სლაიდ-ლექციის საფუძველი. მისი უპირატესობა არის ის, რომ ამოცანის ამოხსნის მეთოდის ათვისება ბაკალავრის მიერ ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, ამოხსნის ალგორითმის დახმარებით. ამასთან შესაძლებელია ყოველი სლაიდის შეგსება თანდათანობით. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ობიექტი. როგორი ნახაზების აგება ეტაპობრივია და ანიმაციის დახმარებით იქმნება მოძრაობის იმიტაცია და ა.შ. (ნახ.2-9).

ამ მიდგომისათვის მთავარია, რომ ამოხსნის პროცესი დეტალიზებულია და შედგება იმ მარტივი ოპერაციებისაგან, რომლებიც გამოვლენილია სხვადასხვა ამოცანათა კრებულებში შესული ამოცანების ანალიზის შედეგად [1-2].


### 3. ამოცანა

განვსაზღვროთ  $M$  წერტილის მოძრაობის განტოლებების მიხედვით კინემატიკური მახასიათებლები [3].

$M$  წერტილის მოძრაობის განტოლებებია:

$$x(t) = 3\cos \omega t \quad [\text{მ} \cdot \text{მ}], \quad y(t) = 2\sin \omega t \quad [\text{მ} \cdot \text{მ}], \quad \omega = \pi \quad [\text{ს}^{-1}]$$


ვიპოვოთ  $M$  წერტილის ტრაექტორია, სიჩქარე, აჩქარება, მხები და ნორმალური აჩქარება და სიმრუდე, როცა  $t = \frac{1}{3} \beta \partial$



ერთი სხეულის წონასწორობის ამოცანის ამოხსნის  
ალგორითმი

1. გამოვყოთ სხეული, რომლის წონასწორობაც ვიხილავთ.
2. სხეულის მოვდოთ კვერა აქტიური ძალები.
3. სხეული გავათვისუელოთ ბმებისაგან და მათ მაგივრად მოვდოთ რექტის ძალები.
4. გავარცვით როგორი ძალა სისტემა მოქმედებს სხეულზე და შევარჩიოთ შესაბამისი წონასწორობის პირობები.
5. შევამოწმოთ არის თუ არა ამოცანა სტატიკურად განსტოდებული (რაცვადი).
6. ამოვხსნათ მიღებული განტოლებათა სისტემა და ვიპოვოთ საძიებელი სიდიდეები.
7. შევამოწმოთ მიღებული ამონასნები(ამოხსნის კონტროლი).

ნახ.1. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა




### ამოცანა 1

კუთხუ ში ჩისტად ჩამატებული ურთევაროვანი AB ძლია დაბრუნოულია:

AB უძანებ წრფილი განაწილებული  $q_{\text{შა}} = 12.6 / 3 = 4 \text{ N/m}$  ინტენსივობის  
დატონირებით; BC უძანებ თანაბრად განაწილებული  $q = 10.6 / 3 = 3.5 \text{ N/m}$  ინტენსივობის  
დატონირებით; BC 186 სონითს დალო, რომელიც ძლითან აღვენს  $\alpha=60^\circ$ -ის კუთხს  
 $\Rightarrow M = 186 \cdot 3 \text{ მოძრავის მეტე წრფილობის განახლებით ჩამატების რაოჭია.}$




ნახ.2. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა



1(0) ამოცანის ამოხსნა

1. ამოცანაში განვიხილავთ ძელის წონასწორობას.
2. გადამტკიცოთ (აქტიური) ძალების: მა და მა ტოლქმედის მქონე განაწილებულიძალები;  $P$  ძალა და  $M$  მომენტის მქონე წყვილმალა.
3. ბმების ორაქციები:  $A$  წერტილში –  $A$  მაღლები და  $A$  მომენტის მქონე წყვილმალა.
4. სხეულზე მოდებულია ბრტყელ ძალთა სისტემა. წონასწორობის განტოლებებს აქვთ შემდეგი სახე:

გვაქს სამი უცნობი და სამი უცნობი როაქცია.  
ე.ო. ამოცანა სტატიკურად განსაზღვრულია.



$$\left\{ \begin{array}{l} \sum_{i=1}^n X_i = 0; \\ \sum_{i=1}^n Y_i = 0; \\ \sum_{i=1}^n L_i = 0. \end{array} \right.$$

ნახ.3. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(1) ამოცანის ამოხსნა

6. ყველა ძალა დავაგეგმილოთ დეკარტის კოორდინატთა სისტემის  $Ax$  ღერძზე.

$$Y_{Ax} = 0; \quad X_{Ax} = X_A; \quad Q_{1x} = 0; \quad Q_{2x} = 0; \quad P_x = -P \cdot \cos \alpha;$$

$$\sum_{i=1}^n X_i = 0 + X + 0 + 0 + 0 + 0 - P \cdot \cos \alpha = 0;$$

ნახ.4. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(2) ამოცანის ამოხსნა

7. ყველა ძალა დავაგეგმილოთ დეკარტის კოორდინატთა სისტემის  $Ay$  ღერძზე.

$$Y_{Ay} = Y_A; \quad X_{Ay} = 0; \quad Q_{1y} = -Q_1; \quad Q_{2y} = -Q_2; \quad P_y = -P \cdot \sin \alpha;$$

$$\sum_{i=1}^n Y_i = Y_A + 0 - Q_1 - Q_2 + 0 + 0 - P \cdot \sin \alpha = 0;$$

ნახ.5. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(3) ამოცანის ამოხსნა

7. გამოვთვალოთ ყველა ძალის მომენტი A წერტილის მიმართ.

$$\sum_{i=1}^n L_i(\vec{F}_i) = M_A + 0 + 0 - \frac{l}{6}Q_1 - \frac{l}{2}P \cdot \sin \alpha - \frac{3l}{4}Q_2 + M = 0;$$

$$L_A(\vec{X}_A) = 0;$$

$$L_A(\vec{Y}_A) = 0;$$

$$L_A(\vec{P}) = -P \cdot \frac{l}{2} \cdot \sin \alpha;$$

$$L_A(\vec{Q}_1) = -Q_1 \cdot \frac{l}{6};$$

$$L_A(\vec{Q}_2) = -Q_2 \cdot \left( \frac{l}{2} + \frac{l}{4} \right) = -Q_2 \cdot \frac{3l}{4};$$

ნახ.6. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(4) ამოცანის ამოხსნა  
ამოვხსნათ მიღებული განტოლებათა სისტემა

$$\sum_{i=1}^n X_i = 0 + X + 0 + 0 + 0 - P \cdot \cos \alpha = 0; \Rightarrow X_A = P \cdot \cos \alpha = 18 \cdot \frac{1}{2} = 9[6];$$

$$\sum_{i=1}^n Y_i = Y_A + 0 - Q_1 - Q_2 + 0 + 0 - P \cdot \sin \alpha = 0;$$

$$Q_1 = \frac{q_{\max}}{2} \cdot \frac{1}{2} = \frac{12 \cdot 3}{2} = 18[6]; \quad Q_2 = q \frac{l}{2} = 10 \cdot 3 = 30[6];$$

$$Y_A = Q_1 + Q_2 + P \cdot \sin \alpha = 18 + 30 + 18 \frac{\sqrt{3}}{2} = 48 + 9\sqrt{3}[6].$$

ნახ.7. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(5) ამოცანის ამოხსნა

$$\sum_{i=1}^n L_i(\vec{F}_i) = M_A + 0 + 0 - \frac{l}{6}Q_1 - \frac{l}{2}P \cdot \sin \alpha - \frac{3l}{4}Q_2 + M = 0;$$

$$M_A = P \cdot \frac{l}{2} \cdot \sin \alpha + \frac{l}{6}Q_1 + \frac{3l}{4}Q_2 - M =$$

$$= 18 \cdot \frac{\sqrt{3}}{2} \cdot 3 + 18 + \frac{18}{4} \cdot 30 - 6 =$$

$$= 27 \cdot \sqrt{3} + 18 + 135 - 6 = 27 \cdot \sqrt{3} + 147[6].$$

ნახ.8. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

1(5) ამოცანის ამოხსნა  
ამოცანის ამოხსნის სისტემურ შევამოწმოთ განტოლებით, რომელიც არ გამოვიყენებია ამოცანის ამოხსნისას:

$$\sum_{i=1}^n L_B(\vec{F}_i) = 0;$$

გამოვთვალით ყველა ძალის მომენტი 0 წერტილის მიმართ:

$$L_B(\vec{X}_A) = 0; \quad L_B(\vec{Y}_A) = -Y_A \cdot l; \quad L_B(\vec{P}) = P \cdot \frac{l}{2} \cdot \sin \alpha;$$

$$L_B(\vec{Q}_1) = Q_1 \cdot \frac{5l}{6}; \quad L_B(\vec{Q}_2) = Q_2 \cdot \frac{l}{4};$$

$$\sum_{i=1}^n L_B(\vec{F}_i) = M_A + 0 - Y_A \cdot l + \frac{5l}{6}Q_1 + \frac{l}{2}P \cdot \sin \alpha + \frac{l}{4}Q_2 + M = 0;$$

$$27\sqrt{3} + 147 - 6 \cdot (48 + 9\sqrt{3}) + \frac{6}{2} \cdot 18 \cdot \frac{\sqrt{3}}{2} + \frac{5 \cdot 6}{6} \cdot 18 + \frac{6}{4} \cdot 30 + 6 = 0;$$

$$0 = 0$$

ნახ.9. ლაბორატორიული პრაქტიკუმის პრეზენტაციის ფანჯარა

**ამოცანის ამოხსნა:**

წერტილის ტრაექტორიის მოსაძებნად მოცემული განტოლებებიდან გამოვრიცხოთ t. ამისათვის განტოლებებიდან პირველი განტოლება გავყოო 3-ზე, მეორე 2-ზე. მიღებული განტოლება ავიყვანოთ კვადრატში და შეკრიბოთ, მივიღებთ

$$\frac{x}{3} = \cos \omega t, \quad \frac{y}{2} = \sin \omega t, \quad \frac{x^2}{3^2} + \frac{y^2}{2^2} = 1.$$

ამრიგად, ტრაექტორია ელიფსია, რომლის ცენტრი კოორდინატთა სათავეშია, a=3 და b=2 ნახევარდერმებით.

ვიპოვოთ წერტილის ვექტორული სიჩქარის გეგმილები, მისი სიდიდე და მიმართულება დროის ნებისმიერი მომენტისთვის, ასევე როცა  $t = t_1$ .

$$\begin{aligned} v_x &= \frac{dx}{dt}, \quad v_y = \frac{dy}{dt}, \\ v_x &= -3\pi \sin \pi t, \quad v_y = 2\pi \cos \pi t \\ v &= \sqrt{v_x^2 + v_y^2}, \end{aligned}$$

ვექტორული სიჩქარის მიმართულება არის:

$$\cos \alpha = \frac{v_x}{v}, \quad \cos \beta = \frac{v_y}{v}$$

საიდანაც

$$\alpha = \arccos \frac{v_x}{v}, \quad \beta = \arccos \frac{v_y}{v}.$$

ვიპოვოთ წერტილის ვექტორული გეგმილები, მისი სიდიდე და მიმართულება დროის ნებისმიერ მომენტისათვის, ასევე როცა  $t = t_1$

$$w_x = \frac{d^2 x}{d^2 t}, \quad w_y = \frac{d^2 y}{d^2 t}, \quad w = \sqrt{w_x^2 + w_y^2}.$$

$$w_x = -3 \cos \pi t \cdot \pi^2, \quad w_y = -2 \sin \pi t \cdot \pi^2, \quad w = \pi^2 \sqrt{5 \cos^2 \pi t + 4}.$$

ვექტორულ აჩქარების მიმართულება ასეთია:

$$\cos \alpha_1 = \frac{w_x}{w}, \quad \cos \beta_1 = \frac{w_y}{w}$$

საიდანაც

$$\alpha_1 = \arccos \frac{w_x}{w}, \quad \beta_1 = \arccos \frac{w_y}{w}.$$

გამოვთვალოთ წერტილის მხები აჩქარება დროის ნებისმიერი მომენტისათვის, ასევე  $t = t_1$ . სთვის

$$w_\tau = \frac{v_x w_x + v_y w_y}{v}.$$


ვიპოვოთ წერტილის ნორმალური აჩქარება დროის ნებისმიერი მომენტისთვის, ასევე  $t = t_1$ . s - თვის.

$$w_n = \sqrt{w^2 - w_{\tau\tau}^2}$$


გამოვთვალოთ ტრაექტორიის სიმრუდე დროის ნებისმიერი მომენტისთვის და  $t = t_1$ . s - თვის

$$\rho = \frac{v^2}{w_n}.$$

ვაჩვენოთ ამ ამოცანის ამოხსნა MatLab კომპიუტერულ პაკეტში (ნახ.10-11) [4].



გვ.10



გვ.11

იგივე ამოცანა [0,2] ზუალედის 10 ტოლ ნაწილად დაყოფის შემთხვევაში იქნება შემდეგი სახის (გვ.12-13):

```

MATLAB R2014a

Current Folder
Command Window
>> a=3; b=2; t=linspace(0,2,10)

t =
0 0.2222 0.4444 0.6667 | 0.8889 1.1111 1.3333 1.5556 1.7778 2.0000

>> x=a.*cos(pi.*t)

x =
3.0000 2.2981 0.5209 -1.5000 -2.8191 -2.8191 -1.5000 0.5209 2.2981 3.0000

>> y=b.*sin(pi.*t)

y =
0 1.2856 1.9696 1.7321 0.6840 -0.6840 -1.7321 -1.9696 -1.2856 -0.0000

>> vx=-a.*sin(pi.*t).*pi

vx =
0 -6.0581 -9.2816 -8.1621 -8.2235 3.2235 8.1621 9.2816 6.0581 0.0000

>> vy=b.*cos(pi.*t).*pi

vy =
6.2832 4.8132 1.0911 -3.1416 -5.9043 -5.9043 -3.1416 1.0911 4.8132 6.2832

>> v=sqrt((vx).^2+(vy).^2)

v =
6.2832 7.7374 9.3455 8.7458 6.7269 6.7269 8.7458 9.3455 7.7374 6.2832

>> alfav=acosd(vx./v)

alfav =
90.0000 141.5328 173.2956 158.9483 118.6326 61.3674 21.0517 6.7044 38.4672 90.0000

```

63b.12

```

MATLAB R2014a

Current Folder
Command Window
>> wy=-a.*sin(pi.*t).*pi.^2

wy =
0 -19.0322 -29.1590 -25.6420 -10.1268 10.1268 25.6420 29.1590 19.0322 0.0000

>> w=sqrt((vx).^2+(wy).^2)

w =
29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088 29.6088

>> alfav=acos(vx./w)

alfav =
3.1416 2.4435 1.7453 1.0472 0.3491 0.3491 1.0472 1.7453 2.4435 3.1416

>> betav=acos(wy./w)

betav =
1.5708 2.2689 2.9671 2.6180 1.9199 1.2217 0.5236 0.1745 0.8727 1.5708

>> wmxebi=(vx.*wx+vy.*wy)./v

wmxebi =
0 5.9196 1.7021 -4.6054 -4.4442 4.4442 4.6054 -1.7021 -5.9196 -0.0000

>> wnormal=sqrt(w.^2-wmxebi.^2)

wnormal =
29.6088 29.0110 29.5598 29.2484 29.2734 29.2734 29.2484 29.5598 29.0110 29.6088

>> xo=v.^2./wnormal

xo =
1.3333 2.0636 2.9546 2.6152 1.5458 1.5458 2.6152 2.9546 2.0636 1.3333

```

63b.13

#### 4. დასკვნა

თეორიული მექანიკა აუცილებელი თეორიული საფუძველია ისეთი ზოგადსაინჟინრო დისკაპლინებისათვის, როგორიცაა მასალათა გამძლეობა, მექანიზმებისა და მანქანების თეორია, მანქანათა ნაწილები, პიდრავლიკა, რხევათა თეორია და ა.შ. თეორიული მექანიკის შესწავლამ მომავალ სპეციალისტს უნდა მისცეს ცოდნის ის ფუნდამენტური მინიმუმი, რომლის დახმარებითაც მას შეეძლება დამოუკიდებელად აითვისოს ყველა ის ახალი მეთოდი, რაც შეიძლება მას შეხვდეს შემდგომი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროცესში. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ ეს პრობლემა დადგებითად გადაწყდეს, რადგან შესაძლებელია მათი ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესში. საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების სწავლებისას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება დაფუძნებულია გამოთვლითი საშუალებების ფართო შესაძლებლობებზე, კომპიუტერულ სასწავლო პროგრამებზე და კომპიუტერულ ქსელებზე. ამრიგად, თეორიული მექანიკის სასწავლო მასალის გადაცემისას მიზანშეწონილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

#### ლიტერატურა:

1. Волошина М.С. (2011). Проблемы обучения естественно-научным дисциплинам с использованием информационных технологий в ВШ. „Молод.ученый“, №4.т2, ст.76–78.
2. Пархоменко Е.И. (2012). Применение современных информационных технологий в обучении студентов техническим дисциплинам. „Проблемы и перспективы развития образования“, мате. II междун. научной конф. Пермь. „Меркурий“, ст. 151–153.
3. გორგიძე ა. (1968). თეორიული მექანიკის კურსი. წიგნი-1. სტუ. თბილისი.
4. ბერიძე ლ., გოგიძე ერი რ., კაჭახიძე გ. (2014). MATLAB-ი სტუდენტებისათვის. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.

## TEACHING THEORETICAL MECHANICS USING INFORMATION & COMMUNICATION TECHNOLOGIES

Beridze Lida, Gorgidze David, Gogiberidze Rusudan

Georgian Technical University

#### Summary

The article discusses topics of improving the methods of teaching theoretical mechanics discipline based on intensified use of information and communications technologies in daily life. Modern higher educational institutions widely use information and communications technologies in teaching processes. Theoretical mechanics is considered as an essential theoretical background of general engineering disciplines including material durability, car parts, hydraulics, wave theory and so on. The work is about the issue of teaching theoretical mechanics, one of the fundamental, general scientific disciplines of physics-mathematics using the technologies mentioned above

## ИЗУЧЕНИЕ ТЕОРЕТИЧЕСКОЙ МЕХАНИКИ С ПРИМЕНЕНИЕМ ИНФОРМАЦИОННО-КОММУНИКАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ

Беридзе Лида, Гогидзе Давид, Гогиберидзе Русудан

Грузинский Технический Университет

#### Резюме

Сегодня важное внимание уделяется совершенствованию методов изучения любого предмета, что в большей мере вызвано интенсивным ростом применения информационно-коммуникационных технологий в повседневной жизни. Исходя из сказанного, в учебных процессах современных высших учебных учреждений широко используются информационно-коммуникационные технологии. Теоретическая механика представляет собой обязательную основу общих инженерных дисциплин: сопротивление материалов, детали машин, гидравлика, теория колебаний и др. В статье рассматривается вопрос изучения одной фундаментальной научной дисциплины – теоретической механики из цикла физико-математических наук с применением современных информационно-коммуникационных технологий.

## ნავთობის ოპტიმიზაციის დონისა და ფაზების შორის საზღვრების გაზომვის თანამედროვე მეთოდების მიმოხილვა

ზაალ აზმაიფარაშვილი, გურამ მურჯიკნელი,

გიორგი ქიტიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ნავთობის რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების დონეების გაზომვის მეთოდები სხვადასხვა ტიპის საზომი წელსაწყოების საშუალებით. ნაჩვენებია თუ ნავთობის რომელი პროდუქტების შემთხვევაში გაზომვის რომელი მეთოდისა და წელსაწყოს გამოყენებაა მიზან-შეწონილი. წარმოდგენილია აგრეთვე ნავთობის რეზერვუარში ნავთობისა და წყალს შორის არსებული ემულსიური ზონის „ნავთობი-წყალი“ საზღვრების დადგენის (გაზომვის) მეთოდები და საშუალებები.

**საკვანძო სიტყვები:** ნავთობრეზერვუარი. დონის საზომები. ნავთობის მომზადება.

### 1. შესავალი

ნავთობის დონის საზომი წელსაწყოები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ნებისმიერ მათგანს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მათ შორის უკეთესის არჩევა დამოკიდებულია დონის გაზომვის პროცესის ბუნებაზე, მოთხოვნილ სიზუსტეზე, აგრეთვე ფინანსურ შეზღუდვაზე.


ნედლი ნავთობის მომზადებისას აუცილებელია განისაზღვროს რეზერვუარებში ნავთობის დონე და სითხის – „ნავთობი-წყალი“ შეაღების საზღვრები. ამისათვის გამოიყენება ვიზუალური, მექანიკური, ელექტრული, აკუსტიკური (ულტრაბგერითი), მიკროტალლური (რადარული), რეზონანსური (ტალღაგამტარული), სითხის დონისა და გამყოფი შეაღების საზღვრების გაზომვის სისტემა და ა.შ. განვიხილოთ ისინი.

### 2. ძირითადი ნაწილი

#### 2.1. ვიზუალური დონის საზომები

ესენია დონის უმარტივესი საზომები (ნახ.1). აპარატან 1 ჩამკეტი ვენტილებით მიერთებულია მაჩვენებელი მინა (მილი-3). აპარატი და მილი ზიარჭურჭელია, ამიტომ მილში სითხის დონე  $H$  ყოველთვის ტოლია აპარატში სითხის დონისა და აითვლება სკალაზე სმ-ში. დონის ასეთი საზომები საიმდო, ზუსტი და მარტივია, მაგრამ შესაბამისი სიგნალის გენერაციისა და გადაცემის არასებობა ზღუდავს მათ შესაძლებლობებს.

ნახ.1.




#### 2.2 მექანიკური დონის საზომები

ასეთი სახის დონის საზომებს ექუთვნის ლივლივიანი, ტივტივიანი და ჰიდროსტატიკური წელსაწყოები.


ა) ლივლივიანი დონის საზომები. ასეთი დონის საზომების (ნახ.2) მგრძნობიარე ელემენტია ლივლივა 1. რომელიც სითხის ზედაპირზეა და გაწონასწორებულია ტვირთით 3. ტვირთი და ლივლივა ერთმანეთს უკავშირდება მოქნილი ტროსით 2. სითხის დონე განისაზღვრება ტვირთის მდებარეობით სკალის 4 მიმართ.

ნახ.2.



გაზომვის საზღვრები დგინდება ზედა (ზ.დ.) და ქვედა (ქ.დ.) დონეებით, რომელთა შორის დიაპაზონი 15-20 მეტრია. ასეთი დონის საზომებში გათვალისწინებულია აგრეთვე ჩვენების დისტანციური გადაცემა.


ლივლივიანი დონის საზომები გამოირჩევა სიმარტივით, სიმტკიცით, მაღალი სიზუსტით, მცირე ფასით და სხვ. მაგრამ ისინი გამოუსადეგარია წებოვანი სითხეებისთვის. ლივლივას მოძრაობა დამოკიდებულია მის ზომებზე და აქვს პრობლემები გაზომვებისას აშევებულ სითხეებში.



ნახ.3.

ტივტივას სიგრძე უნდა იყოს გასაზომი დონის მაქსიმალური სიმაღლის ტოლი. როცა სითხის დონე მეტია არამგრძნობიარე ზონის  $h_0$  სიმაღლეზე, გამზომი ძელი 2, რომელზეც ჩამოკიდებული ტივტივა-1 იმყოფება წონასწორობაში. მომენტი  $M_1$ , რომელიც იქმნება  $G_1$  ტივტივათი, გაწონასწორებულია 4 საპირწონეს  $M_2$  მომენტით.

თუ სითხის დონე გაუტოლდება  $h$ -ს, მაშინ ტივტივას წონა შემცირდება. შემცირდება ასევე  $M_1$  – ც. ( $M_2$  -ზე ნაკლები გახდება) და ძელი გადაადგილდება საათის ისრის მიმართულებით, რომელიც გადაადგილდებს 5 საზომი გარდამქმნელის 3 ბერკეტს. შედეგად 5-ის გამოსასვლელზე გაჩნდება სიგნალი. ასეთი საზომების დიაპაზონია 0,025-16 მ. მათ იგივე ღირსებები და ნაკლოვანებები აქვს, რაც ლივლივა დონის საზომებს.




ნახ.4.

გ) ჰიდროსტატიკური დონის საზომები. მათი მუშაობის პრინციპი ემყარება 1 სითხის სვეტის წნევის გაწონასწორებას 2 მგრძნობიარე ელემენტზე ზამბარიანი მექანიზმით (ნახ.4). ისინი გამოირჩევა კონსტრუქციის სიმარტივით, სიზუსტით, გამოყენების შესაძლებლობით დაბინძურებული სითხეების შემთხვევაში, შედარებით მცირე ფასით. ნაკლოვან მხარეებს მიეკუთვნება: მონტაჟი რეზერვუარის ფსკერზე, გამოყენება გასაზომი ობიექტის მხოლოდ მუდმივი სიმკვრივისა და მედეგობისას, აგრეთვე გასაზომ ობიექტთან მუდმივი კონტაქტი. გაზომვის დიაპაზონი შეადგენს 15-25 მ-ს.


### 3. ელექტრული დონის საზომები

მათი საშუალებით შეიძლება გავზომოთ როგორც გამტარი, ისე დიელექტრიკული სითხეების დონეები. გამტარების ძირითად პარამეტრია მათი ელექტროგამტარობა, დიელექტრიკებისა კი – ფარდობითი დიელექტრიკული შედწევადობა. არსებობს კონდუქტორებრული და ტევადური დონის საზომები.



ნახ.5.

დონეს (ნახ.5). მისი გამომავალი პარამეტრია წინაღობა. ასეთი დონის საზომების სიზუსტე შეზღუდულია ელექტროდების განივი კვეთის ფართობის ცვალებადობით, აგრეთვე ელექტროდების ზედაპირზე არსებული ჟანგისა და მარილების ფენის გამო. შედეგად, ამ საზომების ცდომილება საკმაოდ მაღალია (5 – 10 %).



ნახ.6.

**ბ) ტევადური დონის საზომები.** მათი პირველადი საზომი გარდამქნელია კოაქსიალური ცილინდრული კონდენსატორი, რომლის შიგა შემონაფენი იზოლაციით 2 დაფარული ზონდია 1 (ნახ.6). ის მოთავსებულია მილის 3 ღერძის გასწვრივ, რომელიც არის კონდენსატორის გარე შემონაფენი. ზონდის იზოლაციის გარე ზედაპირსა და გარე შემონაფენს შორის მანძილს ეწოდება მუშა ღრეჩო. ის ხვრელებით ქვედა მაცენტრირებელ მასრაში და გარე მილით უკავშირდება ჭურჭელს, რომელშიც იზომება დონე. სითხე აღნიშული ხვრელებით ხვდება გარდამქნელის მუშა ღრეჩოში და ცვლის მის ტევადობას. საზომი სქემა აფიქსირებს ნულოვანი და მიმდინარე დონეების შესაბამის ტევადობათა სხვაობას. ხელსაწყოს ძირითადი ცდომილება არ აღემატება 0,1 – 0,2%. სიმარტივისა და მაღალი საიმედოობის გამო ასეთი საზომები ფართოდ გამოიყენება. მათი მგრძნობიარობა დიდადადა დამოკიდებული სითხეების ელექტრული თვისებების ცვალებადობაზე, რისი მიზეზიცაა პირველადი გარდამქნელის ელექტროდების ტემპერატურისა და შემადგენლობის ცვალებადობა მათზე დანალექების წარმოქმნის შედეგად.

#### 2.4. სითბური დონის საზომები

სითბური დონის საზომების მოქმედება დამყარებულია ან სითხესა და მის თავზე წარმოქმნილი ორთქლისა და გაზის ნარევს შორის ტემპერატურათა სხვაობის გამოყენებაზე (დილატომეტრული საზომები) ან მათ თბოგამტარობებს შორის სხვაობის გამოყენებაზე (თერმორეზისტორული საზომები).

დილატომეტრული საზომების (ნახ.7) მგრძნობიარე ელემენტია ღერძი ან მილი, რომელიც შეხებაშია სითხესთან და ორთქლისა და გაზის ნარევთან.


თბოგაცვლის შედეგად მგრძნობიარე ელემენტი მიიღებს სითხისა და გაზის პროპორციულ ტემპერატურებს და სითხის დონის მიმდინარე მნიშვნელობას. შედეგად, სითხისა და გაზის ტემპერატურათა უცვლელობის შემთხვევაში, მგრძნობიარე ელემენტის საშუალო ტემპერატურე იქნება დონის მიმდინარე მნიშვნელობის საზომი. მგრძნობიარე ელემენტის საშუალო ტემპერატურის შესახებ მსჯელობენ მისი ფარდობითი დაგრძელების მიხედვით. ამ საზომებს იყენებენ, როცა სითხისა და მის თავზე გაზისებრი ნარევის ტემპერატურები შედარებით სტაბილურია და ამასთან მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

ნახ.7.

მიუხედავად მათი სიმარტივისა და მაღალი საიმედოობისა, ასეთი დონის საზომები მათი გაზომვების მცირე დიაპაზონისა და დაბალი სიზუსტის გამო მრეწველობაში ნაკლებად გამოიყენება.


#### 2.5. აკუსტიკური და ულტრაბგერითი დონის საზომები

აკუსტიკური და ულტრაბგერითი დონის საზომებში გამოყენებულია ბგერითი რხევების არეკვლის ეფექტი როი გარემოს გამყოფი საზღვრიდან.



ნახ.8.

**აკუსტიკურ დონის საზომებში** გამოიყენება სითხის დონის ლოკაციის მეთოდი გაზის გარემოს გავლით (ნახ.8). ამ საზომებში არ გვაქვს ელემტნტები, რომლებიც უშუალოდ ეხება სითხეებს. ამიტომ მათი გამოიყენება შეიძლება ნებისმიერი სითხისათვის, რომელთა წნევა 4 მპა-ია და ტემპერატურა 5-80°C.



ნახ.9.

**ულტრაბგერითი დონის საზომებში** გამოიყენება მეთოდი, რომელიც ემყარება ულტრაბგერითი რხევების არეკვლის ეფექტს ორი გარემოს გამყოფი საზღვრიდან სითხის მხრიდან (ნახ.9). ასეთი დონის საზომები გამოიყენება მხოლოდ ერთგვაროვანი მაღალი წნევის მქონე სითხეებისათვის.

## 2.6. მიკროტალლური (რადარული) დონის საზომები

რადარული დონის საზომებში, აკუსტიკური საზომების მსგავსად, გამოიყენება ელექტრომაგნიტური რხევების არეკვლის მოვლენა სითხე-გაზის გამყოფი სიბრტყიდან (ნახ.10).



ნახ.10.

მათ არ გააჩნია კონტაქტი გასაზომ ობიექტთან. ეს საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ისინი მაღალი წნევისა დატემპერატურის პირობებში, ორთქლისა და გაზის არსებობისას ზედაპირზე. მათი საშუალებით შეიძლება აგრეთვე აგრესიული, ბლანტი, არაერთგვაროვანი სითხეებისა და ფხვიერი მასალების დონეების განსაზღვრა. ულტრაბგერითი უკონტაქტო საზომებისგან მათ განასხვავებს წნევისა დატემპერატურის ცვლილებისადმი ნაკლები მგრძნობიარობა, აგრეთვე მაღალი მდგრადობა ზედაპირის დამტვერიანებისა და აორთქლებისადმი. რადარული დონის საზომების სიზუსტე  $\pm 1$  მმ-ია.

დონის პირველადი გარდამქნელი მოწყობილია რადიოლოკატორის პრინციპის მიხედვით. ეს იძლევა საშუალებას მინიმუმამდე დავიყვანოთ გასაზომი ობიექტის პარაზიტული და უსწორმასწორობასთან დაკავშირებული ხელშეშლების გავლენა.

მათზე არ მოქმედებს ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, ქაფი, მტვერი, მასალის სახე (თხევადი, ფხვიერი), სიმკვრივე და სხვ. მათი ნაკლოვანი მხარეა ელექტრომაგნიტური ტალღების


შთანთქმა დიელექტრიკების მიერ გასაზომი ნივთიერების დიელექტრიკული მუდმივა უნდა იყოს 1,6-ზე მეტი, ხოლო წებოვანმა ნივთიერებებმა შეიძლება გამოიწვიოს გარდამქმნელის გაჩერება.

## 2.7. რეცლექსური (ტალღამტარული) დონის მზომები

მათი დანიშნულებაა დონის, დისტანციისა და მოცულობის გაზომვა სითხეების, პასტების და ფხვიერი პროდუქტების შემთხვევაში, აგრეთვე თხევადი პროდუქტების საზღვრების გაყოფა. ასეთი საზომები რადარული დონის საზომების მსგავსია, მაგრამ ელექტრომაგნიტური იმპულსი მათში ვრცელდება ტალღამტარში. ეს ხელსაწყოები გამოიყენება მაშინ, როცა დონის სხვა საზომების გამოყენება გამნელებულია მაღალი მტკრიანობის, სქელი ქაფის ან არასაკმარისი ენერგიის გამო. რადარულ იმპულსებზე პრაქტიკულად არ მოქმედებს გარემოს შემადგენლობა, რეზერვუარის ატმოსფერო, ტემპერატურა და წნევა. ამიტომ ისინი შეიძლება გამოვიყენოთ უფრო მეტაც პირობებში: მაღალ ტემპერატურებზე და წნევებზე, სითხის ძლიერი დელვისას, როდესაც სითხის ზედაპირზე ორთქლი და გაზია. ისინი გამოიყენება აგრეთვე მომცრო და ვიწრო რეზერვუარებისათვის.

აღნიშნულ ხელსაწყოში ხდება ელექტრომაგნიტური იმპულსების არეკვლა ტალღამტარში გავლისას დიელექტრიკული მუდმივას მკვეთრი ცვლის საზღვრიდან ჰაერსა და პროდუქტს შორის. გამოსხივებულ იმპულსებს აქვს მცირე სიმძლავრე და ისინი კონცენტრირებულია ზონდის გასწვრივ. შედეგად ენერგია თითქმის არ იკარგება. ეს ნიშნავს, რომ არეკვლილი სიგნალის ძალა იქნება თითქმის ერთნაირი ზონდის სიგრძის მიუხედავად.

მიკროტალღური მცირე სიმძლავრის რადარული იმპულსები მიემართება ქვევით ზონდის გასწვრივ. როდესაც რადარული იმპულსი მიაღწევს განსხვავებული დიელექტრიკული შეღწევადობის გარემოს, მისი ენერგიის ნაწილი არეკვლება უკუმიმრთულებით (ნახ.11).



ნახ.11.

რადარული იმპულსის გაგზავნის მომენტსა და ექოს მიღების მომენტს შორის დროში სხვაობა პროპორციულია მანძილისა, რომლის შესაბამისად განისაზღვრება სითხის ან ორი გარემოს გამყოფი საზღვრის დონე.


არეკვლილი ექო/სიგნალის ინტენსივობა დამოკიდებულია გარემოს დიელექტრიკულ შეღწევადობაზე. ორი გარემოს გამყოფი საზღვრის დონის გასაზომად, ხელსაწყოში გამოიყენება პირველი არეკვლის შემდეგ დარჩენილი იმპულსის ენერგია. იმპულსის ენერგიის ნაწილი არ

აირეკლება აღნიშნული საზღვრიდან ვიდრე არ აირეკლება გარემოს ქვედა საზღვრიდან. ამასთან, ტალღის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ზედა გარემოს დიელექტრიკულ შეღწევადობაზე.


## 2.8. დონისა და გარემოს გამყოფი საზღვრების საზომი სისტემა

ეს სისტემა არის დონისა და გამყოფი საზღვრების საზომი მრავალკომპონენტიან გარემოში და თითოეული პროდუქტის რაოდენობის განმსაზღვრელი. ის საშუალებას იძლევა მივიღოთ რეზერვუარში პროდუქტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებები.

რეალურად ნავთობსა და წყალს შორის მკვეთრი გამყოფი ფენა არ არსებობს. არის გარდამავალი ემულსიური ზონა – „შუალედური ფენა“. ეს ნიშნავს, რომ საზღვრის ცნება „ნავთობი-წყალი“ საკმაოდ პირობითია. ტექნოლოგიური პროცესების მცირე დინამიკის პირობებში მოცემული დაშვება შეიძლება არაკრიტიკული აღმოჩნდეს „შუალედური ფენის“ სტაბილობის გამო (ნახ.12).



ნახ.12



ნახ.13

თუმცა უფრო რთული რეჟიმების შემთხვევაში არასტაბილური „შუალედური ფენის“ არსებობისას, ან თუ რეზერვუარებში და ტექნოლოგიურ აპარატებში არ არის არც ნავთობი არც წყალი და არის მხოლოდ „შუალედური ფენა“ ემულსის სხვადასხვა თვისებებით (ნახ.13), გასაზომი ინფორმაცია ნავთობი-წყალი საზღვრებს შორის დონის შესახებ იქნება არაუტყუარი და შეიძლება გამოიწვიოს მცდარი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები.

УМФ-300 სისტემის განვითარების კონცეფციაში „შუალედური ფენა“ იკავებს მთავარ ადგილს, რამდენადაც ზუსტად იქ ხდება ძირითადი პროცესები ნავთობისა და წყლის განცალკევებისათვის.. УМФ-300 ნავთობისა და წყლის დონეების გარდა ზომავს ემულსის დონეს, განსაზღვრავს „ნავთობი-ემულსის“ და „ემულსია-წყლის“ საზღვრების არსებობას და სიმკგეთრეს, განსაზღვრავს „შუალედური ფენის“ სტრუქტურას – მდგრადია თუ არა, ერთგვაროვანია თუ არა.

## 3. დასკვნა

როგორც დონის განხილული საზომებიდან ჩანს, თითოეულ მათგანს აქვს თავისი დადგებითი და უარყოფითი მხარეები. ასეთებია: გაზომვის დიაპაზონი, სიზუსტე, ცდომილება, მგრძნობიარობა და სხვ. გარდა ამისა, ამ ხესაწყოებს გააჩნია რიგი სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავს მათი გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ტიპის ნავთობპროდუქტების მიმართ. კერძოდ, მათი საშუალებით შეიძლება გავზომოთ სხვადასხვა ტემპერატურის, სიბლანტის, აალებადობის, გამჭვირვალობის, სიმკვრივის ნავთობპროდუქტების დონეები და ა.შ. გარდა დონეების გაზომვისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნავთობპროდუქტების გამყოფი საზღვრების გაზომვას, მრავალკომპონენტიან გარემოში და თითოეულ გარემოში პროდუქტის რაოდენობის განსაზღვრას. ასეთი გაზომვებისას იქნება გარკვეული სიძნელეები. რომლებიც შეიძლება გადაწყვეტილებებს უმფ-300 ხელსაწყოს საშუალებით.

**ლიტერატურა:**

1. Бунчук В.А.(1977). Транспорт и хранение нефти, нефтепродуктов и газа. -М.: „Недра“.
2. <http://skif-analit.com.ua/doc/Saab.pdf>
3. Вильнина А., Вильнин А.Д., Ефремов Е.В. (2001). Современные Методы и Средства Измерения Уровня в Химической Промышленности. Томского политехнического университета.
4. Шайхутдинова М.Ш. Определение границы раздела фаз нефть-вода в резервуарах сырой и товарной нефти. Институт проблем транспорта энергоресурсов г. Уфа. e-mail: margo\_mt@bk.ru
5. [www.td-urovnemer.ru/info/articles/bujkovye-urovnemery.html](http://www.td-urovnemer.ru/info/articles/bujkovye-urovnemery.html)
6. [http://sci.alnam.ru/book\\_ttp.php?id=136](http://sci.alnam.ru/book_ttp.php?id=136)
7. разработка ПО подсчета количества нефти в РВС оснащенных системами измерения уровня производства фирмы НИЦ МИ. г.Уфа. 2012 г.
8. [http://www.td-urovnemer.ru/info/articles/radarne\\_yrovnemeri.htm](http://www.td-urovnemer.ru/info/articles/radarne_yrovnemeri.htm)

**OVERVIEW OF MODERN METHODS FOR MEASURING LEVEL AND INTERFACE PHASES IN OIL TANKS**

Azmaiparashvili Zaal, Murjikneli Guram, Qitiashvili Georgi.  
Georgian Technical University

**Summary**

The paper discusses methods of oil level measurements in an oil tank by means of measuring instruments of different types. Described the advantages and disadvantages of each method. It is shown what method of measurement and measurement instruments must be used for different types of oil products. It is also considered the methods and means for determining (measurement) an intermediate emulsion "oil-water" zone in the oil reservoir

**ОБЗОР СОВРЕМЕННЫХ МЕТОДОВ ИЗМЕРЕНИЯ УРОВНЯ И ГРАНИЦ РАЗДЕЛА ФАЗ В НЕФТЯНЫХ РЕЗЕРВУАРАХ**

Азмаипарашвили З., Мурджикнели Г., Китиашвили Г.  
Грузинский технический университет

**Резюме**

Рассматриваются методы измерения уровней нефтепродуктов в нефтяных резервуарах с помощью измерительных приборов разного типа. Приводятся достоинства и недостатки каждого из них. Показано при каких видах нефтепродуктов какой метод измерения и измерительный прибор целесообразно применить. Рассматриваются также методы и средства определения (измерения) промежуточной эмульсионной зоны «нефть-вода» в нефтяном резервуаре.

## გაზომვითი აროცესების ელემენტების და მეთოდურ-ჯამური ცდომილებების ასპექტები მეტროლოგიურ კვლევებში

იზოლდა გარსევანიშვილი, ვლადიმერ ფადიურაშვილი, ზაზა ფადიურაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება გაზომვითი ელემენტების და მეთოდურ-ჯამური ცდომილებების ასპექტები მეტროლოგიურ კვლევებში. გაზომვებისა და კონტროლის შემთხვევაში გამოცდად მოიხსენიება ობიექტის თვისებების თვისობრივი და რაოდნობრივი მა-ხასიათებლების ექსპერიმენტალური გაზომვები სპეციალური საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ გამოცდის რეალური პირობები ყოველთვის განსხვავდება ნომინალურისაგან, ამიტომ აბსოლუტურად ზუსტი მონაცემების მიღება ყოველთვის შეადგენს დიდ სიძნელეს. განსილულია ცდომილებების სახეები და მათი მახასიათებლები, ცდომილებების გასაანგარიშებელი მეთოდები და აუცილებელი მოთხოვნები მონაცემთა შეჯამების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრული გაზომვა. მაგნიტური გაზომვა. აკუსტიკური გაზომვა. ოპტიკური გაზომვა. მექანიკური გაზომვა. სისტემური ცდომილება. შემთხვევითი ცდომილება.

### 1. შესავალი

გაზომვა როგორი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთქმედებას. მათ მიეკუთვნება: გასაზომი დავალება, გაზომვის ობიექტი, გაზომვის პრინციპი, გაზომვის მეთოდი და საშუალება, გაზომვის მოდელი, გაზომვის პირობები, შედეგები და გაზომვის ცდომილება.

გაზომვის პროცესი მიმდინარეობს ორი მიმართულებით, რომლებიც უკავშირდება და ავსებს ერთიმეროვ „რეალურობა-მოდელი“ ფორმით. გაზომვის ობიექტის მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს - ცდომილება არ უნდა აღმატებოდეს დასაშვები ნორმებიდან 10 %-ს. თუ ასეთი გაზომვის მოდელი ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, საჭიროა გაზომვის ობიექტის შეცვლა მეტად ეფექტური მოდელით, რომელიც დააკმაყოფილებს საჭირო ფიზიკური მონაცემების მოთხოვნებს.

გაზომვის ობიექტი ახორციელებს პრინციპის შერჩევას, გაზომვის მეთოდს და საშუალობას. გაზომვის პრინციპში იგულისხმება ფიზიკური პრინციპების ერთობლიობა, რასაც ეფუძნება გაზომვა. მაგალითად, როდესაც ვზომავთ ელექტრულ ძაბვას, ან გაზომვის სიჩქარეს. გაზომვის მეთოდი არის ხერხი ან გასაზომი სიდიდეების ერთობლიობა და ურთიერთშედარება.

მეტროლოგიური ანალიზისათვის აუცილებელია ტრადიციული კლასიფიკაცია დაფუძნებული ფიზიკურ პრინციპებზე. აქედან გამომდინარე გაზომვების სახეებია: ელექტრული, მაგნიტური, აკუსტიკური, ოპტიკური, მექანიკური და ა.შ. ყველაზე მატრიც მეთოდად ითვლება მაგნიტოელექტრული სისტემების ძაბვის გაზომვა ელექტრომექანიკური ვოლტმეტრებით, სადაც ვიყენებთ დიფერენციალურ და ნულოვან მეთოდებს. დიფერენციალურის დროს გაზომილი სიდიდის შედარებას ვახდენთ წინასწარ მოთხოვნად სიდიდესთან, ხოლო ნულოვანი მეთოდის დროს მათ შორის სხვაობა უნდა უტოლდებოდეს ნულს.

გაზომვის პროცესში აუცილებელია გაზომვის საშუალების სწორად შერჩევა, სადაც გასათვალისწინებელია გარემოს ტემპერატურა, ტენიანობა, წნევა და ა.შ. მოქმედი სიდიდეები, რომელთა გავლენაც აისახება შედეგებზე. ასეთ დროს აუცილებელია დამატებითი ცდომილებების გათვალისწინებაც, რის შემდეგაც გაზომვის სიზუსტე ითვლება დადებითად, როდესაც გაანგარიშებული ცდომილებები მიახლოებულია ნულთან. აუცილებელია ერთიდაიგივე ობიექტზე გაზომვა ჩატარდეს რამდენიმეჯერ ერთიდაიგივე საშუალებით და სათანადო პირობებით. შემდეგ ხდება

შედეგების შედარება, სადაც აუცილებელია მათი მონაცემების თანხვედრა, რაც ითვლება გაზომვის ხარისხის მაჩვენებლად. გაზომვის შედეგი და ცდომილების შეფასება იწოდება გაზომვის სუბიექტად, რაც აერთიანებს გაზომვის პროცესში რეალურ და მოთხოვნად შედეგებს, რის მიხედვითაც ხორციელდება თანმიმდევრობა, რაც გამოიხატება შემდგომში გასაზომი დავალების დასმით, ობიექტზე ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, ობიექტის გასაზომი მოდელის შერჩევა და მიღებული შედეგების დამუშავება.

გაზომვის მეტროლოგიური გაზომვებიდან გამომდინარე გაზომვები იყოფა ტექნიკურ და მეტროლოგიურ მიმართულებად.

ტექნიკური გაზომვები მიმდინარეობს სპეციალური ტექნიკური საშუალებებით და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით. ხოლო მეტროლოგიური გაზომვები სრულდება ეტალონების საშუალებით და შედარებით ეტალონურ და პრაქტიკულ-რეალურად მიღებულ მონაცემებს შერჩევა.

## 2. ძირითადი ნაწილი

გამოცდისა და კონტროლის შემთხვევაში გამოცდად მოიხსენიება ობიექტის თვისებების თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების ექსპერიმენტალური გაზომვები სპეციალური საშუალებებით. მახასიათებლების ექსპერიმენტალური განსაზღვრა მიმდინარეობს გაზომვებით, შეფასებებით და კონტროლით.

გამოცდის მიზანს შეადგენს აქტიური პარამეტრების მონაცემები და მახასიათებლები გამოცდების მსვლელობის დროს, ვინაიდან გამოცდის რეალური პირობები ყოველთვის განსხვავდება ნომინალურისაგან, ამიტომ აბსოლუტურად ზუსტი მონაცემების მიღება ყოველთვის შეადგენს დიდ სიძნელეს. გამოცდის შედეგებად ყოველთვის მოიხსენება ობიექტის თვისებების მახასიათებლები, როდესაც დაშული დავალება შეესაბამება ობიექტის მოთხოვნებს და შედეგები სასიათდება სიზუსტით.

გაზომვებსა და გამოცდებს შერჩევის არსებობს თვალსაჩინო მსგავსება. ჯერ ერთი, შედეგები ორივე ოპერაციის დროს გამოისახება რიცხობრივად და მეორეც, ცდომილებები ორივე შემთხვევაში დამოუკიდებელია გაზომვისა და გამოცდის შედეგებზე. მაგრამ მეტროლოგიის თვალსაზრისით არის მათ შერჩევის განსხვავებაც, რაც გამოიხატება ცდომილებების განსაზღვრის დროს. ასე, რომ გამოცდა ეს არის ზოგადი ინფორმაცია ობიექტის შესახებ, ხოლო გაზომვა ინფორმაცია რეალური შედეგების შესახებ. გაზომვა და კონტროლი მკვეთრად არიან ერთიმეორეს-თან დაკავშირებული ინფორმაციული მომაცემებით და გამოირჩევიან საერთო ოპერაციებით, როგორიცაა შედარებები და გასაზომი გარდამქნელები. ამავე დროს მათი პროცედურები ბევრად განსხვავდება:

- გაზომვის შედეგად ითვლება რაოდენობრივი მახასიათებები, ხოლო კონტროლის - თვისობრივი;

- გაზომვა მიმდინარეობს მონაცემთა ფართო დაბაზონით, ხოლო კონტროლი - მცირე რიცხოვანი მონაცემებით შესაძლებლობების ფარგლებში;

- მაკონტროლებელი ხელსაწყოები, გამზომი ხელსაწყოებისაგან განსხვავებით, იხმარება ნაწარმის მდგომარეობის გასაკონტროლებლად, რისი პარამეტრებიც ცნობილია და იცვლება ვიწრო ზღვრებში;

- პროდუქციის ძირითად მახასიათებლად გაზომვისას ითვლება სიზუსტე, ხოლო კონტროლის შემთხვევაში - ჭეშმარიტება.

პროდუქციის გაზომვის შედეგად მიღებული ხარისხი განისაზღვრება მისი ცდომილებით. ცნება „ცდომილება“ ემყარება სამ ძირითად მოთხოვნას: გაზომილი ფიზიკური სიდიდეების მოსალოდნელი და რეალური მნიშვნელობები და გაზომვის შედეგები.

ფიზიკური სიდიდეების მოსალოდნელი მნიშვნელობები არის იდეალური პირობების შედეგად მისაღები მონაცემები აღებულ ობიექტზე, რომელიც ესება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მონაცემებს. ფიზიკური სიდიდეების რეალური მნიშვნელობები არის ექსპრიმენტალურად მიღებული შედეგები, რაც სასურველია უახლოვდებოდეს მოსალოდნელ მონაცემებს.

გაზომვის შედეგები მიახლოებითი ანგარიშებია და უახლოვდება მოსალოდნელ შედეგებს.

განმარტება „ცდომილება“ არის მეტროლოგის ერთ-ერთი ცენტრალური მოთხოვნადი მნიშვნელობა და ასახვს გაზომილი შედეგების ცდომილებას. ეს არის სხვაობა გაზომვის შედეგად მიღებულ რეალურ მონაცემებსა და მოსალოდნელ თეორიულ შედეგებს შორის

$$\Delta = X - Q$$

ე.რ. ეს არის სხვაობა გაზომვის საშუალებების მონაცემებსა და მიღებულ ფიზიკურ სიდიდეებს შორის.

პრაქტიკულად ცდომილება შეიძლება დავყოთ შემთხვევით ცდომილებად, სისტემურ ცდომილებად, პროგრესირებად და „უხეშ“ ცდომილებად. შემთხვევით ცდომილებას მიეკუთვნება გაზომვების დროს გაუთვალისწინებელი შედეგის მიღება, რომელიც გამოიწვია ან გასაზომი საშუალების გაუმართობამ, ან კიდევ შემსრულებლის გამო. სისტემატიური ცდომილების დროს საქმე გვაქვს მუდმივად დაკანონებულ ცდომილებასთან, რომელიც მცირდება ყოველთვის გაზომვების გამეორადობის დროს. პროგრესირებული ცდომილება არის არაპროგნოზირებადი ცდომილება, რომელიც დროის მთელ მონაკვეთში ნელ-ნელა იცვლის მდგომარეობას და არის სპეციფიკური არასტაციონალური პროცესებისათვის. უხეში ცდომილება არის შემთხვევითი შედეგები ცალკეული დაკვირვებების დროს, რომელიც ვლინდება ძირითადად ან გარე-შეფაქტორების გავლენით, ან კიდევ ოპერატორ-ლაბორანტის არა სწორი მოქმედებით.

არსებობს შედარებითი ცდომილება, როდესაც აბსოლუტური ცდომილება ეფარდება რეალურად მიღებულ ცდომილებას:

$$B = \frac{\Delta}{Q} = \frac{(x - a)}{Q}$$

აქ მოცემული ცდომილება გაიგივებული შედარებით ცდომილე-ბასთან განიხილება საზომი სისტემების აბსოლუტურ ცდომილებად და ითვლება მუდმივ ცდომილებად გაზომვების დროს.

აქედან გამომდინარე, გაზომვების დროს მიღებული შედეგების სიზუსტე ხასიათდება მიღებული ცდომილების საფუძველზე.

გაანგარიშებებით მიღებული შედეგობრივ ცდომილებებს უწოდებენ ჯამურ ცდომილებებს, სადაც მთავარ პროცედურად ითვლება ის, რომ ცდომილებების შეჯამებისას შედეგები უნდა ჩავთვალოთ შემთხვევით ცდომილებად. ნამდვილობის თეორიის თანახმად შედეგების ორიენტირება უნდა ხდებოდეს მრავალჯერადი გაზომვების და ცდომილებების შედეგების საფუძველზე.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცალკეული შემადგენელი ცდომილებები უნდა იყოს ერთიმეორებული შეხამებული; ამ დროს ჯმის კანონიერების ფორმა შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს შემადგენლობის განაწილების მოთხოვნებისაგან.

ცდომილებების დაჯამება ეფუძნება კანონ მოთხოვნას, რომ ცდომილების აბსოლუტური მნიშვნელობა ყოველთვის უნდა იყოს გაზომილ შედეგებზე ბევრად ნაკლები.

პრაქტიკული მოთხოვნები ჯამური ცდომილებების მისაღებად მდგომარეობს მასში, რომ

1. ჯამური მნიშვნელობების მისაღებად გასათვალისწინებელია კავშირი სხვადასხვა ცდომილებების შემადგენლობისა;

2. თითოეული შემადგენლობა უნდა მოინახოს ცალკე გაანგარიშებით და მოთხოვნადი კანონების გათვალისწინებით;

3. ყველა ჯამური შედეგების მიღებისათვის აუცილებელია ცალკეული ცდომილებების ცალ-ცალქე გაანგარიშება;

4. შემადგენლობების შეჯამებიდან გამოყოფენ მკვეთრად ურთიერთდამოკიდებულ ცდომილებებს და მათ შეფასებებს, რის შემდეგაც ახდენენ მათ გეომეტრიულ შეჯამებას.

ცდომილებათა შეჯამების მეთოდიკა მდგომარეობს იმაში, რომ პროცესები განხორციელდეს რაც შეიძლება მარტივად და მოხერხებულად, რომელიც მკვეთრად ამარტივებს შრომას და ზრდის მის ნაყოფიერებას.

Constantly changing nature of network attacks requires a flexible protection system, which will have the ability to analyse large volumes of network traffic. Neuronal networks are the basis for organizing systems of protection of intellectual information. Such systems must ensure automatic and operative reaction in case of changes of vulnerability of protective system or space of threats, which leads to the use of evolutionary methods in protection of information systems. The thesis presents solution of neuronal network connections weights optimization problem by using genetic algorithm, in the case of a constant network topology and in the case of changeable topology of compatibility functions.

## **ЭВОЛЮЦИОННЫЕ АЛГОРИТМЫ В ЗАДАЧАХ ЗАЩИТЫ ИНФОРМАЦИИ**

Джанелидзе Г., Мепаришвили Б.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Постоянно изменчивый характер сетевых атак требует создание систем защиты, которые будут способны анализировать большой объем сетевого трафика. Базисом для организации интеллектуальных систем по защите информации являются нейронные сети. Подобные системы должны обеспечить автоматическую и оперативную реакцию при изменении характера уязвимости или пространства угрозы защитной системы, что приводит к использованию эволюционных методов в системах защиты информации. В работе представлено решение задач по оптимизации веса связей нейронных сетей с использованием генетических алгоритмов для сети как с постоянной топологией, а также для сети с изменчивой топологией по функции совместимости.

## AngularJs პლატფორმასთან მუშაობა Node.js გებ-სერვერის მიზანებით

გიორგი კენჭოშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება AngularJS - ის წარმოშობის ისტორია და მისი უპირატესობები. ნაჩვენებია AngularJS ბიბლიოთების, Bootstrap CSS სტილების ჩამოტვირთვა და სამუშაო გარემოს გამართვა. შემოთავაზებულია ვებ-სერვერისა და ტესტირების სისტემის ინსტალაციის ნიმუშები. საილუსტრაციო მაგალითის სახით განხორციელებულია მარტივი SPA-აპლიკაციის ჩატვირთვა ბრაუზერში.

**საკვანძო სიტყვები:** Unit ტესტი. End-To-End ტესტი. Npm. Node.js. Karma. Jasmine Framework.

### 1. შესავალი

AngularJS წარმოადგენს ღია კოდის (Open Source) მქონე JavaScript ტექნოლოგიას, რომელიც შეიმუშავა კომპანია Google-მა. პირველად იგი გაუღირდა 2009 წელს Misko Hevery-ის მიერ, როგორც JS მონაცემებთან სამუშაო სერვისის კომპონენტი. სერვისი განთავსებული იყო დომენზე GetAngular.com და გააჩნდა რეგისტრირებული მომხმარებლები, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა ბიზნეს იდეის უარყოფა და გამოუშვეს AngularJS ბიბლიოთეკა ღია კოდით[3]. დღეს-დღეობით, კომპანია Google აქტიურად განაგრძობს ამ ტექნოლოგიის განვითარებასა და მხარდაჭერას. AngularJS წარმოადგენს კლიენტის მხარის დაპროგრამების ტექნოლოგიას. იგი გამდიდრებულია სერვერული მხარის ტექნოლოგიებიდან აღებული საუკეთესო ფუნქციონალით და გამოიყენება ვებ-ბროუზერში ჩატვირთული HTML-დოკუმენტების გასამდიდრებლად. ამგვარად, AngularJS ტექნოლოგია აიოლებს მდიდარი სამომხმარებლო ინტერფეისის მქონე, ინტერაქტიული ვებ-აპლიკაციების შემუშავების პროცესს. AngularJS ვებ-აპლიკაციები ეფუძნება Model-View-Controller (MVC) არქიტექტურულ სტანდარტს, რაც საშუალებას იძლევა შევიმუშაოთ აპლიკაციები, რომლებიც არიან:

- განვრცობადი (Extendible): პროგრამისტისთვის იოლია გაურკვეს კომპლექსური AngularJS ვებ-აპლიკაციის ლოგიკასა და სტრუქტურაში, დაამატოს ახალი ფუნქციონალი[1].
- მხარდაჭერა (Maintenance): AngularJS აპლიკაციები იოლად ექვემდებარება Debug პროცესს, შემოწმებასა და შემდგომ მხარდაჭერას.
- ტესტირებადი (Testable): AngularJS აპლიკაციები მორგებულია ტესტირების პროცესზე: Unit და End-To-End ტესტების შემუშავება გაიოლებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტომატურ რეჟიმში შეგვიძლია გავუშვათ ტესტები, ვიპოვოთ და აღმოვფხვრავთ ხარვეზები, მანამ, სანამ საბოლოო მომხმარებელი გადაწყდება მათ.
- სტანდარტიზებული (Standardized): AngularJS აგებულია თანამედროვე ვებ-სტანდარტების გათვალისწინებით და სარგებლობს უახლესი ტექნოლოგიების ფუნქციონალით (როგორიცაა HTML 5 API), პოპულარული ხელსაწყოებითა და არქიტექტურით.

შემდეგში განიხილება AngularJS -ისთვის ვებ-სერვერის და ტესტირების სისტემის ინსტალაცია.

## 2. ვებ-სერვერის ინსტალაცია

კლიენტის მხარის დაპროგრამების ხელსაწყოთა უმრავლესობა დაწერილია JavaScript ენაზე და ეშვება Node.js გარემოში[1].

Node.js წარმოადგენს Google Chrome ვებ-ბროუზერში ჩაშენებულ JavaScript ძრავს, თუმცა ასევე გათვალისწინებულია ბროუზერის გარეთ მუშაობის რეჟიმიც. გადავიდეთ მისამართზე: <https://nodejs.org> და დავაყენოთ Node.js პაკეტი (გათვალისწინებულია Windows, Linux და Mac OS ოპერაციული სისტემების შესაბამისი საინსტალაციო ვერსიები). იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ Node.js-ის ინსტალაციის კორექტულად შესრულებაში, გავუშვათ Command Line რედაქტორი. აგრიფოთ node და გავუშვათ ბრძანება (enter ღილაკზე დაჭრით). დაველოდოთ, სანამ არ შეიცვლება prompt კურსორი და გავუშვათ შემდეგი კოდი (კოდი უნდა აკრიფთოთ ერთ ზაზზე):

```
function testNode() {return "Node is working"}; testNode();
```

შედეგად Node.js გამოთვლის ჩვენს მიერ აკრეფილ JavaScript კოდს და გამოიტანს შედეგს:

```
'Node is working'
```

მრავალი გზა არსებობს Node.js ვებ-სერვერად გამოსაყენებისთვის დასაკონფიგურირებლად. ჩვენ ავირჩიეთ ყველაზე მარტივ და საიმედო მეთოდი, რაც გულისხმობს add-on მოდულების ინსტალაციას Node.js-ის ლოკალურ საინსტალაციო დირექტორიაში (ჩვენს შემთხვევაში: C:\Program Files\nodejs). დაპროგრამების პროცესისთვის მარტივი ვებ-სერვერის გამართვა საკმარისი იქნება. ამიტომ, სერვერს შევქმნის მიზნით გამოვიყენებთ Node.js-ის მოდულებს სახელად connect და serve-static.

გავუშვათ Command Line რედაქტორი და დავდგეთ Node.js-ის საინსტალაციო დირექტორიაზე. ამ მიზნით cmd-ში უნდა აკრიფთოთ cd [საინსტალაციო დირექტორის მისამართი], რაც ჩვენს შემთხვევაში იქნება:

```
cd C:/Program Files/Nodejs
```

და გავუშვათ ბრძანებები:

```
npm install connect და npm install serve-static.
```

NPM წარმოადგენს Node-ის პაკეტების ინსტალატორს. იგი ჩამოტვირთავს ყველა საჭირო ფაილს, რაც connect და serve-connect მოდულებს ჭირდებათ. ამის შემდეგ შევქმნათ ახალი ფაილი სახელად server.js (კვლავ ვიმუშებით Nodejs საინსტალაციო დირექტორიაში (ნახ.1)).

```
var connect = require('connect');
var serveStatic = require('serve-static');

var app = connect();

app.use(serveStatic("../angularjs"));
app.listen(5000);
```

### ნახ.1. Serve.js ფაილის კონტენტი

ეს მარტივი ვებ-სერვერი საკმარისია დეველოპმენტის პროცესისთვის. იგი ყურს უგდებს პორტ 5000-ზე შემოსულ მოთხოვნებს და ემსახურება ფაილებს, რომლებიც იმყოფებიან angularjs დირექტორიაში. ხოლო angularjs დირექტორია იმყოფება იმავე დონეზე, რომელზეც nodejs საინსტალაციო დირექტორია.

### 3. ტესტირების სისტემის ინსტალაცია

AngularJS ტექნოლოგიის დიდი ერთ-ერთი უპირატესობა არის Unit Testing ტესტირების სისტემასთან მაღალი შესაბამისობის დონეზე[2]. ეს საშუალებას გვაძლევს დეველოპმენტის პროცესშივე ავტომატურად შევამოწმოთ კოდის სისწორე. ლექციებში ტესტების გასაშვებად გამოვიყენებთ კარმა Test Runner ტესტირების გარემოს და Jasmine ტესტირების Framework-ს. ორივე მათგანი ფართოდ არის გავრცელებული და ადვილად მოხმარებადია. Node.js საინსტალაციო დირექტორიიდან გავუშვათ შემდეგი ბრძანება:

```
npm install -g karma
```

NPM-ი გადმოწერს ყველა იმ ფაილს, რაც Karma-ს ესაჭიროება. შემდგომი კონფიგურირება აღარ არის საჭირო. არმა ტესტირების გარემო Unit Test ტესტებს უშვებს Node.js სერვერზე, ხოლო თავად ტესტი შეგვიძლია შევიტრამ Jasmine, Unit ან სხვა ბიბლიოთეკების გამოყენებით. ამ ეტაპზე Karma-ს მუშაობის პრინციპებს არ ჩავულრმავდებით.

### 4. AngularJS დირექტორიის შექმნა

შემდეგ ეტაპზე უნდა შევქმნათ დირექტორია, საიდანაც მოვემსახურებით AngularJS აპლიკაციებს დეველოპმენტის პროცესში. ეს საშუალებას გვაძლევს დაპროგრამების პროცესშივე შევამოწმოთ სამუშაოს პროგრესირება და ორგანიზება გაუკეთოთ ფაილებს. შევქმნათ საქაღალდე სახელწოდებით angularjs. ახალი საქაღალდე იმავე დონეზე უნდა იმყოფებოდეს, რომელზეც შევქმნით nodejs საინსტალაციო საქაღალდე.

### 5. AngularJS ბიბლიოთეკის ჩამოტვირთვა

გადმოვწეროთ AngularJS ტექნოლოგიის უახლესი დასტაბილურებული ვერსია მისამართიდან: <http://angularjs.org>. მთავარ გვერდზე დავაჭიროთ Download და დავრწმუნდეთ, რომ Stable და uncompressed ოფციები არის ჩართული (როგორც მე-2 ნახაზზეა ნაჩვენები). ასევე შესაძლებელია არა-სტაბილური (Prerelease) ან მინიმიზირებული (minified) ვერსიის გადმოწერა. სალექციო კურსში გამოვიყენებთ AngularJS-ის არა-კომპრესირებულ ვერსიას. შევინახოთ angular.js ფაილი ახლად შექმნილ angularjs დირექტორიაში[1]. AngularJS ბიბლიოთეკის უახლესი ვერსია არის 1.4.8, რომელიც მაღალ შეიძლება ახალი ვერსიით ჩანაცვლდეს, თუმცა სტაბილური რელიზის შემთხვევაში AngularJS ფუნქციონალი არ ირღვვა და უფრო ახალი ვერსიის დაყენება არ გამოიწვევს პრობლემებს.



ნახ.2. AngularJS ბიბლიოთეკის გადმოწერა

## დამატებითი ფუნქციონალის ფაილები

ცხრ. 1

ფაილი	აღწერა	
angular-touch.js	Touchscreen Event-ის მხარდაჭერა	
angular-animate.js	ანიმაციები კონტენტის ცვლილებისას	
angular-route.js	URL მარშრუტიზაცია	
angular-sanitize.js	სახიფათო კონტენტის არიდება	
angular-locale-fr-fr.js	ლოკალიზაციის დეტალები, ენა-ფრანგული. ლოკალიზაციის ფაილების ერთ-ერთი წარმომადგენელი, i18n დირექტორიაში.	

## 6. Bootstrap სტილების ბიბლიოთეკა

კონტენტის სტილებით გასამდიდრებლად გამოვიყენებთ Bootstrap CSS ბიბლიოთეკას. Bootstrap არ წარმოადგენს AngularJS ტექნოლოგიასთან სამუშაო სავალდებულო ნაწილს, არც რაიმე კავშირი არსებობს ამ ორ პაკეტს შორის, მაგრამ Bootstrap-ს გააჩნია კარგი CSS სტილების ნაკრები. იგი საშუალებას გვაძლევს იოლად შევიმუშაოთ HTML-დოკუმენტები და ყოველ ჯერზე არ გწეროთ საკუთარი CSS-სტილები [1].

გადავიდეთ გზავნილზე: <http://getbootstrap.com> და დავაჭიროთ Download Bootstrap ლილაკს. მივიღეთ არქივს, რომელიც შეიცავს JavaScript და CSS ფაილებს. მათგან მხოლოდ ორი ფაილი დაგვჭირდება: დავაკოპიროთ შემდეგი ფაილები angularjs საქალალდეში (ამ ეტაპზე საქალალდეში იქნება მხოლოდ angular.js ფაილი).

- bootstrap.css
- bootstrap-theme.css

Bootstrap შედგება CSS და JavaScript ფაილებისგან. სალექციო კურსში გამოვიყენებთ მხოლოდ CSS ფაილებს, ხოლო Javascript ფაილები არ დაგვჭირდება.

სანამ სასწავლო მაგალითებზე გადავალოთ, შევამოწმოთ, რომ ყველაფერი დაინსტალირებულია და მუშაობს. შევქმნათ HTML ფაილი სახელად test.html და დავამატოთ angularjs დირექტორიაში.

```
<!DOCTYPE html>

<html ng-app>
<head>
  <title>First Test</title>
  <script src="angular.js"></script>
  <link href="bootstrap.css" rel="stylesheet" />
  <link href="bootstrap-theme.css" rel="stylesheet" />
</head>
<body>
  <div class="btn btn-default">{{"AngularJS"}}</div>
  <div class="btn btn-success">Bootstrap</div>
</body>
```

## ნაზ.3. AngularJS და Bootstrap სტილების შემოწმება test.html ფაილში

კოდში ზოგიერთი ნაწილი შეიძლება უცხო იყოს, მაგალითად ng-app ატრიბუტი html ელემენტზე და {{AngularJS}} გამოსახულება body ელემენტზე - წარმოადგენს AngularJS ტექნოლოგიის ნაწილს, ხოლო btn, btn-default და btn-success კალსები მოდიან Bootstrap ბიბლიოთეკიდან. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია დავოწმონდეთ სამუშაო გარემოს გამართულობაში.

## 7. სატესტო HTML-დოკუმენტის ჩატვირთვა


ვებ-სერვერის გაშვება ხდება Command Prompt-ში (cmd). დავდგეთ Nodejs საინსტალაციო დირექტორიაზე (ჩვენს შემთხვევაში უნდა ავტოიფოთ cd C:\ როგორამ Files\nodejs) და გავუშვათ ბრძანება: node server.js

ეს ჩატვირთვას წინა ნაწილში ანგულარჯს დირექტორიაში შემნიღ server.js ფაილს და პორტზე ნომრით 5000 ჩაირთვება HTTP მოთხოვნებზე ყურის გდების რეჟიმი.

გავხსნათ Chrome ბროუზერი და მისამართის ველში ავტოიფოთ:


<http://localhost:5000/test.html>.

შედეგად ბროუზერში ჩაიტვირთება ახლად-შექმნილი HTML-დოკუმენტი:



ნახ.4. სამუშაო გარემოს შემოწმება

მე-5 ნახაზზე კი ნაჩვენებია შემთხვევა, როდესაც არც AngularJS და არც Bootstrap არ მუშაობს კორექტულად. ყურადღება მივაქციოთ ორმაგი ფიგურული ფრჩხილის სიმბოლოებს {{ და }} და არც კონტენტი არის წარმოდგენილი ღილაკების სახით (რაც უნდა შეესრულებინა Bootstrap ბიბლიოთეკას). ამ შემთხვევაში უნდა გადავამოწმოთ ვებ-სერვერის კონფიგურაცია და angularjs საქაღალდები მოთავსებული ფაილები.



ნახ.5. გაუმართავი სამუშაო გარემოს შემთხვევა

## 8. დასკვნა

ერთგვერდიანი აპლიკაციები (SPA) სრულიად ახალი, განსხვავებული მიდგომაა თანამედროვე ვებ-აპლიკაციების დაპროგრამების მეთოდოლოგიაში. AngularJs აპლიკაციებში გაიოლებულია ტესტების შემუშავების პროცესი, რაც Dependency injection - ის დამსახურებაა. იოლად ექვემდებარება Debug პროცესს, სარგებლობს უახლესი ტექნოლოგიების ფუნქციონალით, არქიტექტურით, ზელსაწყოთა ნაკრებით და ა.შ..

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, AngularJs ტექნოლოგია სარგებლობს მეტი პოპულარულობით სხვა წინამორბედ ტექნოლოგიებთან შედარებით.

**ლიტერატურა:**

1. Freeman A. (2014). Pro AngularJS (Expert's Voice in Web Development). 1st ed., Apress, ch. 1, pp. 3-15.
2. Karpov V., Netto D. (2015). Professional AngularJS, ch. 9, pp. 275-315.
3. გენჭოშვილი გ. (2016). ერთგვერდიანი JAVASCRIPT - პლატფორმების ANGULARJS და EMBERJS განხილვა და შედარება. შრომები: „მართვის ავტომატიზებული სისტემები No 2(20), 2016”. სტუ. თბ., გვ.130-135.

**ANGULAR.JS PLATFORM TO WORK WITH NODE.JS WEB SERVER THROUGH**

Kentchoshvili Giorgi

Georgian Technical University

**Summary**

Considered AngularJs - production history and its benefits. Displaying AngularJs library, Bootstrap CSS style sheets, and download a working environment on. Proposed web - server system installation and testing of samples. An illustrative example is embodied in its SPA - Application to load the browser.

**РАБОТА С ПЛАТФОРМОЙ ANGULARJS ПРИ ПОМОЩИ ВЕБ-СЕРВИСА NODE.JS**

Кенчошвили Г.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

В статье рассматривается история создания Angular.Js, его преимущества. Показан пример загрузки библиотеки Angular.Js и стилей Bootstrap CSS, а также настройки рабочего пространства. Автором представлены примеры инсталляции веб-сервера и системы тестирования. В качестве иллюстрации рассмотрена загрузка в браузер простейшего SPA-приложения.

## მარქაზორი სტაციონარული ალგორითმების შემავალი და გამომავალი ინფორმაციის მომაღლიზაცია

ზურაბ ბოსიკაშვილი, დავით ჭოხონელიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

მანქანური სტაციონარული ალგორითმების მიზანია რაიმე სისტემაზე დაკვირვება. არსებული სისტემები შეიძლება იყოს მრავალნაირი: მათემატიკური, ბიოლოგიური, კომპიუტერული და ა.შ. მისი ერთ-ერთი სახეა ინტელექტუალური სისტემა. ეს სისტემები მოიცავს სხვადასხვა დარგებს. მანქანური სტაციონარული ალგორითმების ურთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ მირითად ანალიზურ საკითხებს: შემავალი და გამომავალი ინფორმაცია, სისტემის მუშაობის ძირითადი პროცესები და პრინციპები. ასეთი სისტემების მანქანურ სტაციონარული განასაზღვრულია მრავალი სხვადასხვა ტიპის ალგორითმი. მათთვის, ისევე როგორც მთლიანი სისტემისათვის აუცილებელია ინფორმაციის ადექვატურად მიწოდება. სისტემამ ადექვატურ ფორმატში უნდა მოგვაწოდოს გამომავალი ინფორმაციაც. ამ ყოველივედან გამომდინარეობს ინფორმაციის ნორმალიზაციის საჭიროება. მიმდინარე სტატია განიხილავს ინფორმაციის ნორმალიზაციის ერთ-ერთ ალგორითმს.

**საკვანძო სტუკები:** ინტელექტუალური სისტემა. მანქანური სტაციონარული სისტემა. ნორმალიზაცია.

### 1. შესავალი

მანქანური სტაციონარული ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. მისი საშუალებით ხდება აღნიშნულ სისტემაზე გარკვეული დაკვირვებები. ასეთი ტიპის სისტემები იყენებს სხვადასხვა ალგორითმებს [1]. გამოყენებული ალგორითმები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის, ასევე შეიძლება წარმოდგენილი იქნას რამდენიმე ალგორითმის კომბინაციაც, ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ, რომ გაუმჯობესდეს ინტელექტუალური სისტემის წარმადობა. როგორიც არ უნდა იყოს მანქანური სტაციონარული ალგორითმები, მათ ახასიათებთ ორი ძირითადი ფაქტორი [2,3]:

**1. შემავალი ინფორმაცია –** ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ადექვატურად მიეწოდება შესაბამის ალგორითმს;

**2. გამომავალი ინფორმაცია –** ნებისმიერი სახის ინფორმაცია. აუცილებელია აღნიშნული ინფორმაცია ადექვატურად იქნას წარმოდგენილი, რადგან ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სხვა ალგორითმის შემავალი მონაცემები ან/და საბოლოო შედეგი, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანმა უნდა მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილება.

საწყის ეტაპზე ხდება ინფორმაციის კატეგორიის იდენტიფიკაცია (ინფორმაცია შეიძლება იყოს მრავალი სახის, აქედან გამომდინარე პირველ რიგში აუცილებელია იმის გარკვევა თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის ის). შემავალი იქნება ინფორმაცია თუ გამომავალი, აუცილებელია ის გარდაიქმნას კონკრეტულ ფორმატში. აღნიშნული ფორმატს გამოიყენებს ალგორითმი ინფორმაციის იდენტიფიკაციისთვის. მონაცემთა წარმოდგენა ისე უნდა განხორციელდეს, რომ საბოლოო შედეგის აღქმა შეეძლოს არა მხოლოდ ინტელექტუალურ სისტემას, არამედ ადამიანსაც, რომელიც იყენებს აღნიშნულ სისტემას გარკვეული ამოცანების შესასრულებლად. კონკრეტულ ფორმატში გარდაქმნა სხვა არაფერია თუ არა მონაცემების ნორმალიზაცია/დენორმალიზაცია, რომელსაც განვიხილავთ. ცალკე საკითხია რამდენად კარგია შერჩეული ნორმალიზაცია/დენორმალიზაციის ალგორითმები თუმცა ზოგადად ნორმალიზაცია/დენორმალიზაციის გარეშე ვერ მოვახდენთ მთლიანი სისტემის მუშაობის ადექვატურობას.

## 2. მონაცემთა ტიპების ძირითადი კატეგორიები

არსებობს მონაცემთა სხვადასხვა ტიპები, რომლებიც გამოიყენება წესის მიერ ალგორითმისთვის. შემავალი და გამომავალი ინფორმაცია მიეკუთვნება ამ ტიპებიდან ერთ-ერთს. ძირითადად განსაზღვეულია შემდეგი მონაცემთა ტიპები:

**ნომინალური** – მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომლის ყველა შესაძლო მნიშვნელობა წინასწარ არის ცნობილი, შესაბამისად მიმდინარე მნიშვნელობა აუცილებლად იქნება ამ ჩამოთვლილი მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია სქესი, რომელსაც გააჩნია ორი შესაძლო მნიშვნელობა: მარობითი ან მდედრიბითი.

**ორდინალური** – მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომლის ყველა შესაძლო მნიშვნელობა წინასწარ არის ცნობილი, მიმდინარე მნიშვნელობა კი ხასიათდება ცვალებადობით რაღაც პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია ტემპერატურის სამი შესაძლო კატეგორია: “ცხელი”, “თბილი”, “ცივი”. პირველ ჯერზე მიმდინარე მნიშვნელობა შეიძლება იყოს “ცხელი”, გარკვეული პერიოდის/პირობების შედეგად კი მისი მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს და გახდეს “თბილი” და ა.შ. აქედან გამომდინარე ძირითადი განსხვავება ნომინალურსა და ორდინალურ ინფორმაციას შორის არის მიმდინარე მნიშვნელობის ცვალებადობა, (რაიმე პირობის/მდგომარეობის გათვალისწინებით) რომელიც ახასიათებს ორდინალური ტიპის ინფორმაციას.

**ინტერვალური** – მოიცავს რიცხვითი ტიპის ინფორმაციას, რომელსაც გააჩნია საწყისი 0. აღნიშნულის მაგალითია რაიმე წელიწადი, წარმოდგენილი რიცხვით ფორმატში (მაგალითად, 2010 წელი და ა.შ.).

**ფარდობითი** – მოიცავს რიცხვითი ტიპის ინფორმაციას, რომელსაც არ გააჩნია 0 ზე დაბალი ან ტოლი მნიშვნელობა. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია ასაკი (მაგალიტად, 10 წელი, არ არსებობს 0 წელი ან თუნდაც -1 წელი).

როგორიც არ უნდა იყოს მონაცემები, მათ ახასიათებთ გარკვეული ოპერაციების მსარდაჭერა. მაგ: შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. ასევე შეიძლება ახასიათებდეთ მიმართებითი დამოკიდებულებებიც, მაგ: მეტია, ნაკლებია, ტოლია და ა.შ.

მონაცემთა ტიპები					ცხრ.1
	ნომინალური	ორდინალური	ინტერვალური	ფარდობითი	
* ან /	არა	არა	არა	დიას	
+ ან -	არა	არა	დიას	დიას	
< ან >	არა	დიას	დიას	დიას	
= ან ! =	დიას	დიას	დიას	დიას	
მაგალითი	გენდერი	ცხალი/თბილი/ცივი	წელიწადი	ასაკი	

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ოთხი სხვადასხვა მონაცემთა ტიპი თუმცა საბოლოო ჯამში შეიძლება განვსაზღვროთ ორი ძირითადი ტიპი, რომელთაგანაც პირველია რაოდენობრივი, ხოლო მეორე

ხარისხობრივი. რაოდენობრივს განეკუთვნება ყველა ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც რიცხვითი სახით წარმოდგება, ხოლო ხარისხობრივს კი სხვა დანარჩენი. ინფორმაციის ნორმალიზაცია/დენორმალიზაცია გულისხმობს რამე კონკრეტული ალგორითმით მიმღინარე ინფორმაციის გარდაქმნას. არსებობს უამრავი სხვადასხვა ალგორითმი, რომელთაგანაც ურთ-ერთია Equilateral Encoding.

### 3. Equilateral Encoding ალგორითმი

აღნიშნული ალგორითმისათვის გენერირებული ინფორმაცია წარმოდგენილია მატრიცის სახით, რომლის განხომილებებია  $N \times N-1$  ზე, სადაც  $N$  არის კატეგორიების რაოდენობა ( $N$  შეიძლება იყოს 1 ან მეტი, აღნიშნულის განხილვისთვის ვიგულისხმოთ  $N > 1$ ), ხოლო თითოეული სტრიქონი შეიცავს ე.წ encoding ს მიმღინარე კატეგორიისათვის [4]. ალგორითმისათვის აუცილებელია რამე წინასწარგანსაზღვრული შუალედი, რომელშიც მოგახდენთ მონაცემთა გრადაციას (როგორც წესი ეს შუალედი არის  $-1$  და  $1$  მდე თუმცა შეიძლება აღებულ იქნას რამე განსხვავებულიც. აღნიშნულის განხილვისთვის გამოვიყენოთ შუალედი  $-1$  და  $1$  მდე). ალგორითმი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ბიჯების სახით:

1. საწყისი მატრიცის პირველი სტრიქონის პირველ ელემენტში უნდა ჩაიწეროს შუალედის მინიმალური მნიშვნელობა, ხოლო მეორე სტრიქონის პირველ ელემენტში კი შუალედის მაქსიმალური მნიშვნელობა. შესაბამისად გვექნება:

$$\begin{aligned} result[0][0] &= -1; \\ result[1][0] &= 1; \end{aligned}$$

2. ვახდენთ იტერაციას მე 2 კატეგორიიდან ზემოთ  $N$  მდე. (უგულებელვპჭობთ პირველს, რადგან არ გვაქვს განხილული ისეთი შემთხვევა როდესაც მოცემულია მხოლოდ 1 კატეგორია):

*for k from 2 to N {*

3. ვითვლით გრადაციის კოეფიციენტს. ყოველი ახლად აგებული მატრიცის მიღება ხდება წინა მატრიცის გამოყენებით (ათვლა მეორედან დავიწყეთ, მესამე კატეგორიისათვის მატრიცის მიღება შეგვიძლია წინა მატრიციდან, რომელიც უკვე გენერირებულია)

$$f = \frac{\sqrt{N * N - 1}}{r};$$

4. ვახდენთ მატრიცის იმ ნაწილზე იტერაციას, რომელიც უკვე გამოვთვალეთ და მოვაწდინეთ მისი გრადაცია:

```
for i from 0 to k {  
    for j from 0 to k - 1 {  
        result[i][j] *= f  
    }  
}
```

5. გამოვთვალოთ მატრიცის ზღვარი (ვექტორ-სვეტების გარკვეული მნიშვნელობები)

```
 $r = -1/N;$   
for j from 0 to k {  
    result[i][k - 1] = r  
}
```

6. მატრიცის ბოლო მნიშვნელობაში ჩაეწეროთ 1 და გავაგრძელოთ მე 2 ბიჯზე აღწერილი ციკლი

*result*[*k*][*k* - 1] = 1;

7. როდესაც ციკლი მთლიანად დასრულდება , უნდა მოვახდინოთ მთლიანი მატრიცის გრადაცია [-1 , 1] შუალედში.

```
dataLow = -1;
dataHigh = 1;
for row from 0 to N {
    for col from 0 to N - 1 {
```

$$result[row][col] = \left( \frac{result[row][col] - dataLow}{dataHigh - dataLow} \right) * (normalizedHigh - normalizedLow) + normalizedLow;$$

```
}
```

}

კონკრეტული კატეგორიის სანახავად (რომელიც უკვე ნორმალიზებულია), უნდა ამოვიღოთ შესაბამისი სტრიქონი მიღებული/გენერირებული მატრიციდან. დეკოდირებისთვის (დენორმალიზაციისათვის) კი უნდა ვიპოვოთ მატრიცაში ისეთი სტრიქონი, რომელსაც გააჩნია უმცირესი გველიდური მანძილი გამომავალ კექტორთან (ნორმალიზებულ გექტორთან) მიმართებაში.

#### 4. კონკრეტული მაგალითი

ზემოთ აღწერილი ალგორითმის საფუძველზე შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: პირობითად ავიღოთ შემდეგი პარამეტრები: კატეგორიების/კლასების რაოდენობა - 5, შუალედი - [-1,1]. ალგორითმის საფუძველზე მიღებული მატრიცა შემდეგნაირად გამოიყერება:

Class	Output 0	Output 1	Output 2	Output 3
Class #1	-0.7905694150420949	-0.4564354645876385	-0.32274861218395134	-0.25
Class #2	0.790569415042095	-0.4564354645876385	-0.32274861218395134	-0.25
Class #3	0	0.912870929175277	-0.32274861218395134	-0.25
Class #4	0	0	0.9682458365518543	-0.25
Class #5	0	0	0	1

#### ნახ.2. მიღებული მატრიცა (კონკრეტული მაგალითი)

#### 5. დასკვნა

კვლევის საფუძველზე განვიხილეთ ალგორითმი, რომლის დახმარებითაც მოვახდენთ შემავალი და გამომავალი ინფორმაციის ნორმალიზაცია/დენორმალიზაციას. აღნიშნულს ძალიან დიდი ფუნქცია აკისრია ინტელექტუალურ სისტემაში, რადგან ნორმალიზაციის არ არსებობამ ან არასწორმა ნორმალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მთლიანი სისტემის არა ადაექვატური მუშაობა, აქედან გამომდინარე აუცილებელია ნორმალიზაციის გამოყენება და შესაბამისი ალგორითმის სწორად შერჩევა.

ლიტერატურა:

1. Bell J. (2015). Copyright ©John Wiley & Sons, Inc. <http://onlinelibrary.wiley.com-book/10.1002/9781119183464>.
2. ბოსიკაშვილი ზ., ჭოხონელიძე დ. (2015). მანქანური სწავლების კლასიფიკაციის ალგორითმებში შემავალი ინფორმაციის ფორმირება. სტუ-ს შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(20). გვ.31-35.
3. ბოსიკაშვილი ზ., ჭოხონელიძე დ. (2015). მანქანური სწავლების კლასტერიზაციის ალგორითმებში გამომავალი ინფორმაციის ფორმირება. სტუ-ს შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(20). გვ.36-41.
4. Heaton J. (2013). Artificial Intelligence for Humans Volume 1 Fundamental Algorithms. <https://www.youtube.com/watch?v=Ftk0iTdGlN4>.

## **NORMALIZATION OF INPUT AND OUTPUT INFORMATION IN MACHINE LEARNING ALGORITHMS**

Bosikashvili Zurab, Chokhonelidze David  
Georgian Technical University

### **Summary**

One of the main purpose of machine learning is observating the system. There exists many kinds of system: Mathmetical, Biological, Informational system and etc. One kind of such system is intelligence system. These systems are used in many industries. Machine learning is one of the main part of intelligence system which includes such questions: Input and output information, main processes of system. Such systems' machine learning defines many kind of algorithms. Such systems' machine learning defines many kind of algorithms. For them, as well as the entire system it's necessary to adequately supply the information. System must also adequately generate output information. Therefore information normalization is required. The following article discusses one of the algorithms of normalization.

## **НОРМАЛИЗАЦИЯ ВХОДЯЩЕЙ И ВЫХОДЯЩЕЙ ИНФОРМАЦИИ В АЛГОРИТМАХ МАШИННОГО ОБУЧЕНИЯ**

Босикашвили З., Чохонелидзе Д.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Основная цель машинного обучения - это наблюдение за какой нибудь системой. Существующие системы могут быть многообразными: математические, биологические, компьютерные и т.д. Один из видов -интеллектуальная система. Эти системы включают в себя разные отрасли. Машинное обучение одна из основных частей интеллектуальной системы, что, в свою очередь, включает в себя аналитические вопросы: входящая и выходящая информации, основные процессы и принципы работы системы. В машинном обучении для таких систем предусмотрены разного типа алгоритмы. Для них, как и для всей системы, обязательным условием является предоставление адекватной информации. Система в адекватном формате должна предоставить и выходящую информацию. Из всего этого вытекает необходимость нормализации информации. В статье рассматривается один из алгоритмов нормализации информации.

**ვიდეოთამაშები აგენტთა ჯგუფების გარეთიანებისა და  
კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ**

გიორგი აბელაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


**რეზიუმე**

მულტიაგენტური ტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება ვიდეოთამაშებში. იგი აერთიანებს თამეშების თეორიის, რომელი სისტემების, გამოთვლითი სოციოლოგიისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხებს. ვიდეოთამაშებში ხელოვნური ინტელექტის ამოცანები, ძირითადად, დამყარებულია ინდივიდუალურ აგენტზე, თუმცა არსებობს პრობლემები, სადაც საჭიროა აგენტთა ჯგუფები. არსებობს აგენტთა კოლექტივში გაერთიანების გარკვეული პრინციპები და მიღვომები. კოლექტივში, როგორც ინდივიდუალური აგენტის შემთხვევაში, ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ასეთ გადაწყვეტილებას ეწოდება ჯგუფური გადაწყვეტილება. სტატიაში განიხილება მულტიაგენტური კოლექტიური გაერთიანებებისა და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების საკითხები ჭირდების ამოცანის მაგალითზე.

**საკვანძო სიტყვები:** ვიდეოთამაში. მულტიაგენტური ტექნოლოგია. ინტელექტუალური აგენტი. პროგრამა. ხელოვნური ინტელექტი.

**1. ინტელექტუალურ აგენტთა გაერთიანება,  
გადაწყვეტილებათა ტიპები**

ვიდეოთამაშებში ადამიან მოთამაშეებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს ხელოვნური (პროგრამული) აგენტები, რომლებიც მოთამაშესთან ერთად მოქმედებს დინამიკურ გარემოში [1,2]. ისინი ფაქტებზე და წესებზე დაყრდნობით ღებულობს ინდივიდულურ ან კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. ასევე აგენტები ასრულებს გარკვეულ ქმედებებს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად (ნახ.1). მოქმედებისთვის პროგრამულ აგენტებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა [3]. ეს ცოდნა აგენტებში შეიძლება ჩადებული იყოს სტატიკურად კოდის სახით, ან მიეწოდებოდეს დინამიკურად წესებისა და ფაქტების საშუალებით.




ნახ.1. ადმიანისა და ხელოვნური აგენტის მოქმედება

ნებისმიერი აგენტის მოქმედება დამყარებულია მის ცოდნაზე, ცოდნა - სწავლებაზე. აგენტი ინდივიდუალურად როდესაც მოქმედებს, მას დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი გააჩნია, იგი მხოლოდ საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს, სწავლობს, იღებს შესაბამის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. არსებობს ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ინდივიდუალურ აგენტზე უფრო ეფექტურად აგენტთა კოლექტიური გადაწყვეტილებით ხდება.

აგენტთა საერთო ცოდნიდან გამომდინარე მიიღება კოლექტიური გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება ოპტიმალურია არსებული მიზნისათვის და ამოცანისთვის. საერთო ცოდნის ბაზა იქმნება თვითონეული აგენტის ინდივიდუალური ცოდნის საფუძველზე. იგი შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ინდივიდუალურისგან, რადგან აგენტები ხშირად აწყდებოდა პრობლემას, როდესაც მათი ინდივიდუალური ცოდნა იცვლებოდა.

## 2. ჭიანჭველების ამოცანა

ქვემოთ ყველგან ვიგულისხმებთ, რომ პროგრამული აგენტები დელიბერაციულია და მხოლოდ სიმბოლების სამყაროში მოქმედებს. ჩამოვაყალიბოთ ჭიანჭველა-აგენტების ამოცანა. ჭიანჭველა-აგენტები და ობიექტები ორგანზომილებიან, უჯრებად დაყოფილ, შემოფარგლულ სიბრტყეზეა განთავსებული და შეუძლია ამ სიბრტყეში მოძრაობა, მხოლოდ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით (ნახ.2).



ნახ.2. ჭიანჭველების ამოცანის გრაფიკული პროტოტიპი

აგენტები ასევე შეიძლება გარკვეულ კოოპერაციაში იყოს გაერთიანებული. სიბრტყეზე შემთხვევითად ჩნდება ობიექტები (ფოთლები), რომლებიც შეზღუდული ანბანის შედგენილ მიმდევრობათა მიმდევრობაა. აგენტს შეუძლია შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

- შეზღუდული ზომის ფოთლის გადაადგილება;
- ფოთლის დაჭრა იმ სიმბოლოზე რომელსაც იცნობს;
- გამოყოფილი სიმბოლოს შენახვა საცავში;

- თამაშის მიზანია გარკვეულ დროში კოოპერაციაში მყოფმა ჭიანჭველა - აგენტებმა რაც შეიძლება მეტი სიმბოლოები დააგროვონ. აგენტები თავდაპირველად, შემთვევით პოზიციებში თავსდებიან და შეუძლიათ ერთდროულად მომრაონ. ასევე კოოპერაციაში მყოფმა აგენტებმა შეიძლება მოქმედები ერთდროულად შესრულონ , მაგ. სამშა აგენტმა გადაიტანოს დიდი ზომის ფოთოლი.

მოვახდინოთ ჭიანჭველების კლასიფიკაცია მათი როლების მიხედვით:

- **მშვერავი** – ჭიანჭველა, რომელიც ეძებს ვარგისი ზომის ფოთლებს. მას აქვს ფოთლის აღმოჩენის გარკვეული რადიუსი და იგი მოძრაობს გარკვეული სიჩქარით;

- **ფოთლების მჭრელი** – ჭიანჭველები, რომლებსაც აქს საწყისი ცოდნა სიმბოლოებზე, ანუ ისინი ცნობს მსოლოდ მარტივ სიმბოლოებს, თუ ფოთლი შეიცავს ამ სიბოლოს ეს ჭიანჭველები შესაბამისი ფოთლის ნაწილს მოაჭრიან;

- **გადამზიდავები** – ჭიანჭველები, რომლებიც ეძებს უკვე ფოთლებისგან ჩამოჭრილ სიმბოლოებს და მიაქვთ საცავში. მათ აქვთ მოძრაობის გარკვეული სიჩქარე და შეუძლიათ გარკვეული რაოდენობის სიმბოლოების გადატანა საცავში;

- **გურუ ჭიანჭველა** - ჭიანჭველათა ჯგუფში, გუნდური გადაწყვეტილებების მიმღები ჭიანჭველა. მას ევალება გუნდის მიერ წარმოთქმული არგუმენტების დამუშავება და გადაწყვეტილებების მიღება.

ჭიანჭველების ამოცანაში, რომელიც ინდივიდუალური აგენტის მიღებით როგორი ამოსახსნელია, საჭიროა აგენტთა კოოპერაცია, გაერთიანება. ხელოვნურ ინტელექტში აგენტთა გაერთიანებები, ხდება არგუმენტაციის მექანიზმით [3].

ზოგადად, არგუმენტაციის მექანიზმი ლოგიკურად განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება იყოს მიღებული დასკვნა, ასევე ლოგიკური განსჯების საფუძველზე. ჭიანჭველების ამოცანის მაგალითზე, არგუმენტაციის მექანიზმი მუშაობს ჯგუფებში. არსებობს ზუსტი პირობები და დასკვნები, რომელთა მიხედვითაც ჭიანჭველები შეიძლება ჯგუფში გაერთიანდეს ან პირიქით, ზოგი ჭიანჭველა გუნდმა გაათავისუფლოს.

### **3. აგენტთა გაერთიანებები და მულტიაგენტური კოლექტიური გადაწყვეტილებები ჭიანჭველების ამოცანის მაგალითზე**

ჭიანჭველების ამოცანა განვიხილოთ როგორც კოოპერატიული ვიდეოთამაში, სადაც მნიშვნელოვანია ოპტიმალური შედეგი. ჩვენ შეგვიძლია კლასიფირებული ჭიანჭველები გავაერთიანოთ ჯგუფებად, რათა მათი საერთო დავალებების შესრულება აგრძელოთ. თვითონული კლასისთვის დავალებები ასეთია:

- მზვერავებმა რაც შეიძლება მეტი ფოთლი იპოვოს მინიმალურ დროში;
- ფოთლის მჭრელებმა ფოთლის მაქსიმალური რაოდენობა დაჭრას;
- გადამზიდავებმა ფოთლის მაქსიმალური რაოდენობა გადაიტანოს საცავში.

მაქსიმალური შედეგის მისაღწევად საჭიროა კარგი გუნდის ფორმირება. კოოპერატივმა შეიძლება აიყვანოს ახალი წევრი გუნდში და ასევე შეელიოს ძველ წევრს. განვიხილოთ აგენტთა გაერთიანებები და მათი კოლექტიური გადაწყვეტილებები, როდესაც თვითონულ ჯგუფს სათავეში უდგას გურუ ჭიანჭველა.

#### 4. მზვერავთა კონტრაცია და ჯგუფური გადაწყვეტილებები.

ჭიანჭველების ამოცანაში ნებისმიერ მზვერავს აქვს ფოთლის ამოცნობის  $R$  რადიუსი. მოცემული რადიუსის მქონე წრეწირის შიგნით იგი აღმოაჩენს ვარგის ფოთლოს და მონიშვავს მას. ყოველი მზვერავი მოძრაობს გარკვეული  $V$  სიჩქარით. დავუშვათ, ამოცანაში შემდეგი პირობაა - ნებისმიერი მზვერავი ჭიანჭველისთვის რადიუსის დამოკიდებულება უკუპროპორციულია სიჩქარისა. ჭიანჭველა რაც უფრო ჩქარა მოძრაობს, მით ნაკლებია მისი მოქმედების რადიუსი, ხოლო რაც უფრო ნელა მოძრაობს, პირიქით, მას შეუძლია უფრო ფართო ტერიტორია გამოიკვლიოს. მზვერავის მარგი ქმედების კოეფიციენტი გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით [1]:

$$Z = RV. \quad (1)$$

მზვერავების გუნდურად გაერთიანება მნიშვნელოვანია ამოცანის ამოხსნის წარმადობისთვის. თითოეული მზვერავის გუნდში აყვანის შემდეგ გუნდი იწყებს ახალი სიჩქარით მოძრაობას. ყველა ჭიანჭველას საშუალო სიჩქარეა

$$V_{max} = \sum_{i=1}^n (V_i / n), \quad (2)$$

ხოლო ჯამური დასაზვერი ფართობის რადიუსი, თითოეული ჭიანჭველის მიერ გამოკვლეული ფართობის რადიუსების ჯამის საშუალო არითმეტიკულია:

$$R_{max} = \sum_{i=1}^n (R_i / n) \quad (3)$$

ერთის მხრივ, მზვერავებმა უნდა გაითვალისწინოს ამოცანის შესრულების სისწრაფე და გუნდში ჰყავდს სწრაფი გადაადგილების მქონე ჭიანჭველები. მეორეს მხრივ, საჭიროა ფართე რადიუსი, რადგან უფრო მეტი ხილვადობა პქონდეს ჯგუფს. ამ შემთხვევაში, საჭიროა ოპტიმალური შუალედის პოვნა, ჭიანჭველები არც ძალიან უნდა აჩქარდეს და არც უნდა შენელდეს. შესაბამისად, მათ უნდა პქონდეს მაქსიმალურად დიდი ხილვადობის რადიუსი და უნდა მოძრაობდეს მაქსიმალურად სწრაფად.

ყოველი ახალი ჭიანჭველას შეხვედრის შემთხვევაში, ირთვება გუნდის არგუმენტაციის მექანიზმი, თვითოეული ჭიანჭველა ამბობს სათავისო არგუმენტს მისი მარგი ქმედების კოეფიციენტიდან გამომდინარე, ანუ რომელი პარამეტრით არის უპირატესი. გურუ წყვეტის გუნდიდან წამოსული არგუმენტების მიხედვით აიყვანოს თუ არა ახალი წევრი, თუ ჩანაცვლოს არსებული. ახალი წევრის აყვანამ დიდი რადიუსით, შეიძლება ძალიან შეანელოს მოქმედება, ხოლო სწრაფად მოძრავმა ჭიანჭველამ კი ხილვადობის რადიუსი შეამციროს.

[1]-ში აღწერილია გაძლიერებითი დასწავლის ალგორითმი, სადაც თვითოეულ ჯერზე გადაწყვეტილების მიღება დაფუძნებულია ჯილდოზე. ჯილდო პირობითად, არის მიზნის მიღწევის შედეგად მიღებული სარგებელი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც გურუები, ზუსტად ასეთი მეთოდით მოქმედებს.

თუ ჩვენ გვაქვს არსებული მდგომარეობა  $x$  და ხელმისაწვდომი მოქმედება  $a$ , მაშინ  $Q$  დასწავლითი ალგორითმი მოიცემა ბოლცმანის ტოლობით [4]:

$$p(a_i|x) = \frac{e^{Q(x,a_i)/T}}{\sum_{k \in actions} e^{Q(x,a_k)/T}} \quad (4)$$

სადაც  $T$  არის ტემპერატურის პარამეტრი და ის განსაზღვრას გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევითობას. გურუ იღებს გადაწყვეტილებას, იღებს  $r$  - ჯილდოს. შემდეგ კი გადადის ახალ  $y$  მდგომარეობაზე. ყოველ ჯერზე აგენტი ანახლებს  $Q(x, a)$  - რეკურსიულად, უმატებს პოზიტიურობის წონას  $\beta$  და აკლებს სამომავლო რესურსებს:

$$Q(x, a) \leftarrow Q(x, a) + \beta(r + \gamma V(y) - Q(x, a)) \quad (5)$$

$\gamma (0 \leq \gamma \leq 1)$  არის კლებადობის პარამეტრი და  $V(x)$  მიღება ასე:

$$V(x) = \max_{b \in \text{actions}} Q(x, b) \quad (6)$$

## 5. ფოთლის მჭრელთა კონპერაცია და ჯგუფური გადაწყვეტილებები

მზვერავთა ჯგუფური გადაწყვეტილებების მსგავსად შეგვიძლია განვიხილოთ ფოთლის მჭრელთა დინამიკური დაჯგუფებებიც. მათი კოლექტივიზაციაც დამოკიდებულია მარგი ქმედების კოეფიციენტზე, რომელიც გამომდინარეობს მათსავე დამახასიათებელი ქცევიდან - შესაბამისი სიმბოლოს ფოთლის დანაწევრებისგან.

ჭიანჭველათა ჯგუფი, რომელთა შემაღებელობაში შედის  $a, v, g, n \dots$  ფოთლის ამომცნობი ჭიანჭველები. თითოეული ჭიანჭველათა ჯგუფისათვის არსებობს ჯგუფური მარგი ქმედების კოეფიციენტთა ჰეშ-ცხრილი (ცხრ.1), სადაც წერია შესაბამისი სიმბოლოს ამომცნობი ჭიანჭველის არაწარმადობის ან წარმადობის კოეფიციენტი. თავიდან ეს კოეფიციენტები არის 0-ის ტოლი.

ყოველი ახალი სიმბოლოს ამომცნობი ჭიანჭველის დამატების შემთხვევაში ამ ჰეშ-ცხრილს შეემატება შესაბამისი სიმბოლოს ერთი ჩანაწერი, მნიშვნელობით 0. განვიხილოთ შემთხვევები თუ როგორ იცვლება ჰეშ-ცხრილი სიმულაციის ყოველ შემდეგ ნაბიჯზე.

**ფოთლის მჭრელთა ჰეშ-ცხრილი ცხრ.1**

$a$	0
$v$	0
$g$	0
$n$	0
...	0

ნებისმიერი ფოთლის დამუშავების შემდეგ, ჯგუფში გადაიხედება შესრულებული სამუშაო და ამ სამუშაოზე მომუშავე ჭიანჭველები გადაირჩევა. ვთქვათ, თუ ჭიანჭველა  $a$ -სთვის შესაბამისი სიმბოლო ვერ მოიძებნა და ის, ასე ვთქვათ, უსაქმოდ დარჩა, ჰეშ-ცხრილის გრაფაში მისი სიმბოლოს შესაბამის მნიშვნელობა შემცირდება 1-ით. ესე იგი, ანსებული ჭიანჭველის წარმადობა შემცირდა. თუ დარჩა ისეთი ფოთლის ნაწილი, რომლის სიმბოლოს ამომცნობი არ მოიძებნება გუნდში, მაშინ გუნდის ჰეშ-ცხრილში ჯერ დაიძებნება შესაბამისი სიმბოლოს ჩანაწერი. პოვნის შემთხვევაში მისი მნიშვნელობა გაიზრდება 1-ით, ხოლო არ-პოვნის შემთხვევაში, გაკეთდება ახალი ჩანაწერი ამ სიმბოლოთი და მნიშვნელობით 0. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი სიმბოლოს ამომცნობი ჭიანჭველის საჭიროების კოეფიციენტი გაიზარდა, ან საჭირო ჭიანჭველის გრაფა დაემატა.

**ჰეშ-ცხრილის ცვლილება გარკვეულ ბიჯზე ცხრ.2**

$a$	1
$v$	0
$g$	2
$n$	-3
...	0
$t$	0

პირობითად, არსებობს გარკვეული ზღვარი ჰეშ-ცხრილის მნიშვნელობებში, როდესაც საჭირო ხდება გურუ-ჭიანჭველის მიერ ახალი წევრის დამატება ან ძველი წევრის გაშვება. თუ მარგი ქმედების კოეფიციენტი მნიშვნელობით გარკვეულ ზღვარს (- δ) ჩამოსცდება (ცხრ.2), გურუ იღებს გადაწყვეტილებას, რომ შესაბამისი სიმბოლოს ამომცნობი ჭიანჭველა საჭირო აღარ არის ამ გუნდში, და იგი მას ათავისუფლებს. ამ ჭიანჭველის შესაბამისი სიმბოლოიანი ჩანაწერიც იშლება ჰეშ-ცხრილიდან. თუმცა გათავისუფლებული ჭიანჭველა შეიძლება საჭირო იყოს სხვა გუნდისთვის, რომლის გურუმაც მისი სიმბოლოს მქონე ჭიანჭველის დამატების გადაწყვეტილება მიიღო, რაც შემდეგნაირად განისაზღვრება - თუ სიმულაციის გარკვეული ბიჯების შემდეგ რომელიმე სიმბოლოს კოეფიციენტი გასცდა გარკვეულ ზღვარს (δ), ე.ი. საჭიროა ამ სიმბოლოს ამომცნობი ჭიანჭველის დამატება გუნდში, რადგან მისი სამუშაო უხვად არის შესაბამის კოლონაში.

- ყოველი შეძლები ჭიანჭველის დამატების ფსევდოკოდი:

```
foreach(each i; i < HashTable.length; i++)
{if(i.value > δ) AddNextAntInColony(i.key)}
```

- არასაჭირო ჭიანჭველის გათავისუფლება კოლონიდან:

```
foreach(each i; i < HashTable.length; i++)
{if(i.value < -δ) RemoveAntFromColony(i.key)
DecrementHashTable(i.key)}
```

## 6. გადამზიდავი ჭიანჭველების კოოპერაცია და ჯგუფური გადაწყვეტილებები

მზვერავი ჭიანჭველების მსგავსად, გადამზიდავებიც ანალოგურად შეგვიძლია განვიხილოთ, ოღონდ მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი დამოკიდებული იქნება მოძრაობის სიჩქარესა და ფოთლის სიმძიმის დაძლევაზე - რაც უფრო დიდ ნაჭერს წაიღებს ჭიანჭველა მით უფრო ნელა ივლის, ხოლო მსუბუქი ნაჭრის აწევის შემთხვევაში პრიქით, სწრაფად ივლის. ჯგუფის მიზანი იქნება კოლონამ წაიღოს ოპტიმალური წონის ფოთლები ოპტიმალურ დროში.

### 3. დასკვნა

განხილულ იქნა ვიდეოთამაშებში მულტიაგენტურ სისტემათა ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღების საკითხები, ჭიანჭველების ამოცანის კლასიკური მაგალითის საფუძველზე. ნაჩვენებ იქნა, რომ კოოპერაციისთვის მნიშვნელოვნია არგუმენტაციის მექანიზმი. ამ მექანიზმის საშუალებით გურუ აგენტები ჯგუფის თვითონეული წევრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ასევე ვნახეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვნია სწორი გუნდის ფორმირება, რათა მიზნის მიღწევისთვის დაიხარჯოს ნაკლები რესურსი და ამოცანა შესრულდეს ოპტიმალურ დროში.

### ლიტერატურა:

1. Ming Tan. Multi-Agent Reinforcement Learning: Independent vs. Cooperative Agents. GTE Laboratories Incorporated 40 Sylvan Road Waltham, MA 02254 [tan@gte.com](mailto:tan@gte.com)

2. აბელაშვილი გ., ბოსიკაშვილი ჭ. (2015). ვიდეოთამაშებში მულტიაგენტური დასწავლის მეთოდების შესახებ. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(20). გვ. 52-57.

3. აბელაშვილი გ., ბოსიკაშვილი ზ. (2015). ხელოვნური ინტელექტის არგუმენტაციის მექანიზმის გამოყენება ვიდეოთამაშებში. სტუ-ს ჟრ.ვრ., „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(20). გვ. 58-65.

4. Boltzmann Distribution. [https://en.wikipedia.org/wiki/Boltzmann\\_distribution](https://en.wikipedia.org/wiki/Boltzmann_distribution).

**ON THE UNITED AGENTS IN GROUPS AND COLLECTIVE DECISION-MAKING  
IN A VIDEO GAME**

Abelashvili Giorgi

Georgian Technical University

**Summary**

Multiagent Technology is widely used in videogames. It combines game theory, complex systems, artificial intelligence and computational sociology. Many videogames are based on the individual artificial agent, but there are problems which are often solved as collective agents, in this case, agents will be unite in community. To unite agents in Community, there are some principles and approaches. In agent's community decisions are made as one A.I. agent. These decisions called Community Decisions and it's based on the each individual community member's decision. In this article we are going to talk about these decisions and the example will be The Ant's Task.

**ОБ ОБЪЕДИНЕНИИ АГЕНТОВ В ГРУППЫ И ПРИНЯТИИ  
КОЛЛЕКТИВНЫХ РЕШЕНИЙ В ВИДЕОИГРАХ**

Абелашвили Г.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Мультиагентная технология широко используется в видеоиграх. Она объединяет вопросы теории игр, сложных систем, вычислительной социологии и искусственного интеллекта. В видеоиграх задачи искуственного интеллекта описаются на индивидуального агента, однако существуют проблемы, когда необходимы группы агентов. Существуют определенные принципы и подходы объединения агентов в коллективе. В коллективе, как и в случае индивидуального агента, происходит принятие решения. Такое решения называется групповым решением. В статье рассматриваются вопросы принятия решений в мультиагентном коллективном объединении на примере задачи о муравьях.

## ვებ-გვერდების დაპრესტაბის თანამედროვე მეთოდების პოლევა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია

ნინო გოჩიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ვებ-გვერდების მაკეტის დაპროექტების მეთოდები, აღწერილია ამ მეთოდებს შორის განსხვავებები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და მათი პროგრამული რეალიზაციის გამოყენების ხერხები ვებ-დაპროექტების დროს. შედეგები შეიძლება გამოიყენონ დიზაინერებმა და დეველოპერებმა ვებ გვერდების შექმნის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ვებ-გვერდი. ადაპტური გვერდის მაკეტი. საპასუხო გვერდის მაკეტი, სტატიკური მაკეტი.

### 1. შესავალი

სხვადასხვა პორტატული მოწყობილობების აქტიურმა გავრცელებამ, როგორიცაა მობილური ტელეფონები, პლანშეტები და ეკრანები, საშუალება მოგვცა განხორციელდეს ინტერნეტში გასვლა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე. ეს კი მნიშვნელოვნად აძარტივებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას მოცემულ სიტუაციაში. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია ვებ-გვერდების დიზაინის სახეცვლილება. ვებ-დიზაინის ინდუსტრია არის მუდმივ დინამიკაში. ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების წარმოშობასთან ერთად ხდება ვებ-პროექტირების მეთოდების აქტიური განვითარება.

დიზაინის სახეცვლილების მთავარი მიზეზი არის ახალი სახეობის მობილური მოწყობილობების, პლანშეტების და ტელევიზორების წარმოშობა, რომელთა საშუალებით ხორციელდება გასვლა ინტერნეტში და ასევე ისეთი ვებ ტექნოლოგიების დანერგვა, როგორიცაა HTML da CSS-ი.

### 2. ძირითადი ნაწილი

**ვებ-გვერდის მაკეტი.** ვებ დიზაინერები ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა დაფიქსირდა, სტატიკური, ცვალებადი, ადაპტური, საპასუხო, და სხვა. ერთიდაიგივე ვებ გვერდის მაკეტი სხვადასხვანაირად განლაგდება განსხვავებული სიგანის ბროუზერში ბროუზერის პორიზონტალური სიგანე შეიძლება შეიცვალოს, რადგან ვებ გვერდი უნდა მოერგოს სხვადასხვა მოწყობილობებს (მობილური ტელეფონები, დაფები, კომპიუტერები, და ა.შ.), ვიზიტორს შეუძლია შეცვალოს ბროუზერის ფანჯარა დესკტოპ მოწყობილობაზე, ან შეიძლება შეცვალოს ტელეფონის ორიენტაცია პორტრეტული განლაგებიდან ლანდშაფტის რეჟიმში და ასე შეძლება.


**სტატიკური მაკეტი.** სტატიკური გვერდის განლაგება, ("უწოდებენ "Fixed" განლაგებას ან fixed width " განლაგებას) საიტისთვის იყენებს წინასწარ განსაზღვრულ ზომებს. გვერდის ზომა არ იცვლება ბროუზერის სიგანიდან გამომდინარე. სხვა სიტყვებით რომ თქვათ გვერდზე ლეიაუტს შეიძლება ჰქონდეს მაგალითად, მუდმივი სიგანე 960 პიქსელი. ამ მეთოდს იყენებდნენ

მრავალი წლის მანძილზე, სანამ თანამედროვებამ გავლენა არ იქნია მასზე და და არ განვითარდა ადაპტური დიზაინი.

სხვადასხვა მოწყობილობა სხვადასხვანაირად რეაგირებს სტატიკური გვერდის მაკეტზე. რის გამოც ვებ გვერდი შეიძლება ოდნავ არაპროგნოზირებადი იყოს. მაგალითად, თუ დესკტოპის ბრაუზერის ფანჯარა არის ძალიან მცირე ჰორიზონტალურად, მაშინ ჰორიზონტალურ ველში ეკრანზე გამოსახულება მოიჭრება. მობილური მოწყობილობაზე, როგორიცაა iPhone, გვერდი ავტომატურად მასშტაბირდება, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს გაადიდოს გარკვეული ელემენტები.

ახალი საიტის შექმნის დროს, ვებ დიზაინერების უმრავლესობა არჩევანს არ აკეთებს სტატიკურ განლაგებაზე, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მობილური მოწყობილობისთვის მას დასჭირდება სხვა საიტის შექმნა.

**ცვალებადი გვერდის მაკეტი.** (Liquid Page Layout) (ნახ.1). ეს მაკეტი ("უწოდებენ „fluid“ და „fluid width“") ფიქსირებული ერთეულის ნაცვლად იყენებს პირობით ერთეულებს. როგორც წესი, ცვალებადი გვერდის მაკეტში პიქსელის ნაცვლად გამოიყენება პროცენტული ერთეულები, მაგრამ ნებისმიერი ფარდობითი საზომი ერთეული იმუშავებს, მაგალითად, ems. [4].



ნახ.1 ცვალებადი გვერდის მაკეტი

ცვალებადი გვერდის მაკეტი ხშირად ავსებს სიგანეს გვერდზე, იმის მიუხედავად რა სიგანისაა ბრაუზერი. ძალიან დიდ ან ძალიან მცირე ბრაუზერის სიგანის შემთხვევაში, არსებობს რამდენიმე ძირითადი ხარვეზი. მაგალითად, თუ ის არის ძალიან ფართო, კონტენტი შეიძლება ძალიან გადაიჭიროს და პირიქით.

**ადაპტური გვერდის მაკეტი** ეპრანის ზომიდან გმომდინარე აკეთებს რამდენიმე ცვლილებას. ის იყენებს სხვადასხვანაირ მაკეტს განსხვავებული ზომის ეკრანებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე საიტი იყენებს შესაბამის მაკეტს ეკრანის ზომიდან გამომდინარე. მაგალითად, იქ

შეიძლება იყოს წინასწარ გაწერილი მაკეტი: მობილურებისთვის, პლანშეტებისა და დესკტოპისთვის.

ეს სამი ნიმუში არის მოლოდნის რეჟიმში მანამდე, სანამ რომელიმე მათგანით არ შევღენ საიტზე. საიტი განსაზღვრავს გამოყენებული მოწყობილობის სახეობას და მიაწვდის წინასწარ გაწერილ მაკეტს შესაბამის მოწყობილობას. ზოგადად, ადაპტური საიტის შექმნის დროს შიძლება შემუშავებულ იყოს ექვსი საერთო ეკრანის სიგანე: 320px, 480px, 760px, 960px, 1200px, 1600px.

ადაპტური გვერდის მაკეტი იყენებს CSS მედიის შეკითხვებს, აღმოაჩნის ბრაუზერის სიგანეს და ცვლის განლაგებას შესაბამისად. ადაპტური ფორმატში, ისევე როგორც სტატიკური მაკეტშია – ფიქსირებული ერთეულია პიქსელები (pixels), მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მედია შეკითხვების მეშვეობით (media quires) მრავალჯერ განისაზღვრება კონკრეტული ფიქსირებული სიგანე.

მედია შეკითხვები არის ლოგიკის გამოხატულება და როდესაც სდება მედიის შეკითხვების გამოყენება, ისინი ქმნის ძირითად ალგორითმს. ასე მაგალითად, ადაპტური გვერდის კონტეინერი მიგვითითებს შემდეგს:

„თუ ბრაუზერი სიგანეში 500px-ია, დააყენეთ მთავარი კონტენტ კონტეინერის 400px-ზე. თუ ბრაუზერის სიგანე 1000px-ია, მაშინ მითითებული მთავარი კონტენტ კონტეინერი უნდა იყოს 960 px“ და ა.შ. [3]:

```
@media screen and (min-width: 500px) {
  .wrapper {
    max-width: 400px;
  }
}

@media screen and (min-width: 1000px) {
  .wrapper {
    max-width: 960px;
  }
}
```

მთავარი კონტენტ კონტეინერიდან გამომდინარე გვერდის სხვა ელემენტებმაც შეიძლება შეიცვალოს სიგანე. მაგალითად, ორი სვეტის განლაგება შეიძლება შეიცვალოს ერთსვეტიანით, თუ ბრაუზერის სიგანე აღმოჩნდება ეკრანზე ვიწრო [1].

მისი შექმნა, როგორც წესი, მოთხოვს ნაკლებ დროს, ვიდრე საპასუხო მაკეტი. ადაპტური მაკეტის შემუშავება კარგი გამოსავალია მობილური მოწყობილობების მხარდასაჭერად.

ადაპტირებული პროექტირების უარყოფითი მხარეა ის, რომ წინასწარ გაწერილი მაკეტი შეიძლება არ მოერგოს გარკვეული ზომის ეკრანზე, ამის გამო ეკრანის ფართო სპექტრისთვის შედეგი ყოველთვის ვერ იქნება საუკეთესო.


იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივად გამოდის სხვადასხვა ზომის ახალი მოწყობილობები, ადაპტური საიტი იმუშავებს მხოლოდ იმ ეკრანებზე, რომელზეც მის მაკეტს შეუძლია მუშაობა. ასე რომ, თუ ახალი მოწყობილობა ახალი ეკრანის ზომით გამოვიდა, შეიძლება მოცემული ადაპტური პროექტირების არც-ერთი მაკეტი არ შეესაბამებოდეს მას.

აქედან გამომდინარე საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა ან ახლის შექმნა. ასე რომ ადაპტურ საიტებს სჭირდება დრო და დრო შეცვალა.

საპასუხო გვერდის მაკეტი (Responsive page Layout). საპასუხო პროექტირების (Responsive web design) სრულყოფისთვის საჭირო ენებია: HTML5 & CSS3 [5].

საპასუხო (Responsive) გვერდის მაკეტი იყენებს ორივე ფარდობით ერთეულს და მედია შეკითხვებს (media queries), აერთიანებს ორ იდეას: ცვალებად მაკეტის (Liquid Layout) და ადაპტურ მაკეტის [5]. როგორც კი ბრაუზერის სიგანე გაიზრდება ან დაპატარავდება, საპასუხო გვერდის მაკეტი ხდება დრეკადი, მოქნილი ცვალებადი მაკეტის მსგავსად (Liquid Layout). იმ შემთხვევაში თუ ბრაუზერი სცდება განსაზღვრული სიგანის ჩარჩობს, განსაზღვრულ საკონტროლო წერტილებს მედია შეკითხვებში, მაშინ მაკეტი შეიცვლება მნიშვნელოვნად [2].

საპასუხო გვერდის მაკეტის შექმნის დროს არ უნდა გამოვიყენოთ pixel-ი [6]. ვიყენებთ ფარდობით ერთეულს, პროცენტს. როდესაც პიქსელში ვგეგმავთ საიტს, ეს არასწორია რადგან ეს არის ფიქსირებული ზომა, ხოლო როცა პროცენტულად ვაკეთებთ ამას, მორგებადია სხვადასხვა ზომის მოწყობილობისათვის. მაგალითად 960px -იანი შეგვიძლია დაყორებული შემდეგნაირად (ნახ.2).



ნახ.2. მაკეტის ფარდობითი ერთეულები

გვერდის ელემენტის პროპორციების გამოსათვლელად გამოვიყენებთ მარტივ ფორმულას [6].

$$\text{TARGET \% CONTEXT} = \text{RESULT}$$

TARGET არის სამიზნე ელემენტი, რისი გაზომვაც გვინდა, ხოლო CONTEXT არის ის მთლიანი ელემენტი, რაშიც მოთავსებულია გვერდის შინაარსი.

გვერდის მაკეტის სამართავად მნიშვნელოვანია მმართველი ბადეების გამოყენება. მაგალითად, „Bootstrap”-ს აქვს სტანდარტული, 12 სვეტიანი ბადე. მაგრამ თეორიულად შეიძლება შეიქმნას „გრიდი” უფრო მეტი ან ნაკლები სვეტით, ეს განისაზღვრება კონტროლის დონით [6].

საპასუხო პროექტირების ყველაზე მნიშვნელოვანი ლირებულებაა საიტის ადაპტაცია გარკვეული მოწყობილობებისათვის, რომელიც არ საჭიროებს ახალი დიზაინის შექმნას საიტისთვის და ასევე შიგთავსის ცვლილებებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ საძიებო სისტემა GOOGLE-სთვის მისაღებია საპასუხო პროექტირება.

მისი ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია შიგთავსის (content) ოპტიმიზაციასთან, კოდის გაზრდის გამო შეიძლება შეიქმნას პრობლემები გვერდის ჩატვირთვის დროს.

### 3. დასკვნა

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ვებ პროექტირებაში შეიძლება გამოვყოთ ვებ გვერდის რეალიზების შემდეგი მეთოდები:

საპასუხო პროექტირებაში გამოყენებული მაკეტის სტრუქტურა არის უსაფრთხო არჩევანი საიტისთვის, რადგან ის ყოველთვის ფუნქცირებს ექრანის ნებისმიერ ზომაზე და არ არსებობს იმის საფრთხე, რომ ახალი მოწყობილობის გამოსვლის შემთხვევაში ის დაკარგვს მომხმარებელს. მაგრამ მისი ორგანიზება CSS-ში მოითხოვს მეტ ყურადღებას, რადგან მოითხოვს უზრუნველყოფილი იყოს ერთი მაკეტი, რომელიც ყველა ზომებს მოერგება.

საძიებო სისტემა GOOGLE-სთვის მისაღებია საპასუხო პროექტირება.

GOOGLE ყოველთვის რეკომენდაციას უწევს საპასუხო საიტს (Responsive site). მომხმარებლისთვის ადვილად ხდება მისამართების გაცვლა და შიგთავსთან ურთიერთქმედება, რომელიც ინახება ერთ URL მისამართზე.

განიხილება რეგიონის რესურსული უზრუნველყოფის მართვის საკითხები. შემოთავაზებულია ეკონომიკური მეთოდი. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა და სტატისტიკური მაჩვენებლების შემადგენლობა მოიცავს რეგიონული ეკონომიკური სისტემის რესურსების მართვისათვის და გადაწყვეტილების მიღების აუცილებელ მონაცემებს. ეკონომიკური რესურსუზრუნველყოფის შეფასების საინფორმაციო სისტემისათვის ძირითადი მონაცემები აღებულია რეგიონში რესურსის ნაკადის ოპტიმიზებისა და პროგნოზირებით მიღებული შედეგებიდან. რესურსის ნაკადის ოპტიმიზაციის მიზნით გამოიყენება სატრანსპორტო ტიპის ამოცანას, ხოლო პროგნოზისათვის აიგება რეგრესული სახის მათემატიკური მოდელი.

**საკვნძო სიტყვები:** რეგიონი. რესურსები. მართვა. ეკონომიკური მოდელი. გადაწყვეტილების მიღება. საინფორმაციო სისტემა. ოპტიმიზაცია. პროგნოზირება. სატრანსპორტო ამოცანა. რეგრესული მათემატიკური მოდელი.

### 1. შესავალი

რეგიონის ეკონომიკური სისტემის რესურსუზრუნველყოფის შეფასების მეთოდიკის საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რაც უზრუნველყოფს მეთოდის სიმარტივესა და მისი წარმოებაში დანერგვის ხარჯების მინიმალურ ოდენობას.


სტატისტიკური მონაცემები და წინასწარ განსაზღვრული ეკონომიკური მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შეფასდეს რეგიონული ეკონომიკის რესურსუზრუნველყოფის დონე, რომლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება მიღებული იქნეს მაღალი ხარისხის გადაწყვეტილება.

აღნიშნულ მეთოდიკაში განსაზღვრულია დეკომპოზიცია (დაყოფა) რეგიონის რესურსების სახეობის მიხედვით და ეფუძნება სისტემის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რომელიც გამოიყენება რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაფასებლად. რა თქმა უნდა, ამ მაჩვენებლების გამოყენება და ინტერპრეტირების ძირითადი მიზანი უკავშირდება რეგიონის რესურსული უზრუნველყოფის მართვის.

შემოთავაზებული მეთოდი არის ეკონომიკური, რადგან ის არ საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის გამოყენებას. გარდა ამისა, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა და სტატისტიკური მაჩვენებლების შემადგენლობა მოიცავს რეგიონული ეკონომიკური სისტემის რესურსების მართვისათვისა და გადაწყვეტილების მიღების აუცილებელ მონაცემებს.


სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემას აუცილებლად უნდა დაემატოს ექსპერტული შეფასებები, რაც მოგვცემს რეგიონში არსებული რესურსების და მათი ეფექტურობის უფრო ზუსტ და მაღალი ხარისხით შეაფასებას.

რეგიონის რესურსების მართვაში მონაწილეობას ღებულობს არა მარტო სახელისუფლებო რგოლები, არამედ სხვა დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები (ნახ.1).



6აზ.1

მე-2 ნახაზზე მოცემულია რესურსული ეკონომიკის მართვის მონიტორინგის სისტემა.



6აზ.2

საზოგაშით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეგიონის ეკონომიკის რესურსუნველყოფის გეგმების შედეგენისა და პროგნოსის ამოცანების გადწყვეტის მიზნით, ყველაზე ადეკვატური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ზუსტი რაოდენობრივი შეფასებები, არის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება.


რეგიონის ეკონომიკის რესურსუნველყოფის მოდელური ინსტრუმენტების ერთიანი კომპლექსი თავისთავად წარმოადგენს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების ფორმალიზებულ საშუალებას.

რეგიონის ეკონომიკის რესურსუნველყოფის მიზნით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენების ძირითად ამოცანად გამოყოფილია [1]:

- ❖ რეგიონული რესურსების მოძრაობის და განთავსების ანალიზი;
- ❖ რეგიონის ეკონომიკის მოთხოვნილების პროგნოზი რესურსების ცალკეულ სახეობაზე;
- ❖ რეგიონის ეკონომიკის რესურსუნველყოფის მართვის გადაწყვეტილების დამუშავება.

რესურსული უზრუნველყოფის შიგა სისტემის მდგომარეობისა და ურთიერთკავშირის საწყისი წარმოდგენის მიზნით ვიყენებთ დესკრიპტიულ ანუ ნაკადის ტიპის აღწერით მოდელს [2].

ეს მოდელი ქსელური დაგეგმარების მოდელია და ეფუძნება გრაფების თეორიას (ნახ.3).



ნახ.3

ნახაზზე მოცემულია დესკრიპტორული ნაკადური მოდელის პირობითი წარმოსახვა, რომელიც გვიჩვენებს რეგიონის რესურსების ადგილმდებარეობას და რეგიონის რესურსებისა და საწარმოების ურთიერთ დამოკიდებულებას. აქ წარმოდგენილ გრაფს გააჩნია ორი -  $i$  და  $j$  სახის მწვერვალი, რომელთაგანაც პირველი აღნიშნავს რესურსს, მეორე დაწესებულებას (რესურსის ნებისმიერ მომხმარებელს). ორიენტირებული წიბო ანუ რკალი -  $l_{ij}$  გვიჩვენებს  $i$  რესურსის  $j$  მომხმარებელთან გადაადგილების მახასიათებელს. შეიძლება არსებობდეს რკალი -  $l_{jj}$ ,

რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდა რესურსის გადაადგილება ერთი მომხმარებლოდან (წარმოებიდან) მეორეში.

### **3. დასკვნა**

ჩვენი საკვლევი თემის - რეგიონის ეკონომიკური რესურსუზრუნველყოფის შეფასების საინფორმაციო სისტემისათვის ძირითადი მონაცემები უნდა ავიღოთ რეგიონში რესურსის ნაკადის ოპტიმიზებისა და პროგნოზირებიდან მიღებული შედეგებიდან. რესურსის ნაკადის ოპტიმიზებისათვის ვიყენებთ სატრანსპორტო ტიპის ამოცანას, ხოლო რეგიონის რესურსუზრუნველყოფის მაჩვენებელთა მნიშვნელობების პროგნოზისათვის მიზანშეწონილად მივიჩნევთ მათემატიკურ მოდელს. ამ შემთხვევაში ყველაზე მისაღებად მიგვაჩნია რეგრესული მოდელი ერთი განტოლებით. მოდელს ვაგებთ რეგიონის რესურსუზრუნველყოფის მართვის მიზნით, რომლის ძირითადი ნაწილია რეგიონის მოსახლეობის სოციო-კულტურულ მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

#### **ლიტერატურა:**

1. Добролежа, Е.В. (2011). Модельный инструментарий оценки ресурсного взаимодействия субъектов региональной экономики. „Учет и статистика“ № 1. М.
2. Добролежа, Е.В. (2011). Система информационного мониторинга в процессе управления эффективностью ресурсного обеспечения экономики региона. „Известия“ Высших учебных заведений. Северо-Кавказский регион. № 4.

## **INFORMATION SYSTEM FOR ENSURE ASSESSMENT OF REGION WITH ECONOMIC RESOURCES**

Chachanidze Guram, Kviralashvili Alexander

Georgian Technical University

#### **Summary**

Considered the ensure resource management issues of region. Invited the economic method, statistical work program, the composition of the statistical indicators for regional resource management system and the data needed for decision-making. For information system evaluation to ensure the economic resources of region the main data obtained from the results of optimization and prediction of the flow of resources in the region. In order to optimize the flow of resources used by the task of transport type, and for predicting mathematical model regression-type.

## **ИНФОРМАЦИОННАЯ СИСТЕМА ОЦЕНКИ ОБЕСПЕЧЕНИЯ РЕГИОНА ЭКОНОМИЧЕСКИМИ РЕСУРСАМИ**

Чачанидзе Г., Квиралашвили А.

Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Рассматриваются вопросы управления обеспечением региона ресурсами. Предложен экономический метод, программа статистических работ, состав статистических показателей для системы управления региональными ресурсами и данные, необходимые для принятия решений. Для информационной системы оценки обеспечения региона экономическими ресурсами основные данные получены из результатов оптимизации и прогнозирования потока ресурсов в регионе. С целью оптимизации потока ресурсов используется задача транспортного типа, а для прогнозирования строится математическая модель регрессионного типа.

**აკადემიური მობილობის ხელშემჭყობი, საბაზო და გასაიცვლელ  
უმაღლეს სასტაციუროების საგანმანათლებლო პროგრამების  
შედარების აღმოჩენითი**

ოკან ერაი (დოქტორანტი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
okaneray@hotmail.com

**რეზიუმე**

მოცემულია საბაზო უმაღლესი სასწავლებლიდან მასპინძელ უმაღლეს სასწავლებლებში მობილობით გადასული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის ჩატარებას აღმოჩენითი აღმოჩენითი განისაზღვრება სასწავლო დისციპლინები, არჩევითი საგნები; ტარდება საბაზო და მიმღები უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კომპეტენციების შედარებითი ანალიზი; დისციპლინათა რაციონალური შერჩევისა და მის შესატანად აკადემიური მობილობის შესაბამის დოკუმენტში ეს ხელს უწყობს აკადემიური მობილობის რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

**საკვანძო სიტყვები:** აკადემიური მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამა. აღმოჩენითი გადაწყვეტილების მიღება.

**1. შესავალი**

როგორც ცნობილია, აკადემიური მობილობა ნიშნავს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას პროგრამის შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრული გავლით ორი და მეტი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, და ერთი ან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის მიღებით. ამრიგად, აკადემიური მობილობის რეალიზების პროცესი წარმოადგენს სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილს.

აკადემიური მობილობის პროცესის რეალიზებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო შეთანხმების შემუშავებას, რომელიც ერთ-ერთ აუცილებელი დოკუმენტია საერთაშორისო პროგრამა „ერასმუს“ მუნდუსის“ ფარგლებში.

**2. ძირითადი ნაწილი**

სასწავლო შეთანხმება დგება, როგორც საბაზო (სადაც სწავლობდა სტუდენტი) ასევე მასპინძელი უმაღლეს სასწავლებლის (სადაც აპირებს სტუდენტ მობილიბით გადასვლას) ირგვლივ არსებული იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც დაკავშირებულია სტუდენტის აკადემიურ მობილობასთან. ეს ძირითად მოიცავს: სტუდენტის (გვარი, სახელი, მამის სახელი, ფაკულტეტი, ჯგუფი), მასპინძელი უმაღლესი სასწავლებლის (დასახელება), სწავლის პერიოდის, საბაზო უმაღლეს სასწავლებელში საგანმანათლებლო მიმართულების (სპეციალობის), მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამის, დისციპლინებისა და მათი სირთულის შესახებ არსებულ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის შენახვისა და დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა ბაზების აგება. აკადემიური მობილობის პროგრამების შემუშავებისას, მონაცემთა ბაზები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აკადემიური მობილობის პროცესის პოტენციური მონაწილეების შესახებ.

სასწავლო შეთანხმების შედგენისას მასში აუცილებელია იმ დისციპლინების ასახვა, რომელთა შესწავლაც მოიაზრება მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში და საბაზო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში შემავალი მათი ექვივალენტური დისციპლინები, რომლებიც აღიარებული იქნება წარმატებული სწავლის შემთხვევაში.

კრედიტების აღიარებისათვის ექვივალენტური დისციპლინების შერჩევისას აუცილებელია საბაზო და მასპინძელ უნივერსიტეტებში სპეციალისტების მომზადების სასწავლო პროგრამის შედარებითი ანალიზის ჩატარება.

საბაზო და მასპინძელ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის ჩატარებაის პროცესში უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო დისციპლინები მიბმულია სემესტრებთან, რომლის შედეგები ფიქსირდება შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე.

სტუდენტის მიერ მასპინძელ უნივერსიტეტში შესასწავლად არჩეული დისციპლინების ჩამონათვალისა და საბაზო უნივერსიტეტში ნასწავლი (ან სასწავლი) დისციპლინების შედარების ანალიზისას აუცილებელი ხდება იმ სემესტრების დისციპლინების შედარება, რომლის დროსაც სტუდენტი გეგმავს აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობას.


დისციპლინების შედარება ხდება სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით, რომელთაგან ერთ ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო კრედიტების რაოდენობრივი და შინაარსობრივი მაჩვენებლები.

აღნიშნული მაჩვენებლების შედარება უნდა მოხდეს არსებული ნორმატიული დოკუმენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა, სასწავლო ხელშეკრულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ანალიზის ალგორითმის დამუშავება.


ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ალგორითმს, რომლის აგების საფუძველია [1] ნაშრომი, აქვს 1-ელ ნახაზზე მოცემული სახე.

განვიხილოთ ალგორითმის ძირითადი მომენტი სასწავლო დისციპლინის განსაზღვრიდან.

სასწავლო დისციპლინა განისაზღვრება იმ დისციპლინათა ერთობლიობიდან -  $Di$ , რომელიც ისწავლება მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში, იმ დისციპლინების -  $Dj$ ,  $Dj \subset Di$ , გამოყოფით, რომელიც შესწავლილი აქვს სტუდენტს თავის უმაღლეს სასწავლებელში. როგორც ალგორითმია მითითებული, დისციპლინის განსაზღვრის შემდეგ ხდება სასწავლო კრედიტების რაოდენობრივი და დისციპლინის შინაარსობრივი მხარის შედარება. შედარებისათვის მიმართვა ხდება წინასწარ დადგენის შედარების წესებზე და დისციპლინათა საგასაღებო სიტვებზე. შედარების შედეგად ხდება არათანხვდენილი და შესატყვისა დისციპლინების სიის ფორმირება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება სტუდენტის მიერ მასპინძელ უმაღლეს სასწავლებელში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის დადგენა.



ნახ.1. სასწავლო ზელშეკრულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ირგვლივ  
არსებული ინფორმაციის ანალიზის ალგორითმი



ნახ.1. სასწავლო ნელშეკრულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ირგვლივ  
არსებული ინფორმაციის ანალიზის ალგორითმი (გაგრძელება)

გარდა ამისა, ალგორითმი ითვალისწინებს არჩევითი საგნებიდან მომავალი სასწავლო დისციპლინის არჩევის შესაძლებლობასაც. არჩევის დროს სტუდენტი ახდენს კომპეტენციათა შედარებას. შედარება ხდება მითითებულ დისციპლინათა ერთობლიობის კომპეტენციათა სიმრავლეზე -  $D_a^k \approx D_i^k$ , სადაც -  $D_a^k$  ასარჩევი საგანთა კომპეტენციაა, რომელიც მასპინძელი უმაღლესი სასწავლებლის არჩეულ დისციპლინათა სიმრავლეს შეესაბამება, ხოლო სიმბოლო – “ $\approx$ ” კომპეტენციათა შედარების ოპერაციაა.

ალგორითმში განვიხილავთ კიდევ სხვა პოზიციებს: საბაზო და მიმღები უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კომპეტენციების შედარებითი ანალიზს; დისციპლინათა რაციონალურ შერჩევას და მის შეტანას აკადემიური მობილობის შესაბამის დოკუმენტში და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს აკადემიური მობილობის რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას.

#### **ლიტერატურა:**

1. Маркелова А.И., Козырева В.А. Сметанина О.Н. Модели управления процессом реализации академической мобильности в ВУЗЕ. Вестник НГУ (серия: Информационные технологии). Вып.2, ст. 55–65.

### **COMPARATIVE ANALYSIS OF THE BASIC AND RECEIVING HIGHER EDUCATION PROGRAMS, TO SUPPORT AN ACADEMIC MOBILITY**

Okan Eray

Georgian Technical University

#### **Summary**

There is considered an algorithm of comparative analysis of the mobility moved students educational programs. The algorithm defines academic disciplines and elective courses. There is conducted comparative analysis of the basic and receiving higher education programs. It promotes to make a rational decision for the academic mobility.

### **СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ УЧЕБНЫХ ПРОГРАММ БАЗОВОГО И ПРИНИМАЮЩЕГО ПО МОБИЛЬНОМУ ПЕРЕВОДУ ВЫСШИХ УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЙ**

Окан Эрай

Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Приведен алгоритм сравнительного анализа учебных программ базового высшего Учебного заведения и приемного, куда перешел студент в соответствии с программой Академической мобильности. С помощью алгоритма определяются учебные дисциплины. И выборные предметы; проводится сравнительный анализ компетентности учебных программ базового и принимающего высших учебных заведений; рациональный выбор Дисциплин для внесения их в документ академической мобильности. Это способствует Рациональному выбору решения академической мобильности.

## ელექტრონული სფავლების აღართვორმის დაკრიტიკული მაგალითები მართვის პრიცენტები „ილიასის“ აღართვორმის მაგალითები

გელა ღვინევაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

ზურაბ ტიგლიძე – დავით აღმაშენებლის სახ. საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემია

### რეზიუმე

განიხილება ელექტრონული სისტემების გამოყენება სასწავლო პროცესში და მათი მართვის მეთოდები. მაგალითისთვის განვიხილავთ ILIAS-ს. განხილულია ელექტრონული სწავლების პლატფორმა ILIAS-ის შესაძლებლობები: კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლება, მობილური სწავლება, დისტანციური სწავლება და ა.შ. სტატია მირითადად შეეხება გაზიარებადი შიგთავსის ობიექტის მართვის მოდელის (SCORM) დაპროგრამებისა და დანერგვის საკითხებს, გაზიარებადი შიგთავსის ობიექტების დანიშნულებას, მათ მოქნილობას და სხვა უპირატესობებს. ახსნილია, როგორ უნდა გამოვიყენოთ ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენები და XML-ი იმისთვის, რომ გავაფართოვოთ ელექტრონული სწავლების პლატფორმის და გაზიარებადი შიგთავსის ობიექტების შესაძლებლობები.

**საკუნძო სიტყვები:** ელექტრონული სწავლება. დაპროგრამება. ILIAS-პლატფორმა.

### 1. შესავალი

ელექტრონული სწავლება (E-learning) დაფუძნებულია განათლების სფეროში ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ელექტრონული სწავლება მოიცავს: კომპიუტერის მეშვეობით სწავლებას (computer-based training), დისტანციურ სწავლებას, მობილურ სწავლებას (m-learning) და სხვა მიღვმებს, რომელთა დახმარებითაც ტრადიციული სასწავლო პროცესი იღებს ციფრულ სახეს. მაღალი ინტერაქტიულობის მისაღწევად აქ ფართოდ გამოიყენება ტექსტური, ვიდეო, აუდიო მასალა, ანიმაციები, ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენები.

ელექტრონული სწავლებას ახალ საფეხურზე აჰყავს ტრადიციული სწავლებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ფორმები:

- ლექციები, პრაქტიკულები, სემინარები და ა.შ.;
- დებატები სწავლება სოციალური აქტივობების დახმარებით, დისკუსიები, გუნდური სამუშაოები, ინტერვიუები და ა.შ.);
- ექსპერიმენტები (ლაბორატორიული სამუშაოები, ვირტუალური სიმულაციები სხვადასხვა პიპორების შესამოწმებლად, იმიტაციები);
- შემოქმედებითი აქტივობები (პროექტები, სტატიები, ციფრული ვიდეოები, ვებსაიტები);
- კვლევები (ინფორმაციის მოპოვება დამუშავება, ლიტერატურის განხილვა და ა.შ.);
- შეფასება (დავალებები, ტესტები, ელექტრონული გამოკითხვები და სხვ.).

ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს: ასინქრონული, სინქრონული, შერეული ტიპის.

**ასინქრონული სწავლება** პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლებაა – დაინტერესებული პირები ერთმნეთს შორის ცვლიან ინფორმაციას სხვადასხვა ვებ-ტექნოლოგიების საშუალებით და გააჩნიათ ერთნაირი სტატუსი, სწავლის გრაფიკი არ არის გაწერილი დროში და ამ პროცესში ჩართვა შეიძლება ნებისმიერი ადგილიდან. ასინქრონული სწავლების ორგანიზატორები არიან კონკრეტული სფეროს სპეციალისტები ან სტუდენტები და სწავლება მირითადად აუდიტორიის გარეთ მიმდინარეობს. ამ ტიპი სწავლება შეიძლება იყოს როგორც მირითადი სასწავლო პროცესის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დამხმარე საშუალება. ამ დროს ფართოდ

გამოიყენება ბლოგები, ფორუმები, სოციალური ქსელები ან სხვა ტიპის ელექტრონული საშუალებები.

სინქრონული სწავლება წარმოადგენს ტრადიციულ სასწავლო პროცესს, რომლის დროსაც ყველა სტუდენტი ერთდროულად იმყოფება აუდიტორიაში და სასწავლო პროცესი არის დროში გაწერილი. ელექტრონული სწავლების დანერგვის საწყის ეტაპზე უპირატესობა ენიჭებოდა ასინქრონულ სწავლებას, მაგრამ მოგვიანებით ინფრომაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა, რომ ამ პროცესს მიეღო უფრო ორგანიზებული სახე, კერძოდ, ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ, ვირტუალურმა კონფერენციებმა, ლაივჩატებმა და სხვ. შესაძლებელი გახდა სინქრონული სწავლება ხელმისაწვდომი და ეფექტური გამხდარიყო ელექტრონულ რეჟიმშიც.

შერეული სწავლების მოდელი მოიცავს როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული სწავლების კომპონენტებს და თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებში სწორედ ეს მოდელია ყველაზე პოპულარული.

იმისთვის, რომ ელექტრონული სწავლების პროცესის მართვა შედარებით მარტივი და მოხერხებული გახდეს, გამოიყენება ვირტუალური სასწავლო გარემოცვები ე.წ. სასწავლო პლატფორმები, როგორიცაა: ILIAS, Moodle, eFront, Dokeos, Claroline, ATutor, OLAT, Sakai, openlms და სხვ.

## 2. ძირითადი ნაწილი

სტატიაში განხილულია ILIAS (Integriertes Lern-, Informations- und Arbeitskooperations-System – germ.) სისტემის შესაძლებლობები სასწავლო პროცესის მართვის დროს [1]. ILIAS-ი წარმოადგენს პლატფორმას ღია კოდით, ის არის უფასო და მისი საშუალებით შესაძლებელია როგორც სინქრონული და ასინქრონული, ასევე შერეული ტიპის სწავლების პროცესის წარმართვა. ILIAS-ს აქტიურად მოიხმარს ბევრი უნივერსიტეტი. ILIAS-ი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ელექტრონული სწავლების პლატფორმაა, შეიქმნა 1997 წელს [2]. მისი ინსტალაცია შეიძლება ნებისმიერ სერვერზე, რომელსაც აქვს PHP-ის და MySql-ის მხარდაჭერა.

ILIAS-ს გაააჩნია შემდეგი შესაძლებლობები:

- 1) კურსების მენეჯმენტი;
- 2) SCORM (Sharable Content Object Reference Model)-ს მხარდაჭერა;
- 3) ონლაინ მიმოხილვები;
- 4) ჯგუფების მენეჯმენტი და ურთიერთკავშირი;
- 5) აუთენტიფიკაციის უფლებების და წვდომების მენეჯმენტი;
- 6) პერსონალური სამუშაო მაგიდა;
- 7) პორტფოლიო;
- 8) ტესტები და შეფასება;
- 9) კითხვარები და უკუკავშირი;
- 10) სხვა ღია კოდის პლატფორმებთან ინტეგრაციის შესაძლებლობა;
- 11) ონლაინ კონფერენციები და ვირტუალური საკლასო ოთახი;
- 12) დროის მართვის შესაძლებლობა ინტერაქტიული კალენდრით და ცხრილებით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ILIAS-ს გააჩნია საკუთარი კურსების მართვის მოდული. მასში შესაძლებელია სასწავლო მასალის (დოკუმენტების, ელექტრონული წიგნების, აუდიო და ვიდეო მასალის) განთავსება და მართვა. შესაძლებელია დაშვებების, კურსის აქტიურობის (ონლაინ რეჟიმში ყოფნის) ქრონოლოგიური გაწერა.

SCROM-ი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია როგორც ILIAS-ის, ასევე სხვა პლატფორმებისთვისაც [3]. მისი ან მისი ეკვივალენტის გარეშე შეუძლებელია კურსის მაღალი ინტერაქტულობის მიღწევა. SCORM-ი არის სტანდარტების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება პროგრამისტებს შექმნან ისეთი კოდი, რომლის ინტეგრაციაც შესაძლებელი იქნება ყველა ელექტრონული სწავლების პლატფორმაში. ის შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ვირტუალურ გარემოცვებს, მოხდეს შემცველობის გაცვლა მხოლოდ ერთი ფაილით.

SCORM-ი მთავარი ინსტრუმენტია დისტანციური სწავლების პროცესში, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კურსების უპრობლებო გადატანა ერთი სერვერიდან მეორეზე. SCORM-ის მონაცემთა სტრუქტურა და პროტოკოლების ნაკრები შეხების წერტილებს პოულობს სასწავლო პლატფორმის ინტერფეისთან და ახდენს სასწავლო მასალების (ზოგჯერ ძალიან მაღალი ინტერაქტიულობის მქონე ვირტუალური ლაბორატორიის) რეგისტრაციის წესების დადგენას ვირტუალურ სასწავლო გარემოცვაში.

SCORM-ი მოიცავს SCO-ებს (Shareable Content Object – გაზიარებადი შემცველობის ობიექტებს), რომელთა იმპორტირება-ექსპორტირება შეიძლება მარტივად, სასწავლო გარემოცვის გრაფიკული ინტერფეისის გამოყენებით.

SCO გამოიჩინა იმითაც, რომ როდესაც იგი გაშვებულია მოსწავლის ბრაუზერში, იგი სასწავლო პლატფორმას ინფორმაციას გადასცემს მაშინაც, როცა მოშორებულ სერვერზეა განლაგებული. პლატფორმა კი, თავის მხრივ, ინფორმაციას ინახავს მოსწავლის შედეგების, მისი პროგრესის შესახებ. SCO წარმოადგენს სასწავლო რესურსის ყველაზე დაწვრილებით დეტალიზაციას, რომელსაც იყენებს ვებ ინტერფეისის მქონე სასწავლო გარემოცვა (ამ შემთხვევაში ILIAS-ი). SCORM-ი არ არეგულირებს SCO-ების ზომას. ის შეიძლება იყოს როგორც ერთი ვებ-გვერდი, ასევე – ვებ-გვერდების ერთობლიობა. ყველა SCO უნდა იყოს მრავალჯერადად გამოყენებადი. ამის მისაღწევად აუცილებელია, ის იყოს დამოუკიდებელი და არ იყენებდეს ანალოგიური ობიექტების ლინკების.

ნებისმიერი „პასიური“ მასალა შეიძლება გადაკონვერტირდეს SCO-ად.

SCO-სთვის რეკომენდირებული მახასიათებლებია:

- 1) მრავალჯერადად გამოყენებადობა სწავლების კონტექსტის მიუხედავად;
- 2) ვიზუალური მონაცემების დამოუკიდებლობა და მოხერხებულობა;
- 3) მუშაობის დროს მონაცემების შენახვა ყველა ეტაპზე, რათა არ მოხდეს მათი დაკარგვა;
- 4) მუდამ იყოს კომუნიკაციაში დამთავრების სტატუსთან, რათა შეფასდეს მიმდინარე პროგრესი;
- 5) არ უნდა აღებდეს სხვა ფანჯარას, ვიდრე არ დაიხურება წინა;
- 6) არ უნდა იყოს კავშირში სხვა ფაილთან, რომელიც არ არის ამ SCO-ს ნაწილი.

SCORM-ისთვის SCO-ების შექმნა შესაძლებელია ILIAS-ის გრაფიკულ ინტერფეისში. მაგრამ გრაფიკული ინტერფეისის შესაძლებლობები შეზღუდულია და პროგრამირების ისეთი ენები, როგორიცაა: php და javascript-ი, შესაძლებლობას იძლევა, გაფართოვდეს კონკრეტული ობიექტის შესაძლებლობები.

SCORM-ის ძირითადი კომპონენტების და ფუნქციების განლაგება ასეთია:

- 1) შიგთავსის სტრუქტურა და სწავლების მიზნები;
- 2) ინფორმაციის მონიტორინგი;
- 3) განლაგების წესების განსაზღვრა;
- 4) ნავიგაციის და მონაცემთა განლაგების მოთხოვნები.

შიგთავსის სტრუქტურა არის ხე, რომლის თითოეული კომპონენტი ასოცირდება კონკრეტულ აქტივობასთან, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს შვილობილი აქტივობაც. ყოველი აქტივობა აუცილებლად ასოცირდება ერთი კონკრეტული სწავლების მიზანთან, თუმცა ერთ მიზანთან შეიძლება ასოცირებული იყოს რამდენიმე აქტივობაც, გლობალურ მიზანი კი ყველა მიზნის შესრულებაა.

ინფორმაციის მონიტორინგში იგულისხმება მოსწავლის მიმდინარე სტატუსის განსაზღვრა. ის დაკავშირებულია ყველა აქტივობასთან, ყველა მიზანთან და ასახავს იმ პროგრესს, რომელსაც მოსწავლე გადის აქტივობების დახმარებით სწავლების მიზნის მიღწევამდე.

შიგთავსის დამპროექტებლები აღწერენ შიგთავსის სტრუქტურას და აწესებენ სტრუქტურის შესაბამისი განლაგების წესებს, რომელსაც ინახავენ .XML გაფართოების ფაილში. მომხმარებლის მხრიდან ნავიგაციის მოთხოვნის შემდეგ ხდება მიმართვა ამ ფაილთან და სრულდება მონაცემების განლაგების მოთხოვნა. ეს პროცესი გრძელდება სწავლების დასრულებამდე.

იმისათვის, რომ შიგთავსი იყოს მრავალჯერადად გამოყენებადი, დამპროექტებლები იყენებენ მეტამონაცემებს. ისინი ამ მონაცემებით აღწერენ პაკეტის ელემენტებს, რომლებიც ასევე განთავსებულია ზემოთ აღნიშნულ XML ფაილში. მეტამონაცემების დახმარებით სასწავლო რესურსების მოძებნა სხვადასხვა სისტემებში გაცილებით მარტივდება. მეტამონაცემები შეიძლება იყოს როგორც კონტექსტზე დამოკიდებული, ასევე მისგან დამოუკიდებელიც. კონტექსტისგან დამოუკიდებელი მეტამონაცემები ძირითადად უცვლელ მონაცემებია, როგორიცაა, მაგალითად, შიგთავსის ობიექტები ან ციფრული მასალები, ხოლო კონტექსტზე დამოკიდებული მეტამონაცემები კი – მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემებს წარმოადგენს (ეს მათ კონტექსტები დამოკიდებული).

ნავიგაციის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება ასოცირებული იყოს ინფორმაციის მონიტორინგის ნაწილთან, რათა პროგრამამ განსაზღვროს არა მარტო კურსის გავლის დრო თითოეული მომხმარებლის მხრიდან, არამედ – ჩაბარებების მცდელობის რაოდენობაც და თითოეული სწავლების მიზნის შესრულების ხარისხიც. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი ნავიგაციის გრაფიკული ინტერფეისის გამოყენებით განვლილ მასალას უბრუნდება, დროის ათვლა იწყება თავიდან, რადგანაც გავლილი მასალა, როგორც წესი, ასოცირდება სხვა სწავლების მიზანთან. სწავლების დამთავრების შემდეგ თითოეულ დავალებაზე დახარჯული დრო და მცდელობების რაოდენობა იკრიბება და ადმინისტრატორის ეძღვევა შესაძლებლობა, ზუსტად შეაფასოს, თუ რომელმა მოსწავლემ როგორ, რა დროის განმავლობაში და რამდენი მცდელობით გაართვა თავი ამა თუ იმ დაგალებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, SCORM-ი არ წარმოადგენს მხოლოდ მასალების ვირტუალურად განთავსების საშუალებას. მისი დახმარებით ILIAS-ში შეიძლება ინტეგრირდეს ფაქტობრივად ნებისმიერი სირთულის მქონე სიმულაციური პლატფორმა (მაგალითად, ხდება კავშირგაბმულობის აპარატურის სიმულაცია, პილოტაჟის სიმულაცია და ა.შ.). სწორედ საკითხის ასეთი გადაწყვეტა განასხვავებს მას ILIAS-ის სტანდარტული სასწავლო მოდულისგან.

SCORM-ის სრულფასოვანი კურსის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების კოორდინირებული მუშაობა. ესენია: 1) ადმინისტრატორი; 2) სწავლების სახის განმსაზღვრელი დიზაინერი; 3) SME (subject-matter expert – იმ საგნის სპეციალისტი, რომლისთვისაც კეთდება კურსი. ის ძირითადად არის მოწვეული პედაგოგი და არ არის ჯგუფის მუდმივი წევრი); 4) პროგრამისტი; 5) რესურსების მენეჯერი; 6) პროექტის ლიდერი.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისთვის ძირითადად განკუთვნილია დიზაინერის, ადმინისტრატორის და პროგრამისტის ფუნქციების შესრულება. იგი წარმოადგეს ჯგუფის იმ წევრს, რომელიც პასუხისმგებელია სახელმძღვანელოს შექმნის დიზაინზე და იგი გარკვეული უნდა

იყოს, როგორც ვებ-ლიზაინის პრინციპებში, ასევე – მომხმარებელთა ფსიქოლოგიური თავისებურებებშიც, რათა სწორად დააპროექტოს სახელმძღვანელო.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი სახელმძღვანელოები ძირითადად ვებ-გარემოცვაშია განთავსებული, ხარვეზების გასწორება და სასწავლო დიზაინის დახვეწა უკვე მოხმარებაში შესულ სახელმძღვანელოებშიც კი არ წარმოადგენს პრობლემას. ამიტომ სასწავლო დიზაინერის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სახელმძღვანელოს მონიტორინგი და მომავალში მისი გამოყენების ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლიც. მსგავსი მოქნილობა ელექტრონული სახელმძღვანელოს კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს ტრადიციულთან შედარებით. დიზაინერმა უნდა გაანალიზოს რა უნდა ასწავლოს, განსაზღვროს, როგორ ასწავლოს და შეაფასოს, თუ როგორ სწავლობენ მომხმარებლები. სასწავლო დიზაინი სისტემატური პროცესია და ის მოიცავს სტუდენტებს, მასწავლებლებს, სასწავლო მასალებსა და სწავლების გარემოცვას. იგი ასევე წარმოადგენს ჯგუფის წევრს, რომელმაც ზუსტად უნდა განსაზღვროს და წერილობით ჩამოაყალიბოს ელექტრონული სახელმძღვანელოს მიზნები. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმძღვანელო იყოს ეფექტური და ჯგუფის სხვა წევრებს არ მოუწიოთ შემდეგში ელექტრონული სახელმძღვანელოს სტრუქტურის შეცვლა. სახელმძღვანელოს დიზაინისგან განსხვავებით, უშუალოდ კოდის შეცვლა (პროგრამისტის მხრიდან) გაცილებით დიდ დროს მოითხოვს. ამიტომაცაა აუცილებელი, მიზნები თავიდანვე სწორად იყოს გაწერილი. ელექტრონული სახელმძღვანელოს სასწავლო დიზაინერი მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამისტთან და ჯგუფის სხვა წევრებთან. იგი ანდენს პროტოტიპების დატესტვას, „რედიზაინინგს“ და განსაზღვრავს სასწავლო აქტივობების ტიპებს, რომლებიც თავის მხრივ მიბმულნი არიან ელექტრონულ სახელმძღვანელოსთან.

ადმინისტრატორის ფუნქციებში შედის:

ელექტრონული სწავლების პლატფორმის ადმინისტრირება, მომხმარებელთა ფუნქციების განსაზღვრა, მათი ჯგუფებად დახარისხება და შესაბამის სახელმძღვანელოებზე დაშეებების შექმნა. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ელექტრონული სახელმძღვანელო კომერციული დანიშნულებისაა. შესაბამისად, მასზე წვდომა უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი, რის საშუალებასაც ისევ ელექტრონული პლატფორმა გვაძლევს.

ადმინისტრატორის ფუნქციებში აგრეთვე შედის იმ სისტემის ადმინისტრირებაც, რომელზეც გამართულია ელექტრონული პლატფორმა. როგორც წესი, ეს არის UNIX ღია კოდის მქონე ოპერაციული სისტემის სერვერი. ადმინისტრატორი ზოგადად მაინც უნდა იცნობდეს მონაცემთა ბაზის სტრუქტურასაც, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეძლოს მასში აუცილებელი ცვლლებების შეტანა რეკომენდებული გზით, თუმცა დეტალურად მისი ცოდნა ადმინისტრატორისთვის აუცილებელი არაა, რადგან ძირითად მანიპულაციებს მონაცემთა ბაზაზე ახორციელებს პროგრამისტი.

პროგრამისტის ფუნქციებს ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნაში განეკუთვნება:

1. ობიექტზე ორიგინტირებული პროგრამირების ენაში სახელმძღვანელოსთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;
2. ამ პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება;
3. აქტორებისათვის მოქნილი გრაფიკული ინტერფეისის შექმნა;
4. კოდის დოკუმენტირება, რათა სხვა პროგრამისტს გაუმარტივოს მომავალში კოდის რედაქტირება (მხოლოდ და კოდის პლატფორმის შემთხვევაში).

პროგრამისტი ჯგუფის წევრია, რომელსაც უწევს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება, მის გარეშე ვერ გაიმართება პლატფორმა და შესაბამისად ვერც სახელმძღვანელო

დაინერგბა. პროგრამისტი განსაზღვრავს, რა არსებული მეთოდები უნდა გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად, იგი ქმნის ახალ მეთოდებსაც.

როგორც უკვე აღნიშნეთ, სახელმძღვანელოსათვის პროგრამისტმა შეიძლება დაწეროს შეფასების პროგრამა, მაგრამ გამომდინარე იქნდან, რომ შეფასების უნივერსალური სტრუქტურა არ არსებობს. იგი, როგორც წესი, ინდივიდუალურია, სასწავლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე. დაპროგრამების მეთოდიკის შერჩევა სწორედ ამ სექტორშია ყველაზე აქტუალური.

#### **ლიტერატურა:**

1. ILIAS - Integrated Learning, Information and Work Cooperation System. <https://en.wikipedia.org/wiki/ILIAS>.
2. Dacanay G. (2010). E-learning on computer programming 2 from DMMMSU institute of computer science – Michaelangelo. E-Intern.Scient.Research Jou., Vol.2, Issue: 2.
3. Robson R.A. (2006). Practical Introduction to SCORM. Details of SCORM - Overview. 02, April. [http://eduworks.com/Documents/SIW\\_SCORM\\_TUTORIAL\\_2006.pdf](http://eduworks.com/Documents/SIW_SCORM_TUTORIAL_2006.pdf)

## **PROGRAMMING AND ADMINISTRATION PRINCIPLES OF E-LEARNING PLATFORM BY THE EXAMPLE OF E-LEARNING PLATFORM ILIAS**

Gvinepadze Gela - Georgian Technical University,  
Tielidze Zurab – Davit Agmashenebeli National Defence  
Academy of Georgia

#### **Summary**

Article is about usage of electronic systems in learning process such as e-learning platform and their Management methods. The article discusses the e-learning platform ILIAS exemplary. In the article is discussed multiple possibilities of e-learning platform (ILIAS) - computer-based training, m-learning, distance learning etc. In general article is about Sharable Content Object Reference Model (SCORM) programming and implementation. About Designation of Sharable Content Objects, about Flexibility and other advantages. Also it is briefly Explained how to use object oriented programming languages and xml to extend possibilities of e-learning platform and SCOs.

## **ПРИНЦИПЫ ПРОГРАММИРОВАНИЯ ПЛАТФОРМЫ ЭЛЕКТРОННОГО ОБУЧЕНИЯ И УПРАВЛЕНИЯ ЕЮ НА ПРИМЕРЕ ПЛАТФОРМЫ „ILIAS“**

Гвинепадзе Гела - Грузинский Технический Университет,  
Тиелидзе Зураб - Академия национальной обороны Грузии  
им. Давида Агмашенебели

#### **Резюме**

Рассмотрены вопросы применения электронных систем в учебном процессе и методы управления ею на примере платформы ILIAS. Рассмотрены ее следующие возможности: обучение на базе компьютера, мобильное обучение, дистанционное обучение и т.д. Особое внимание уделено вопросам программирования и внедрения SCORM - образцовой модели объекта содержимого для совместного использования, назначению этих объектов, их гибкости и другим преимуществам. Объяснено, как следует пользоваться объектно-ориентированными языками программирования и xml для расширения возможностей платформы электронного обучения и объектов совместного использования.

## შრობის პროცესის ანალიზი მიკროპროცესორული მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის მიზნით

ავთანდილ ბარდაველიძე<sup>1</sup>, ირაკლი ბაშელეიშვილი<sup>1</sup>, ხათუნა ბარდაველიძე<sup>2</sup>

1 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

2 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაშრომში აღწერილია მარცვლეული კულტურების და ფხვიერი ნივთიერებების შრობის ტექნოლოგიური პროცესი. ნაჩვენები და დასაბუთებულია შრობის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავების და შექმნის მიზანშეწონილობა თანამედროვე მიკროკონტროლერული ტექნიკის ბაზაზე შრობის პროცესის მართვის ხარისხობრივად ახალი დონის მისაღწევად. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მარცვლეულის შრობის პროცესის უნივერსალური ციფრული მართვის ავტომატიზებული სისტემის (მას) შექმნა საშუალებას მოგვცემს მარცვლეულის და ფხვიერი ნივთიერებების შრობა ჩავატაროთ ეფექტური და ენერგოდამზოგი ხერხებით.

**საკვნძო სტყვები:** საშრობი. ავტომატიზებული სისტემა. მიკროკონტროლერი. პროგრამული უზრუნველყოფა.

### 1. შესავალი

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ წამყვანი ამოცანაა მარცვლეული კულტურების და მათ შორის პურის მარცვლის წარმოების გაზრდა და მოსავლიანობის დონის ამაღლება გადამუშავების ყველა ეტაპზე დანაკარგების შემცირების საფუძველზე. მოსავლის აღებისა და შემდგომ პერიოდში გადამუშავების აგროკლიმატური პირობები უმრავლეს შემთხვევაში არახელსაყრელია, ამიტომ ტექნოლოგიური ოპერაციის სისტემაში და მარცვლეულის შემდგომ გადამუშავებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათ შრობას.

როგორც ცნობილია 14%-ზე მეტი ტენიანობის ხორბალში ძლიერდება მიკროორგანიზმების სიცოცხლის ხანგრძლივობა, რის შედეგადაც წარმოიშვება მისი გაფუჭების საშიშროება [1]. აქედან გამომდინარეობს, რომ ხორბალი მოსავლის აღების შემდეგ უნდა გადიოდეს გადამუშავებას დანაკარგების შემცირების მიზნით. შრობის პროცესის დროული და სწორი წარმართვა არა მარტო ამაღლებს მარცვლეულის შენახვის მედევობას, არამედ აუმჯობესებს მის საგამყიდველო ღირსებას. შრობის პროცესი ზემოქმედებს და ანადგურებს მიკროორგანიზმებს და მავნებლებს, დადებით გავლენას ახდენს გამოსასვლელზე პროდუქციის ხარისხზე.

სამუშაოს მიზანია მარცვლეულის შრობის პროცესის უნივერსალური ციფრული ადაპტური მას-ის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შრობა ჩავატაროთ ეფექტური და ენერგოდამზოგი ხერხით.

### 2. მარცვლეულის შრობის პროცესის ანალიზი

მარცვლეულიდან ტენის გამოცემის სხვადასხვა ხერხი არსებობს, რომელიც პირობითად შეიძლება დაგვითო რო ჯგუფიად [1]:

- ტენის მექანიკური გამოდევნა და სორბციული შრობა;
- მარცვლეულის თბური შრობის ხერხი.

მიმღებ საწარმოებში მარცვლეულის შენახვის მომზადებისათვის იყენებ მხოლოდ თბურ შრობას როგორც ეფექტურს, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფათ დავადაბლოოთ მარცვლეულის ტემპერატურა.

გავრცელებულ მეთოდია კონვექციური მეთოდი, რომლის დროსაც თბური ენერგია მარცვლეულს გადაეცემა უშუალოდ თბომატარებლიდან [2]. პარას გახურებული ნაკადი შრობის ზონაში ხვდება მარცვლეულის ნაკადს, სადაც მიმდინარეობს მარცვლეულს და პარას შორის თბოტენგაცვლა.

შრობის პროცესის წარმართვისას ოპერატორის არასწორმა მოქმედებამ შეიძლება მიგვიყვანოს მარცვლეულის ხარისხის და საშრობი აპარატის მწარმოებლობის შემცირებასთან. იმისათვის რომ ზემოაღნიშნული არ მოხდეს აუცილებელია დაცული იქნას შემდეგი ძირითადი წესები:

- საშრობის უწყვეტი დატვირთვა და მისი რეგულირება;
- მარცვლეულის მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურის განსაზღვრა და დაჭრა;
- საშრობში მარცვლეულის ერთჯერადი გაშვებისას ტენიანობის ოპტიმალური დადაბლება;
- მარცვლეულის საწყისი და საბოლოო ტენიანობის კონტროლი.

### **3. მარცვლეულის შრობის პროცესის ავტომატიზაციის პრობლემის აქტუალობა**

მარცვლეულის საშრობი მოწყობილობის უშუალო გაცნობა ([1]) რომლითაც დღეისათვის შეიარაღებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოება, საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: მარცვლეულის საშრობი აპარატები შეიარაღებულია დაბალი დონის ავტომატიზაციის საშუალებებით და ვერ უზრუნველყოფს სასურველ მწარმოებლობას, გამოსაშრობი მასალის ხარისხს, კერძოდ:

- მარცვლეულ საშრობი არ არის აღჭურვილი ტემპერატურის გადამწოდით;
  - არ არის მარცვლეულის ტენიანობის გაზომვის და კონტროლის გადამწოდი;
  - მარცვლეულის საშრობი არ არის აღჭურვილი საშრობი აგენტის ნაკადის გაზომვისა და რეგულირების საშუალებებით;
  - მარცვლეულის პარამეტრების მიხედვით არ ხორციელდება შრობის რეჟიმის ცვლილება;
  - არ ხდება საშრობი აპარატების აპარატული და პროგრამული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფდა მაქსიმალურ მწარმოებლობას და მინიმალურ ენერგორესურსების ხარჯვას;
- ზემოაღნიშნული საშრობი აპარატის ავტომატიზაციისა და კონტროლის მართვის დაბალი და არადამაკმაყოფილებელი დონე პრობლემის აქტუალობის ძირითადი მაჩვენებლია.

### **4. მარცვლეულის შრობის პროცესის ავტომატიზაციის ამოცანები**

ზემოთ ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ, რომ მარცვლეულის დამუშავების საბოლოო შედეგზე გავლენას ახდენს შრობის პროცესის სტაბილურობა, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს პროცესის სრული ავტომატიზაციით, ეს უკანასკნელი კი საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ მისი ეფექტურობა, თავიდან ავიცილოთ მარცვლეულის ხარისხის გაუარესება.

ასეთი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის დანერგვის აუცილებლობა, როგორიცაა საშრობის კომპლექსური ავტომატიზაცია, განპირობებულია სათბობის ფასის ზრდით და მოხმარებული ელექტროენერგიის შეზღუდვით სოფლის მეუირნეობაში.

საშრობის მასა-ის მიერ უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

- ინფორმაციის შეგროვება და ასახვა;
- დისტანციური მართვა;
- ავტომატური რეგულირება;
- მოწყობილობის მდგრადრეობის დიაგნოსტიკა;

- გამაფოთხილებელი და ავარიული სიგნალიზაციის ორგანიზაცია;
- ინფორმაციის დოკუმენტირება და არქივიზაცია.

ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტა ავტომატიზაციის ჩარჩოში შესაძლებელია ისეთი მიკროკონტროლერული მას-ის შექმნით, რომელიც დააგენერირობს თანამედროვე მოთხოვნებს და რეალიზებული იქნება უახლესი აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფით.

სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა (პუ) შედგება ორი დონისაგან:


- დაბალი დონის პუ;
- მაღალი დონის პუ.

დაბალი დონის პუ მართავს მიკროკონტროლერის მუშაობას და ასრულებს:

- შესრულების ბრძანებების მიღებას;
- ინფორმაციას დანადგარების მდგომარეობაზე;
- გადამწოდებიდან ინფორმაციის მიღებას;
- შემსრულებელი მოწყობილობის ავარიულ გამორთვას;

მაღალი დონის პუ მართავს პროგრამული კონტროლერის მუშაობას და ასრულებს:

- მარცვლეულის შრობის მას მოდელის მხარდაჭერას;
- დანადგარის ფორმირებას;
- მოწყობილობის მდგომარეობის წინავარიული და ავარიული ინდიკაციას;
- საწარმოს ინტეგრირეული მას ურთიერთქმედებას.



**ნახ.1. შრობის პროცესის მას განზოგადებული სტრუქტურული სქემა**

მარცვლეულის შრობის პროცესის ავტომატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვნი ამოცანაა მიკროკონტროლერის სწორად შერჩევა, რადგანაც მიკროკონტროლერი სისტემის ბირთვია, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნა, რომლის შესრულებაც აუცილებელია ავტომატიზაციის პროცესში.

დღეისათვის არსებობს მიკროკონტროლერების ფართო სპექტრი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება: ბრძანებათა სისტემის, მეხსიერების ზომის, მონაცემთა შეტანა-გამოტანის პორტების რაოდენობით და ა.შ.

მიკროკონტროლერისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით შეიძლება შევარჩიოთ ATmega88 მიკროკონტროლერი. მისი არჩევა განპირობებულია მეხსიერების ზომის, დიდი პერიფერიის და მოწყობილობებთან ინტერფეისების ფართო ნომენკლატურით, რაც სრულად აკმაყოფილებს სისტემის მოთხოვნებს [4].

## 5. დასკვნა

მარცვლეულის შრობის მას-ის ღირსებაა ტექნოლოგიური პარამეტრების გაზომვის და სისტემის მუშაობის ალგორითმის კორექცია ტექნოლოგიური პროცესის წყვეტის გარეშე. მას-ის გამოყენების ძირითადი მიზანია ენერგორესურსების ეფექტური მოხმარება – შრობის პროცესის ოპტიმალური მართვის ანგარიშზე, შრობის დროის შემცირება, მას-ის სხვა ქვესისტემებთან ურთიერთქმედება – მარცვლეულის ტრანსპორტირება, შენებვა და ა.შ.

### ლიტერატურა:

1. Краусп В.Р. (1975). Автоматизация послеуборочной обработки зерна. – М.: Машизд.
2. ბარდაველიძე ა. (2002). შრობის პროცესის ენერგოდამზოგი ტექნოლოგის დამუშავება მრავალკრიტერიული ოპტიმზაციის ამოცანის გადაწყვეტის გზით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №6, თბილისი. -124-127გვ.
3. Клабуков В.Ф., Мельниченко П.И. (2002). От локальных задач автоматизации к интегрированной АСУ. Хранение и переработка зерна. № 4.
4. <http://www.atmel.com/devices/ATMEGA88AUTOMOTIVE.aspx>

## ANALYZE OF DRYING PROCESS IN ORDER TO CREATE MICROCONTROLLER AUTOMATED MANAGEMENT SYSTEM

Bardavelidze Avtandil<sup>1</sup>, Basheleishvili Irakli<sup>1</sup>, Bardavelidze Khatuna<sup>2</sup>

1-Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia,

2-Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

### Summary

The article describes technological process for drying of cereal crops and loose substances. The article demonstrates and provides justification for rationality behind the idea to design and develop an automated management system for the drying process based on modern microcontroller technique of in order to achieve new level of quality. The present work puts forward the universal digital automated management system (MAS) for cereals drying process. Development of the aforementioned will allow us to dry cereals and loose substances using efficient, energy-saving methods.

## АНАЛИЗ ПРОЦЕССА СУШКИ С ЦЕЛЬЮ СОЗДАНИЯ МИКРОКОНТРОЛЛЕРНОЙ СИСТЕМЫ АВТОМАТИЗИРОВАННОГО УПРАВЛЕНИЯ

Бардавелидзе А.<sup>1</sup>, Башелеишвили И.<sup>1</sup>, Бардавелидзе Х.<sup>2</sup>

1-Государственный Университет Акакия Церетели, Кутаиси

2-Грузинский технический университет

### Резюме

В статье приводится описание способов сушки зерна. Показана и обоснована целесообразность разработки и создания автоматизированной системы управления технологическим процессом сушки зерна на базе современной микропроцессорной техники для достижения качественно нового уровня в управлении процессами сушки зерна. Представлена структурная схема микроконтроллерной автоматизированной системы управления процессами сушки зерна, которая позволит проводить эффективный и энергосберегающий способ сушки зернового материала в зерносушилках.

## სატენდერო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და ავტომატიზაცია

ხატია ქრისტესიაშვილი, გულბათი ნარეშელაშვილი, თამაზ შეროზია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განხილულია ორგანიზაციების სატენდერო განყოფილებებში არსებული ბიზნეს-პროცესების მოდელირების ინსტრუმენტები. შემოთავაზებულია ამ პროცესების ავტომატიზაცია, რაც იძლევა საშუალებას მოვახდინოთ მათი ოპტიმიზაცია და გავზიარდოთ შრომითი და დროითი რესურსების ეფექტურობის მაჩვენებლები. გამოყენებულია პროცესების მოდელირების და ავტომატიზაციის ევროპული სისტემა Bizagi Process Suite.


**საკუთრივი:** ბიზნეს-პროცესი. მოდელირება. ტენდერი. ავტომატიზაცია.

### 1. შესავალი


სახელმწიფო ტენდერების მიზანია მოხდეს სახელმწიფო ფინანსების ეფექტური ხარჯვა, დაიზოგოს საბიუჯეტო თანხები და მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულდეს სამუშაო, რომელზეც ცხადდება ტენდერი. კონკურენციის პირობებში უნდა გამოვლინდეს ყველაზე მაღალ დონეზე, ყველაზე დაბალ ფასად, რომელი კომპანია შესარულებს ამა თუ იმ სამუშაოს. ის ასევე ხელს შეუწყობს ამ პროცესების კორუფციისაგან განთავისუფლებას. ამიტომ, დღეს საქართველოს ბაზარზე არსებული დიდი და საშუალო კომპანიები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სახელმწიფო და კერძო შესყიდვების ტენდერებში რაც ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას. დღის წესრიგში დაგდა შესყიდვების დეპარტამენტში სატენდერო განყოფილების შექმნა და განვითარება, რამაც გაზარდა ტენდერის სპეციალისტებზე მოთხოვნა. ამან გამოიწვია ტენდერთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესის სრულყოფის გზების ძიების აუცილებლობა, რისი უპირობო შედეგიც იქნება დროის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება.

### 2. ძირითადი ნაწილი


ტენდერთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესების სრულყოფის ერთ-ერთი გზა არის მათი ავტომატიზაცია. დღეს საქართველოში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელი კომპანიები, კერჯერობით არ მუშაობენ ტენდერების სპეციალიზირებული პროგრამების შექმნაზე. შესყიდვების დეპარტამენტებში მომუშავე ტენდერის სპეციალისტები ჯერ კიდევ მოძველებული საოფისე პროგრამების დახმარებით მუშაობენ და მართავენ სატენდერო პროცესებს, რაც თავისთავად შრომატევადნა და ითხოვს სატენდერო პროცესების შესრულებასთან დაკავშირებული დროითი და შრომითი რესურსების არაეფექტურ ხარჯებს და აქედან გამომდინარე შტატის გაბერვას. ამასთან, გართულებულია ტენდერში გამარჯვებული, მონაწილეობის გარეშე დარჩენილი და წაგებული მონაწილეების ანალიზის შესაძლებლობა. სტატიაში განხილულია საკანცელარიო და პოლიგრაფიული საქონლის იმპორტირებით კომპანიის მაგალითი, რომელიც მონაწილეობას იღებს სახელმწიფო, კერძო და კონსოლიდირებულ ტენდერებში. პროცესის ეფექტური მართვისთვის კომპანიაში დაინერგა ევროპული სისტემა Bizagi Process Suite, რომლის საფუძველს წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების მოდელირების სტანდარტული ენა (BPMN). დასაწყისში განხორციელდა ტენდერებთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესების დეტალური აღწერა და მოდელირება, რამაც თავის მშრივ გაამარტივა ახალი თანამშრომელთათვის პროცესის დეტალური გაგება. პროცესის მოდელირება მოხდა ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციის გამოყენებით და მოდელირების ინსტრუმენტად გამოყენე Bizagi Process Modeler. მოდელები მოცემულია 1-3 ნახაზებზე.



ნაწ.1. სატენდერო ბიზნეს-პროცესის მოდელი (ნაწ.1)



ნაწ.2. სატენდერო ბიზნეს-პროცესის მოდელი (ნაწ.2)



ნაწ.3. სატენდერო წინადადების განხილვის გაფართოებული ქვეპროცესი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე ([www.spa.ge](http://www.spa.ge)) ატვირთულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში კომპანიისთვის შესაბამისი ტენდერების მოძიება ხდება ავტომატურად, სატენდერო პროცესების მართვის პროგრამის მეშვეობით (რასაც ნულამდე დაყავას ტენდერების გამორჩენის აღბათობა).

მოძიებულ ტენდერებს განიხლავს ტენდერის სპეციალისტი და ანიჭებს სტატუსს- ან ვიღებთ მოცემულ ტენდერში მონაწილეობას, ან არ ვიღებთ. მეორე შემთხვევაში ხდება მონაწილეობის არ მიღების მიზეზის დასაბუთება, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის დაგროვებას. განხილვის შემდეგ ხორციელდება ტენდერის დამუშავება, თვითღირებულების გამოთვლა და სატენდერო წინადადების მომზადება.

რაღაც მოცემული პროგრამა არის ევროპული(უცხოური) წარმოების, ის ვერ ახორციელებს მიბმას სასაწყობე და საღისტრიბუციო პროგრამასთან, საიდანაც ავტომატურად მოხდებოდა სასურველი საქონლის ჩატოვის მიზანით, თვითღირებულების ძიება, ჯამური თვითღირებულების გამოთვლა, სატენდერო ფასის მომზადება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა.

ტენდერის მოგების შემთხვევაში, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგნილების საფუძველზე, პროგრამა ავტომატურად შეგვახსენებს (ამოცანას ამატებს შესასრულებელი სამუშაოების ველში) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თაგმულომარის პრძანების მიხედვით მოთხოვნილი საბუთების (დაზუსტების, აღეკატურობის, ნიმუშების წარდგენის და ხელშეკრულების) ატვირთვის თარიღებს, რაც თავისთავდად გამორიცხავს გადაცილებული დღეების გამო გამოწვეულ დისკვალიფიკაციას. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოთხოვნის შესაბამისად ხორციელება შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

ტენდერის წაგების შემთხვევაში ხდება კონკურენტი კომპანიის წინადადების განხილვა, იმ მიზეზების შეფასება რამაც გამოიწვია ტენდერის წაგება, ასევე იმ პროდუქციის ფასების შესწავლა, რამაც განაპირობა კონკურენტი ორგანიზაციის მიერ ნაკლები ფასის შეთავაზება, ეს ინფორმაცია ავტომატურად თავს იყრის ანალიზის ფორმებში, რომელსაც პროგრამა ავტომატურად განალაგებს Pivot და Grid ცხრილებში.

ამ ანალიზის ფორმებთან შესყიდვების დეპარატამენტს აქვს წვდომა და მოცემული ინფორმაციის საფუძველზე იგი ახორციელებს საქონლის იმპორტს კონკურენტულ ფასად.

### 3. დასკვნა

აგებულ იქნა სატენდერო ბიზნეს-პროცესების BPMN მოდელები, მისი ავტომატიზაცია Bizagi BPM Suite-ის გამოყენებით, რამაც ეფექტური გახადა შრომითი და დროითი რესურსების გამოყენება, ასევე პროგრამაში ავომტომატურად გენერირებულმა ანალიზის ფორმებმა გაამარტივა საჭირო ინფორმაციის დროულად და მარტივად წვდომის და მოძიების საშუალება. თანამედროვე კონკურენტულ საზოგადოებაში კი ინფორმაციის ფლობა წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**ლიტერატურა:**

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (State Procurement Agency). [www.spa.ge](http://www.spa.ge)
2. ქრისტესიაშვილი ბ. (2012). მარკეტინგული ბიზნეს-პროცესების მოდელირება BPMN გარემოში. სტუ-ს მრ.კრ. „მას“-№1(12). გვ.239-244.
3. სურგულაძე გ., ქრისტესიაშვილი ხ., სურგულაძე გ. (2015). საწარმოო რესურსების მენეჯმენტის ბიზნესპროცესების მოდელირება და კვლევა. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.

**BPMN MODELING AND AUTOMATION OF THE BUSINESS  
TENDER PROCESS**

Kristesiashvili Khatia, Nareshelashvili Gulbaat, Sherozia Tamaz

Georgian Technical University

**Summary**

There is considered business process modeling of the tender process using by BPMN standard. There is proposed fundamental issues of the tender process automation. Using by modeling And automation European system Bizagi process suite.

**МОДЕЛИРОВАНИЕ И АВТОМАТИЗАЦИЯ ТЕНДЕРНЫХ  
БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ**

Кристесиашвили Х., Нарешелашвили Г., Шерозия Т.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены инструменты моделирования существующих бизнес-процессов в тендерных отделах организаций. Предложена автоматизация существующих в тендерных департаментах процессов, что дает возможность осуществить автоматизацию бизнес-процессов, увеличить пока-затели эффективности трудовых и временных ресурсов. Для автоматизации и моделирования применена европейская система Bizagi Process Suite.

## სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები ვრცელ და ჩინურ საგანგავნო მისამართი

თამარ მენაძე, სოფიო ბალიაშვილი, ნატალია კვაჭაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება საქართველოსა და ჩინურისახალხო რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, კრედიტების რანჟირების სისტემები. ჩინურის საგანგავნო მისამართი სისტემის თავისებურებები. გაანალიზებულია სტუდენტთა ცოდნის ევროპული და ჩინური შეფასების ფორმები და მეთოდები, ცოდნის შეფასების ფორმებსა და მეთოდებს შორის მსგავსებები და განსხვავებები.

**საკვანძო სიტყვები:** კრედიტების სისტემა. ცოდნის შეფასების ფორმები და მეთოდები. შეფასების სისტემა.

### 1. შესავალი

საქართველოს მიერთება ბოლონიის დეკლარაციასთან და ევროპის საგანგანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია დაკავშირებულია პროცესში მონაწილე მხარეების მიერ აღიარებული შემდეგი ძირითადი პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებასთან:

- იოლად გასავალი და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სამსაფეხურიანი სისტემისა და კრედიტების სისტემის შემოღება;
- მობილურობის ხელშეწყობა;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი განათლების ევროპული განხომილებების დანერგვა;
- სწავლა სიცოცხლის განმავლობაში; სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინური არ არის მიერთებული ბოლონიის დეკლარაციასთან განათლების სისტემა გარკვეულწილად დასავლური საგანგანათლებლო სისტემის მსგავსია, მას საკუთარი თავისებურებები გააჩნია. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს აკადემიური შეფასების სისტემაში. ჩინურის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები დაფუძნებულია შეფასების სისტემაზე, რომლის მიხედვითაც სტუდენტის შეფასება ხდება სწავლის პროცესში მისი საგანგანათლებლო მიღწევების საფუძველზე.

### 2. ძირითადი ნაწილი

ევროპული უმაღლესი განათლების პროგრამით სტუდენტთა დატვირთვის სქემა განსაზღვრავს გაანგარიშების ოთხ ეტაპს:

1. მოღულების კურსის შემოღება. არსებობს სისტემები დამყარებული მოღულებზე და მათ გარეშე. სისტემაში, რომელშიც მოღულები არ გამოიყნება, თითოეულ კურსისშემდლება კრედიტების განსხვავებული რაოდენობა პქონდეს, თუმცა ერთი წლის კრედიტების ჯამური რაოდენობა კვლავ სამოცია. მოღულებზე დამყარებულ სისტემაში კურსების ფიქსირებული დატვირთვა აქვს.

**2. სტუდენტების დატვირთვის შეფასების განსაზღვრა.** ყოველი მოდული გარკვეულ საგანმანათლებლოსაქმიანობასეფუძნება, რომელიც შემდეგისას ექტებისგათვალისწინებით განვითარება:

- კურსის ტაბები: ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, სავარჯიშო კურსი, პრაქტიკული სამუშაო, ლაბორატორიული სამუშაო, ინდივიდუალური სწავლა ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მეცადინეობა, ინტერნატურა, სამუშაო პრაქტიკა, საველე პრაქტიკა, პროექტზე მუშაობა და ა.შ.

- სასწავლო საქმიანობის ტიპები: ლექციებზე დასწრება, სპეციალური დავა-ლებების შესრულება, ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ნაშრომების წერა, წიგნებისა და სტატიების კითხვა, სხვისი ნაშრომების კონსტრუქციული კრიტიკის სწავლა, შეხვედრების გაძლილა და ა.შ.

- შეფასების ტიპები: ზეპირი გამოცდა, წერითი გამოცდა, პრეზენტაცია, ტესტი, სამეცნიერო მოხსენება, პორტფოლიო, თეზისი, ინტერნატურის ანგარიში, საველე პრაქტიკის ანგარიში, უწყვეტი შეფასება და ა.შ.

მასწავლებლები განსაზღვრავენ ამა თუ იმ კურსის/მოდულის დასრულებისათვის საჭირო დროს. დროში გამოხატული დატვირთვა უნდა ემთხვეოდეს ამ კურსისათვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას. მასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ ადეკვატური სტრატეგია, რათა მოხერხდეს მოცემული დროის ეფექტურად გამოყენება

**3. განსაზღვრული დატვირთვის შემოწმება სტუდენტის მიღწევების საფუძველზე** არსებობს განსაზღვრული დატვირთვის სისტორიის შემოწმების განსხვავებული მეთოდები. ყველაზე ხშირად გამოიყენება კითხვარები, რომლებსაც სტუდენტები ავსებენ სწავლის განმავლობაში ან კურსის დასრულების შემდეგ.

**4. დატვირთვის და/ან საგანმანათლებლო საქმიანობის კორექტირება.** მონიტორინგის პროცესმა ან კურსის შინაარსის განახლებამ შეიძლება გამოიწვიოს და/ან სასწავლო პროცესის კორექტირება. მოდულებზე დამყარებულ სისტემაში აუცილებელი იქნება სასწავლო მასალის რაოდენობის და/ან სწავლის, სწავლებისა და შეფასების ტიპების შეთანხმება, რადგანაც კრედიტების რაოდენობა ფიქსირებულია. სისტემაში, რომელიც მოდულებს არ იყენებს, მართალია, შეიძლება კრედიტების რაოდენობის შეცვლა, მაგრამ ეს, რათქმა უნდა, იმოქმედებს სხვა ერთეულებზე, რადგანაც კრედიტების მთლიანი რაოდენობა ასევე ფიქსირებულია.

სტუდენტების რანჟირება სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ზედმიწევნით აღწერს ამ პროცესს. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) ჩარჩოებში სტუდენტების რანჟირების (დახარისხების) სისტემა შეიქმნა სხვადასხვა ეროვნულ სისტემაში მიღებული შეფასების გაგებისა და შედარების გასაადვილებლად. ის რაც ერთ ეროვნულ სისტემას არ ეყრდნობა და განკუთვნილია სისტემის შიგნით სტუდენტების ობიექტური შეფასებისათვის.

ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს განათლების სამი დონე. პირველი საფეხური მოიცავს სწავლების 4-5 წელს და სრულდება ბაკალავრის ხარისხის მინიჭებით. მეორე საფეხური გათვლილია სწავლების 2-3 წელზე და სრულდება მაგისტრის ხარისხის მინიჭებით. სწავლების მესამე საფეხური 3 წელი გრძელდება და სრულდება დოქტორის ხარისხის მინიჭებით. მისი მიღება სასწავლო კურსის მირთად საგებში გამოცდების ჩაბარებას და დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის შესრულებას ითვალისწინებს. ჩინეთის უმრავლეს უნივერსიტეტებში

მიღებულია კრედიტების სისტემა, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტებს აქვთ საკმაოდ მოქნილი სასწავლო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ შესასწავლი საგნების ჩამონათვალს და კრედიტების ზუსტ შეჯამებას, ან ქულებს იმ საგნებში, რომლების აუცილებელია ატესტაციისათვის კურსის დასამთავრებლად.

**შეფასების მეთოდები:** შედეგების შესაფასებლად ჩინეთის უნივერსიტეტებში გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორიცაა გამოკითხვა სასწავლო კურსის განმავლობაში, კურსის დამთავრებისას კი გამოცდები და აგრეთვე შემაჯამებელი საკვალიფიკაციო გამოცდა და სადიპლომო სამუშაოს დაცვა. მასწავლებლებს უფლება აქვთ სტუდენტებს კონკრეტული შეფასება მისცენ მხოლოდ რამდენიმეჯერ სასწავლო კურსის განმავლობაში. ეს რიცხვი განისაზღვრება მოცემულ კლასში სტუდენტთა საერთო რაოდენობით. ამდენად, სტუდენტები უშეალო კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, რათა საუკეთესო შეფასება მიიღონ კლასში, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ კლასის გარკვეულ ნაწილს შეიძლება მიეცეს უმაღლესი შეფასება.

**შეფასების ფორმები:** იმისათვის, რომ შემოწმდეს ათვისებული სასწავლო მასალის დონე, მასწავლებლები სტუდენტებს უტარებენ ტესტირებებს სასწავლო კურსის ნებისმიერ დორს, მოწმდება საშინაო დავალებები, ტარდება წერითი გამოკითხვები და ტესტები. მოსალოდნელი გამოკითხვისა და ტესტების შესახებ სტუდენტებმა იციან წინასწარ, თუმცა ზოგჯერ გამოცდებს და ტესტებს სტუდენტების წინასწარი გაფრთხილების გარეშეც ატარებენ.

სტუდენტის შემაჯამებელ გამოცდაზე დაშვების საკითხს მასწავლებლები წყვეტენ სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტის წინამდებარე სამუშაოების შესრულების შეფასებით.

თუ არსებობს საკამათო მომენტები სტუდენტმა შეიძლება მიიღოს ინდივიდუალური დავალება.

შემაჯამებელი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს ზეპირი ტესტის ან წერითი დავალებების ფორმით ან ამ ორი ფორმის შერწყმით. ზეპირი ტესტირება გამოიყენება სტუდენტების ენობრივი დონის შესამოწმებლად, რომლის ჩატარებისას მასწავლებელი უსვამს კითხებს სტუდენტს და სთავაზობს მას შესრულოს მცირე ფორმის ზეპირი პრეზენტაცია მოცემულ თემაზე.

ამჟამად ჩინეთის უნივერსიტეტების უმრავლესობაში ბაკალავრიატის სტუდენტები არ არიან ვალდებული საჯაროდ დაიცვან თავიანთი სადიპლომო ნამუშევრები. ამ შემთხვევაში სტუდენტები უბრალოდ აბარებენ თავიანთ ნამუშევრებს დეკანატში.

ზოგიერთ უნივერსიტეტში პრატიკაშია პროექტის დაცვის ზეპირი ფორმა, სტუდენტების დიდი რაოდენობის მიუხედავად. სამაგისტრო და დოქტორანტურის სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთი პროექტი საჯაროდ. ჩინეთის უნივერსიტეტებში გამოცდების შეჯამებას წარმოადგენს „ჩაბარებულია“, ან „არ არის ჩაბარებული“. გამოცდის შედეგების შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შეფასების 5 ქულიანი სისტემა. პეკინის უნივერსიტეტი იყენებს შეფასების ისეთ სისტემას რითაც მკაფიოდ განსხვავდება ჩინეთის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან. აქ, გამსვლელი ქულა 60% შეადგენს, რაც არა მხოლოდ ტესტირებებისა და გამოცდების შედეგებზეა დაფუძნებული, არამედ მას სასწავლო კურსის განმავლობაში ლექციებზე დასწრება და საშინაო დავალებების შესრულებაც განაპირობებს.

**შეფასება 100 ქულიანი სკალით**

	A	B	C	D	E	FX	F
<b>საქართველო</b>	91-100%	81-90%	71-80%	61-70%	51-60%	41-50%	0-40%
	უმაღლესი	ძალიან კარგი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	საქმარისი	ვერ ჩააბარა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე	ჩაიჭრა, საგანი ხელახლა უნდა შეისწავლოს

	A	B	C	D	E
<b>ჩინეთი</b>	90-100%	75-84%	64-74%	60-63%	0-59%
	წარჩინებული	კარგი	დამაკმაყოფილებელი	ჩაბარებული	ჩაიჭრა

### 3. დასკვნა

რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანი უვროკავშირში გაწევრიანებაა, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობა ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებში, რომელთა ძირითად მიზანია ერთიანი, ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. მაგრამ მიუხედავად ამისა ევროპისა და ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი ცოდნის შეფასების კრიტერიუმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების განხილვის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს არსებითი მსგავსებები და განსხვავებებიც. მიუხედავად არსებული განსხვავებებისა ჩინეთის საგანმანათლებლო სისტემას ბევრი საერთო აქვს ევროპულთან.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. თ. მენაბდე. ტექნიკური რეგულირების საფუძვლები- ხარისხიდან სრულყოფისკენ. სტუ, თბილისი, 2013 წ.

2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. თბილისი 2005 წ. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისაცენ. ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები.

3. China's Grading System. When Rank Matters. 2011 წ.

<http://www.chinaeducation.info/Education-System/grading-system.html>

4. ჩინეთის აკადემიური განათლების განვითარების ცენტრი. 2015 წ China Academic Degrees & Graduate Education Development Centre (CDGDC)

<http://www.chinaeducation.info/Education-System/grading-system.html>

5. ჩინეთის განათლების სამინისტრო. 2014 წ. Обучение в Китае. Общая информация <http://www.portalchina.ru/guide/study-in-china.html>

**STUDENTS KNOWLEDGE ASSESSMENT FORMS AND METHODS IN EUROPEAN AND CHINESE EDUCATION SYSTEM**

Menabde Tamar, Baliashvili Sofia, Kvachadze Natalia

Georgian Technical University

**Summary**

Article discusses criteria of assessing students' knowledge in Georgian and Chinese higher education institutions as well as the system of credit ranging. Article also discusses characteristics of China's higher education System. The article analyzes European and Chinese forms and methods for assessing students, similarities and differences between the assessment forms and methods.

**МЕТОДЫ И ФОРМЫ ОЦЕНИВАНИЯ СТУДЕНТОВ В ОБРАЗОВАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЕ ЕВРОПЫ И КИТАЯ**

Менабде Т., Балиашвили С., Квачадзе Н.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматриваются критерии оценивания знаний в высших учебных заведениях Грузии и Китайской Народной Республики. Ранжирование системы кредитов. Особенности образовательной системы Китая. Европейские и китайские методы и формы оценивания знаний студентов. Схожесть и различия между методами и формами оценивания.

## საპრედიტო პროცესის მართვის ანალიზი და მონიტორინგის სტრუქტურული მოდელის შემუშავება

მარიამ დვალიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

კორპორატიულ კრედიტების სფეროში ბანკის რისკის ეფექტური მართვისთვის არ არის საკმარისი მარტო მათი ხარისხის შეფასება, ასევე საჭიროა სხვადასხვა მეთოდების და ღონისძიებების გამოყენება, რომელიც მიმართულია რისკების მინიმალიზაციისაკენ. კორპორატიულ კრედიტების სფეროში ბანკის კლიენტებს წარმოადგენს ოურიდიული პირები. კრედიტის ზომა ორიენტირდება საშუალო კორპორატიულ კლიენტებზე. საკრედიტო რისკის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია რისკების კონტროლი. სტატიაში განხილულია რისკების კონცენტრაციის ლიმიტის, მსხვილი საკრედიტო რისკების ერთობლივი ლიმიტის მოცულობის განსაზღვრისა და საკრედიტო პორტფელის რისკების კონცენტრაციის ლიმიტის ანალიზის შესახებ საკითხები.

**საკვნძო სიტყვები:** საკრედიტო ლიმიტი, საკრედიტო რისკი, რისკების კონტროლი, სესხი, საკრედიტო პოლიტიკა.

### 1. შესავალი

კორპორატიული კრედიტის ზომა ორიენტირდება საშუალო კორპორატიულ კლიენტებზე რომლის წლიური შემოსავალია 50-დან 500 000 ლარმდე. ბანკი სთავაზობს კრედიტს ნაციონალურ და უცხოურ ვალუტაში, მათ შორის ღია საკრედიტო ხაზებს, კლიენტის პროგრამის განხორციელებისთვის. საკრედიტო ხაზები შეიძლება იყოს აღდენილი და ბანკი წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისთვის აუცილებელია საბრუნავი საშუალებები, წარმოების აუცილებელი მოცულობისთვის ან ვაჭრობისთვის. საბანკო გარანტიების წარმოდგნისას, ნაციონალურ ან უცხოურ ვალუტაში, ბანკი გარანტიას იძლევა, რომ შესრულდეს კლიენტის მიერ მისი ვალდებულება, კონტრაგენტების ან სხვა ბანკების წინაშე. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი თავის დროზე ვერ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ ბანკი ასრულებს კლიენტის მოვალეობას. ბანკი ანხორციელებს უფრო სტაბილურ და დინამიურად განვითარებული წარმოებების კრედიტირებას, მაგალითად: საკვები პროდუქტების წარმოება და ვაჭრობა, ელექტრონიკა, ქსელური კომპანიები, ასევე დეველოპერული და სამშენებლო ბიზნესი[1].

### 2. რისკების კონცენტრაციის ლიმიტის განსაზღვრა

რისკების კონცენტრაციის ლიმიტირებული მოცულობის საკრედიტო რისკის საერთო თანხას ერთ მსესხებელზე. მსესხებელთა შეკრული ჯგუფისთვის განსაზღვრულია 25% ბანკის ძირითადი კაპიტალის კორექტირებული მოცულობიდან, მაგრამ არაუმეტეს 10%-ისა საკრედიტო პორტფელის თანხიდან [2].

გაანგარიშება წარმოებს ყოველ გასაანგარიშებელ რიცხვზე მოცემულ შემთხვევაში დასაანგარიშებელირიცხვი იქნებათვის ბოლო დღე.

საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპი ასევე დამოკიდებულია სეზონურობასთან, ხშირ შემთხვევაში ვარდნა ხდება იანვარში [3].

მოცემული ლიმიტის შესასრულებლად ერთ-ერთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს ან ბანკის კაპიტალის გაზრდა საკრედიტო პორტფელის ზრდის პროპრიციულად ან მსესხებლის ლიმიტის უფრო ძირფესვიანი შემოწმება. მაქსიმალური თანხის გაცემის განსაზღვრის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ გავიგოთ შეძლება თუ არა, ჩავრთოთ ანალიზში საკრედიტო ინსტრუმენტების სხვა ფორმები. ანალიზი შეიცავს პირობით პასუხისმგებლობას, როგორებიცაა

გარანტიები, აკრედიტივები, ასევე მომავალი მოთხოვნები, რომლის უზრუნველყოფაც ითავა ბანკმა. პრინციპში პირობითი ვალდებულება უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკების მოცულობის ერთობლიობით, თუმცა ზოგი რამ შეიძლება განვიხილოთ სხვა მხრივაც. მაგალითად, ფინანსური ვალდებულების გარანტია შეიძლება განვიხილოთ არა ისე, როგორც შესრულების გარანტია. გავითვალისწინოთ თუ არა წინასწარი შენატანი ლიმიტების შეფასებისას, სადაო საკითხია, რადგან წინასწარი შენატანის ლირებულების განსაზღვრა-ეს არის უმაღლესი ხარისხის სუბიექტური პროცესი. ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებმა მუდმივად უნდა მიაქციონ ყურადღება მოვლენებს, რომლებიც ეხებათ მსხვილ მსესხებლებს, იმის მიუხდავად ასრულებნ თუ არა ისინი თავის მოვალეობებს ბანკის წინაშე. თუ რაიმე შემთხვევა იწვევს გაუგებრობას, ბანკმა უნდა მოითხოვოს მსესხებლის დამატებითი ინფორმაცია. ბანკის ზედამხედველობის ორგანოები ყოველთვის დიდ დროს უთმობენ ბანკის რისკების კონცენტრაციას. მათი მიზანი საკრედიტო რისკების მართვის სახით წარმოადგენს ის, რომ ბანკები უნდა ენდობოდნენ ერთ დიდ მსესხებელს ან მსესხებლების ჯგუფს, მაგრამ ამ დროს ისინი არ უნდა კარნაზობდნენ ბანკს, ვის უნდა მისცენ კრედიტი და ვის არა. თანამედროვე საბანკო რეგულაციები, ჩვეულებრივ უეკნებს ბანკს პირობას არ განახორციელოს ინვესტიციები, არ წარმოადგინოს დიდი კრედიტები ან სხვა სახის საკრედიტო ინსტრუმენტები ნებისმიერი ცალკეული იურიდიული პირებისათვის ან ურთიერთდამოკიდებული ჯგუფის იურიდიული პირისთვის. მოცემული შეზღუდვების გამოყენებით, ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ აკონტროლონ მთლიანად, როგორც საბანკო სექტორი, ასევე ცალკეული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა, რათა დაიცვან შემომტანების ინტერესები და თავიდან აიცილონ კრიტიკული სიტუაციები საბანკო სექტორში.

### 3. მსხვილი საკრედიტო რისკების ერთობლივი ლიმიტის მოცულობა

ყველა მსესხებლის საკრედიტო რისკის ჯამი (მსესხებლების ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ 5%-ზე მეტი პოზიცია ბანკიდან, შემოსაზღვრულია 800% ბანკის საკუთარი სახსრებიდან. ლიმიტის დაანგარიშებას ვახდენთ თვის ბოლო დღეს. ვპოულობთ აუცილებელ პარამეტრს რათა განვსაზღვროთ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა - მსხვილი ერთეული კრედიტის ზომა. ის განისაზღვრება როგორც 5% საკუთარი კაპიტალიდან, რომელიც შესაბამისობაშია ცენტრალური ბანკის ნორმებთან. გათვლას ვაწარმოებთ Microsoft Office Excel-ის საშუალებით და შედეგებით წარმოვადგენთ ცხრილ 1-ში.

$$L_2 = \frac{\sum (\text{Positions} \geq 5\% \text{ of Capital})}{\text{Bank capital}} \leq 800\%$$

მიღებული შედეგების განხილვით ჩვენ ვხედავთ, რომ მსხვილი საკრედიტო რისკების მაქსიმალური ზომა 31.03.2012 წლისთვის შეადგენს 277%-ს, ეს სავსებით აკმაყოფილებს ბანკის მიერ გაცემული მსხვილი კრედიტების ერთობლივი ზომის შეზღუდვის პირობებს. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ არსებობს დადებითი დინამიკა, ანუ მოცემული მაჩვენებლის თანდათანობით ძირს დაწევა. ცხრილიდან ასევე ჩანს, რომმსესხებლების წილს საკრედიტო პორტფელში გააჩნიათ უმნიშვნელო რყევა განსაზიდველ პერიოდში წილის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რაც შეადგენს 40%. აქედან ჩანს, რომ კაპიტალის გაზრდით შესაბამისად ცალკეული მსხვილი კრედიტის სიდიდის გაზრდით იზრდება კრედიტის მოცულობები.

ცხრ.1

	თან3 2011	თვებ 2011	...	ვე3 2011	სექტ 2011	ოქტ 2011	ნოემბ 2011	დეკ 2011	თან3 2012	თვებ 2012	მარტ 2012
კაპიტალი	54 199,00ლ	67 971,00ლ	...	79 403,30ლ	98 344,02ლ	92 083,92ლ	99 793,79ლ	118 312,38ლ	109 147,48ლ	115 045,19ლ	115 464,55ლ
მსხვილი ერთეულოვან ი კრედიტის სიდიდე (5% კაპიტალი)	2 709,95ლ	3 398,55ლ	...	3 970,17ლ	4 917,20ლ	4 604,20ლ	4 989,69ლ	5 915,62ლ	5 457,37ლ	5 752,26ლ	5 773,23ლ
მსჯებელების მსხვილი ჯგუფების რაოდენობა (5% კაპიტალი)	26	25	...	31	28	27	25	25	24	27	27
მსვილის საკრედიტო რისკების ჯამი	135 590,49ლ	157 178,44ლ	...	250 285,38ლ	248 334,45ლ	273 127,74ლ	271 671,71ლ	302 382,14ლ	294 047,43ლ	326 564,44ლ	319 684,98ლ
L2	250%	231%	...	315%	253%	297%	272%	256%	269%	284%	277%

#### 4. საკრედიტო პორტფელის რისკების კონცენტრაციის ლიმიტი

მსხვილი საკრედიტო რისკების კონცენტრაციისთვის საჭიროა ვაკონტროლოთ საკრედიტო პორტფელი უზრუნველყოფა. მთლიანობაშიშეიძლება გამოვყოთ უზრუნველყოფის ძირითადი სახეები საგირაო პორტფელთან უკეთესად სამუშაოდ (ცხრილი 2).

ყველა ბანკი მისწრაფის უზრუნველყოფილი კრედიტების გაცემაზე, რაც ამცირებს საკრედიტო რისკის ხარისხს. ანალიზის მსვლელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სესხები, რომელიცსაც გააჩნიათ უზრუნველყოფა, აქვთ უფრო დაბალი რისკი ვიდრე არაუზრუნველყოფილ სესხებს, დანაკარგის ანაზღაურების რეალური ღირებულება დამოკიდებულია დროზე.

ცხრ.2

უზრუნველყოფის სახე	წილი
კრედიტები, უზრუნველყოფილი მხოლოდ თავდებით	30%
კრედიტები, უზრუნველყოფილი საქონლის გირაოთი	30%
კრედიტები, უზრუნველყოფილი მოწყობილობის გირაოთი	10%
კრედიტები, უზრუნველყოფილი გირაოთი გამოსყიდვის უფლებით	10%
კრედიტები, უზრუნველყოფილი ბანკის ვექსილებით	0%
კრედიტები, უზრუნველყოფილი უმრავი ქონების გირაოთი	20%
კრედიტები არაუზრუნველყოფით	0%

საკრედიტო გარიგების უზრუნველყოფას თან სდევს შემდეგი ძირითადი მიზნები:

- წარმოადგენს საკრედიტო საშუალებების დაბრუნების საწყისს მის უზრუნველყოფილ ნაწილში, კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში;

- სტამულს აძლევს მსესხებელს დროულ მომსახურეობაზე და კრედიტის დაბრუნებაზე;

- წარმოადგენს ინფორმაციის დამატებით წყაროს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე. ამის მიზედვით ბანკი საკრედიტო პოლიტიკაში დამოუკიდებლად აწესებს შესაბამის ლიმიტებს გარკვეული სახის უზრუნველყოფზე, ხშირ შემთხვევებში ლიმიტი დგინდება გარიგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფით. ჩვენს შემთხვევაში ლიკვიდირებული შეიძლება დაგარქვათ უზრუნველყოფას გარიგების სახით, საბანკო გარანტიებს, თავდებობას, გარანტირებულ დეპოზიტს. ასევე თუ რა სახისაა უზრუნველყოფა, კორექტირდება რეზერვი შესაძლებელ სესხების დანაკარგებთან. დაგუშვათ, ჩვენს შემთხვევაში ლიმიტები დგინდება შემდეგი პროპორციით

(ცხრილი 2). ასევე დავუშვათ, რომ ლიმიტები დგინდება ერთი წლით წინა გამოცდილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის განსაზღვრული სახეობით, მათი ექსპერტიზაცე დახარჯული ხაჯების აღრიცხვაზე, გაფორმებაზე და მონიტორინგზე. ამ მონაცემებს გავუკეთოთ ანალიზი ჩვენი საკრედიტო პორტფელისთვის. გათვლა ხორციელდება შემდეგი სახით: საქრედიტო პორტფელის ერთობლიობიდან ვირჩევთ იმ სესხებს, რომლებსაც გააჩნიათ უზრუნველყოფა და კლასიფიკაციას უკეთებთ მთელ გირაოს პორტფელის შემდეგი სახით: არაუზრუნველყოფილი კრედიტები, მესამე პირის თავდება, გირაო მოთხოვნის ან გამოსყიდვის უფლებით, საქონელი, მოწყობილობები, ბანკების გრანტები, უძრავი ქონება, საგარანტიო დეპოზიტები. შემდეგ განვსაზღვრავთ ყველას წილს გირაოს პორტფელში.

გათვლებს ვაწარმოეთ გამოყენებითი პროგრამის Microsoft Office Excel-ის დახმარებით და შედეგებს წარმოდგენილია ცხრილ 3-ში. როგორც ვხედავთ მოცემული ცხრილიდან უძრავი ქონების გირაოს წილი მუდმივად იზრდება, რაც წარმოადგენს დადებით ტენდეციას, ასე, რომ ეს არის ერთ-ერთი გარანტირებული გირაოს სახეობა დეფოლტის შემთხვევაში. ასევე ცხრილში ასახულია ლიმიტის შეუსრულებლობა საქონლის გირაოში, მისი წილი მუდმივად მცირდება. გირაოს პორტფელი სტაბილურია, პრაქტიკულად არ შეინშება აშკარა გადახრები სტრუქტურაში. ეს მიუთითებს გირაოს უფექტურ პოლიტიკაზე.

### ცხრ.3

უზრუნველყოფის ტიპი	საწყისი 2011	იან. 2011	...	აგვ. 2011	სექ. 2011	ოქტ. 2011	ნოემ. 2011	დეკ. 2011	იან. 2012	თებ. 2012	მარტ. 2012
არაუზრუნველყოფილი კრედიტები		7,3%	...	12,2%	11,8%	11,2%	10,0%	9,9%	11,9%	13,3%	14,8%
მესამე პირის თავდებობა	30%	40,0%	...	61,7%	59,8%	57,3%	59,3%	58,2%	57,1%	55,1%	54,7%
გირაო მოთხოვნის ან გამოსყიდვის უფლებით	10%	3,3%	...	1,5%	1,4%	1,3%	1,2%	1,0%	0,5%	0,7%	0,3%
საქონლის გირაო	30%	11,0%	...	9,4%	11,4%	11,9%	12,2%	9,0%	7,3%	9,1%	8,2%
მოწყობილობების გირაო	10%	5,0%	...	1,1%	3,1%	3,8%	3,6%	4,4%	4,5%	4,4%	3,5%
ბანკების გარანტია		4,0%	...	3,4%	3,2%	2,9%	2,8%	2,2%	2,8%	2,6%	1,7%
უძრავი ქონების გირაო	20%	7,1%	...	9,2%	8,3%	10,7%	9,9%	14,7%	15,1%	14,0%	16,0%
გარანტირებული დეპოზიტი	0%	1,5%	...	1,4%	1,1%	0,9%	0,8%	0,6%	0,7%	0,8%	0,9%
სულ	100%	100%	...	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

შეინიშნება მუდმივი დინამიკა ისეთი ტიპის უზრუნველყოფის მხრიდან, როგორიცაა მესამე პირის თავდება, ლიმიტი დადგენილია 30%-ის ფარგლებში, ხოლო 31.03.2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 54,7%-ს. საშუალო მაჩვენებელი მოელი პერიოდის განმავლობაში 31.01.2011-დან 31.03.2012-ის ჩათვლით ტოლია 59,6%. ეს არის სიგნალი იმისა, რომ გადაიხდოს მოცემული ლიმიტი.

### 5. დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გირაოს პორტფელში აუცილებელია გაიზარდოს მაღალლიკვიდირებული გირაო. საკრედიტო პოლიტიკა ასევე უნდა ითხოვდეს, რომ ლიმიტები უზრუნველყოფის სახით ხშირად უნდა იყოს გადახდილი. ასე, რომ გირაოს პორტფელის მონიტორინგი და კონტროლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საკრედიტო რისკების მართვისას კომერციულ ბანკში.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. Лаврушин О.И. (2012). Банковское дело. Москва. Финансы и статистика.
2. Риск менеджмент, оценка рисков. [Электронный ресурс] – <http://md-hr.ru/articles/html/article32645.html>
3. Reuters Kondor+ и Systematica Radius – решение по управлению рисками для фронт- и мидл-офиса. [Электронный ресурс] – <http://www.systematica.ru/articles/detail.php?ID=33>.
4. Комплексное решение по управлению рисками SAS. [Электронный ресурс] – <http://www.sas.com>

**CREDIT PORTFOLIO MANAGEMENT ANALYSIS AND DEVELOPMENT OF STRUCTURAL MODELS OF MONITORING**

Dvalishvili Mariam

Georgian Technical University

**Summary**

In the field of corporate credit, for effectively managing the Bank risk it is not enough to assess risk degrees only, in fact, implementing various methods and measures is needed which are directed towards risk minimization. In the field of corporate credits, legal entities represent Bank clients. Size of a loan focuses on average corporate clients. Controlling the risks is important in the process of credit risk management. The present article discusses topics such as risk concentration limits, large credit risks in the joint limit capacity determination and analysis of credit portfolio risk concentration limits.

**АНАЛИЗ УПРАВЛЕНИЯ КРЕДИТНОГО ПОРТФЕЛЯ И РАЗРАБОТКА СТРУКТУРНОЙ МОДЕЛИ МОНИТОРИНГА**

Двалишвили М.

Грузинский Технический Университет

**Резюме**

Для эффективного управления банковскими рисками в сфере корпоративного кредитования не достаточно оценить только его качество, также необходимо использовать различные методы и способы, которые направлены на минимизацию рисков. В сфере корпоративного кредитования клиентами банка являются юридические лица. Размер кредита ориентирован на среднего корпоративного клиента. В процессе управления кредитного риска важен контроль риска. В статье рассмотрены вопросы, касающиеся лимита концентрации риска, определение объема единого лимита крупного кредитного риска и анализ лимита концентрации рисков кредитного портфеля.

## ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობა – ტექნოლოგიური და სამართლებრივი ასამართვები

ქეთევან მეფარიშვილი<sup>1</sup>, ლუკა კარდენაზიშვილი<sup>2</sup>

1-პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

2-საქართველოს უნივერსიტეტი

### რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკამ განვითარების მნიშვნელოვნად მაღალ დონეს მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა საქონელზე მოთხოვნა, ხოლო დაჩქარდა მიწოდების ტემპები. ყოველივე ამან განაპირობა ელექტრონული ვაჭრობის აღმოცენება და განვითარება, რომელშიც უდიდესი წვლილი შეიტანა საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, ინტერნეტის გავრცელებამ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. ელექტრონული ვაჭრობის მნიშვნელოვან იარაღად მოიაზრება ელექტრონული ხელმოწერა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სხვადასხვა ხელშეკრულების დადება. განხილულია ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები, რომელშიც მოიაზრება როგორც სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების განსაზღვრა, ასევე მისი გაფორმების ტექნოლოგია. წარმოდგენილია ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების საკითხები როგორც კონტინენტური ევროპის, ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დირექტივები და სახელმძღვანელო პრინციპები.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული ვაჭრობა. ელექტრონული ხელმოწერა. საიმედოობა.

### 1. შესავალი

ელექტრონული ვაჭრობა შესაძლებელია განვსაზღვროთ, როგორც „ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა“ [1]. ელექტრონულ ვაჭრობასა და ელექტრონულ ხელმოწერაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუკლით საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიას (UNCITRAL), რომელმაც შეიმუშავა მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Model Law of Electronic Commerce), სადაც განიხილეს ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო, 2002 წელს მათ მიერვე შეიქმნა მოდელური კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ (Model Law on Electronic Signatures), რომლის მიზანიც იყო ისეთი საშუალებების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენებას ტექნიკური სამედიცინო კრიტერიუმების შექმნის გზით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ხელით შესრულებული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის ექივალენტურობას. შესაბამისად, „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელურ კანონს შეუძლია დახმაროს სახელმწიფოებს თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნაში, რომელიც აღნიშნული საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს [2].

### 2. ძირითადი ნაწილი

სახელმწიფოების მიერ თანამედროვე, ჰარმონიზებული და სამართლიანი კანონმდებლობის შექმნის მიზანი საფუძვლად დაედო ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების შექმნას. კერძოდ, 2008 წელს შეიქმნა საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განმარტავს ელექტრონული ხელმოწერის მნიშვნელობას: „ელექტრონული ხელმოწერა – ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის

აღსანიშნავად”. ლოგიკურია (და წარმოდგენილი განმარტებიდანაც ირკვევა), რომ ელექტრონული ხელმოწერა უშუალოდაა დაკავშირებული ამა თუ იმ დოკუმენტთან. კანონი გვაძლევს განმარტებას ელექტრონულ დოკუმენტთან დაკავშირებით. ეს არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონებას.

წარმოდგენილი განმარტების საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება შემდეგი სახით: ვინაიდან ელექტრონული ხელმოწერისას ხდება ხელმომწერი პირის კავშირის დადგენა ელექტრონულ დოკუმენტთან, განმსაზღვრელია არა ის ტექნიკური საშუალება, რისი მეშვეობითაც ხდება ხელმოწერა, არამედ ხელმომწერი პირის ნების განსაზღვრა. თუმცა ეს, თავის მხრივ არ გულისხმობს ტექნიკური საშუალების გაუმართაობას. თავისთავადია, რომ ელექტრონული ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წლების მანძილზე განვითარდა ელექტრონული ხელმოწერის არაერთი ტექნოლოგია. თითოეული ტექნოლოგია მიზნად ისახავს სხვადასხვა მოთხოვნილების დაკამაყოფილებას და განსხვავებული უსაფრთხოების დონის მიწოდებას. ელექტრონული აუთენტიკაციის და ხელმოწერის მეთოდები შესაძლოა დაიყოს სამ კატეგორიად. ესენია: მომხმარებლის ან მიმღების ცოდნაზე დაფუძნებული (მაგალითად, პასპორტის ნომერი, პიროვნების საიდენტიფიკაციო ნომრები), მომხმარებლის ფიზიკურ მახასიათებელზე დაფუძნებული (მაგალითად, ბიომეტრიული) და მომხმარებლის მიერ გარკვეული ნივთის ფლობაზე (კოდი ან სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც დატანილია მაგნიტურ ბარათზე). მეოთხე კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს აუთენტიფიკაციისა და ხელმოწერის სხვადასხვა მეთოდები, რომელიც არ ჯდება არც ერთ ჩემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში და რომელიც შესაძლოა ასევე იქნეს გამოყენებული ხელმოწერის ავტორის მისათხოვლად (მაგალითად, ფაქსიმილე, რომელიც ასახავს ხელით შესრულებულ ხელმოწერას, ან ელექტრონული შეტყობინების ბოლოში ბეჭდური სახით მითითებული სახელი და გვარი) [3].

მოკლედ მიმოვიზოლოთ ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის 4 ძირითადი მეთოდი: ციფრული ხელმოწერები, ბიომეტრიული მეთოდი, პაროლები და პიპრიდული მეთოდები, სკანირებული ან ბეჭდური სახით შესრულებული ხელმოწერები [3]:

1. ციფრული ხელმოწერა ფაქტობრივად წარმოადგენს აპლიკაციას, რომელიც ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის გამოყენებით (ასევე ეწოდება საჯარო გასაღების კოდირების სისტემა) უზრუნველყოფს ელექტრონული შეტყობინების აუთენტურობასა და მთლიანობას. დღეისდღეობით ციფრული ხელმოწერის სხვადასხვა სახე გამოიყენება, როგორებიცაა: fail stop ციფრული ხელმოწერა, ბრმა ხელმოწერები და უდავო ხელმოწერები;

2. ბიომეტრიული მეთოდი ამოსაცნობად იყენებს პიროვნების ისეთ არსებით ქცევებსა და მახასიათებლებს, როგორებიცაა: ღწმ, თვალის ფერადი გარსი, ბადურა, ხელისა და სახის აგებულება, სახის თერმოგრამა, ყურის ფორმა, ტანის სუნი, ხელმოწერა თუ სიარულის მანერა;

3. პაროლები და კოდები გამოიყენება ინფორმაციაზე ან სერვისზე წვდომის გასაკონტროლებლად და ელექტრონული კომუნიკაციის დროს „ხელმოსაწერად“. დღესდღეისობით მათი გამოყენება გაცილებით ხშირია, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა პაროლი და კოდია. მათ გამოიყენებენ მრავალი ტიპის ტრანზაქციის დროს, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგისა თუ ნაღდი ფულის გაცემის დროს ე.წ. ბანკომატებთან და საკრედიტო ბარათებთან;

4. სკანირებული და ბეჭდური სახით შერულებული ხელმოწერები – ძირითადი მიზეზი ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი მოწესრიგებისა კერძო სამართლის სექტორში იყო დავა იმის თაობაზე, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ახალ ტექნოლოგიებს გავლენა მოეხდინა

კანონების შესრულებაზე. ტექნოლოგიებზე ამგვარმა ყურადღებამ, იქნებოდა ეს ნებით თუ უნდა გამოიწვია ის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები დაიხვეწა, რათა უსაფრთხოების უფრო მაღალი მასშტაბები შემოეთავაზებინა ჩვენთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მრავალი ბიზნესუბიექტი ჯერ კიდევ არ იყენებს ელექტრონული ხელმოწერის არც ერთ ფორმას.

სამართლებრივი და ტექნოლოგიური შეუსაბამობა არის ის ორი ძირითადი სირთულე, რომელიც სახელმწიფოთაშორის ელექტრონული ხელმოწერისა და აუთენტიფიკაციის მეთოდების გამოყენებისას იკვეთება, კერძოდ კი იმ ვთითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივად ნამდვილი ხელმოწერის ჩანაცვლებას. ტექნიკური შეუსაბამობა გავლენას ახდენს აუთენტიფიკაციის სისტემების ფუნქციონალური თავსებადობის მიღწევისას. ძირითადი სამართლებრივი შეუსაბამობა თავს იჩენს მაშინ, როცა სხვადასხვა ქვეყნის სამართალს სხვადასხვა მოთხოვნები და პირობები აქვთ ელექტრონული ხელმოწერების სინამდვილესა და კანონიერებასთან [3].

საინტერესოა ელექტრონული ფორმით დადგებული ხელშეკრულებების მიმოხილვა. იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება გამოვყოთ ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დადგების ორი საშუალება: პირველი - ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მეორე - ვებგვერდის (ე.წ. საიტი) მეშვეობით. პირველ შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტით ხდება ჩვეულებრივ ოფერტისა და აქცეპტის გაზიარებული შეთავაზება, ავსებს შესაბამის ფორმას, უთითებს საკუთარ თავზე ინფორმაციას და აჭერს თანხმობის დილაქს, რომელიც მოცემულია შესაბამის გვერდზე.

მნიშვნელოვანია, თუ რა სამართლებრივი პრინციპები გრცელდება ამ შემთხვევაში, ასეთი სახით დადებული ხელშეკრულებების დროს და საერთოდაც, როდის ითვლება ისინი დადებულად. კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით (საქართველოც კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ქვეყნის მიეკუთვნება), როდესაც ორივე მხარე გააკეთებს წინადადებას, ე.ი. სახეზე იქნება ოფერტი, იგივე შეთავაზება და აქცეპტი ანუ თანხმობა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მომენტიდან, როცა აქცეპტი მოუვა მეორე მხარეს.

განსხვავებულ მიღომას იზიარებს ანგლო-ამერიკული სამართალი, სადაც მოქმედებს ე.წ. mail box ანუ საფოსტო ფუთის პრინციპი, ანუ ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინ, როცა აქცეპტი გაკეთდა, ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, მაგალითად, თუ ავიღებთ, რომ თანხმობა იგზავნება ელ-ფოსტით, დრო, როდესაც პროგრამა მოსარგებლეს მიაწვდის ინფორმაციას წერილის გაგზვის შესახებ. პრობლემებისგან თავის არიდების მიზნით მხარები თანხმდებიან, რომ შეტყობინება საჭიროებდეს თანხმობას და მას ამთ წინასწარ ხასიათს სტენი [1].

როდესაც გარიგება ელექტრონული ფორმით იდება, აუცილებელია, რომ ხელმოწერა ასრულებდეს შემდეგ იურიდიულ ფუნქციებს: მიუთითებდეს, თუ ვინ მოაწერა ხელი ელექტრონულ დოკუმენტს; იძლეოდეს გარანტიას, რომ ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ; უზრუნველყოფდეს ხელმოწერილი დოკუმენტის ნამდვილობას; ნიშნავდეს გარიგების მხარეთა ნების გამოვლენას; ახდენდეს ელექტრონული გზით დადებული გარიგების წერილობითი ფორმის გარიგებად სიმბოლიზებას [1].

ელექტრონული ხელმოწერის არსებობის მიზანია, რომ მას გააჩნდეს იგივე იურიდიული ძალა, რაც წერილობითი გზით დადებულ გარიგებას. ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს მარტივი, რომლის განხორციელება მარტივი საშუალებების გამოყენებით ხდება, (მაგალითად, სკანირებული ხელმოწერა) თუმცა ასეთი ტიპის ხელმოწერის უსაფრთხოება დაბალია. მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც წყვილი გასაღების გამოყენებით ხორციელდება. ხელშეკრულების ელექტრონული გზით დასაღებად აუცილებელია ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებების გამოყენება.

ელექტრონული დოკუმენტის აუთენტიფიკაციისა და ხელშეუხებლობის ყველაზე უსაფრთხო საშუალება არის ციფრული ხელმოწერა, რადგან იგი ემყარება წყვილი გასაღების – ღია და დახურულის გამოყენებას. სიმბოლოთა ერთობლიობა, რომლის გენერირებაც ხდება სპეციალური ალგორითმით – დოკუმენტის ტექსტისა და დოკუმენტის ხელმოწერი პირის პირადი კოდის შეწყმით, განუყოფლად აკავშირებს ერთმანეთთან კონკრეტულ დოკუმენტსა და პირს. თუნდაც ერთი სიმბოლოს შეცვლა გამოიწვევს ხელმოწერის შეუსაბამობას [1].

სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერების ნამდვილობის საკითხს ევროკავშირის ქვეყნებში „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ დირექტივა განმარტავს. მნიშვნელობა ენიჭება არის თუ არა ხელმოწერი ქვეყნა ევროპის კავშირის წევრი. ელექტრონული ხელმოწერების შესახებ სახელმწიფოთა შორის იდება ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც ხდება ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება.

მნიშვნელოვანია ასევე ის საკითხი, რომელიც ეხება ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატს. საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ განმარტავს, რომ ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი არის ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც გაცემულია აკრედიტებული სერტიფიკატის გამცემის მიერ და შეიცავს ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს, იძლევა ციფრული ხელმოწერის შექმნის, მისი ნამდვილობის შემოწმებისა და ხელმომწერის ვინაობის დადგენის საშუალებას. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი არის ხელმოწერის ნამდვილობის დაცვის საშუალება. პირთა იდენტიფიკაციისათვის იქნება სხვადასხვა ცენტრები, რაც უფრო კავლითური იქნება ცენტრი, თავისთავად, მით უფრო მეტად უსაფრთხო იქნება მის მიერ გაცემული სერტიფიკატი [4].

სასერტიფიკატო ცენტრების ფუნქციონირებისა და ასევე ელექტრონული ხელმოწერების განვითარების პირველ ეტაპზე, ქვეყნებმა რომლებმაც პრაქტიკაში დანერგეს ცენტრების სისტემის ფუნქციონირება, უპირატესობა მიანიჭეს მათ ღიაცენტრიებას ან აკრედიტაციას, თუმცა ევროკავშირის დირექტივაში უპირატესობა ცენტრების თავისუფალ მუშაობას ენიჭება.

საინტერესოა, როგორ განვსაზღვროთ ზიანის ოდენობა და სერტიფიკაციის ცენტრების პასუხისმგებლობის ფარგლები საჭიროების შემთხვევაში. დირექტივების, მოდალური კანონისა და სხვადასხვა ქვეყნებში პრაქტიკულად მოქმედი კანონმდებლობის შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სერტიფიკაციის ცენტრების მიმართ მოქმედებს პასუხისმგებლობის შეზღუდული სქემა, რომელიც სერტიფიკაციის ცენტრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას რეალური ზიანის ოდენობით ითვალისწინებს (ვინაიდან ნებისმიერ პირს გააჩნია ნდობა სერტიფიკატის გამცემი ორგანოსადმი). პასუხისმგებლობა არ მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და მორალურ ზიანს და ორგანო პასუხს აგებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რისი ზღვარიც მითითებულია სერტიფიკატში. პასუხისმგებლობის ზღვარი ინდივიდუალურად შესაძლებელია განსხვავებული იყოს [1].

### 3. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება უნდა მიესადაგებოდეს ტექნოლოგიურ წინსვლას. როდესაც ჩნდება ახალი ტექნოლოგია, რომელიც უფრო მოქნილს ხდის ელექტრონულ სავაჭრო ურთიერთობებს, აუცილებელია შეიქმნას სათანადო სამართლებრივი რეგულირება და მოხდეს ტექნოლოგიისა და სამართლის ნორმების ჰარმონიზება.

**ლიტერატურა - References - Литература:**

1. ზამბახიძე თ. (2005). ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსექტივა), თსუ., თბ.,
2. [http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/electroniccommerce/Model\\_signature\\_s.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/electroniccommerce/Model_signature_s.html) (სათაური და დააზუსტეთ ეს მისამართი)
3. United Nations Publication. (2009). Promoting confidence in electronic commerce: legal issues on international use of electronic authentication and signature methods, UNCITRAL
4. საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ. (გამოცემის რეკვიზიტები)

**VALIDITY OF ELECTRONIC SIGNATURE – TECHNOLOGICAL AND  
LEGAL ASPECTS**

Ketevan Meparishvili<sup>1</sup>, Luka Kardenaxishvili<sup>2</sup>

1-P. Shotadze Tbilisi Medical Academy

2-University of Georgia

**Summary**

Modern life has led the market economy to its highest levels. Supply and demand of good have raised. This was a reason of appearing a new type of trade called electronic commerce. A big part of it was the growth of information technology, including internet interference in all spheres of human life. A mandatory tool of e-commerce is an electronic signatures that help us setting up a contract. Thesis presents the legal aspects of electronic commerce, which includes definition of various types of contracts and the technology of setting up these types of contracts. Here are discussed the legal regulations on electronic commerce in common law and civil law countries, directives and manual principles classified by international organization.

**АУТЕНТИЧНОСТЬ ЭЛЕКТРОННОЙ ПОДПИСИ – ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ И  
ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ**

Мепаришвили К.<sup>1</sup>, Карденахишвили Л.<sup>2</sup>

1-Тбилисская Медицинская Академия им. П. Шотадзе

2-Университет Грузия

**Резюме**

В современном мире рыночная экономика достигла чрезвычайно высокого уровня своего развития. Ускорились спрос и предложение товаров, что привело к появлению новой области торговли, которая называется электронной торговлей. Наибольший вклад в такой вид торговли внесли новые технологические разработки, в том числе интернет, который охватывает все сферы жизни человека. Главным оружием электронной торговли можно считать электронную подпись, с помощью которой можно создать различные типы договоров. В статье представлены правовые аспекты электронной торговли. Рассмотрены технологии создания и определения типов контрактов. Представлены легальные аспекты, как для континентальной Европы, так и в англо-американских странах, также руководящие принципы и директивы международных организаций.

ვიზუალური მიზანი - PHYSICAL CHEMISTRY-  
ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ

**ელექტრონის მინიმალური ენერგია ატომში**

გივი წილეშვილი  
ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი

**რეზიუმე**

განხილულია ელექტრონის მინიმალური ენერგია ატომში, გამოთქმულია აზრი რომ ატომში ელექტრონების მინიმალური ენერგია ერთნაირია და შეესაბამება ბირთვის მიერ ელექტრონის მიზიდვისა და გარემოს ენერგეტიკული ფონის ენერგიების წონასწორულ მდგომარეობას. იგი უდრის გარემოს ენერგეტიკული ფონის ენერგიას და რეგულირდება ელექტრონის მიერ გარემოდან ენერგიის შთანთქმით ან გარემოში ენერგიის გამოსხივებით, რის გამოც ელექტრონი ბირთვზე არ დაეცემა, რაც განაპირობებს ატომთა მდგრადობას.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონი. ატომი. ენერგია. გარემოს ენერგრტიკული ფონი. მდგრადობა.

**1. შესავალი**

ცნობილია, რომ ატომი შედგება პროტონებისა და ნეიტრონების შემცველი დადებითად დამუხტული ატომის გულისა და მის გარშემო მყოფი უარყოფითად დამუხტული ელექტრონებისაგან, რომლებიც წარმოქმნის ელექტრონულ ღრუბელს.

დადებით ბირთვსა და ელექტრონებს შორის ურთიერთქმედება ელექტომაგნიტურია და ვლინდება კულონური ძალების სახით[1]. დამუხტული ნაწილაკების ურთიერთქმედებაში მონაწილეობს აგრეთვე ფოტონები. მათშთანთქავს ან გამოაახივებს ელექტრონები და უზრუნველყოფილი ხდება ატომთა მდგრადობა.

ატომის თვისებებს უკავშირებენ გარეთა შრის ელექტრონების ქცევას, რომლებსაც ოპტიკური ან სავალენტო ელექტრონები ეწოდება.

**2. ბირითადი ნაწილი**

ატომში ელექტრონის მდგომარეობიდან აღსანიშნავია მისი მინიმალური ენერგია, რომლის შესახებაც არსებობს აზრი, რომ კვანტური მექანიკის მიხედვით ელექტრონის ენერგია მინიმალურია მაშინ, როცა ის იმყოფება ბირთვიდან (წყალბადის ატომში) ბორის პირველი ორბიტის რადიუსის ფარგლებში. დანარჩენ შემთხვევაშიმისი ენერგია განსხვავებულია მინიმალურისაგან.

ჰაიზენბერგის განუზღვრელობათა თანაფარდობის და შრედინგერის განტოლების მიხედვითმიღებული ელექტრონის მინიმალური ენერგიის მნიშვნელობა ემთხვევა ბორის თეორიაში

არსებულს. ამით აიხსნება თუ რატომ არ ეცემა ელექტრონი ატომგულს და სწორ შეფასებას აძლევს ელექტრონის მინიმალური ენერგიის მნიშვნელობას [2].

ფოტონების მონაწილეობა დამუხტული ნაწილაკების ელექტრომაგნიტურ ურთიერთქმედებაში გამოიჩატება იმით, რომ გარემოში არსებულ სითბურ ფოტონებს, რომლებიც ქმნის გარემოს ენერგეტიკულ ფონს, შთანთქავს ან გამოასხივებს ატომში არსებული ელექტრონები და მყარდება ენერგეტიკული წონასწორული მდგომარეობა ნივთიერებასა და გარემოს შორის.

ფოტონების შთანთქმით ატომი აღიგზნება[3], ამ დროს ელექტრონის მინიმალური ენერგია იზრდება და შთანთქმული ენერგიის სიდიდისაგან დამოკიდებულებით ელექტრონი შეიძლება მოწყდეს ატომს. ე.ი. ატომგული იზიდავს ელექტრონს, მაგრამ გარემოს პირობების გავლენით ის შორდება ან უახლოვდება მას. პირველ შემთხვევაში ელექტრონი შთანთქავს ენერგიას გარემოდან (დაიკვანტება), ხოლო მეორე შემთხვევაში გამოასხივებს მას გარემოში (განიკვანტება).

გამოდის, რომ მანძილი ბირთვსა და ელექტრონს შორის დამოკიდებულია როგორც ატომგულის დადებითი მუხტის და ელექტრონის უარყოფითი მუხტის კულონურ ურთიერთქმედებაზე, ასევე გარემოს პირობებზე, ანუ ენერგეტიკულ ფონზე, რომელშიც იმყოფება ატომი.

### 3. დასკვნა

ამრიგად, ატომში მყოფი ელექტრონის მიერ გარემოდან ენერგიის შთანთქმა ან გარემოში ენერგიის გამოსხივება ხდება იმიტომ, რომ მისი ენერგია გაუთანაბრდეს გარემოს ენერგეტიკული ფონის ენერგიას.

ეს ბუნებრივი პროცესია, რეალობაა, რომელიც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ატომშითითოეული ელექტრონის მინიმალური ენერგია შეესაბამება ბირთვის მიერ ელექტრონის მიზიდვისა და გარემოს ენერგეტიკული ფონის ენერგიების წონასწორულ მდგომარეობას. იგი უდრის გარემოს ენერგეტიკული ფონის ენერგიას, რომელშიც იმყოფება ატომში არსებული ელექტრონი და რეგულირდება ელექტრონის მიერ გარემოდან ენერგიის შთანთქმით ან გარემოში ენერგიის გამოსხივებით. ამ პროცესის შედეგად ელექტრონი ბირთვზე ვერ დაეცემა და ატომის მდგომარეობა სტაბილური ხდება.

### ლიტერატურა - References - Литература:

1. Яворский Б.М., Селезнёв Ю. А.(1989). Справочное руководство по физике. М. Наука.
2. კარაპეტიან ციმ., დრაკინის. (1977). ნივთიერებათააღნაგობა. თსუ-ისგამომც., თბილისი.
3. Овчинников К., Щукарев С. А.(1972). Электрон в атоме. -Л., Химия.
4. ხიდეშელიგ. (2015). საავტომოუფლებისდამადასტურებელიმოწმობა №6283/25.06.15

## THE MINIMUM ENERGY OF AN ELECTRON IN AN ATOM

Khidesheli Givi

Ph.D. of Chemical sciences

### **Summary**

In the work is discussed the minimum energy of an electron in an atom. There is given an explanation: that minimum energy of an electron in an atom, molecule, and substance is equal and corresponds to the energy of attraction of the electron by the nucleus and steady-state of energy background energies of the environment; it is equal to the energy of environmental background energy and is regulated by absorption of energy by the electron from the environment or radiation of energy in the environment, so it does not fall into the nucleus, which leads to the stability of atoms.

## МИНИМАЛЬНАЯ ЭНЕРГИЯ ЭЛЕКТРОНА В АТОМЕ

Хидешели Г.

Кандидат химических наук

### **Резюме**

Рассмотрена минимальная энергия электрона в атоме. Высказано мнение, что в атоме, молекуле, веществе минимальная энергия электрона одинакова и соответствует равновесному состоянию энергий притяжения электрона ядром и энергетического фона среды. Она равна энергии энергетического фона среды и регулируется поглощением электроном энергии из среды или излучением электроном энергии в среду, поэтому он не падает на ядро, что обуславливает устойчивость атомов.

## იბეჭდება ავტორთა მიერ ღარეოდგნილი სახით

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გ. სურგულაძე, ე. თურქია, გ. ნარეშელაშვილი,  
ხ. ქრისტესიაშვილი, გ. მაისურაძე, გ. დალაქიშვილი

გადაეცა წარმოებას 15.04.2016 წ. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 13. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12. ტირაჟი 100 ეგზ. იბეჭდება  
ავტორთა ხარჯით.

---

სტუ-ს „IT-კონსალტინგის ცენტრი“, თბილისი,  
კოსტავას 77

---